

# სიბრძნე კაცობრივი

166

160

[illegible]

[illegible]

[illegible] N 530

[illegible]

[illegible]

[illegible]

# სიბრძნე კაცობრივი.

რომელი ასწავლის კაცს ჭკუჲს რიგიან ხმარებასა, სრულ კაცს გახდის, და მისწევს სიმდიდრესა, შემკობილი ცხოველი მაგალითებით და ფილოსოფოზების სიტყვე-ბითა.



მონთობანს.

ენრიკო ფაბრის სტამბაში.

1877

ივერიის სასოფლო სკოლებისათჳს გამოცემული შემდეგი ქართული წიგნები ისყიდებიან ფრანციაში, ქალაქს მონთობანს და კონსტანდინეპოლსაც ჩინილი ხანში ჭოქოციანის მაღაზიაში ნუმერო 5.

ფასი ბროშურისა კაპეკი.

წინამძღვარი ზეცისა, ანუ ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი, შედგენილი ნემეცურად თავადის შჳლი მღვდელი ალექსანდრე ჭოენლოესაგან . . . . 40 კ.

გზა ცხოვრებისა, ანუ განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა, სახმარნი მღვდელთათჳს საქადაგებლად და ერის კაცთათჳს საკითხავად და ფიქრის ლოცჳს შესასრულებლად, შედგენილი წმიდის ალფონსო ლიგუორისაგან . . . 50 კ.

სიბრძნე კაცებრივი რომელიც ასწავლის კაცს ჭკუჳს რიგიან ხმარებასა, სრულს კაცს გახდის და მისწევს სიმდიდრესა შემკობილი ცხოველი მაგალითებითა და ფილოსოფოზების სიტყჳთა . . . . . . . 70 კ.

ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ძველი ფილოსოფოზის მიერ გარდმოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა ბედნიერად გატარებისათჳს ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა . . . . . 40 კ.

მოკლე ქართული გრამმატიკა სასოფლო სკოლების ყრმათათჳს, ახლად შედგენილი გრამმატიკული და ლოღიკური ანალიზებით გინა დარღვევებითურთ . . . . . 30 კ.

ხელად სახმარი მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება ყმაწჳლთ კაცთათჳს . . 40 კ.

მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, რომელი შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ზნეობას, და საღმრთო მართლ მსაჯულებას გინა ღვთის მეტყველებას მაღალს სწავლაში გარდასასვლელთ ყმაწვილთ კაცთათჳს . . 40 კ.

ფიზიკებრივ, მოქალაქებრივ, და ისტორიებრივ მოკლე გეოგრაფია სასოფლო სკოლებისათჳს . . . . . . . . 35 კ.

მოკლე საყოვლიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამითგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, განყოფილი აქვს ნაწილად: პირველი ნაწილი იპყრობს თჳსში საღმრთო ისტორიასა ძველისა და ახლის აღთქმისასა; მეორე ნაწილი ისტორიასა ძველთა ნათესავთა, ვითამც ეგჳპტელთა, ასურთა, მიდთა, სპარსთა, ბერძენთა, და მაკედონელთა; მესამე ნაწილი ისტორიასა რომაელთა და ქართველთა; მეოთხე ნაწილი ისტორიასა საშუალო საუკუნისასა. მეხუთე ნაწილი ახალს ისტორიასა საზოგადოდ; ხოლო მეექვსე ნაწილი ისტორიასა ევროპიის ნათესავთა ვითამც, ისტორიასა რუსეთისას, ფრანგისტანისას, ანგლიისას, გერმანიისას, ისპანიისას, პორტუგალიისას, დანიისას, შვეციისას, გოლანდიისას შვეიცარიისას, იტალიისას, და სხვათა. სასოფლო სკოლების ყრმათათჳს . . 60 კ.

გჳრგჳნი წამებულთა წმიდა ესტატი ანუ ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდისა ესტატესი. პოემა ჩ ზ. მუხლი. . . . . . 50 კ.

ყვავილების კონა ანუ რჩეული ლექსები . . . . . . . . . . 40 კ.

ამათ გარდა იყიდებიან ზემო ხსენებულნ

ადგილებში შემდეგ, წიგნებიცა, რომელნიც დაიბეჭდნენ საქართველოს რომისა დ სომხის კათოლიკეთათჳს.

თან საჭარებელი ლოცჳს წიგნი, რომელი იპყრობს თჳს შორის საყოველ-დღივო სხვა დ სხვა მშვენიერ ლოცვებს . . . . . . 60 კ.

წალკოტი ლოცვათა, რომელი იპყრობს თაჳსში მრავალთა სხვა დ სხვა რჩეულთა დ ფერიად სახმართა ლოცვათა . . . . . . . . 60 კ.

საქრისტიანო მოძღვრება გინა კატეხიზი. 25 კ.

პატარა საქრისტიანო მოძღვრება.

ეს კონტი ასში ათი მიეცემის მას, ჳნც ზემოდ ხსენებული სხვა დ სხვა ნაირი წიგნისაგან არჩეჳთ იყიდის ასს კოპიოსა. დ ანუ მაინც ერთი რომელიმე მათგანისაგან ოც დ ათს ანუ ნამეტარს კოპიოს ერთიანად.

ჳმ ზემო ხსენებული წიგნების გამოწერა შეიძლება მიწერით დ წარგზავნით ფულისა გამსყიდველთადმი წიგნთა ამათ ანუ მონთობანში დ ანუ სტამბოლში შემდეგი ადრესებითა:

უფალს რუბენ აღა ჭოქოციანს გამსყიდველს ქართული წიგნებისას კონსტანდინეპოლს ჩინილი ხანში, მაღაზია ნუმერო. 5.

უფალს ალექსანდრე სტეფანიანს გამსყიდველს ქართული წიგნებისას მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო ჩასახებისათა კათოლიკების სასაფლაოს ქუჩაზედ, ფრანციაში თარნისა დ გარონის გუბერნიაში, ქალაქს მონთობანს.

(FRANCE) Montauban, Rue du Cimetière catholique, Tarn-et-Garonne.

გთხოვთ, ჵი ღმერთო, ყოველსა ჟამსა,
აღამაღლებდე დიდსა რუსეთსა!
და ჰსწყალობდე თან ქართველის გვარსა,
მას დიდი ქართლოს შთამომავალსა.
ხოლო მის კეთილს მთავარს მმართველსა,
კავკასიისა მხნე ნამესტნიკსა,
უდიდებულესს გრან-დუქ დიდს კნიაზს
უ ფ ა ლ ს მ ი ხ ა ი ლ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე ს
მოეც ყოველი სახის კეთილი,
ცხოვრება ფრიად განვრცელებული,
ძლევის შემოსვა ყოვლად გმირული,
და გამარჯვება მუდამ მძლეველი.
ჟამს მ ი ს ი ს უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ი ს
დაიბეჭდნენ აწ ივერიისთჳს,
ქართულებ წიგნნი სასარგებლონი,
და სოფლის სკოლის სახელ-მძღვანონი.

ივერიის სასოფლო სკოლებისათჳს სახელ-მძღვანელო ქართული წიგნების გამომცემელნი მონთობანში მყოფნი კათოლიკე მღვდელ მონაზონნი მონასტრისაგან მონათა უმანკოდ შთასახებული ღვთის-მშობელი ქალწული მარიამისა.

ფრანციაში, ქალაქს მონთობანს. 1877.

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ძლიერ კარგი იქმნებოდა თუ რომ როგორც დაჰბადა ღმერთმან პირველნი მშობელნი ჩვენნი ბედნიერს მდგომარეობაში სულიერად თუ ხორციელად, იმ წრეშივე დაშთენილ იყვნენ, მტკიცედ; რადგან მაშინ ჩვენც იმათსაჳთ ბედნიერნი ჳქმნებოდით უკვდავებითა, ღვთის მსახურებითა და წუთი სიკეთების დამშვენებითა. გარნა იმათ რიგიანი ყურადღების მიუქცევლობით ვერ შეინახეს რა ღვთის ბრძანება, გამოიდევნენ იმ სიამოვნების სამოთხისაგან; ეუფლათ მოკვდავობა და მასთან ყოველი სასჯელი; უბედურობა, ჭირი და ყოველ ნაირი ამ წუთი სოფლის სისაწყლე, და ესე არა თუ მარტო იმათ, არამედ მათ ყოველს შთამომავლობასაცა გარდმოგვეცა. როგორც ერთი მდგრის წყაროს სათავედგან მომდინარე წყალი, რიერითსაც შორდებოდეს თაჳს სათაჳსგან უფრო და უმფრო იმღვრეოდეს მდებარე მიწის სიფლატისა და ჭაერის ხშირის ცვლილების გამო. ეგრეთვე იქამდის განჯდიდდა ღვთის რისხვა, რომ ყოველს ცხოველს ზღჳსას, ხმელეთისას თუ ჭაერისას დაბადებიდგანვე ჰყვებათ იმათ ცხოვრებაში მოსახმარისი ყოველი სწავლა და ნიჭიერება; ხოლო ჩვენ კი ჳბადებით სრულიად უბედურნი და გაუგებელნი, ჩვენი ცხოვრების დამაწინაურებელი ღონე საშვალება სრულ არა ჳცით რა. უკეთუ შემგლელი მასწავლებელი და წინამძღვარი არ გვყოლოდა, პირუტყსაგანაც უსაწყლესად დავშთებოდით. ამ მიმართულობისა ვართ დიდნი თუ მცირენი, ხელოსანნი თუ ვაჭარნი, მოქალაქენი თუ გლეხნი. მაშ ამ გვარს ძნელს და გასაჭირს ცხოვრებაში გვეჭირება ეს კაცის განმაბრძნობელი წიგნი ჴელ სამძღვანად, რათა დღე ყოველ ჴელთ გვქონდეს, კარგს მასწავლებელსაჳთ გვარიგებდეს და

ჩაგვძახოდეს ყურში იმ სასარგებლო საქმების ქმნასა, რანიც მოგვაშორებენ ჩვენ ქვეყნის ყოველ ნაირს საუბედური მიმართულობისაგან და ღვთის სათნო გზას კვალზედ დაგვაყენებენ; ანუ ნუგეშს გვცემენ ჩვენს ჭირში სრულიად და ანუ შეგვიმსუბუქებენ იმას იმდენად მაინცა, რომ რაც შეიძლება დიდსულობით მოვითმინოთ ჩვენ ისინი ღვთის პატივსათვის.

ჯერ არ გამოცემულა ჩვენს ენაზედ, ამნაირი წიგნი შედგენილი ძლიერის გამკვეთელობითა, სამოქალაქო წრფელის კანონებითა, სიტყვიერის მიზეზებითა და მასთან ცხოველის მაგალითებითა. ამის გამო სიმართლით იწოდა ეს წიგნი კაცობრივ სიბრძნედ, რომელიც რიგიან მოგვასხმარებინებს ჩვენ ჭკუვას, სრულ კაცს გაგვხდის და სიმდიდრეს მოგვაპოვნინებს.

როგორც ქრისტიანებრივს სისრულის მსურველმან პირმან ხელითგან არ უნდა დასტოვოს ის ოქროსანი წიგნები «წინამძღვარი ზეცისა», და «გზა ცხოვრებისა», ეს პატარა წიგნიც აგრეთვე სრულის კაცობის მსურველმან და კარგმან კაცმან, მუდამ თან უნდა იქონიოს სადაც იყოს, არ დასჯერდეს ერთსა, ორსა და სამს წაკითხვასა; არამედ მასწავლებელისაგან მიცემულის გაკვეთილივით ნდაუ ზეპირობდეს ხშირად ამაში ყოფილს ყოველს დარიგებასა, ანდაზებსა და მაგალითებსა, და ადგილისა და დროების დაგვარ ხმარობდეს მათ შეფერებით.

ამითი გახდება იგი სრული კაცი, კეთილ სამაგალითო სხვათა, მეგობრების საყვარელი, მტრის საკრძალი, კარგი მოქალაქე, მამულის მარგებელი, თავისი და თვისი ტომის მასახელებელი და ღვთის სახელის მადიდებელი, როგორც ბრძანებს უფალი: «ეგრეთ ბრწყინვიდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი, და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა. მათეს. ე. 16.

ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, დ҃ გზასა ცოდვილთასა არა დადგა, დ҃ საჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა. არამედ სჯულსა უფლისა არს ნება მისი, დ҃ სჯულსა მისსა ზრახავნ დღე დ҃ ღამე. დავითნი ა. 1. 2.



შენდამი იხარებს მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, ანგელოზთა კრებული, და კაცთა ნათესავი, ტაძარო სიწმიდისაო, სამოთხეო სიტყჳერო, ქალწულებისა სიქადულო, რომლისაგან სიტყვა განკორციელდა, და ყრმა იშვა პირველ საუკუნეთა ღმერთი ჩვენი, რომელმან საშო შენი საყდრად გამოაჩინა, და მუცელი შენი ცათა უვრცელეს ჰყო, შენდამი იხარებს მიმადლებულო, ყოველი დაბადებული დიდება შენდა.

#### კ ა ც ო ბ რ ი ვ

# ს ი ბ რ ძ ნ ე.

## ნ ა კ ვ ე თ ი ლ ი . ა.

### ს წ ა ვ ლ ა ს ა ზ ე დ ა.

კაცი თაჳს ყმაწჳლობაში რომ მაინც თაჳს შესაფერს წვრიმალ სწავლას საკმაოდ მიიღებს, როდისაც გაიზდება გახდება ვაჟკაცი, შეუძლია მას მერმედ ქვეყნიერობაში თაჳსი სვე ბედის მოშოვნა. ოღონდ ჭკუით მოიქცეს, ეცადოს; და აგრეთვე იცოდეს თუ უმთავრესად რომელს სწავლას უნდა ჩამოუდგეს, და რომელი საგანი უფრო უნდა ისწავლოს.

ახლა შენ ყმაწჳლო კაცო! მაგ შენს ასაკში უნდა აჩვენო შენი თაჳ ქვეყანასა, და როგორც თეატრში, უნდა შეხჳდე მუნ, სადაც ნახამ, რომ თჳთოეული მოთამაშე თითო თითო რამეს ადგენს; ნეტა ჳცოდე თუ შენი წარმოდგენა რაღა იქმნება? არ ჳცი. მაგრამ რაც უნდა იყოს დიდის კაცისა, თუ თავადისა, ანუ თუ მდაბალი ხარისხის კაცისა, რადგან პატიოსან ყმაწჳლ კაცად, კარგის ჭკუისას და კარგის თჳსების მქონეს გხედამ შენ, ეცადე რომ მოხერხებულად და კარგი სახით აჩვენო შენი თაჳ ქვეყანასა და შენი თანამდებობა აღამაღლო.

იცოდე რომ ქვეყანაზედ უთვალავი სასწავლო რამები არიან, გამოსადეგი და გამოუსადეგარი; შენ იმ სწავლას შეუდეგ სულით გულითა, რომელსაც შეუძლია გახდომა შენი სრულ კაცად, ღვაწლით შემოსჳლად, კეთილ მოღვაწედ, ამხანაგობის გამოსადეგად და სასარგებლო კაცად.

მით რა სწავლაც იყოს თავ და პირველად ეცადე რომ უბ-
რალო და ცუდ ძიებაბზედ დროებას არ დაჰკარგო და ჭკუას
გონებას არ დაიმძიმო, მაგალითად. მათემატიკაში თუ
რომ თავ დაანებო სხვა საჭირო საგნებსა, ჭკუვას ძა-
ლას უყო, დრო დაჰკარგო და შეუდგე შეტყობას თუ რა
შედარებას აქვს უხლავსა და ბუნდას შუა; დაეთხოვე რა
გონიც ჰქონის მაგ საგანზედ არხიმეტე სწავლულსა. შენ
იმით იმთენად ჭკუვას ვერ ისწავლი და სასარგებლო რა-
მე საგანს ძჯროვას დროებას ვერ შესწირამ.

ავლავ სხვა მეცნიერებაშიც უბრალო საგნებზედ ჭკუ-
ვას ნუ დაღალავ და ქერქ ფსეჭოებს ნუ გამოუდგები;
ეცადე სწავლის შინაგანი გული ბელო გაიტარო და იმას
შესწირო შენი დროება. « ავქსონის ერთს ეს ლექსი ასე
დაუწერია, ამ ლექსისთჳს ასე მძიმე დაუსჯა და სხვაც,
ასე უნდა დაეწერა, ასე წაკითხული იყო » თუ დაიწყობ
ცილობასა (ბაასსა), ამ ნაირ უბრალო რამებზედ დრო-
ების დაკარგჳთა სამწიგნობროში რა ჭკუვა უნდა ის-
წავლო? მაშ უძვრო ეცადე რათა ლექსის მნიშვნე-
ლობასა და აზრსა მისდევდე: « ნეტავ რა უნდა მიეხვდი-
ნებინა იმ კაცსა ასე დაწერითაო, » და სხვაც.

აგრეთვე მოთხრობაებში თუ თავ დაანებო ჭკჳანურს
გამოსადეგს, სასარგებლო მოთხრობაებს, უთვალავ
შემთხვევაებს და მაგალითებს, და იწყო მხოლოდ უბრა-
ლო და სასიამოვნო საგნების კითხჳთა დროების დაკარ-
გვა, რას ისარგებლებ ამითი? ესრეთვე თუ დასტოვო სხ-
ვა გამოსადეგი რამები, დაიწყო გამოძებნა შეტყობა,
რომ ნეტავ ის მხნე ერეკლე ლახტით რომ ლომებს ს-
წყვეტდა, იმ ლახტს რამდენი ტოტი ჰქონდაო, და სხვაც,
ამისთანაებისაგან რა ჭკუის სწავლა შეგიძლია? ჭკჳანი
ყმაწჳლი კაცი ამათთანა უბრალო, ამათთანა ყმაწჳლურ
რამებზედ დროებას არ დაჰკარგავს.

არ შეჰფერის ფილოსოფოზსა და სწავლულ კაცსა წვრიმალ და უბრალო რამებზედ გონება დაღალოს: ამ ნაირ და სხვა ნაირ ნაირს მეცნიერებაებში მყოფი მრავალი სახის უსარგებლო და გამოუსადეგი ძიებაები, წვრილს და ყმაწვილურს იდეებს ჩაჰბეჭდვენ ჩვენს გონებაში და სხვა შესაძინს და სარგებლობას არ მოგვცემენ, თუ არ მხოლოდ მას, რომ მცირე რამ ნივთზედ გვაფიქრებინებენ: და როცა სხვებთან შექცევაში ვიყოთ მცირე ნივთზე გვალაპარაკებენ. მაშ შენ უნდა ისწავო მხოლოდ ის მეცნიერებაები რომელნიც ჭკუას მოგიმატებენ, და ანუ თუ უკეთესი მდგომარეობის ღირსებაზედ აღგიყვანებენ.

მეცნიერება სულის საუნჯე არის, და წრფელი სჯაც მისი გასაღებია, რომელიც ყოველს სწავლას და განჯთარებულობასა გაამშვენებს; მსგავსად თვლის მთლელობის ჴელოვნების რომელი გაამშვენიერებს და გააბრწყინებს შეუმუშავებელს (ალმასსა).

ჯვალად რაოდენათაც უნდა ვეცადოთ კარგი რამების სწავლასა, ეგრეთვე უნდა ვეცადოთ რათა ფიქრიდგან გამოვდევნოთ და დავჯწყოთ ის, რაც მრუდი და ცუდი რამები გვისწავლია, სანამ ის ცუდი და მრუდი სწავლა ჩვენ არ შეგვეთვისებოდეს და ჩვენს გონებაში ლოჯები არ გაედგას. რადგან სიყრმის ვარჯიში და მოწაფობაში ნასწავლი ისეთი რამ არის, რომ ძლიერ ძნელად აიხვნება და აიხოცება ჩვენგან; ამისთანები თითქმის აკვნითგან ჩვენთან ერთად შეგვეზრდებიან და არ დაგვტოვებენ ჩვენ, თუ არ მხოლოდ საფლავში.

ერთის სიტყვით უფრო სრული მეცნიერება ის არის, რომელიც ჩვენ უფრო სრულ კაცად უფრო ღვაწლით შემოსილად და კეთილ მოღვაწედ გაგვხდის, ვირემც თუ მარტო მეცნიერად. ამისთანა მეცნიერება არის

ის, რომლითაც ჩვენ ყოველს ჩვენ საქმეში გონიერებას ჴელს მოვკიდამთ, რომლითაც ჩვენს სურჳლს, ჩვენს მოთხოვნილებას, და ჩვენს ვნებაებს ეგრედ რიგში კანონში და ზომიერობაში მოჳყვანთ; ჳდრე რომ ჩვენ კაცობრიობითგან გარედ არ გამოგჳყვანონ ამათ, არამედ ნამდჳლ სრულ კაცად გვყონ, და ეგრეთვეცა გვაჩვენონ ჩვენ ქვეყანასა.

ზოგი ერთი დაწვრილებული და უბრალო ძიებაებიც არაფრის მოსახმარნი არ არიან და ჰგავან ბობოჭყის ქსელსა (აბლაბუდას) რომელიც რიერთიც წმიდა და სუფთა იყოს, არაფერი სარგებლობა აქვს. ამ რიგნი უნაყოფო მეცნიერებანი მიამსგავსე იმ სახის ყვავილებსა, რომლებსაც თითქმის სრულ ფესჳ არა აქვსთ და იმისთჳს მტკიცე და გამძლე მშვენიერებაც არა აქვსთ.

ამისთჳს ჩვენ ამისთანა უბრალო წმიდა მჭვრეტელობაზედ დროება არ უნდა დავჰკარგოთ, არამედ იმისთანა რამები ფიქრში შეჳკრიბოთ და ჳქონიოთ, საიდგანაც შეიძლება რამე სარგებლობის ნახვა. ერთ დროს ჰკითხეს ანტისთენე ფილოსოფოსსა, რომ « რა სარგებელი და რა ნაყოფი გამოიღე შენ შენის სწავლისაგან »? მიუგო: « ის სარგებელი და ის ნაყოფი რომ მე მარტოც შემიძლია ჩემის თავს გართობა და ნუგეშის ცემა, თუმც სრულიად არ მყავდეს კაცი ტკბილის მეგობრობითა თავის შემაქცეველიო. »

კაცისთჳს ცოტა რამ არ არის, მეტადრე თუ კარგად დაფიქრდები, ძლიერ დიდი რამ არის, როცა თჳთან მარტოც შეუძლია მოსვენებით და მხიარულად ყოფნა, და დროების კარგად გატარება თავისი მშვენიერი და ჭკჳანურის ფიქრებითა. აგერ მხოლოდ სწავლულ კაცს შეუძლია ამ დიდი რამის ქმნა. ჳარნა ამასთან შენ ეცადე სხვა რამების ქმნასაცა; ე. ი. შენის მცოდინობისა

და სწავლის მწედ მოიხმე კვლავ განსინჯვა და გამოცდა-ცა, ჳთამც შენს გაგონილს და შენს ნანახს მარტო ნუ გაიგონამ და ნუც ნახამ, არამედ თანვე კარგად დაჰკჳრდი, გამოიძიე და ერთმანერთს შეადარე იგანი შენს ფიქრში და კარგად ჰსცანი და ჩაჰხვდი; ამას ეწოდების დაკჳრვება. ამის გარდა ის შენი-ნაცოდნი და გაგონილი რამე თჳთ შენცა კარგად განსინჯე და გამოსცადე; გამოცდაც ეს არის. ამ რიგად გარჩევა და ამნაირად სწავლა ისე აღმატებული და მაღალი არის იმ სწავლაზედ, რომელსაც ჳნმე ერთს წიგნში გაწყობილი კანონებით ისწავლის; როგორც აღმატებული არის გვამებრივად ქვეყნად მოსიარულე ჭკჳანი და დაკჳრვებული კაცი თაჳსი გეოგრაფიული სწავლით იმ კაცს ზედა, ჳსაც სახლში ჯდომით ატლასები ჴელთ ეჭიროს, სჩხრეკდეს და უნდოდეს მარტო იმიებითგან გეოგრაფიის კარგად სწავლა.

შენი ბიბლიოტეკა, საწიგნე ეს მთელი ქვეყანა არის; ბრძენ კაცებთანაც თავს შეჰქცევა და ადგომ დაჯდომა-ცოცხალი სწავლა არის; შენი დაკჳრვებაც ამ რამებში, მეტად კარგი მასწავლებელი არის შენთჳს.

წიგნი კაი რამ არის, მაგრამ უმფრო კარგი არის წიგნის კითხვა, და ამისგან უფრო უკეთესი არის გულ ხმიერებითა მისი კითხვა. ჩვენი გონებისადმი პირველი იდეების მომცემნი წიგნები არიან. მაგალითით მიგახვდენ ამაზედ: წიგნები გვაძლევენ ჩვენ ნივთებსა (მასალებსა) სწავლის მშვენიერი და დიდებული პალატის ასაშენებლად; ხოლო ქვეყნის გაცნობა როგორც თუ ხუროთმოძღვარების და არხიტექტორობის ხელოვნობას გვასწავლის, და გვაჩვენებს იმ ნიჭთების გაწყობას, ზომას და ერთმან ერთთან მშვენიერად გამართვას, და გაგვაჩვევს მათში ჩვენ. ამის გარდა ღირსებასაც მოგჳმატებს და გონიერი კაცის ადგილას დაგვსახავს ჩვენ სხვათ

წინაშე ყოველს ჩვენს საქმე ყოფაში.

ვსთქვთ, წიგნი კაჲ რამ არისო? მართალი არის; მაგრამ როგორც კარგი წიგნი კაჲ რამ არის, ისეც არა არის რა ქვეყანაზედ ეგრედ მავნებელი და ეგრედ უმრავლეს კაცთა დაქცევის მიზეზი, როგორათაც ბოროტი და ცუდი წიგნი. ქვეყანაზედ ბოროტი და ცუდი წიგნების გამოცემამ სამი საშინელი უსამართლობა ასწავლა კაცთა: ამათგანი ერთი ღმერთის უწინამღდეგებს რომელიც არის მოსუსტება სარწმუნოებაში; მეორე უწინამღდეგებს კაცსა, რომელიც არის უმფროსთადმი ამპარტავნობით არ დამორჩილება და ნდომა ყოველი სჯულისა და კანონისაგან განთავისუფლებისა; და მესამე თვით პირსა გინა თავს თავსა, რომელიც მარტო თავს კორცს ჰმონებს პირუტყვსავით, დაუჯწყებია სული და ერთიან კორცად გარდაქცეულა. მაშ მეტადრე შენ, რომ ყმაწვილი ხარ, ამ ნაირი წიგნების კითხვას, უფრო უნდა გაუფრთხილდე ჯრემც საწამლავს სმასა; რადგან თუ საწამლავი შენს კორცს მოჰკლავს ცუდი და ბოროტი წიგნი მოჰკლავს შენს სულს. იმდენი უთვალავი ზიანები მისცეს კაცობრივს ამხანაგობასა ამისთანა ბოროტმა წიგნებმა, რომელნი ჯოჯოხეთითგან გარედ გამოსულნი მოედვნენ აქეთ იქით და რომელნიც ნამდჳლად სათაულის შეთხზული წიგნები არიან, და ისეც მოეფინენ ქვეყანაზედ, რომ გაჩნდა ბჭობა სწავლულ კაცებში, რომ ნეტავ წიგნების ბეჭდვამ ზიანი უფრო მისცა ქვეყანასა, თუ სარგებელიო?

ხელობაში ანუ რომელსამე მეცნიერებაში პირველობა დიდი რამ არის, რადგან ჩვენ შემდგომ მომყოლნი რიერთიც რომ დაწინაურდნენ და რაოდნადაც სისრულეში მოიყვანონ ის ხელობა, მაინც მუდამ ჩვენ მომტანად დაითვლებიან.

კაცს ეგონება, რომ უგუნური კაცი სრულ ერთს ადგილს დგას, რომელსაც არას დროს არ გამოუბრწყინდება სინათლე და მუდამ სიბნელეში არის. ამისთჳს მეტად სატირელია უგუნური კაცის მდგომარეობა: რადგან ჰგავს ერთს იმნაირ სხეულსა, რომელსაც თუმცა სხვა ნასხამი არა აკლია რა, მაგრამ მხოლოდ რაც უფრო საჭიროა ის კი არა აქვს მაგალითად, მარტო თვალი აკლია.

არ შემშურდება მე სიკეთე იმ კაცისა, ჳნც ჩემზედ მეცნიერია; მაგრამ გულ შემატკივარი ჳქმნები კი იმაზედ, ჳნც ჩემზედ უფრო ნაკლებად იცის.

არაფერი არ მოიძევა ეგრედ სრულ მყოფელი კაცისა, როგორც მეცნიერება და არც არა ფერი არის ეგრედ შემწე იმ კაცისა, რომელსაც ჩვენ ჭკჳანს და სწავლულს ვეტყჳთ, როგორც ისტორია.

მე შენ გირჩევ, რომ თითქმის ყოველის სწავლისაგან უფრო საკუთარის მეცადინეობითა ისტორიის განა მოთხრობის სწავლა შეიყვარო და ამას შეუდგე; მაგრამ მოთხრობა არა თუ მოთხრობასსაჳთ უნდა წაიკითხო ხოლმე, არამედ მეცნიერებასსაჳთ უნდა ისწავლო, განცალკევებით კითხჳს დროსაც შესდგე, იფიქრო, საქმე საქმესა და კაცი კაცსა შეადარო, გამოიძებნო რომ ეს საქმე რისგან მოხდა ისრე? ნახამ რომ საქმის ეგრედ წაყვანით ის ცუდი საქმე წარმომდგარა; ისრე რომ არ მოქცეულ იყო კარგი შედეგი ექმნებოდა; მაშინ შენზედაც დაიახლოვებ იმ შენს წაკითხულებსა და შენს საქმეებს შეადარდებ, იქიდგან სწავლას მიიღებ, გაფრთხილდები, და სხ. აჰა ეს არის მოთხრობის მშვენიერი სწავლა.

ისტორია ჩვენ უკანასკნელი საუკუნოების კაცებს წაგჳყვანს და ჳდრე წინა პირველს და ძველს დროებაში მიგჳყვანს; გავლილს ურიცხვს შემთხვევაებს გვაჩვენებს და გამოგვწაფავს, მოთხრობა სანამდის ჩვენ თმა გაგვითეთ-

რდებოდეს, გამოცდილი კაცად გაგვხდის ჩვენ; და სხვების შეცდომით ჩვენ ჭკჳან კაცად წარმოგვადგენს; უთვალავნი არიან ისტორიის წიგნები, მაგრამ შენ სასარგებლო ისტორია უნდა გამოირჩიო ხოლმე. საეკკლესიო მოთხრობაებში უმთავრესი, უპირველესად საჭირო და სასარგებლო არის საღმრთო წერილის მოთხრობა; ამაში ყოველ ნაირს ჭკჳანურს გამოსადეგს და საჭირო რამეს სრულად იპოვნი. ხოლო გარეულს ჭკუჲს სასწავლო მოთხრობაებში უფრო გამოირჩიე შენ პლუტარხის წიგნი, რომელი ძლიერ ჭკუჲთ კაცის გასაწაფავად შედგენილია: საკმაოა რომ დაიფიქრებით დააკჳრდეს წამკითხველი.

კარგად წაიკითხე, კარგად ისწავლე ბუნების წიგნიცა! ბუნების თქმით იცი თუ რა გვესმის? გვესმის ღვთის წინა განგებულობა გინა ქვეყანაზედ ნაირ ნაირი ღვთიური ბრძენი მმართველობა, რომელსაც დღე ყოველ და ყოველ წამს ვხედამთ; განა რიგი არ არის რომ უსიტყო ცხოველებსაჳთ დაჳნახოთ ესე; გეუბნები ეს ბუნების წიგნი კარგად წაიკითხე და დაისწავლე.

ეს წიგნი ყოველი კაცის წინ გაშლილი ძევს, თუმცა ცოტანი არიან რომელნიც კითხულობენ ამასა, და სრულ ცოტა კაცთა ესმისთ. ნაირ ნაირი ახალი სწავლებაები და ახალ ახალი პოვნანი და გამოგონებანი ხელოვნებათა თუ მეცნიერებათა, რომელთ ახლად პოვნულობენ, ძლიერ შეეწეჳან ბუნების წიგნის გულხმიერად წაკითხვასა და ჩახვდენასა. ერთი რომ მოვბრუნდები და შევხედამ მთელი ქვეყნის ამ აღმატებულს წიგნსა, გავშინჯამ და გამოჳძიებ ყოველი ფერში იმის იმდენს უაღრეს სასწავლო საგნებსა და იმდენ მშვენიერს დარიგებასა, განვჰკვირდები ფრიად.

განა ესეც უნდა იცოდე, რომ ზოგი საგანი არის, რომელიც ჩვენი მიმღეობისა და ჩვენის მიმსდურობისა-

გან უფრო მეტად მაღალი არის; და ამათი უცოდნელობა მხოლოდ ჩვენი უძლური ბუნების ნაკლებულობისაგან არის, რადგან კაცის თვალსაც თჳსი ორიზონტის იქით არაფრის დანახვა არ შეუძლია.

ნამდვილი ცოდნა იქმნება მით, ოდეს შენ საგანს აიღებ გასინჯამ, განსჯი და გაიცნობ მისი ნამდვილი შინაგანის როგორ ყოფისაგან; და არა თუ გარეთი მასზედ ნათქვამი ლექსისაგან ანუ სახელ წოდებისაგან, ანუ თუ უსწავლელ ავქსორის ერთს ასე დაუწერია. ანუ თუ ერთს უჭკუვოს ასე უფიქრია, ანუ თუ პირდნიოში კაცის ერთს ასრე უთქვამს.

ცოტა კაცნი არიან ჭეშმარიტების მცნობელნი, და ეს ცოტანი რომ ერთ მხარეს აჯდოთ, სხვა დანაშთი კაცთა ცრუ ეჭვებითა სავსე აქვსთ თავები.

ეცადე შენ სხვებისაგან უფრო წინ წახვდე მეცნიერბაში და სათნოებაში; საშვალოდ ყოფნა დიდი და პატიოსანი სულის საკუთრება არ არის. დიდს თანამდებობაში სხვებისაგან მაღლა ყოფნა, საზოგადო ერის წყობისაგან კაცს გარედგამოიყვანს და ქვეყნაზედ მყოფი დიდ კაცების წყობაში შეიყვანს. მდაბალს მდგომარეობაში სხვებისაგან მაღლა ყოფნა, არის დიდობა მცირე რამეებში და როგორც თუ არად საღირელ რამეებში რამედ გამოჩენა.

ეცადე რასაც კი ისწავლი, რიერთიც შეიძლება სრული და საფუძვლიანი იყოს. « ერთხელ ერთი ფილოსოფოზი ეუბნეოდა თჳს მოწაფესა: « არ მინდა, არ მინდა რომ შენ ძველძულის გამყიდავის ხულასავით იყო, სადაც ფარჩის ნაჭრების გარდა სხვა არა მოიძევა რა, და სადაც მრთელი და დიდი ნაჭარი რამე რიერთიც ეძებო, არ შეგიძლია იპოვნო ». ჯნც ყოველი სწავლითგან ცოტ ცოტას, ანუ თუ მხოლოდ გარეშე ფხეჭოებს ისწავლის, იმისთანა კაცი მუდამ [illegible] და

სრულიად არაფერში გამოსადეგი.

შენ იმ სახით მიიღე სწავლა რომ საზოგადოებისათჳს სახმარი და სასარგებლო კაცი გახდე. რიერთიც სიძნელე გამოიარო სწავლისათჳს, იმედი ნუ გარდაგიწყდება, გულს ნუ გაიტეხ; არამედ მუდამ გაამხნევე შენი თაჳ: გეყოფა რომ გულით ცდილობდე; თუ რომ ცოტა ნიჭი გაქვს ამითი უფრო მოგემატება. ჳნც დიდი სულის პატრონი არის თაჳს ხვედრზედ კმაყოფილია იგი, და სხვა არა ფრის სურჳლი არა აქვს, არცადა გამდიდრებისა. მაგრამ ესეც ჳცით რომ უთვალავთ კაცთ დაქცევა და სისაწყლე აქედგანაც წარმომდგარა, რომ როგორც სდომებიათ ყოფნა ისე რომ ვერ გამხდარან და იმ თაჳანთ სურჳლს ვერ მისწეჳან, მას მერმედ ყოველი ფრისათჳს თაჳ დაუნებებიათ და აღარ უშრომიათ რამეზე.

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ბ.

## ღ ვ თ ი ს მ ს ა ხ უ რ ო ბ ა ზ ე დ.

თუმცა პირველი ჩვენი გაკვეთილი ღვთის მსახურობაზედ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან ღვთის მსახურებისთჳსაც საჭიროა რამების სწავლა, ამისთჳს სწავლის გაკვეთილმა დაასწრო, რათა საზოგადოდ და საკმავოდ გაგეგო სწავლის ნაირობა, რომლის გამო აწ ჩვენი, პირველი გაკვეთილი იქმნება ღვთის მსახურებაზედ.

ჭეშმარიტი და ნამდვილი სარწმუნოება ღვთის ნიჭი არის, რომელშიდაც მოვალე ვართ რომ დავშთეთ მტკიცედ ჳდრე ჩვენს ბოლო სუნთქვამდე, რადგან ჩვენი ცხონებისათჳს პირველი საჭირო საქმე ეს არის და ერთად ერთი გზაც ჩვენი საუკუნოდ ბედნიერებისათჳს.

და ვინაიდგან ესრედ არის, ამისთჳს უნდა ეცადო სუ-ლიით გულით რათა ყოვლიფრისაგან უფრო შეიყვარო და დაიცვა მტკიცედ და მრთლად კათოლიკე სარწმუნოება. რა სიტყვაც, რა ეჭჳც და რა ნაირი ახალი გამოსული მოძღვარებაც რომ გაიგონო ამ ჭეშმარიტი სარწმუნო-ების წინაღმდეგი, უნდა შეურაცხჰყო, უნდა უწინამღ-დეგო და სრულიად შენს ყურში არ უნდა შეუშვა. რადგან ჭეშმარიტება ერთი არის და სიცრუვე კი მრავალი; ამის გამო ჭეშმარიტი სარწმუნოებაც ერთი უნდა იყოს და არ შეიძლება რომ ორი იყოს.

სხვა რამისთჳს დიდად და პატიჳსაცემლად ნუ დასთვლი კაცსა, თუ არ მხოლოდ მისთჳს ოდესაც არის იგი კე-თილი, ღვთის მსახური და კანონისაებრ ღვთის მო-შიშობით და სიმართლით ატარებს თჳს ცხოვრებასა.

თუ რომ სიმართლით ცხოვრება არ გაგამდიდრებს შენ ამ ქვეყანაზედ, კარგად იცოდე რომ არც საწყლად დაგტოვებს. შეუძლებელია რომ ერთი ჳნმე ნამდ-ჳლი და სწორე ქრისტიანი იყოს და მასთანვე ღვაწ-ლით შემოსილი, და მართალი არ იყოს; ხოლო ღვაწ-ლი სათნოება და კეთილი მსახურება პირველი და ძლიერი საქმე არის ბედნიერებისათჳს, რადგან მხოლოდ იმაში მოიპოვების ღმერთი.

ვხედავთ რომ ნამდჳლ ღვთის მსახურებში მუდამ საკ-ჳრველი ერთობა და მტკიცე სიყვარული ბრწყინავს. ერთ დროს ამბობდა ერთი ბრძენი და ჩინებული ღვთის მეტყველი: « ეკკლესიის მომეტულ სასარგებლოდ მუ-დამ ამ სამ რამეს ვნატრობ, რომ იყოს, ესე იგი საჭიროს, და არსებითს რამეებში ერთობა განუჩრჩ-ველს რამეებში თავისუფლობა და ყოვლისფერში სიყვარული ».

ვხედავთ რომ ნამდჳლ და შეუცვალებელ ჭეშმარიტებას-

ჯთა გამოსულან ქვეყანაზედ ნაირ ნაირნი შემცდარნი მოძღვარებანი, მეტადრე ამ დროს რომ ჩვენს გვარშიც ფეხს ადგმენ ნელ ნელა ლუტერანების გინა ფროთესტანების მოქადაგენი.

ამათგანნი ზოგნი ცხადად ცრუნი არიან; ზოგთაც აუღიათ წამოუკუხიათ მოჩვენებული ჭეშმარიტების ზეწარი, რომელიც მხოლოდ მარტიჳ კაცობრიჳ ლოღიკისაგან წარმოსდგება, მაშინ როცა არ უნდა მოუმდაბლოს თაჳ ჲ დაემორჩილოს ღვთიურთ გამოცხადებათა, რომელნიც გვაქვს ჩვენ ამ ორის წყაროსაგან: ე. ი. ერთი საღმრთო წერილის ძველი ჲ ახალის აღთქმისაგან, იმ აზრრით როგორც სამოციქულო ჲ კათოლიკე ეკკლესიას ესმის იგი, ჲ მეორე დავედრებისაგან, რომელიც იმავე წმიდა ეკკლესიას მუდამ სარწმუნოების კანონად უჭირავს. ამისთჳს მხოლოდ ამ ორი პრინციპებით (დასაწყისებით) შეუძლია ქრისტიან კაცს გულმშჳდობიანად სვლა სარწმუნოების ნივთებში.

თუმც სარწმუნოება კაცებრივის ლოღიკისა ჲ განსჯისაგან უმაღლესია, მაგრამ განსჯის ჲ სიტყჳერობის პირდაპირი ჲ წინამდეგი კი არ არის; ამასთანვე რადგან სარწმუნოება ჩვენის მგრძნობელობისაგანაც უმაღლესია, ამისთჳს თუმც მგრძნობელობამ თჳსი მოაზრებისა, ჲ მიმხდურობის დაგვარ რამე წარმოუდგინოს სიტყჳერობასა, მაინც ჩვენი სიტყჳერება უნდა იმართოდეს იმ ზეგარდამო ნათლითა ჲ მცნობელობითა, რომლითაც იგი განათლებული არის. კარგად უნდა ჳცოდეთ ეს ჭეშმარიტებაცა რომ ღვთიურს ყოვლის მპყრობლობას, როგორც ამბობს წმიდა გრიგოლ პართეჳ, შეუძლია ჰქმნას მისთანა რამე, რომლისადმი არ შეგვეძლოს ჩვენ ჭკუჳს მიწდომა, როგორც ცხადად ვხედავთ ამას ეკკლესიის წმიდა საიდუმლოებში.

სარწმუნოებისაგან უმჲვრო აღმატებული არა არის რა, და ამისთჳს დიდი უპატიოება იქმნება მისთჳს, თუ რომ როგორც რიგია ყოვლის სიმდაბლითა და ყოველს დროს პატივს ცემას არ მიიღებდეს იგი ჩვენგან; ანუ თუ როცა ჩვენს ლაპარაკში და შექცევაში ურიდლად და საზოგადო რამე ნივთებისაჲთ სალაპარაკოდ გვქონდეს ჩვენ ისა. ამის გარდა ძლიერ საოცარ და საშინელ რამედ მიგვაჩნია ესეცა, რომ სარწმუნოება, რომელიც არის ჩვენი გამაბედნიერებელი, და საშუალობა მომავალი საუკუნო ცხოვრებისადმი მიწევნისა, ესევე იყოს ზოგთათჳს ნივთი წვალებისა, განყრისა და უბედურობისა სააქაოს ცხოვრებაში; და ის, რომელიც რომ მონიჭებულია ჩვენის სულის ცხონებისათჳს, კაცთ განხრწნილობამ, შეცთომილებამ და ბოროტობამ აიღოს ის გარყვნას, და იმითი მიზეზი გახდეს თავისი სულის წარწყმედისა და სხვათა სულებისაცა.

მე რომ ნამდჳლს სარწმუნოებაში ვარ, არ შემიძლია მივებაძო იმათ, ჳსაც ჩემგან განრჩეული განზრახვა აქვსთ სარწმუნოების ნაწილებზედ, მეტადრე როცა ვხედამ რომ, ან სრულად სარწმუნოება არა აქვსთ მათ, ანუ რაც აქვსთ, თავიანთი თავისუფლების და თავ მოყვარების შესაფერი სარწმუნოება აქვსთ. სრულიად არ არის იმისთანა [illegible], რომლითი შემეძლოს ჭკუის მიხდომა იმაზედ, რომ ყოვლიფერზედ ადგილი მივსცე იმ სჯულისა, რომელი, თუმც ერთიან წამხდარი და ერთიან დაკეცილიც არ იყოს, მაინც ეგრედ მდუნე იყოს რომლითი კაცი მალე ერთიან შეისვრებოდეს, მეტადრე ახლანდელი საშინელი ჟამის სენისაგან ურწმუნოებისა ანუ მცირე მორწმუნოებისა; და კვალად სარწმუნოება მასწავლის ამასაც რომ ეკკლესია არის ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო. ამისთჳს უკეთუ რომელსამე ეკკლესიას ეს ოთხი რამე გინა ეს ოთხი ნიშანი ერთად ჰქონდეს თავის

მედ, ის არის ჭეშმარიტი ეკკლესია ქრისტესი. და თუმც ყოველი მწვალებელი და ყოველი სეკტა მიუცილებლად იძახის, მე მართალი ეკკლესია ვარო, მაგრამ ამ თქმით იგი მართალი ეკკლესია არ გახდება, არამედ ის არის მხოლოდ მართალი ეკკლესია, და აგრეთვე მართლ-მადიდებელი ეკკლესია, რომელიც ზემოდ ნათქვამით ოთხ ნიშანთ ერთად აღმოაჩენს თავს ზედა.

ჰხედამ თუ ჯთარ ამ მართალი სარწმუნოების შემდეგნი ყოვლის ძალით ცდილობენ, წარმოებაში მისცენ ის ორი ყოვლად აღმატებულნი მცნებანი, საფუძველნი და მიზეზნი სხვა დანაშთ მცნებათა ე. ი. ღვთის სიყვარული და მოყვასის სიყვარული. რადგან ჩვენი დამბადებელი ღმრთის მსახურებაში, მის მორჩილობაში, და მისი ბრძანებაების დაცვაში მდგომარეობს შეყვარება მისი, ამ მიზეზისათჳს, რომ იგი თავთ თჳსით ყოვლად აღმატებული და განუზომელი კეთილი არს, და კვალად მისთჳს, რადგან თჳსი მოწყალებანი უხვად მიუცია თავსი დაბადებულებისათჳს, და ყოველთაგან უმეტეს მომეტებულად, კაცისათჳს, რომელიც თავს ხატზედ დაჰბადა, რათა შეეძლოს მას დამკვიდრება ღვთისა საუკუნოდ.

ყოველს შენს საქმეში, ყოველს შენს სიტყვაში, ყოველს შენს განზრახვაში წმიდა ეკკლესიის მოძღვარება მუდამ თვალ წინ უნდა გქონდეს და შენს კანონად უნდა გეჭიროს ის. რასაც გასწავლის იგი გულ მდაბლად ყური მიუპყარ, და რაც წმიდა განწესებულებანი აქვს მას, სიმდაბლით მიიღე და პატივიეც.

სრულიად ნუ გაჰყვები შენს საკუთარს ეჭვებს, რომელნიც შეიძლება წარმოგიდგნენ; არამედ ეკკლესიის გარდაუწყვეტილებას თავ შენი სრულიად დაამონე. შეხედე და მიებაძე ცისიერთა და პლანეტთა, თუ ჯთარ იმათაც მრთელი ქვეყნის წყობაში ერთი ერთმანერთზედ დამოკიდებულია

ზა აქვსთ.

შენის სარწმუნოების ერთი ნაწილიც ეს იყოს, რომ გრწამდეს ის ყოველი, რაცა სწამს ერის, წმიდა, კათოლიკე, და სამოციქულო ეკკლესიასა; და შენი ცხოვრების მტკიცე კანონად გქონდეს მისი სჯული და მისი მოძღვარებანი.

მტკიცე სარწმუნოება არის ყოლად კეთილი და ყოვლად მშვენიერი ღვთის მეტყველება, კეთილს სჳნდისს სჯულისა და კანონისაგან არ შეეშინდება, და მისგან უკან არ დაიწევს. გულ მდაბლობა არის ის უებრო ალჳრი, რომელი ყოვლითვრისაგან მომეტებულად ზომიერებაში შეგჳნახამს ჩვენ; და ყოველს ჩვენ თანამდებობას შესახებ ღვთისა, წმიდა ეკკლესიისა, და მოყჳსისა ადჳლად აღგვასრულებინებს. ამ გულის უსიმდაბლოდ არ შეიძლება ჳნმე ნამდჳლი ქრისტიანი და ნამდჳლი მორწმუნე იყოს, რომელიც საკუთრად ქრისტიანური ნიჭია; ვალი გვძევს რომ მუდამ ვითხოვოთ გულის სიმდაბლე ღვთისაგან ლოცჳთ.

შენი სარწმუნოება მტკიცე და უძრავს საფუძველზედ დამყარებულია; ამისთჳს უნდა ეცადო რომ, არ იქმნას, როგორიმე სახით შეიძრას და შეირყეს. სამღთო წერილი ღვთის სიტყვა არის: ღვთის ნალაპარაკევზედ სდგას ჩვენი სარწმუნოება, მაგრამ იმ ნაირად როგორც ესმის და როგორც სთარგმნის მას წმიდა ეკკლესია განათლებული სულისა წმიდისაგან. საცალკეო კაცისთჳს არ აღუთქვა ღმერთსა, რომ თჳსი ნათქვამის თარგმნობის და მიხვდენის დროს შეუცილებელი იყოს; ეს შეუცილებლობა მხოლოდ კათოლიკე ეკკლესიისთჳს და მისი ხილული თავსთჳს აღუთქვა იესო ქრისტემ.

სამღთო წერილი არის ღვთისაგან გარდმოცემული დაუფასებელი საუნჯე ამისთჳს ყოვლის სიფრთხილითა და მოშიშრობითა უნდა შეინახო ეს საუნჯე და უნდა ფრთხილობდე თუ შენს ლაპარაკში და თუ შენს თხზულებებში რო-

ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, არ იქმნას, საღმთო წერილის რომელიმე სიტყვა აიღო და ძალის ძალად შენ მხარეს გარდაიტანო; და ანუ თუ ცრუბრძნული განმარტება მისცე; რათა არ იქმნას, ამ ნაირი ჩვეულობითა დრო მოჳდეს, რომელში მრუდი და შემცდარი თარგმანიც მისცე მას და სიგლისპე გამოაჩინო. ამ საქმეს ძლიერ უნდა უფრთხილდე, რადგან უთვალავ მწვალებლობანი და ერეტიკოსობანი აქეთგან წარმომდგარან.

რა კაცსაც ნამდჳლი სარწმუნოება არ ჰქონდეს, სრულიად ნუ დაუწყობ ცილობასა სარწმუნოებაზედა; გარნა მხოლოდ მაშინ, როცა შენი თანამდებობა შენ გავალიანებდეს ამაზედ ანუ როცა ჰხედამ, რომ ჳნმე შეურაცხყოფით ლაპარაკობდეს და ნამდჳლს სარწმუნოებას წინამდღეგობდეს. მაგრამ წინათვე კარგად უნდა გაშინჯო რომ ნუ თუ საკმაო შეძლება და საკმაო სწავლა გაქვს? არ იქმნას იმ ბჭობაში მორევნის მაგიერათ მოირიო.

მოჳდეთ ახლა სარწმუნოების საქმეზედა, რომლებსაც კეთილ მსახურებას და ღვთის მსახურებას ვეტყჳთ. თუ რომ გინდა შენი გაბედნიერება, ყოველი რამისაგან წინად ეცადე კარგად გამოიძიო ხოლმე შენი განზრახვანი, გინა ფიქრები, სანამ ეგ შენი განზრახვანი არ გაგზდომიან შენ სურჳლად ანუ გულის თქმად, და ეგოდენ ცუდ ჩვეულებად რომ არღარა ოდეს არა ჳსგან გრცხვენოდეს როცა, წარმოთქმა გინდოდეს შენ იმათი.

აჲ ფიქრების თაჲთგან მოცილების და განძიების უებრო წამალი ეს არის, რომ შენ იმათ მაგიერ ეცადო მუდამ კეთილი ფიქრები იქონიო და კეთილნი საქმენი გქონდეს მარადის შენს საფიქრებელად; ამაში არსებობს შენი ბედნიერება. შენი გული იქ იქმნება, სადაც გექმნება შენ განზრახვანი; ამისთჳს თუმცა შენი სამკჳდრებელი ქვეყანაზედ არის, მაგრამ შენი ყოფა ქცევა ზეცისა-

ხჳს უნდა იყოს. მუდამ უნდა ცდილობდე, რათა ისეთნი იყვნენ შენი ფიქრები, რომ არ შეეძლოს სრულიად შერცხვენა მათ გამო, რადგან ნამდჳლად იცი რომ ღმერთმან იცის ისინი; აგრეთვე შენი საუბარნიცა იმისთანანი უნდა იყვნენ რომ არა ოდეს შეგარცხჳნონ შენ. პითაგორ ჩინებული ფილოსოფოსის მშვენიერი ანდაზაა რომ «ღმერთზედ საუბარი თჳნიერ ნათლისა ღირს არ არისო»; ჯიამც, უნდა აღიაროვო რომ არ შეგიძლია შენ ღმერთზედ ღირსად განზრახვა მისგან ნათლის მიუღებლად; და ღმერთიზედ საუბარი მუდამ იმ მომიმართობით და იმ ღექსებით უნდა იყოს, რომელნიც შეჰვენის მისს ღვთიურს დიდ მშვენიერებასა.

რიერთიც ფიცხელის ის ვნება, რომელმანც ცოდვაში მთაგაგდო შენ, იმდენადაც დიდი და სასტიკი უნდა იყოს შენი სიმწუხრე და შენი სინანული იმ შენს ცოდვებზედა.

თუ რომ შენ საუკუნოება გიყვარს, უნდა ეცადო რომ დღევანდელი შენს ჴელთ ნაქონი დროება კეთილად მოიხმარო. იფიქრე რომ წუხანდელი განვლილი შენი დროება უკან აღარ მოგიბრუნდება; და ხვალინდელი დროც რომ შენს ჴელთ არ არის, და არ შეგიძლია შენ იმაზედ დანდობა, მაშა სადამე დაგიშთება შენ მხოლოდ ეს აწინდელი წამი მოსახმარებლად, და თუ ერთხელაც დაჰკარგო ესეცა, უკუნითი უკუნისამდე დაჰკარგამ მას.

შენი ყოველნი მოქმედებანი ღმერთთან უნდა მიიმართოდნენ და ღვთისათჳს უნდა იყვნენ. სრულიად ჴელს ნურას შეახებ, მისი შენს თვალ წინ წარმოუდგენლად; და შენი ნუგეშიც ეს იყოს, რომ თჳთ ყოვლის-მპყრობელი ღმერთი შენი საქმეების ბოლო მიზანი არის. ცხადია ესეც, რომ ჳნც გულისპყრობით გაბედავს ამ გზითგან გარედ გასვლას და ბოროტობას შეუდგება, იმისთანა პირი არ აჩვენებს რომ საუკუნო ცხოვრება სრულიად სწა-

მდეს იმას.

ერთ დროს წარმართის მასწავლებლები თაჳანთ მოწაფეებს ავალებდენ რა სამწიგნობროში, კეთილ მოდვაწობაზედ, ამას ეუბნებოდნენ ხოლმე: ეცადეთ მუდამ, რომ კატონი თვალ წინ გყავდესთ თქვენის ცხოვრების კანონად; კატონისაგან შეირცხჳნეთო. კატონი პატიოსანი და სათნო ფილოსოფოსი იყო. »ხოლო შენ კაცის მაგიერ მუდამ ღმერთი გყავდეს თვალ წინ, რომლის თვალიც მუდამ შენ გხედამს; იცოცხლე მარადის სიწმიდითა, გეშინოდეს, არ იქმნას, რომ ჰქმნა რამე ღვთის ნების წინააღმდეგი, და მისი უსათნო უსიამოვნო, რადგან უნდა გიყვარდეს იგი ყოვლითა გულითა შენითა და თანამდებ ხარ, რომ უნდა გეშინოდეს მისგან.

რადგან მუდამ ნაკლებულობაში და დამჭირნეობაში ჳპოებით, ღვთის მოწყალება გვჭირია; მის გამო მოუკლებლად ჩვენი ლოცვა უნდა შეიწირვოდეს მასთანა. და რიერთიც მადლი და სიკეთე უხვად გარდამოგვეცემა ჩვენ ღვთისაგან, იმდენადაც მოუკლებელად უნდა ვსწირემდეთ სულით და გულით ღმერთს მადლობასა.

დილაობით საქმის კელ მიყოფის წინად, გონებაში წარმოიდგინე იმ დღის შენი გასარიგი საქმეები და იმათთჳს სთხოვე ღმერთსა თაჳსი კურთხევა. ამასთანვე თვალ წინ წარმოიდგინე ყოველნი ცოდვანი და ნაკლებულობანი შენნი, ჰქმენ მათ ზედ სრული სინანული და მოითხოვე შენდობა ღვთისგან. კარგი ანგარიში იქონიე მრთელი შენის ცხოვრების დანაშაულებისა, და შენ შენთავად ანგარიში მოსთხოვე შენს თავსა ამათზედ; ეცადე დღიდგან დღეზედ დააცოტაო შენი სულის ანგარიში კეთილ მსახურებითა და შენის სიცოცხლის უცოდველად გატარებითა.

მოხდება, რომ ეშმაკი შენს ფიქრში ბოროტი რამების

გატარებითა გამოგცდის შენ, შენ ლოცვა დაიწყე; მაშინვე გონებაში წარმოიდგინე კეთილი და წმიდა ფიქრები და ამით შეარცხვენ შენ იმას.

ოდეს გნახამს შენ ბოროტი ეშმაკი, რომ ყოველი მისი ღონე და განსაცდელი უმფრო კეთილ მსახურების და უფრო ლოცვის მოყვარულობის მიზეზსად გიხდება შენ, დაგანებებს თავს და უკან წავა შენგან.

რიერთიც მცირედნი იყვნენ განსაცდელნი, მაინც ეცადე შენ მალე განაძიო შენგან ისინი; კარგად იცოდე, რომ რიერთიც დიდი და დევგმირული იყოს შენი ღვაწლი და სათნოება, ემგვანება ერთს დიდს ქალაქსა, სადაც იშჳათად მოხდება, რომ ებრძოლონ, ეომონ ანუ შემოადგნენ მას და ბოლოს მაინც ვერ აიღონ იგი.

იფიქრე რომ არის ზეცას ერთი თვალი რომელიცა გხედამს შენ, და ყური, რომელსაც ესმის შენი; და დაწერილია წიგნში თითო თითოდ და შეუცილებლად ყოველი შენი საქმეები, სიტყვები, და ფიქრები. ესრეთი წმიდა დაფიქრებანი, ეგრედ ფრთხილ და კეთილ ცხოვრების გატარებას დაგაწყობინებენ შენ, როგორც თუ ყოველს წამს ხედევდე თვალით შენს მარჯვნივ ღმერთსა და შენს მარცხნივ სიკვდილსა.

შენს ყოველს საქმეებში თვალი მუდამ იმ კეთილ რამებზედ გქონდეს, რომელნიც უმფრო უკეთილესნი არიან და უმფრო აღმატებულნი: გარნა უფრთხილდი ამასაც რომ უგულებელს არა ჰქმნა განშორება იმ ნაკლებულობათაგან, რომელნიც მცირედ გეჩვენებიან შენ; რადგან წვრიმალი რამეების გარდამავალობა უგრძნობელად უკან უკან წაიყვანს კაცს და მიიყვანს იქამდინ, რომ ბოლოს უგულებელს აქმნევინებს უმთავრეს რამეებსაც.

განც ქვეყნიერის შესაძინისათვის გაჰბედამს გლისმობით ხან ამ რამისათვის და ხან იმ რამისთვის სჯნდისის წა-

ჰმცვასსა და თაჳს კეთილს ცხოვრებას გარყვნის, იმისთანა ჳნმე საცთურშია, რომ სრულ ისევე დაშთეს მეტადრე ოდეს ქვეყნიერი სარგებლობანი განძლიერდებიან და იუფლებენ იმაზედა. ეს ბრძნული სიტყვაც მუდამ უნდა დაჳხსოვნოთ: « რისგანაც გერიდება, ნუ იქმ იმას », ჳთამც შენს თავს საცდურში ნუ ჩააგდებო.

საქმეები დაამსახურე დროებასა, დროება გამოიყენე შენს სასარგებლოდ, თჳთ შენ ემსახურე შენის სულის სიკეთესა, და შენი სულიც ერთიან შესწირე ღვთის სამსახურსს.

გულს ნუ გაიტეხამ და შენს თავს მოუსვენრობაში ნუ ჩააგდებ, თუ სხვები შენ ზედ მუდამ ავად ილაპარაკებენ: არ შეგიძლია იმათი პირის დაყოვა; რადგან მაგ საქმეს მრავალთაგან დამოკიდებულობა აქვს. გარნა შენ შენს სჳნდისს ყურადღება მიაქციე, რომელი ძრიელ ადჳლი საქმე არის: და ყოველ კაცს შეუძლია მაგ საქმის ქმნა, თჳნიერ მცირე ოდენი დამოკიდებულების ქონჳსაც სხვა ზედა.

გავლილში მარცხად წასული საქმისაგან გონივრულის ფიქრობითა ნაყოფი გამოიღე ახლანდელის შენის საქმოსათჳს, რომ ამ გზით შეგეძლოს კარგად წარმოება საქმებისა და შენი თანამდებობის აღსრულება; ხოლო მომავალი შენის საქქმების თავობაზედ ისწრაფე და შეეხიზნე ღვთიულ განგებულობას.

დროება საზოგადო სიკეთების უპატიოსნესი ნაწილი არის. მით შენის დროების ყოველს თჳთო წამს უბრალო საქმეზედ თუ წააგებ, თჳთო თჳთო ზიანების მიცემად შერაცხებიან ისინი შენის სამშობლოსათჳს და შენთჳსაც.

იფიქრე, რომ მოკლე არის შენი ცხოვრება, იფიქრე რომ ნამდჳლად ღვთის სამართალი არის, იფიქრე რომ კეთილ მისაგებელს ჰპირდება ღმერთი კეთილთა, და

უწყალო რისხვა დაუმზადებია ბოროტთათჳს.

ღვთის მსახურების ჲ კეთილ მსახურების საქმეები რომლებში უმთავრესნი არიან მღვდლის წინაშე მდაბალი აღსარება შენის ცოდვებისა, ჲ წმიდა ზიარება, მუდამ გარდაასტარებენ ღვთის რისხვასა; ეცადე ყოველს საღამოს შეირიგო ხოლმე ღმერთი მართალის სინანულითა. ყოველ დღივ ამ ნაირის მშვენიერის შენის ჩვეულობითა, გარდარჩები ამ საცდურისაგან რომ არ იქმნას უეცარი სიკვდილის დროს ერთი წამი დროც აღარ დაგრჩეს სინანულის ქმნისა შენს ცოდვებზედა.

თუმცა ამ ქვეყნის ყოველი სიბრძნე გქონდეს, თუმცა ყოველი ენები სრულიად იცოდე, თუ რომ კეთილი საქმები არა გაქვს კანონისაებრ კეთილ მსახურებისა ჲ სიწმიდისა, იცოდე რომ ეგ შენი ჭკუვა ჲ ეგ შენი სწავლა შენ სხვა არაფერზედ მოგეხმარებიან, გარდა თუ არ მაგ შენის სწავლიანად ჲ მეცნიერებიანად ერთად ჯოჯოხეთში ჩაგიყვანებენ შენ.

ნამდვილი სჯული ჲ ნამდვილი სარწმუნოება მოითხოვს ჩვენგან როგორც რწმუნებასა, აგრეთვე კეთილის ქმნასა. განზრახვა, ლაპარაკი ჲ სწავლება მართალი ქრისტიანსაჳთ ჲ მასუკან წარმართისა ჲ ურწმუნოსაჳთ ცხოვრების გატარება, სრულიად სასაცილო ჲ უბრალო რამ არის. ამ ნაირი ყოფა ქცევა საკმაოდ დაამტკიცებს ჲ გაამართლებს იმ სიტყვასა, რომელიც ერთხელ სთქვა წარმართის ფილოსოფოსის ერთმან: « არა ჳნ მოიძევა სიტყვაში უპატიოსნესი უმჯვროს ქრისტიანისა ჲ არცარა ჳნ მოიძევა უსაძაგლესი საქმეში უმჯვროს მისსა », რიერთიც აღმატებულიაო ქრისტიანი სიტყჳს თქმის დროს, იმდენი უგლახესია საქმის გაკეთების დროსაო.

ვინც კი ღმერთს ემსახურება, მისთანა პირი თაჳს უფალია, მყუდროობასა ჲ მოსვენებაში გაატარებს თაჳს

ცხოვრებასჲ დ~ ყოველი თჳსი საქმები წარემართება თჳსი სურჳლისაებრ. დ~ მართლადაც სხვა რისდასი ნატვრა შეუძლია კაცსა? თუ არ კარჳის გამარჯვებისა, სულის შინაგანის მშჳდობისა დ~ გულის სიმხიარულისა; მით, რადგან იცის რომ ყოვლიფრისგან უმფრო უაღმატებულესი საუნჯე ესე იგი, ღმერთსა თჳს გულში იმკჳდრებს. მაშ რას შეუძლია ამისგან უფროს გაბედნიერება კაცისა ამ ქვეყანაზედა!

სადამე ყოველი შენი ნაღველი დ~ ცდა ამ სამ რამეზედ იყოს: ერთი რომ მუდამ კეთილ საქმებს შესწირე შენი დროება, რომლით მუდამ ღმერთს ემსახურები. მეორედ იფიქრე რომ იმითგან რა მშვენიერი შედეგები წარმოსდგებიან. დ~ მესამედ შენს თავზედ დ~ შენს სულზედ იფიქრე. ამბობენ ბრძენნი: « ცხოვრება არის უკან მობრუნება დ~ დაფიქრება თავს თავზედაო » უნდა სთქვან, რომ სიტყჳერი კაცის ცხოვრება დ~ ყოფნა, პირუტყულად არ უნდა იყოს, რომელნიც მარტო ცოცხლულობენ თავიანთი თავს გაუცნობრად. ჰხედამ რომ მზის სხივები რაზედაც მიადგებიან, იქიდგან უკან დატრიალებულნი უმფრო განბრწყინდებიან დ~ უმფრო სიცხეს აღმოაჩენენ: აგრეთვე ჩვენი სულიც იმდენად უფრო ბრძენი დ~ სათნო შეიქმნება, რავდენადაც რომ უმფრო თავს თავზედ იფიქრებს.

აგერ ეს არის შენდა მოცემული ღვთის მსახურებაზედ ფრიად საჭირო დ~ მოკლე გაკვეთილი. რომელსაც, თუ ხშირად იკითხამ, კარგად დაისწავლი დ~ ეცდები მუდამ საქმით აღსრულებასა, გააბედნიერებ მით შენს თავს საუკუნოდ.

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი   ბ .

### ერთგულობასა, უტყუარობასა და რწმუნებასა ზედა.

ამ კეთილს, მშვენიერს და ყოვლად საჭირო რჩევას მოგცემ შენ, რომ ღვთის შემდგომ ერთგული იყო შენის ხელმწიფისა და შენის უმფროსებისაც; ეცადე ყოვლნაირად, რომ არ იქმნას, შენი ღირსება განსაცდელში შთააგდო, რომელიმე სიტყჳთა რომელსაც ეჭვნეულობა და მორშმოფი მოჰყვებოდეს გამცემლობისა და ანუ რწმუნების დაკარგჳსა.

მუდამ უფრო პატიოსანი და პატივსაცემი არის მორჩილობა, მყუდრო და მოსვენებული დამოკიდებულობა ჳრემც საცთუროვანი თაჳსუფლება და შფოთიანი დამოუკიდებლობა.

ჩვენი თაჳსუფლების ძლიერი და მაგარი ზურგი არის მთავრობა განა ხელმწიფის მართებლობა; როგორც იმისი მთავრობა და შეძლება ქვეშევრდომების მორჩილობისაგან წარმოსდგება, აგრეთვე ნამდჳლს მშჳდობიანობასაცა ხელმწიფევე მოუშოვნის და მისცემს ქვეშევრდომთა თჳსთა.

ფრთხილად იყავ; ნება არ დართო იმ საქმეს რომლითაც როგორიმე სახით ღირსება დაუმცირდებოდეს მას, რადგან ძლიერ ადჳლი გზა არის ეს განდგომილობისაგენ წარსაყვანად კაცისა; ჳნადგან როცა პირველში როგორიმე სახით დაამცირებს ჳნმე მის პატივს, ბოლოს მის მთავრობასა და ღირსებასაც შეეხება.

მაშა სადამე' რომელნიც თავიანთი მფლობელისა და უმფროსისი ძალას მოაუძლურებენ, იცოდე, რომ იმისთანენი მით მაშინვე თავიანთ საკუთარს მშჳდობიან მდგომარეობასაც მოაუძლურებენ.

განდგომილობა მტილში (ბოსტანში) ამოსულს ცუდს და სრულიად უვარგისს ბალახსა ჰგავს; რომელი ნამდვ-

ნაღაც მალე წამოიზდება, იმდენად დიდ ხანს ვერ გა-სძლებს. განდგომილი და გამცემი კაცების ბოროტ შეთ-ქმულობას ვხედამთ, რომ თაჳანთგანვე გამოსული ჩხუბე-ბისა და სიმძულვარისაგან დიდი დღე არა აქვსთ და ადჳ-ლად დაიშლებიან და გაფუჭდებიან ხოლმე.

დიდს ბოროტ მოქმედებაებს თაჳანთ თან მოკიდებული აქვსთ ერთი დიდი შიში და დაგჳანებაცა: ბევრჯერ მოხ-დება ხოლმე რომ აზრსაც შეიცვლიან; ეგრეთ რომ იმ დაწყობილებას რომელსაც წინად ჰგონებდნენ რომ დიდი სარგებლობა უნდა მიეცა მათთჳს, იმ საქმის შედგენა და-გჳანდება თუ არა, დაინახვენ რომ დიდი სავნო რამ ყო-ფილა იგი.

ძლიერ კარგი იქმნებოდა, თუ ყოველთავე კაცთა ეფიქ-რათ ეს, რომ იმ პირთა რომელთაც ისინი პირველად ხელ-საწყოსჳთ ველთ აიღეს თაჳანთი გამცემლობის და ბო-როტი განზრახვჳს წინ წასაყვანათ, ბოლოს საქმე სის-რულეში მოვა თუ არა, სრულ იშჳათად მოხდება, რომ იმიერით მუდამ კარგის თვალით უყურონ იმათ; მეტად-რე ზოგჯერ უფრო ეცდებიან იმათ დაღუპვას და მოსპო-ბასაცა, რადგან ის ჴელსაწყონი რაოდნადაც მას მერმედ გამოსადეგნი აღარ არიან, იმდენადაც უფრო საცდურო-ვანნი და მავნებელნი არიან.

ერთ დროს გაჩნდა რა ჩხუბი ე. კარლო კეისრისა და ა. ფრანწისკე ფრანგების მეფის შუა, მაშინ კეისარმან თაჳს ჴელ სამძლავნად მიიმხრო ბორბონის თავადი თაჳს მე-ფის საღალატოდ. როცა ამ თავადმა მოღალატობა თა-ვს გაიტანა, და წაჳდა კეისართანა, კეისარმან გარეულად დიდის პატივით მიიღო ის; მაგრამ როცა ეს თავადი კე-ისრის პალატითგან გამოჳდა, კაცი მიუგზავნა და სთხოვა კეისარსა, რომ თაჳსი დარბაისელებში რომელიმე სად-გომი სახლი მიეცა მისთჳს. მაშინ კეისარმან

შეუთვალა იმ კაცის პირითა, ეს გაგონების ღირსი პა-
სუხი: «ეგე შენი სათხოვარი რომ არ აღგისრულო, არ
შემიძლია; მაგრამ ესეც იცოდეს ბორბონის თავადმან,
რომ თვით იმ სახლითგან გავა და წავა თუ არა, უნდა
დავაწვევინო მე ის სახლი; რადგან მისი იქ დგომით, მი-
სი გამცემლობისა და სახელ გატეხილობისაგან სახლ-
საც შესვრილად და პილწად ვსთვლი: მით პატივცემულ
და სარწმუნო კაცთ სამკვიდრებლად მას მერმედ იმ სახ-
ლს სრულიად ღირსად არ დავსთვლიო.»

ვისაც ანღვრეულობისა და განდგომილობის აზრები
ფიქრში ექმნება, იმისთანა პირი მით თოკს კელთ ალებს
პირვლად თავის კისერზედ გარდაიცვამს და ბოლოს
მიიტანს კელებს გაუკრამს იმ თოკით იმ კაცსაც რომელ-
საც ყველაზედ უწინ მიენდობა და იმ თჳს ხვაშიადს
გაუცხადებს.

ამ ადგილს შემოკლებით, ჰცოდეთ ესეც უნდა რომ,
უკეთუ ერსა ძლიერ მდუნედ და ფართოდ დაეჭკიროს ადჳ-
რი, რომლით თჳს უფლობა ჰქონდეს, ადჳლად განდგო-
მილების მოხდენისა, მას შემდგომ ის ყოველს თავის
ნათქვამს და თჳს მფლობელობას ნამდვილ ხელმწიფეებ-
ზედ უმფრო მეტად წინ წაიყვანს. კაცნი ბუნებითად
ძლიერ მოწადინენი არიან თჳსნითი საკუთარი მდგომარე-
ობის და ცხოვრების დაცვაზედა, და ამისთჳს რაც კი შეიძ-
ლება გახდეს მიზეზი ამათი წახდენისა, დაედევნებიან
იმას უკან რათა მოსპონ და ბოლო მოუღონ მას.

შენი უმთავრესი მოვალეობა ეს არის, რომ შენის ხელ-
მწიფისა და შენის უმფროსებისა მორჩილი და ქვეშევრდო-
მი იყო; და შენი გონიერებაც ეს უნდა იყოს, რომ იმ-
ის გულს კეთილობას მიეკედლო და შენი თჳს მიანდო.

მუდამ ფიქრში უნდა ჩაჳდვათ ესეც, რომ რასაც იქმს
მფლობელი და უმფროსი, კეთილის აზრითა იქმს, და

ოდეს გჳბრძანებს რამეს, გონებაში უნდა წარმოჳდგინოთ, რომ დაჭირვებითად რამე საფუძვლიანი მიზეზი აქვს მას ეგრეთ ბრძანებისა; და რადგან მისი საქმე კი ჩვენდა ცხადი არის, და მისი განზრახვა დაფარული, მაშ ჩვენი ვალი ეს არის რომ პირველი იგი მიჳღოთ პატივ ვსცეთ, და მეორის წინამღდეგად არ ჳდრტვინოთ. იცოდე რომ მთავრების და უმფროსების წიგნები იმისთანა ნაწერით დაწერილნი არიან, რომ სრულ ცოტა კაცთ შეუძლიათ ამოკითხვა იმათი და ახსნა. იმათი ნაქმნარი იცი თუ რასა ჰგავს? ჰგავს ღრმა მდინარესა, სადაც ვერა ფერს ვერა ვხედავთ ჩვენ, თუ არ მხოლოდ მიმდინარეობასა, ჩავლასა; ხოლო მისი სიღრმე და დასაწყისი კი ჩვენგან დაფარულია.

მაშა სადამე ხელმწიფისა და უმფროსის ბრძანებასა პატივისცემით უნდა დავემორჩილოთ და არ უნდა ვეწინაღმდეგოთ. ამისთჳს შენ მისი ნათქვამი სიტყჳს გამოძიებაში ნუ შეხვალ შენ თავად, არამედ რაც გებრძანა საქმეში შეიტანე და შეასრულე იგი.

არ იქმნას მრუდის მსჯელობითა მოსტყჳდე და დაუწყო წინამღდეგობა შენის მფლობელის მართალს და ჯეროვან მოთხოვნილებასა, რადგან მორჩილობა იგი რომლისაც შენ თანამდები ხარ მისადმი, იცოდე ღმერთთან ნაქონი შენი თანამდებობათაგანი ერთიც ეს არის.

მართალია, შენი სჳნდისი შენს წინამძღვრად უნდა გყავდეს, გარნა არა როგორც ყოვლად შეუცდომელ კანონად, რადგან ეგე შენს საქმეებს ვერ განამართლებს, თუ არ ეგოდნად რაოდნადაც განამართლებს იმათ ღმერთი და ღვთიური სიტყვა მისი.

გაკვლილს მოთხრობებში წარმიკითხავს რომ რწმუნებლობის შემნახ კაცთაც ზოგჯერ განდგომილთ

მისაღებით მატიყვები უპოვნიათ, და ამის წინააღმდეგად გამცემელთა სარწმუნო კაცებიჳთ მისაგებელი მიუღიათ. მაგრამ მე მაინც ყველაზედ უფრო ვეცდები რომ მუდამ სარწმუნოდ დავრჩე, და ყოველი სამსახური აღვუსრულო ჩემს მფლობელსა და უმფროსებსა; თუმც ვხედავდე რომ ჩემი სასიარულო და ჩასავლელი გზა ეკლებითა და ბარ-დებით სავსე იყოს.

სარწმუნო ქვეშევრდომი მხედარს უნდა ემსგავსებო-დეს, რომელი სრულიად თაჳს ადგილს და თაჳს დარგს ჩხუბში არ დააგდებს და უკან არ გაბრუნდება; თუმცა კი-დევაც დაიკოდოს და დაიჭრას, თაჳს დიდებად დასთვლის იმ დაჭრილობას, და ჯერე ბოლო სულთქმამდე უყვარს თავისი უფალი, და მუდამ გულში აღბეჭდილი აქვს და მი-რადაც ამბობს ხშირად იმ ღვთიურს ბრძანებასა რომ: «შეიშინე ღვთისაგან, და პატივ ეც მეუფესა.»

ბოლოს ესეც დაუჳწყებლად გახსოვდეს, რომ მეტად დიდი არის ხელმწიფეების ძალა და მფლობელობა; და იმათგან მოცემული წყლულიც ძლიერ საცთუროვანია, როცა ეჭჳ რამე ჰქონდესთ შენს ერთგულობაზედ.

### გ ა კ ვ ე თ ი ლ ი . დ .

**ყოფაქცევაზედა, ნეტავ კაცთან რო-გორ უნდა ადგეს დაჯდეს?**

ხომ ისწავლე წინა გაკვეთილში თუ შენს უმფროსებთან როგორ უნდა მოიქცე, ახლა აქ უნდა ისწავლო ისიც, თუ როგორ უნდა მოიქცე სხვებთანა?

ამხანაგური სიყვარული ბუნებითია კაცისათჳს, მაგრამ ცხოვრებაში მდგომარეობის არჩევას და იმაზედ მიო-ჯსებას დიდი სათნოება და ჭკუა სჭირია.

ჭკჳან კაცებთან ადგომ დაჯდომა ძლიერ კარგი და ძლიერ სასარგებლო სასწავლებელი არის, რომლით ადვილად შეგვიძლება ჩვენის გულისა და ჩვენის ფიქრების მშვენიერს რიგში და კანონში ჩაგდება და ჭკუისა და მეცნიერებისაც კელთ გატარება. ერთი დროს მეტროდორო, ერმატიო, და პოლინეო ქვეყანაში ჭკჳანი და სახელოვანი კაცები გამოჩდნენ; რადგან თავიანთი დროს მყოფ ბრძენ ფილოსოფოსებს ემეგობრებოდნენ და გაეწყობოდნენ ხოლმე, იმათ სასწავლოში წაესვლელ მოცულელად.

ჭკჳანი კაცების საუბარი მუდამ უნდა გვყვარდეს ჩვენ; რადგან იმათთან შინაურულად ყოფნა და შექცევა ნათელს მოგვცემს ჩვენ, ჭკუას გაგვხსნის და ყოვლად მაღალს და პატიოსანს იდეებს და მცნობელობათა ჩვენს გონებაში შემოიყვანს.

როცა შემიხვდეთ ორ სამს ბრძენ კაცებში ჯდომები, ისე ბედნიერად დავსთვლი მაშინ ჩემს თავს, როგორც თუ არისტოტელის დიდი ფილოსოფოსის სკოლაში ვყოფილიყავი: ანუ თუ იმ ჩინებული ზენონ ფილოსოფოზის სასწავლოში წავსულ მოვსულ ვყავ.

ამისთანებითან შექცევის დროს ეცადე ხოლმე შენ თავად მოლმა სიტყვა გაშალო იმ რამეეზედა, რომლებსაც შეუძლიანთ შენის მცნობელობის და შენი ნასწავლების უმეტესად აღმატება და სისრულეში მოყვანა. ბეჯითად იცოდე რომ ამ გზით ყოვლიფერში მოგებით გამოხვალ, როცა ამისთანა ვაჭრობიდან დაახლოვებული იქმნები ხოლმე.

ცუდი და მდარე ყოფა ქცევის პირნი ჰგავან იმისთანა ქალაქებსა, რომლების ჰაერი კაცის აგებულობას მოშლის და წაახდენს; და ცუდი ხასიათიც თითქოს ჟამის სენით ჩვენს უგრძნობელად გარდაგვედება ჩვენცა.

კარგი და ტკბილი ხასიათის მქონე კაცი, ყოველ ნაირს

ტიპსა (სახეს) რბილი სანთელიჳთ თავისზედ გარდი-ლებს. ამბობენ რომ დიდმა ალექსანდრემ ღჳნის სმა და სიმთვრალე ლევონიდე თჳსი მეგობრისაგან ისწავ-ლაო, და ნერონ კეისარმაც ის თჳსი უწყალობა თავისი დალაქისაგან ისწავლაო.

მე თუ მკითხამ, ბევრი მეგობრების სიმრავლეს არ გაჳრჩენ, რადგან თუ რომ მათი სიმრავლე გარს დაჳხჳო, ზედ მიწევნით ჳცი, რომ გარედ გასული, ჩემს სახლში ჩემს დროზე ველარ მოვბრუნდები, და სახლიდგან გას-ვლის უწინაც თუ რომ რამე საქმის გარიგება ფიქრში დამედვა, ვხედამ რომ ის ჩემი საქმე შეყოვნებული გჳან-დება; და თუ რომ წინად ჩემი შეცდომილებას და ჩემი აჳ ზნე გამისწორებია და მომიკვეთია, ვხედამ რომ ამა და იმ კაცთან დაახლოებით, ის ჩემი აჳ ზნე იღჳძამს და ხელახლავ ძლიერდება.

სრულიად ისივე საქმე შეემთხვევა ჩვენს სულსა, რაც ჩვენს ხორცსა; ჩვენი ხორცი როცა სნეულობისაგან ახლად გარდარჩება და განთავისუფლდება, ისე უძლური არის და ისე ზანანა, რომ ყოველივერი მოერევა იმას და მსუბუქი სასიამოვნო ნიაჳც ზოგჯერმე ეყოფა ხელ-მეორე ლოგინში ჩასაგდებლად.

უნდა ეცადო რომ შენგან დიდროანებთან უფრო ადგე დაჯდე, ჳრემც შენს ტოლქვეითებთან; რადგან დიდრო-ანებთან ადგომ დაჯდომით შენს პატივს და ღირსებას მოიმატებ შენგან წვრილების წინ.

გაფრთხილდი შენი საქმეები არ შერიო იმ დიდი კაცების საქმეებში, რომლებზედაც მჭჳ გქონდეს, რადგან ბევრ-ჯერ იმათი დაქცევა და დამხობა მიზეზი გამხდარა იმავე წჳჳანი და ივალლთა კაცების დაქცევისაცა ჳნც რომ იმათ მიჰყოლიან.

ანდაზათ უთქვამსთ: «ეცადე დიდ კაცებთან სრულიად

ზალი არა სჭამო, თვარემ გამოილებენ გურგვენს დ~ თვალებში გესვრიანო.» დიდ გაცობა ცეცხლის მსგავსია, თუ ზომიერად შორიახლოს ზიხარ, გაგათბობენ, დ~ თუ ძლიერ დაუახლოვდი დაგწვენ შენ.

რა საკუთარი სათნოებაც რომ გქონდეს ეცადე მაგრა შეინახო შენში, დ~ ეცადე, რათა სხვათაცა შეაგონო მისი შედგომა. ხოლო შენ ამყოლი ამხანაგებითან იმ დრომდინ ადეგ დაჯედ, სიდამდის ჰხედამდე რომ შენ ნაირ კეთილს ცხოვრებას ატარებენ იგინი.

ეცადე საკდემელი დ~ პატივსაცემი იყო სხვათა წინაშე. ამ სიტყვით მე არ გეუბნები რომ სხვებისაგან მოითხოვა აჩვენო შენის პატივსცემისა დ~ საკდემელობისა უმაწვლეურს დ~ წვრიმალ რამებში, მაგალითად. რისთვის იმ კაცმან პირველად სალამი მე არ მომცა? ჩემის მესკლისა ფეხზედ რად არ ამიდგა? თავის მარჯვენა მხარეს რად არ მომიჯდინა? ესენი უბრალო დ~ უმაწვლეული მოითხოვნილებანი არიან; შენ ეცადე ესენი სხვებს უყო, თუ რომ მართლად შენის თავს პატივს ცემა გინდა. ჩემი სიტყვა ეს არის, რომ ეცადე გაუხადო შენი თავ სხვათა საკდემლად დ~ პატივსაცემლად იმ მიხნეჯთა დ~ იმ სიყვარულითა შენდა მომართ, რომელიც კაცს მუდამ შეუძლია შეიძინოს, როცა გულ უმანკობით, საბატიურად, ჭკვანად დ~ ტკბილად იქცევა სხვებთანა.

ყურს ნუ უგდებ დ~ ნუ გაიგონამ შენს მეგობარზედ ავ სიტყვას რომ ლაპარაკობდნენ; დ~ შენც ნუ ილაპარაკამ იმ ნაირ სიტყვას შენს მტერს ზედა. ყოველს გაგონილ სიტყვას ნუ დაიჯერებ დ~ ყოველს თვალით ნანახ რამესაც ნუ მოჰყვები დ~ ნუ ილაპარაკებ.

ეცადე მუდამ კეთილი ილაპარაკო, დ~ რაც კეთილია ის წარმოებაში მისცე. იმისთანა იყავ, რა ნაირადაც შენს თავს აჩვენებ გარეულად, დ~ მუდამ ისე აჩვენე შენი თავი,

როგორიც რომ ხარ.

შენის სათნოებითა საქებური გაუხადე შენი თავი სხვათა და გული უმანკო და პატივსაცემი შენი ქცევათა გული მოუგე სხვათა.

ეცადე შავნაღვლიანმა მოწყენილობის და დაღონების ხასიათმა არ იუფლოს შენ ზედა, თუმცა მრავალს მარცხებს შინაც რომ იყო. შენს საქმე ყოფაში მუდამ მხიარული და საამური სახე გამოიჩინე. რადგან სიფიცხის და რისხვის ჩვენება ჰგავან იმ მავნეულის წყლებსა, რომლებსაც მკურნალნი სნეულებს სასმელად მისცემენ, რომელნი თუმცა გი სარგებლობას მოგვცემენ, მაგრამ ხშირად ხმარება მათი მავნებელია ჩვენის სტომაქისა.

რჩევას ნუ მისცემ და ნურც შენს ეჭვს გონს იტყვი, სანამ არ დაგკითხოდნენ; შენი ეგრეთი ქცევა ერთ ნაირი საყვედურია სხვათადმი, როგორც თუ ბრიყვნი იყვნენ, და როცა იმათ ახვდენ, მაგითი აჩვენებ რომ შენს თავს იმათზედ ღირსეულად სთვლი.

აგრეთვე ნუ მიეჩვევი სხვათა საქმეების სჯას და გამტყუნებას როგორც ანდაზა არის: «სხვის მტილის გამარგვლა შენი ვალი არ არის.»

საუბარში ეცადე რომ გარჩეულის რამეზედ წინაღმდეგი ლაპარაკი არ დაიწყო, რადგან იმისთანა წინაღმდეგი ლაპარაკი ერთ ნაირად ლანძღვა არის. როცა დაიწყობ სხვის აზრის დამტკიცებას და გამტყუნებას, თითქო ტკბილსა და გემრიელს შეცავს შხამს გარდასხამ

ოდეს ჰხედავ, რომ ერთმანეთზე ბევრ ნაირ ნაირს რამეზედ ბაასობენ, შენ იმ ნაირ გაცისაგან შორს დადგე, ნუ მიენდობი იმასა; იცოდე ანუ უპირისწყლო, ანუ ენამათრახალა კაცია ის და ანუ თუ შენი მზვერაჲ. იმისთანა კაცები, რომელნიც იმდენს ჩაგაცივდებიან, და საქმე ყოფად ეგრეთი ჩაცივებას გაუხდიათ, გხედავთ რომ მის-

ოაჩების დიდი ნაწილი პირ დნიოშნი არიან და რასაც გაი-
გონებენ მალე გასთქვამენ.

მზაკვარი და გაიძვერა კაცების შეკითხვაზე მუდამ საცუ-
დუროვანნი არიან და ძღვენსა ჰგვანან, რომელსაც ნატრულ
კაცებს ზოგჯერ მიართმევენ, როგორც ანდაზა არის,
« თავს ძღვენს ნემსკავზედ აგებს. » რომ იმითი მოგი-
ნადიროს; რადგან მზაკვარი და გაიძვერა კაცების აზრი
ის არის, რომ შენი მიცემული პასუხები საბუთად დაი-
ჭირონ და იმითი შეიძლონ შენი გაცემა.

იცოდე, იმ ნაირი კაცებიც არიან რომლების ყურები
წურბელას ჰგვანან, წურბელს ის თჳსება აქვს, რომ ტანში
რაც ცუდი და წამხდარი სისხლი არის, იმას გამოსწევს და
გამოსწოვს, ესრეთვე იმათი ყურებიც საუბარში რაც
ცუდი სიტყვა ითქმება, იმას აჰკრებენ თითო თითოდ.

ამხანაგურს საუბარში უმეტეს გირჩევნია სმენა, ვიდრე
ლაპარაკი. ამ გზით უფრო ადვილად შეგიძლია სარგებ-
ლობა მიიღო ყოველი გაგონილი ვარგისი სიტყვებისა-
გან; აგრეთვე ადვილად შეგიძლია ცნობა და განსჯა, თუ
რომ ჭეშმარიტების წინამდეგი თქვან რამე, და ანუ თუ
უჭკუო რამ სიტყვა წამოაროტჳნონ.

საუბარში უნდა ვფრთხილობდეთ რათა კარგი დაკვირვე-
ბა გვქონდეს არა მარტო ჩვენის ლაპარაკისა და რამის
დაკითხვს დროს, არამედ სხვისაგან სიტყვის და პასუხის
გაგონების წამსაც; თუ რომ ეს დაკვირვება არ ვქო-
ნიეთ, ძლიერ სასაცილო რამები მოხდება საუბარსა
და შექცევაში. ერთხელ ლაპარაკში ერთი მეორეს ჰკით-
ხავს, რომ რამდენი შვილი გყავსო? უპასუხა დაუფიქრე-
ბლად სამიო. ბევრი ლაპარაკის შემდგომ, როცა ხელ-
ახლავ ჰკითხა იმ საგანზედ, და სხვა ნაირად პასუხი მიი-
ღო, მაშინ იმან მისცვა: თითქოს ამის ცოტა წინად სამი
შვილი გყავდათ

შექცევაში და გართულობაში უფრთხილდი მეტად უზომოდ დაშინაურებას და დაახლოვებასა. ვნც ეგრეთ მოიქცევა მალე დაჰკარგავს იმ პატივს ყრასა, რაც რომ სიმძიმით მოეცის გავლილად.

რიერთიც საზოგადო გახდების ერთი რამე, იმდენი ღირსებულობა დააკლდების. ნამეტარი დაახლოება და დაშინაურება უთუოდ გამოაცხადებს იმ უსრულოებებისა და ნაკლებულობათა, რომლებისაც მძიმედ ყოვნით შეიძლებოდა დაფარვა.

უზომოდ ნუ დაუახლოვდები შენგან უფრო დიდ კაცებსა, რათა არა ავნოს რა; აგრეთვე მომეტებულ დაახლოვებასა ნუ აჩვენებ შენგან წვრილებსაც, რადგან ესეც შეუფერებელი საქმე არის, მეტადრე ბრიყვ კაცთან. ამ საქმეს დიდად მოერიდე, რადგან სიბრიყვით სულელი კაცი ზოგჯერ ისეთს პირს აიღებს რომ შენდა მოსაცემ პატივს მიუმხვდარობით თავისთვის მოინდომებს.

იმ კაცების წინააღმდეგად, რომლებისაც უნდათ შენი გულის კლიტის დაპატრონება, უებარი წამალი ეს არის რომ, რიერთიც შეიძლება ყოველის სიფრთხილით შენი აზრებისა და ხვაშიადის გასაღები შენთან შეინახო და დამალო ხოლმე.

კაცს თვითან პირში სრულ ნუ აქებ, აქე იგი სხვების წინ, რათა კაცის თვალით შეხედონ იმას. აგრეთვე კაცს უწინდგან ნუ შეურაცხყოფ და ნურც დასძრახავ, არამედ თავისი ნაკლებულობანი მიდი და ცალკედ შეატყობინე იმას; ამ გზით შეგიძლია მისი სწორე გზაზედ მოყვანა.

ზომის გარდა ნამეტარი ქებაც არ არის შესაფერი ესრეთი ქება იმ კაცის შერცხვენის გარდა, ვისთანაც რომ თავს იქცევ, შენს სიბრიყვესაც გამოაცხადებს. ამიტომ რომ რა კაციც სხვას მაგ სახით აქებს, ცხადად აჩვენებს, რომ უნდა გამგონთაც მისი სჯის უწინამდეგ-

ვიდრე კრძალვის თანხმობას აჩვენებ მასთან.

არა ფერი შეგძენს შენ ისე დიდ ღირსებულობასა საზოგადოებაში, როგორც მდაბალი გულით და ტკბილის და საყვარელის სახით მოქცევა სხვებთან.

ვისაც ფიცხი ხასიათი აქვს, და ანუ თუ, ასე ვსთქვათ, მოუხეშავ და შეუგნებელი თჳსება, იმისთანა კაცი შექცევაში და შეკრებულობაში არ გამოდგება, ამისთჳს სჯობია იშვიათად გაერიოს იგი შეკრებულობაში, თუ არ უნდა სხვების სასაცილოდ გახდომა თჳსი.

კაცობრიობა და ზრდილობა, ორნივე შენი დიდნი მოვალეობანი არიან, რომელნიც ვალი გაქვს რათა მიაგო ხოლმე ყოველსა კაცსა; ზრდილობით ლაპარაკი, და პატიოსანი ყოფა ქცევა, იცოდე მუდამ შენთჳს ჩინებული მოწმობის ქაღალდებივით არიან ყოველგან; და თუ გინდა, შეგიძლია კიდევაც მუდამ და ადვილად მოშოვნა ამ მოწმობისა, რადგან სხვა შრომა არა უნდა რა ამას, თუ არ მხოლოდ მდაბალი გულით და ტკბილი სიტყვით მოქცევა სხვებთან, და როცა ერთხელავე ამითი მეგობრებს გავჩენთ, მას მერმედ რა საქმის გარიგებაც გვინდოდეს იმათთან, ყოველივე ადვილია.

ბრიყვ კაცი, რაერთიც ჩვეულებრივად კაცს მალე გაუწყრება და გაურისხდება, იმდენადაც ადვილად შეიძინება, როცა სიყვარულის და გულკეთილობის ნიშნებს ნახავს. პირველი საქმე, რომელიც ჩვენზედ კეთილი სახელის დაგდების შემდგომ დაგვამეგობრებს გაუწურთვნელს და გლეხთანა, არის ზრდილობა და ზომიერად კელგაშლილობა. ერთხელ სპარსელთ ავგესილაოს ბრძენ მეფეს დაჰკითხეს, რომ როგორ შეიძლება კაცების გულის მოგებაო? უთხრა: ეგ საქმე ორი რამით იქმნება, ერთი კეთილი რჩევების ლაპარაკით, და მეორედ იმათი სასარგებლო-

საქმებისა ქმნითაო.»

შენი ცხოვრება და შენი ჯანობა შენი ნაცვამი ტანისამოსითგანაც შეიტყობა — შენი სამოსი არ უნდა იყოს არც მეტის მეტად ძლიერ მდარე და არც მომეტებულად ძვირფასი, არამედ საშვალო და შენი მდგომარეობის შესაშვენი.

შექცევაში ეცადე, რომ შენი საწინაამდღეგო ყოველი მცირედი სიტყჳსაგან მაშინვე არ აიწვა. აგრეთვე ადჳლად და მალეც არ გაწყრე ხოლმე: პირველი უძლური ჭკუჳს და განსჯის ქონჳს ნიშანია, და მეორე ცუდი და ავი ხასიათის პატრონისა.

შექცევაში ეცადე მუდამ მოუფრთხილდე უსარგებლო და უსიამოვნო გაცინვათა, მასხრობათა, და აგრეთვე უგემურ მოქალაქურს ლაპარაკთაცა. ჭკჳანი მწერლის ერთი ამბობს რომ: პირველი, ჭკუჳს გასკდომის ნიშანი და მისგან გამოღებული კმა არის; და მეორე პირად ნაქმნარი კერპთ მსახურებათ. სათნოება ემსგავსება ერთ ძვირფასს პრილიანტსა (ჯავაირსა), რომელი მაშინ უმფრო გამშვენიერ დება და გაპრწყინდება, როცა ხელოსანი თავის შესაფერს ადგილს ჩასვამს.

ანაქარსიდე ფილოსოფოსი ერთს დღეობაზედ ნადიმში მიიწჳეს; როცა მოლაზღრე კაცებმა უმარილო მასხრობა დაიწყეს გასაცინებლად, მარტო ქვეშ ქვეშ იცინოდა: მაგრამ როცა იქ მაიმუნი შეიყვანეს, მაშინ მაღალის ხმით გარდიკასკასა და ეს სიტყვა თქვა: «ეს პირუტყჳ თავის ბუნებისაგან საცინელია; კარნა სიტყჳერ კაცთა უნდათ რომ თავანთი ხელოვნებითა და ცდით სასაცილო და სამასხარო გახდნენო.»

სრულიად ნუ მიეკარები შენ იმ კაცებისა, ვისაც იცი, რომ ყოველი ჭკუჳა და მოგვრილობა სხვა არა ფერ'ზედ აქვსთ, თუ არ ნაირ ნაირი ვინებაების მოგონებაზე და თქმაზედა.

თითქოსო იმათ გინებისა და გმობის გარდა არ შეეძლოსთ შეგნებული საუბარი.

ფილოსოფოზის ერთი ამბობდა, რომ «მოლაზღარობა თუ მასხრობა ამაოების გარეთუბანია, ხოლო ამაზედ მოხარულობა ნამდვილად სიბრიყჳს ქალაქია.» უნდოდა თქმა, რომ ლაზღარები უბრალოდ ჭკუას ჰყიდიან, ხოლო ჳნც ჯდებიან და სიამოვნებით იმათ ყურს უგდებენ და ხარობენ, იმისთანები ნამდვილი გიჟების რიცხჳში არიან.

ჳსაც ამ ნაირის რამეებით უნდოდეს თაჳს ნიჭიერების გამოჩენა, მაშინვე თაჳს ზედ ნაქონს ჭკჳანი კაცის დირებულობას დაჰკარგავს იგი.

ერთხელ კონსისტორიის (მრჩეველების) კრებაში მოსარჩლე თჳს სიტყჳს (რეჩის) წარმოთქმის დროს ნაირ ნაირ მოძრაობათა ფეხითა და ჴელითა შვრებოდა, მაშინ ფლერისტარქომ, მრჩეველების ერთმან, უთხრა იმას: «უფალო! არ იცი, რომ, რომელნიც ბევრს იჭიდავებენ, ბოლოს ფალავანდად გამოვლენ.» ასრეთვე ჳნც ხშირად სხჳებს გააცინებენ, თჳთან გახდებიან საცინელნიო.

ხუმრობის სიტყვანი წამალსავით უნდა იხმარებოდნენ; მით სხჳების ყურები მომეტებულად არ უნდა შევაჩჳოთ იმათზე. ამიტომ რომ მოწყობილი სიტყვებს, როცა ჩვეულებად გახდებიან, ერთიან გემო წაუვათ.

თუ რომ ხუმრობის სიტყვა მდოგჳსავით (გარჩიცასავით) მცირედ სახმარებელია, მაშ აბა, როგორც შენ სხვათ გააცინებ შენის მოწყობილი და მოყვანილის სიტყვებითა, ეგრეთვე შენც იმათი აწჳსაგან და განრისხებისაგან უნდა შეიშინო.

ერთის სიტყვით კეთილი ყოფა ქცეჳს და მოქალაქოხელობის სწავლა თუ გინდა, ისე არა ფერი სრულ ჰყო-

ფს კაცსა, როგორც კეთილ და ჭკჳან კაცებთან ადგომ დაჯდომა. იცოდე რომ კაცი გაუწურთნელი იბადება, და მხოლოდ გაზრდილობისა, და გაწავის ძალით შეუძლია მას ადამიანურად მოქცევა.

ქვეყანაზედ, შენი თავს კარგად მართვა თუ გინდა, კეთილს კაცებთან ამხანაგობა უნდა იქონიო, და იმათთან, რომელთაც ჰხედავ რომ კარგი ხასიათი და კარგი ნიჭიერებანი აქვსთ. როცა ნახამ, რომ შენი თავ გასწორე, იქ ნუ შედგები, არამედ ეცადე დღითგან დღეზედ უფრო წინ წახვდე კეთილობაში: კარგად იცოდე რომ წინ წასვლის უნდომელობა, უკან წასვლა არის.

როცა ჰხედამ, რომ ძლიერ გესიამოვნება შენ ბრძენ და ღვაწლით შემოსილ კაცებთან დაჯდომ ადგომა, იცოდე, ეს ძლიერ კაი ნიშანია და ძლიერ კარგი დაწყობილობა, ბოლოს შენი განსაბედნიერებელი. ხოლო როცა ნახამ რომ ამ ნაირი დაჯდომ ადგომა არ გეღირსება, მაშინ უკეთესია მარტო დაშთენა, ვრემც თუ ბოროტ და აჯზნეობის კაცებთან ადგომ დაჯდომა.

მუდამ უნდა უფრთხილდე იმისთანა კაცებთან გაწყობილობას, სითგანაც შეიძლება ზიანი მოგეცეს შენ; და ესეც ცხადია, რომ რა ნაირი ზიანიც უნდა იყოს, მოფრთხილება მუდამ სასარგებლოდ დაითვლება. ერთ დღეს კატა ზრდილობის გამოსაჩენლად ადგა და წავდა ქათამთან, რომელიც იწვა სნეულად; დაუწყო კითხვა: როგორ ბრძანდები, კარგად ხარ? უთხრა ქათამმან: უმფრო კარგად ვქმნებოდი თუ რომ შენ თავოგან მომშორებოდით! მავნე ამხანაგები ჰგავან სნეულს და წამხდარს სტომაქსა, რომელი რასაც მიიღებს, იმასაც წაახდენს, და, ძლიერ კარგი საჭმელიც რომ მიიღოს, ცუდს და მავნე საზრდოდ შესცვლის.

უმფრო მომეტებულად უნდა უფრთხილდე სხვასთან

გულის გაერთებასა. როგორც კანონიერი სამთავროს-ქალაქების კარითგან, რა კაციც იყოს, მაშინვე არ მიიღებენ, არამედ ჯერ გამოიძიებენ, გამოიკითხებენ და მის ჯნაობას შეიტყობენ, აგრეთვე რიგი არ არის, რომ შენც შენი გულის კარი ყველას გაუღო. პირველად კაცი გაიცან, მერმე გული გაუშალე: თუ რომ კეთილ მოღვაწე და ბრძენი კაცი არის იგი, არას დროს არ მოსტყუვდები.

კაცი საზოგადოდ, მეტადრე როცა ყმაწვილი კაცია, ისეთია როგორიც მისი ამხანაგები არიან, რომლებთანაც დაახლოვებულია. ქალდეველთ ძველ ვარსკლავთ მრიცხველთა ყმაწვილ კაცთ პლანეტად ტერვანო (ოტარიდი) სთქვეს. მიზეზად ეს მიაჩნს მეო, ამბობს ერთი ძველი მწერალი, რომ ეს პლანეტი რომელ პლანეტთანაც ერთად დადის, თჳთანაც იმისაჲთ კეთილი ანუ ბოროტი ხდებაო. ერთხელ ერთმა ფილოსოფოსმა გაყკაცის ერთს ეს სიტყვა უთხრა. «მითხარ მჯლო! რა ნაირ კაცებთან ამხანაგობა გაქვს, და მე იქითგან მივხვდები თუ რა კაციც ხარო.

ყოველთჳს, და უმივო შეკრებილებების და შექცევის დროს ეცადე, რომ ურიგო ხასიათი არ გამოიჩინო სრულიად. იცოდე რომ ყველას საზიზღარია ეგ საქმე. არა კაცი არ მოგიწონებს შენ. ამიტომ რომ ჳს არ გაუკჳრდება და არ გაშტერდება, როცა ნახამს ერთს ჳსმეზედ იმისთანა უშნო, იმისთანა რიგ გარეთს ხასიათსა, რომ დემოფონდის ნათქვამში ზღაპარიჲო, გრილ ადგილს დგომით გაოფლიანდება და მზეში ყოფნით სიცივით გაიყინება.

ერთის სიტყჳთ ყოფვა ქცევაში და შექცევაში ეცადე იმ ნაირი ხასიათი იქონიო, რომ ყოველივერზედ არ აიწყა (არ აჭყვე), არც უკადრისება გამოაჩინო, არც უზომო დამკჳრვებლობა მზვერავიჲთ და სხვაც, არც ზომას

გარდანამეტად ჩუმათ იყო, ან შენი ნაკლებულობაები უნდა გაისწორო და ანუ შეკრებილ ტოლ ამხანაგობაში არ უნდა შეხვდე.

## ზ ა ჰ ვ ე თ ი ლ ი ე.

## ლ ა პ ა რ ა კ ზ ე დ ა.

ლაპარაკის დროსაც დიდი სიფრთხილე და ჭკუვა უნდა იხმარო. ბრძენების ანდაზა არის: «ლაპარაკი განზრახვს ეტლიაო.» ჯთამც, შენი დაბრძნილი ჭკუჳს ურმის თვალი (გოგორა) როგორც დატრიალდება, შენი ენაც უნდა ისრე ბრუნემდეს. პირველად იფიქრე, მერმე ილაპარაკე.

ბრიყჳ კაცის ჭკჳანობა არის სიჩუმე: ხოლო ჭკჳანი კაცისა სიბრძნით ლაპარაკი.

ურიების რაბინები ბევრს ადგილს ფსალმუნებსაც კარგად იკვლევენ, სადაც რომ ებრაულად ერთი და იგივე ლექსი ჰნიშნავს საზოგადოდ «ლაპარაკსაცა და განზრახვასაცა» ამით გვატყობინებენ ჩვენ, რომ ლაპარაკის წინად უნდა ვფიქროთ და ნაფიქრევისაგან გარჩეული არ უნდა იყოს ჩვენი ლაპარაკი. ამ ნაირია ჩვენი ხუცურის სქესიცა ზრახვა-ფიქრი და ეზრახა ელაპარაკა თქმა არის.

თუ რომ ენის საათს გულის გოგორებთან წესიერი დამოკიდებულება არა ჰქონდეს, არა ოდეს შეუძლია სწორედ სიარული.

ლაპარაკის წინად ენა შენ ფიქრთან უნდა დაათანხმო; მაშინ ისე ილაპარაკებ, როგორც გიფიქრია.

ჭკჳან კაცს გულზედ უბია ენა, ხოლო უჭკუოს ენაზედ უძევს გული.

ლაპარაკის დროს გაფრთხილდი მეტად დიდროვან

ლექსებით არ ილაპარაკო, რომ იმ ნაირი ლაპარაკი ჭეშ-
მარიტებასა და ჭკჳანობასაც შეეხება.

პირველად, მუდამ იმ ნაირი იყოს შენი სიტყვა, რომ შენს განსჯას შეეძლოს მისი დამტკიცება, შემოწმება და დაცვა საჭიროების დროს. მეორედ, ეცადე იმ ნაირი იყოს შენი სიტყვა, რომ გამგონთ შეეძლოსთ მიხვდენა და იმათ ყურში შეჳდეს; თუ რომ ამ ჩემს ბოლო სიტყვას ყური არ ათხოვო, ცუდ უბრალოდ სასჯელს მიიღებ და შენს სიტყვას ტყვილად განაბნევ; ხოლო თუ პირველი ჩემი ნათქვამი არ დაირწმუნო, იცოდე რომ როდისაც არის ერთხელ შენს თავს დააქცევ იმითი.

ლაპარაკი წლის არებსა ჰგავს: როგორც ეს არები თი-თო თითოდ მის დროს კარგი და სასარგებლო არიან, აგრეთვე ლაპარაკიცა.

ვხედავთ რომ საბასტიური მშვენიერი და ბუნებითი ლაპა-რაკის სქესი, ძლიერ ტკბილად მოგვდის ყურში: მაგრამ წინამდღეგ ამისა უჩვეულო, მაღალი და ადტა-ტებული ლაპარაკის სქესი ყურებს გჳბრუყავს, და თითქოსო გამგონნი საკანუნოსაჳთ ყურს უგდებენ. იმისთანა კაცნიც არიან, რომ იმათი ლაპარაკი ვარსკვლა-ვებს ჰგავს, მით ცოტა ნათელს მოგვცემენ ჩვენ. ცხადი არის ამის მიზეზიც, რადგან ფრიად მაღლა არიან.

გიყვარდეს უფრო გაგონება ჳრემც ლაპარაკი: ეცადე უფრო შენ სხვებისაგან ისწავლო, ჳრემც დაიჩემო სხვე-ბის სწავლება.

ერთხელ ერთი ფილოსოფოზი ამბობდა: «უფრო მინდა ბიბლიოტეკა (საწიგნე) ჳყო, ჳრემც თუ წიგ-ნიო. ჳთამც, მსურს უფრო სწავლის გაგონება და შე-ნახვა, ჳრემც სწავლის მიცემაო.

ეცადე რომ უფრო ბრძენი კაცების სიტყჳს კილო და ნათქვამი აწარმოვო ჳრემც თუ გინდოდეს, რომ ყო-

ველდი შენი ნათქვამები მსმენელთ ბრძანებასავით გაიგო-ნონ და მიიღონ.

ჭკჳანი კაცი თვალს გაალებს, და პირს მოკუმამს: უფ-რო თაჳსი გაწაფვა უნდა, ჳრემც თუ სხვათა უმოძღვროს. და თუ თაჳს თაჳს გამორჩენაც უნდოდეს, მუდამ ცდილო-ბს ცოტა პირებთან ილაპარაკოს, და უნდა, რომ ჭკჳა-ნიც იყვნენ იგინი.

გაუფრთხილდი ჭეშმარიტების წინამღდეგად ცილობა-არა ჰქმნა, არამედ ეცადე მუდამ რომ ჭეშმარიტება შე-ნს ამხანაგად გაიხადო, მუდამ გამოუსარჩლდე და დაიცვა ისა, ანუ თუ მაშინც თაჳს თაჳს კეთილ ხვედრში შეირახო-შენ ისა. ჳნც ჭეშმარიტების წინამღდეგ ილაპარაკებს და ბჭობს, ტყვილა გაირჯება, მოიღალება და ბოლოს იძ-ლევა, და სასაცილო გახდება: ანუ თუ ზოგჯერაც სძლი-ოს კიდევაც, სხვა ჯერას მოიგებს რა, თუ არ ცრუ დი-დებასა და იმასაც მოკლე დღისას.

თუ რომ შემთხვევამ მოიტანოს და საჭიროდ გაგიხდეს ბჭობა (ცილობა), ეცადე რომ საბატიურად და მდაბლად მოიქცე, და იმისთანა ლექსები იხმარო, რომ მხოლოდ შენი აზრი წარადგინო და გამოუცხადო. სრულიად იმ სა-ხეს ნუ უჩვენამ. ვითარ თუ მოძღვრობის დარიგება და მფ-ლობელობის ხმარება გსურდეს. მუდამ იმისთანა სახე იხ-მარე, როგორიც ხმარობდნენ რომაელები, როცა რჩე-ვაში უნდოდათ თავიანთი აზრის შეტყობინება, ესრედ იტყოდნენ: «ვბჭობ, მგონია, მე მიჩნს, რომ ეს ესრედ არის». ეს კარგად იცოდე რომ კაცთ არ ესიამოვნებათ მფლობელობითი სახე, და არცაღა უნდათ მაშინვე ადვილად დათანახმება რამეზედა, როცა ნახვენ რომ ჳნმე მფლო-ლობით და მბრძანებლობითი სახით იმ სიტყვას ატანობს და ბჭობს.

ლაპარაკის დროს მრავალი მოლაპარაკე და გაზ[illegible]

მოლაპარაკე ნუ იქმნები, და შენს ყოველს ნასწავლს ერთიან ნუ დაჰყრი: არ იქმნას რომ მალე უდროვოდ შენი საუნჯე გამოცალო: ზოგი უცხო რამეიც სახვალიოდ უნდა შეინახო, რომ საჭიროების დროს ისიც გამოაჩინო. იმდენს საკენკს (ნაწმენდს) დაუყრიან მფრინველებსა, რიერთიც ეყოფათ იმათ მოსანადირებლად.

აგრეთვე ეცადე სრულიად იმისთანა რამეებზედ არ ილაპარაკო, რაც შენის ჭკუჳსაგან მაღალი არის, და რაც შენის ნასწავლთაგანი არ არის. იცოდე, უეჭველად სულ საცინელი გახდები. ამაზედ მოლექსების ნათქვამი მართალი არის:

«მენავემ ქარზედა, მხედარმა წყლულთ ზედა,
მწყემსმა ზროხებზედა, და მეცხვრემ ცხვრებზედა.»

დეე! მენავემ ქარზედ ილაპარაკოს, სოფლელმა ზროხებზედა, მხედარმა თაჳს დაჭრილობაებზედა და მეცხვრემ თაჳს ცხვრებზედა.

ლაპარაკის დროს ძლიერ უნდა უფრთხილდებოდე კვალად მწარე და გულის მომწყლელ სიტყვებსა. ამიტომ რომ ჳსაც იმისთანა სიტყვებს ეტყჳ, ბევრჯერ მოხდება, რომ ის გონებიითგან არ გამოიღებს, არ დაიჳწყებს, თუმც შენ დაჳწყებული გქონდეს. ერთხელ ჩინებული თავადის ერთმა საშურო რჩევაში პირითგან სიტყვა წასცდინა, უთხრა ელისაბედ დედოფალსა. «როგორც სახით, ისე ჭკუჳთა არა ხარ მშვენიერი რჩევაშიო.» ამ სიტყჳს დაჳწყება და ფიქრითგან გამოღება ვერ შეიძლო დედოფალმან. ბოლოს დრო მოჳდა რომ ამ სიტყჳსთჳს თაჳ მისდვა იმ სახელოვანმა თავადმა.

ძლიერ ბრძენი და გამოსადეგი ანდაზა არის: დააბორკლე ენა შენი, თუ არა და იგი შეგაბორკილებს შენო.» ენა შეიკავე, თვარემ იგი შეგიპყრობს შენაო.

ლაპარაკის დროს ეცადე არც დიდითქვა იყო და არც მრავალ მოლაპარაკე, რადგან ეგ საქმე ეკუთვნისთ უგუნურებსა და მხოლოდ უგუნურ მსმენელთ ესიამოვნებათ ეგე და განიხარებენ; მაგრამ ჭკჳან კაცთ კი წვალებას მისცემს მაგნაირი ლაპარაკი და მასთან ზიზღვასაცა.

ეს საქმე კიდევ დიდი ნაკლებულობის და უძლურობის პატრონად გამოგაჩენს შენ, და გამგონთ საზრებინებს, რომ ისე გგონია შენ, როგორც თუ გამგონნიც შენსაჳთ იმ ნაკლებულობის პატრონნი არიან და ესიამოვნებათ მაგ გვარი ლაპარაკი.

ჭხედამ რომ ბევრ მოლაპარაკენი ბევრჯერაც გზითგან გარედ გადიან ლაპარაკის დროს და რა საგანზედაც დაიწყობენ ლაპარაკსა, თითქოს დაიჳწყებენ; რიერთი სირცხვილი არის (რომ ბევრჯერ მოხდება, გჳნახია ლაპარაკში), როცა ერთი გახჯადებით მოლაპარაკე და ბევრ მოლაპარაკეა, უწყობს თავისთან ხლებულთ კითხვას, მოაგონონ, რომ რა უნდა ეთქვა? სად მივედით? სითგან დავწყეთ? და სხვაც. ანდაზა არის, «ჳნც ცოტას იფიქრებს, ადვილად ილაპარაკებს.» ჳნც ცოტა დამფიქრებელია, ადვილად ბევრს სიტყვას პირითგან წაიცდენს. გარკად ლაპარაკი და თან მასთან ბევრი ლაპარაკი, არ შეიძლება, ერთი კაცის საქმე იყოს.

ან გარკვად ილაპარაკე, ანუ ნუ ილაპარაკებ. სიჩუმით ადვილათ შეგიძლია სხვათ ნაკლებულობათების სინჯვა, გაცნობა და შენი ნაკლებულობის გასწორებაცა. მაგრამ კიდევ გირჩევ, ნუ იქმნები ნურც მეტად ჩუმი და ნურცა მეტის მეტად მტრინჯავ. რომ ესეც ცუდი და მავნაღვლიანი ანუ ამპარტავანი ხასიათის პატრონს გამოგაჩენს შენ, რომელი ამხანაგობაში არ გამოგადგება.

ეცადე რომ შენი ნათქვამში სიტყვები მტკიცე იყვნენ და ბეჯითი: არ ჰგავდნენ იმ ნავებსა, რომელთაც აფრები

ფერო მრავალი აქვსთ, ჰრემც ტჰრითები.

შენი ნათქვამში სიტყვების საფუძველი უნდა იყოს ჭკუვა და მიზეზი, ფიქრი, მსგავსად სარკმელისა (ფანჯარა), რომელი სახლს გაანათლებს და განაბრწყენს.

ლაპარაკში უნდა ეცადო, რომ ჭკუჲს ხმარებითა საეჭვო რამები ახსნა და განმარტო, მაგრამ ეს ჭკუაც უნდა იხმარო რომ მარტივ და ცხადი რამეები არ იქმნას საეჭვოდ გახადო.

ლაპარაკის დროს მუდამ უკეთუსია, ჯერ სხვათ ყური უგდო, გაიგონო: ამიტომ რომ სიჩუმე თითქოს ავქს-ონობას მისცემს კაცსა, და ბოლოს შენ ნათქვამ სიტყვებს პატივსაცემელად გახდის.

ლაპარაკის დროს, როცა რამე უნდა დაამტკიცო, დაამოწმო, ეცადე მოძღვარული სახით არა ჰქმნა, ანუ თუ გარდაწყვეტილის სახსით. შენს ნათქვამთ სიტყვებში სისაბატიურე და სიმდაბლე ჭეშმარიტების სამკაულივით უნდა იყვნენ, და მასთანვე ბრალის დაუტეხლობად შენი შემცდარის აზრებისათვს.

ეს კარგად უნდა ჰცოდეთ, ბევრი რამ არის, რომელნიც კარგად არ ჰცით და ანუ თუ სრულიად არ ჰცით. თუ რომ გინდა შეიტყო, თუ რაოდნად ნაკლები ზომის ჭკუვა და მიმხდურობა გაქვს აღმატებულს და მაღალს საქმებში (დავსტოვოთ ახლა ჩვენგან გარედ მყოფი საქმეები), იფიქრე ერთი მხოლოდ ამაზედ, თუ რაოდნად მცირე არის შენი მცნობელობა იმავე შენ საკუთარს თავზედა. რა არის ნეტავ შენი სისხლი? რა ნაირი არიან შინაგანი ნაწილები შენის სხეულისა? რისთვს არიან ნეტავ თითოეული ყოველი შენი ძვლები? შენი ძარღვები? შენი მუსკულები? და სხვაც. არა ვნ არის რომ, როგორც რიგია, იცოდეს ესენი, როგორც აღიარებს ამ ჭეშმარიტებასა ის ჩინებული მკურნალთა თავი გალენოსი.

პროტოგორას ფილოსოფოზმა ცხადად სთქვა, რომ ამ ქვეყანაზედ მყოფი თითქმის ყოველი რამე ჩვენის სრული მცოდინარობისაგან მაღლა არისო.

ვაქებ და პატივსა ვცემ გულმდაბლობასა პლატონ დიდის ფილოსოფოზისასა, დემოკრიტისა, ანაქსაგორისა, ემპეტოკლისა და ახლანდელი ყოველი ფილოსოფოზებისა, რომელთაც ცხადად სთქვეს, ამბობენ და ამტკიცებენ, რომ ქვეყანაზედ სრულ არაფერი არის, რომლისაც ჩვენ სრულად შეგვეძლოს ცნობაო! სად დარჩეს სოკრატი უებრო ფილოსოფოსი, რომელსაც წარმართების ქურუმმან ბრძენი დაარქვა: ამას ჩვეულებად ჰქონდა მუდამ ამ სიტყჳს თქმა, რომ «ეს ბეჯითად ჳცი, რომ არაფერი ჳციო.» ამ სიტყვაზედ არქისილაო ფილოსოფოსს ეს აზრი ჰქონდა, რომ «ჩვენ არ შეგჳძლია კარგად გაგება თუ ნეტაჲ სოკრატს რა უნდა შეეტყობინებინა ჩვენთჳს, როცა სთქვა: «ეს ბეჯითად ჳცი, რომ არა ფერი არ ჳციო».

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ვ.

## ს ი ჩ უ მ ე ს ა და ს ი ტ ყ ჳ ს შ ე ნ ა ხ ვ ა ს ა ზ ე დ ა.

დროს დაგვარ სიჩუმე, და სიტყჳს ფარულად შენახვა; ეს ორნივე კარის ქუსლების მსგავსი რამები არიან, რომლებზედაც დამტკიცებულნი არიან ქვეყანაზედ მყოფი ყოველი დიდროვანი საქმები და ისინიც რა ნაირ განზრახვებისაც რომ შვრებიან კაცნი საქმებზედ. ესენი სრულად ჰგავან ერთს საომარს შეთხრილსა (ლაღუმსა) რომელიც თუ რომ ფარულად არ დარჩება და გაცხადდება, ერთიან უბრალოდ ჩაივლის ყოველი მომზადება და შრომა.

ამისთჳს ის ჩინებული პითაგორას ფილოსოფოსი უბრძანებდა ხოლმე თავის მოწაფეებსა რომ ხუთს წელიწადს სიჩუმე შეენახათ და არ ელაპარაკათ სრულიად, რათა ამ გზით შესძლებოდათ სწავლა თუ როგორ უნდა ფიქრობა და როგორ უნდა ლაპარაკი? ეს იყო იმისი სიბრძნის პირველი გაკვეთილი, რომელსაც თავის მოწაფეებს აძლევდა; და როცა სიჩუმეში ასრე სრულად გაიწაფებოდნენ, მას შემდეგ თავს დაანებებდა რომ დაეწყოთ ლაპარაკი.

ჳნც ლაპარაკით კაცს შეეჩება და აწყენს, გულისპობას იქმს და შეიძლება თავს თავს იმითი ზიანიც მოუტანოს; ხოლო ჳნც სიჩუმით გარდაასტარებს, თავს თავს განსაცდელში არ ჩააგდებს.

რა ნაირი საჩინო და საცთურთავანი საქმეც რომ იყოს ანდაზაა, რომ «ჳნც ჩუმად არის, მტკიცედ არის.» კაცი რომ არ ილაპარაკებს, თითქოსო ბნელში დგდის და ძნელად შეგიძლია იმისი დაჭერა, და ვერც შეგჳძლია როგორც რიგია მისი გაცნობა. ამბობს იგავ: «ბრძენი მუდამ დაფარული არს თავსა შორის თჳსსა.

სიტყჳს ფარულად შენახვა ჭკუჳს გასაღებია და სიბრძნისაც საკუთარი სახლი.

ერთხელ ძლიერ ჭკჳანურად პასუხი მისცა ერთმა იტალიანმა. ამ კაცმა ერთი წიგნი შესთხზა და გამოსცა ერთი ჩინებული თავადის საწინააღმდეგოდ: თავადმან აილო წაიკითხა, ძლიერ გაწყრა და დიდი ფული და საჩუქარი აღუთქვა ჳნც უკან ჩამოუდგება შეიტყობს თუ ჳნ არის იმ წიგნის დამწერი, და რა ვერა შეიტყო რა იმ საგანზედ, რამდენიმე დღის შემდგომ ნახეს ქალაქის მეიდანში ერთს სვეტზედ ნაწერი ესრედ: «ნუ დაეძებ არ შეგიძლიან სრულიად მაგისი შეტყობა თავადო, მაგ წიგნის შეთხზჳს დროს მე მარტო ჳყავ. ანდაზაა: რაც გინდა საქმნელად, სრულ ნურა ჳს განუცხადებო»

პირ დროში კაცი გიჟების რიგში დასათვლელია, რადგან საქმნელსაც და უქმნელსაც დარომშავს. ბევრ მოლაპარაკე კაცის მოშლილ საკრავსა (სანთურსა) ჰგავს.

ისე ოსტატურად გაკეთებული ფარული კლიტები არიან, რომ რიერთიც სცადო და ატრიალო, ჰხედამ რომ ადვილად კი დაიყრებიან, მაგრამ ძნელად გაიღებიან; ასრე უნდა იყოს სიტყჳს შემნახი კაცისა.

სრულ ნუ გააცხადებ შენ იმ საქმეს, სითგანაც შეიძლება შენ სარგებლობას ზიანი მიეცეს, როცა შეატყობენ მას: და რაც შენს მეგობარს სარგებლობას არ მოუტანს გაგებითა.

ისრე აჩვენე შენი თავი, როგორც თუ ჭკუა არ მიგიხვდება შენ იმ საქმეზედა, რომლისაც ფარულად შენახვა უნდა შენს უმფროსსა.

იცოდე, არა ფერი არ არის ისე შენი უმფროსის თვალითგან გამომგდები, და ბოლოს შენი დაქცეჳს მიზეზიცა როგორც ფარულის გარცხადება.

ვინც თავის საიდუმლო რამეს სხვას გაუტყდება, იმისი ტყვე გახდების. ეს საქმე დიდვარიანებში ბევრს არ გაძლებს: რადგან კაცნი მოუთმენელნი არიან და უნდანან თავიანთი დაგარგული თავისუფლების ხელახლავ პოლოთ გატარება. ძველად ლისიმახო მეფეს ძლიერ ესიამოვნებოდა ფილიპიდე მეკომედიის წარმოდგენანი; ერთ დღეს ჰკითხა იმას, რომ რა საჩუქარს თხოულობს იმისგან? უთხრა ფილიპპიდემ: რაც თქვენი მხედველობის მოსაწონია; ოღონდ ფარულად შესანახი რამ არ იყოსო.

არა მაქვს მე იმდენი ოსტატობა რომ შემეძლოს კაცის გულში შესვლა, და არც შემიძლია ისე დიდად დაახლოვება სხვებთან რომ შევძლო იმათი ფარულად შენახულების ძებნა. ამბობენ რომ ერთხელ ერთს ეგვიპტე-

ლის სამსე გოდორი ზურგზედ ეკიდა და მიჰქონდა: ეს ერთს კაცს შეხვდა რომელმანც ჰკითხა იმას, რა არის მაგ გოდორშიო? ჭკჳანური პასუხი მისცა ეგჳპტელმან: «როცა ხედამ რომ გოდრის თავ დაუფარიათ, რაღა მკითხამ შენ იმაში შენახულ რამეზედაო?

ეს ცხადი არის რომ ჩვენ სრულობით არ გვესიამოვნება, როცა ჳნმე კადნიერებას გამოაჩენს და ჩვენს უნებურად დაგჳწყობს ჩვენს ფარულზე კითხვას. ჩვენც მაშასადამე ეს სიფრთხილე უნდა ჳხმაროთ, არა მარტო ფარულისა შესახებ, არამედ სხვა რამეზედაც, კარგი მორიდებულობა არის, როცა ერთს ჳსმეს ქაღალდი მოუდის და კითხულობს, რომ ჩვენ მაშინ იმას ცოტა მოვსცილდეთ. აგრეთვე მაშინაც, როდესაც ერთი მეორესთან ჩუმად ლაპარაკობს. რიშლიო ჩინებულს კარდინალს მიაჩნდა ერთი კაცი, ამისათჳს დაიწყო მისადმი თავისი ფარული საქმეების მინდობა და საიდუმლო რამეების ლაპარაკი, მაგრამ ერთ დღეს როცა ნახა რომ თავის საწერ სტოლზედ დატოებულ ქაღალდებს თვალს ავლებდა, უნდოდა წაეკითხა, მას მერმედ თვალით აღარ გაიჭადა და თავის სიახლოვეს აღარ გაირთვინა.

ეცადე მუდამ კლიტე დაადვა შენს ბაგეებსა: მაგრამ ის სიფრთხილეც გეჭირება რომ გასაღები მუდამ შენთან გქონდეს.

როცა სურვილი მოგივა შენ ლაპარაკისა, ილაპარაკე, ეს ცუდი არ არის, მაგრამ ეცადე რომ მასთან შენი ენაც შენს კელთ იყოს, და მუდამ აფრთხილებდე შენ იმასა იმ ფილოსოფოსისაჳთ რომელიც ლაპარაკის დროს მუდამ იტყოდა ხოლმე: გაფრთხილდი ენავ საით მიჰქენებ? დაჰკჳრდი რა ადგილებში დადიხარ.

არა ჳნ არ იმწუხრებს და არ ინანებს სიჩუმის შენახჳსათჳს; მაგრამ წინააღმდეგ ამისა მრავალთ უმწუხრიათ და

უწანიათ ლაპარაკისათჳს.

ადვილად შეიძლება გაცხადება იმ რამისა, რომელიც ჳნმეს სიჩუმით დაუმალავს: მაგრამ შეუძლებელია კი ერთხელ ნათქვამისა უკან მიბრუნება, ჩაყლაპვა.

ზოგი რამეა რომ უნდა ვჰქმნათ: ზოგი რამეც არის რომ უნდა ვსთქვათ: მაგრამ ბევრიც არის რომ არც თქმა ვარგა და არცა ქმნა.

ჩვენ როგორც გარდასახადის მიმცემნი მსახურნი შევიქმნებით იმ კაცებისა, რომელთაც გავუცხადებთ ჩვენს გულის საიდუმლოებსა.

ბრძენი პიტაგორა ფილოსოფოსის ანდაზა არის: «მერცხალს არ შემოუშვებ რომ ჩემს სახლში საბუდარი გაიჩინოს.»

ამით გვასწავლის რომ ამხანაგობაში მისაღები არ არის ბევრ მოლაპარაკე, და ყბედი კაცი: ამიტომ რომ როგორც თავის საუბარში ზომა არა აქვს, ისეც არ შეუძლია დაფარვა მისდამი მინდობილის სიტყვისა.

არიან იმისთანა კაცნიცა, რომ სრულიად არ გაირჩევიან გატეხილის ჭურჭელისაგან, რომ არა ფერს არ დაიჭერს, რაც ჩასხა გაედინება.

ბევრის სმენა და ფიქრობა და ცოტა ლაპარაკი ბრძენი კაცის სათნოება არის. ამაზედ მოლექსე პოეტი) ჰომერ მართალს ამბობს, რომ «საბერძნეთის ბრძენებში უდიდესნი იყვნენ ისეთი დღეგმირნი, როგორც ოდისეი, ნესტორი და მინელავოსი, ამიტომ რომ ეს კაცები ბევრს ფიქრობდნენ და ცოტას ლაპარაკობდნენ.» ამის წინამდღდეგ თერსიტეს, როგორც უჭკუოს ისე უწერემდა, რადგან ბევრ მოლაპარაკე და ყმედი იყო.

პირ დაუმარცხებელი და უჭკუო კაცი ჰგავს ბეჭედ ატახილს მოკითხჳს წიგნსა, რომლისა ყოველთ შეუძლიათ წაკითხვა.

ბურგონიის თავადი ფილიპე, მრავალჯერ ამ სწავლას აძლევდა ხოლმე თავის შვილს: «დღეს იფიქრე და ხვალ ილაპარაკეო.»

ჭკვიანი კაცი წავა და გონიერების ზეწარ შიგნით ე. ი. სიჩუმეში დაიმალება; რომ სხვს უნახავად შეეძლოს სი-არული. ის ჯნც ბევრს არ ილაპარაკებს, ჰგავს მოხუ-ძველ წიგნსა: რომელს რა გაალებ და წაიკითხავ, შიგ ბევრ კარგ რამებს იპოვნი.

ამ სიტყვს თქმითა მე არ მინდა გითხრა რომ შენ მთ-ლათ სიჩუმის უკიდურესობაზე გარდახვიდე და წარმართთ პოეტების ზღაპარისაჲთ, მეტის მეტი სამსახური მია-გო ანდერონის კერპსა (სიჩუმის კერპს), და მექცევაში სრულიად გასწყვეტო ლაპარაკი. ამისთჳს იმასაც უნდა უფრთხილდე, რომ, არ იქმნას, შენ ზედაც არა სთქვან ის ანდაზა, რაც რომ ერთხელ უთხრა ერთმა ერთს კაცს პირში, რომელიც მეტად მოჩუმარი იყო: «თუ რომ ბრძენი ხარ, ბრიყვ ხარ: და თუ ბრიყვ ხარ ბრძენი ხა-რო.» როგორც ზემოდ ვსთქვთ, ბრიყვ კაცის სიბრძნე არის ჩუმად ყოფნა: ხოლო ჭკვიანი კაცისა, სიბრძნით ლაპარაკი.

ჭკვიანობა იყოს შენს პირველს მცველად: და მალე მა-შინვე ყველა რამის არა რწმუნა გქონდეს პირველს გო-ნიერებად. ფოველს შენის გულის ხვაშიადს ნუ დასცლი, არამედ ნახევრად სთქვ, ისიც თუ რომ ნამდვილს სარგებ-ლობას ჰხედავ. შენს მეგობარს ნუ გაუმხელ იმისთანა რამეს, რაც შეიძლება იქმნას მიზეზად მისი მტრად გა-ხდომისა. შენს საწოლს სადგომში შეგიძლიან შენი მსა-ხური მიიღო: მაგრამ სამწერლო სადგომში სადაც სა-იდუმლო ქაღალდები და რჩევები გაქვს, ნუ გაატარებ: რადგან საზოგადოდ უმეტეს შენი საშიშარი მტრები ისინი გახლდნიან.

საიდუმლოს ფარულად შენახვა კარგი რამ არის და სრუ-ულად არა ჳს არ უნდა გააგებინო ; რადგან ჳსაც კი ენდო-ბი და გაუმხელ იმ საქმეს , მით იმას ხელში იარაღს მის-ცემ შენი თავის დასაქცევათ. იმისი სანდოობა უნდა შეი-ტყო , მიხვდე თუ იმ შენ ფარულზე რა აზრი ექმნება იმას , თუ არა და შენ შენს ქისას რა პირ მოჰკრამ, ის მაშინ თავის პირს გაადებს . ესეც მუდამ დაუვიწყებლად გახსოვ-დეს , რომ ფარული რამები დიდ ხანს არ დარჩებიან ფარულად . იფიქრე , რომ რაოდნად საუბედურო იქმნება შენი სიცოცხლე და რიერთის განსაცდელში იქმნება შენი ბედი , თუ რომ სხვა არაფერზედ ჰქონდეს დამოკიდე-ლება ? გარნა მხოლოდ ერთს წმიდა ძაფზედ : ე . ი . შენის პირითგან ამოსულს სიტყვაზედ , სხვის გულის მოგებისათვის . ამის გამო ორივ თვალი ღია უნდა გქო-ნდეს , ერთი გონივრულად შენის მართვისათვის და მეორე სხვის სათვალიერებლად , და მათგან მორიდებისათვის

## ტ ა ვ ვ ე ფ ო ლ ი ჩ .

### სხვათ წინაშე მიჩნეულობასა და კარგს სახელზედა .

დიდი საუნჯე და დიდი სამკვდრებელი არის კარგი სა-ხელი . ეს ერთის ძვირ ფას კარგ სუნოვან ერბოსა ჰგავს , რომელს არა მარტო ჩვენ დავიმშვენით ზედ ქონჯთა , არა-მედ სადაც წავალთ კარგ სუნს დავაყენებთ იქ და სხვა-თაც ვასიამოვნებთ . ეს არის კაცის სათნოების პირველი და უმთავრესი ნაყოფი .

ერთ დღეს აკვნესელსა ბრძენ მეფეს ევედრნენ რომ ეთ-ქვა , თუ რა გზით შეიძლება რომ კაცმან თავისი თავ ყო-ველთ მისაჩნევ გახადოსო ? მიუგო : რიერთიც შეიძლე-ბა მუდამ კარგი ილაპარაკოს . და რაც შეუძლია კარგი სა-

ქმეები ჰქმნას ხოლმე; და კარგ ნაირად აწარმოვოს ისინი.

მიჩნეულობის ქონვას დამოკიდებულობა აქვს იმათგან ჯნც შენზედ კეთილს ლაპარაკობენ: მაგრამ თუ შენ უზრდელობით მოიფრთხო ისივე მდაბალი წოდების კაცებიც, იცოდე რომ მაშინ იწყობა შენის სახელის მოკლება, იმ დროს როდესაც უფრო მისაჩნევ უნდა გამხდარ იყავ. წინამდღე, ამისა უკეთუ შენის ზრდილობით ყოველნი შეიძინო, და ცდილობდე მუდამ სისრულეს შენის შეძლების დაგვარ, დღითგან დღეზედ მიჩნეულობა მოგემატება სარგებლითურთ და სიმხიარულითა შენითა.

უფრო ადვილი და უფრო უშიშარი გზა კარგის სახელის შოვნისა ის არის, რომ კეთილი საქმენი გქონდეს. ხოლო კეთილ საქმეთაგან სიფრთხილეც გქონდეს რომ გულით და ჭეშმარიტებით მუდამ პატივს ერიდებოდე და აგრეთვე სახელის გავარდნას. იცოდე რომ ეს არის უებარი და ნამდვილი გზა მიჩნეულობის შეძენისა. ამითი შენი სათნოებაც განცხადდება და შენი კეთილი საქმებიც იცნობებიან შენის სარგებლობიანად.

კეთილი სახელის და მიჩნეულობის მქონე კაცების ცხოვრება დაათვალიერე და გამოიძიე ხოლმე: იმათი ცხოვრების მიბაძვით, შენც იმათ რიგში შეხვალ: იკმარე შენთვის იმათში მეორობა მესამობა უფრო, ვიდრემც გლეხებში პირველობა. ერთხელ სახელოვანმა მხატვარის ერთმა განიხილა რა რომ დიციანოს, რაფაელს და სხვა მათ ნაირს ჩინებულს მხატვრების ძლიერ დიდი სახელი დაუმსახურებიათ ქვეყანაზედა კარგი რამების ხატვით, აზრში ჩაიდვა რომ თვითან მდარე და იეფი ფასის რამები ხატოს. ერთ დღეს ამას ჰკითხეს, რომ თვითანაც რათ არ ხატამს დიციანის და მისთანების მიბაძვით კარგ რა-

შენსა? მიუგო, მაკრამ უჩინოდ: «უმჯობრო დიდ დიდებად ვსთვლი მე ჩემთჳს პირველობასა ამ მდაბალ ნახატებში, ჯრემდ მეორობასა სუფთა რამებშიო.

კეთილი სახელის დაგდების შემდგომ, უნდა ეცადო რომ მუდამ ახლად და სუფთად უმანკოდ შეინახო ის: რადგან ეს სიახლე დიდ შემწეობას მისცემს სახელსა და იმავე დაბნელებაზედ მისულსაც, მით მუდამ ახალ ახალი კარგი საქმენი უნდა ჰქმნა ხოლმე შენის სახელის უშიშრად შესანახავად. ეცადე მუდამ ისე მოიქცე, რომ მუდამ სანატრელი იყო ყველასი, მაშინაც როცა ვერ გხედვენ შენ: მზეს მიემსგავსე, რომელიც როცა ჩვენ დაგვეკარგება და ჩავა დაგვამწუხრებს. და როცა ხელახლავ ამოვა, გაგვახარებს ჩვენ. გარნა ეს კარგი სახელი არ უნდა გვნდოდეს ჩვენ ამპარტავნებისა და ამაო დიდების მოყვარულობისათჳს, არამედ იმისთჳს მხოლოდ რადგან კეთილი სახელით მიღებული ჰქმნებით ყველგან და გვექმნება გავლენა ყველასთან, და ამით შეგვეძლება ჩვენ მრავალი კეთილი საქმის ქმნა სადიდებლად ღვთისა და სასარგებლოდ ჩვენი თავისა, მოყვსისა და საზოგადოებისაცა.

დიდ განთქმულობას და სახელის გასულობას ვხედავთ რომ ბევრჯელ დიდი სიმარცხეც მოსდევს. ანდაზაა: «არ წარმოსდგება ნაკლები ბოროტი დიდი სახელისაგან, ჯრემდ სახელის დამცირებისაგან.» ვთამც დიდის სახელის გასვლა და ცუდის სახელის გასვლა, ორივეც თითქმის ერთ ნაირად მავნე არიანო.

დიდი სახელის გასვლა და ძლიერ დიდი მიჩნეულობის მქონებლობა ჰგავს ძლიერს ქარსა და განიერს აფრებსა, რომელი ბევრჯერ ხომალდების დაღუპჳს და ანუ კლდებზედ შელეწჳს მიზეზი გახდებიან.

ათინელების ალკივიად ჩინებულს ძაღლს თუმცა კი დიდი

სახელი დაეგდო თავისი მხნეობითა და თავისი სამსახურითა მამულზედა, მაგრამ მცირეოდე ნაკლებულობა რომელიც მოუხდებოდა მას, მაშინვე მნახველთ და მსმენელთ გული წაუხდებოდათ ხოლმე იმის ღირსებასა და ცხოვრებაზედა.

მაშ ჭკუანობა იქმნება რომ ხანდისხან დიდ სახელსა და განთქმულობასა ფრთები წავაჭრათ, და არ ვაცალოთ ძლიერ გაზრდა, რომ თავიანთ ზომას გარედ არ გაჳდნენ: აგრეთვე ჭკუანობა არის ზოგჯერ დროების მიხედვით ყოველთვის სწავლა და ყოველი შეძლება არ გამოაჩინოს ხოლმე კაცმა. იმ სახელოვანმან ალკივიადმა (რომლის ვრცელ ცხოვრებას ნახავ მშვენიერის რჩევაებით პლუტარხის წიგნში) ზოგჯერ ნებიერად წიწკტი ნაკლებულობანიც ჰქმნა. ამითი თითქოსა მეშურნის თვალთა ფარდა ჩამოუფარებიათ, რომლით რიერთიც შენ მიგაფარებენ მეშურნის თვალისაგან იმდენი შენს მიჩნეულობას ვერას ავნებენ.

არიან იმ ნაირნი კაცნიცა რომელნი თავიანთ მიჩნეულობის თუ ღირსების დასაცველად ანუ მოსამატებლად იწყობენ სხვათა საითოების და კეთილი საქმეების დამცირებასა, მათს სხვების თვალითგან გამოგდებინებას და სახელის გატეხვასა. ცხადი არის, ვისაც იმედი არა აქვს თავისი ამხანაგის კეთილ მოღვაწეობაზედ მიწევნისა, ზუსუნში ჩაუდგება რომ იმას მაინც კეთილი სახელი დაუმციროს. ამაზედ უსჳნდისობა და მდაბალი სულის საქმე არა არის რა ქვეყანაზედ. შენ უნდა ეცადო მაშინ არა თუ ცუდის ლაპარაკით შენს ამხანაგზედ, მისი სახელის გატეხვით და დაზრახვით მიჩნეულობა შეიძინო, რომელიც შეუძლებელია, არამედ შენს მტერზედაცა კეთილის ლაპარაკით. მაშინ ამითი შეგიძლია არა თუ ნაქონი ღირსეულობის მომატება, არამედ უქონელის ღირსე-

ულობასაც მოიგებ.

ესეც უნდა იცოდე რომ მეტის მეტს ქებასაც ჳსმეს კეთილს საქმეზედა, ბევრჯერ მომეტებული ვნება მოაქვს, ჳრემც კეთილი. რადგან იმდენი ქებისა დ აღმაღლებების შემდგომ, ქვეყანას ზოგჯერ ისე ჰგონია დ ჰსჯერა, როგორც თუ ის კაცი უფრო სრული არის, ჳრემც საქმით სჩანს: ბოლოს ოდეს ნახამს რომ თაჳსი აზრის თანახმად არ გამოჳდა, ადჳლად დაუწყებს მას მაშინ პატიჳსცემის მაგიერ შეურაცხყოფასა.

ეცადე შენი კეთილი სახელი დაიცვა: თორემ თუ ერთხელვე დაჰკარგე, მიემსგავსები იმ ნაწერს გარდასულს დ ამოფხეკილს წიგნსა რომელი ერთ ფარათაც აღარ ეღირება: ანუ ბევრი ბევრი, იქმნება რომ მარტო შენის სიკუდილის შემდგომ მოგიგონონ. მიჩნეულობა დ კეთილი სახელი იხელს ჭიქასა ჰგავს, თუ რომ ერთხელ ჩამოვარდა გატყდა, აღარ შეგიძლია შენ იმისი ხელახლავ გამრთელება.

მიჩნეულობა, დროება რომ გავა თუმც კარგი საქციელით კიდევ შეიძინება, მაგრამ იშვიათად შეუძლია პირველი ძალის კელთ გატარება ხელახლავ, ერთხელვე თუ დაეცა, არას დროს არ შეიძლება კარგად აღდგინება მისი. ერთი სიტყჳთ სახელ გატეხილობას წამალი არ აქვს.

ძლიერ ადვილი საქმე არის ცუდი სახელის შეძენა, ამიტომ რომ კაცნი ძლიერ ადვილად ყურს მიუგდებენ ცუდ სიტყვასა, რაც სხჳს დასამცირებლად ითქმება.

კაცის სამოქალაქო ცხოვრება ზღვასსა ჰგავს: ამ ზღვაში მგზავრობა ძლიერ საცთუროვანი რამ არის, რადგან სავსე არის დიდროვანის კლდოვანებითა, რომლებზედ წავა დ ადვილად მიეხლება ჩვენი ღირსეულობა დ ბევრჯერაც დაიღუპება.

მაგრამ რაც უნდა იყოს შენ შენს კერძოდ დიდი მოს-

წრთავება და დიდი ცდა იქონიე, რომ დაიცვა შენი ღირ-ებულობა და მიჩნეულობა, რაც შეგიძენია შენის სათნო-ებითა და სხვა მშვენიერის სისრულითა და კეთილი საქმე-ბითა მაინც დაბალი კაცის წინაშე, რადგან უმფრო სარ-გებლობას მოგიტანს შენ უმეცრებში ბრძნად და სათ-ნოდ მიღებულობა, ჯრემც მეცნიერებში: რადგან ძლი-ერ მრავალნი არიან პირველნი უფროს ბოლონდელთა.

იულიო ცეზარს, იმ სახელოვან კაცს თაჳს თაჳს კანო-ნად დაედვა, რომ დიდროსნებში მეორე იყოს, არა-მედ დაბალ ხალხში კი პირველი იყოს.

რიერთიც მეტი ცდა და რიერთიც მრავალი მოსწრაფე-ობა ჰქონდეს კაცს თაჳსი სახელის და ღირებულობის და-ცჳსათჳს, იცოდეს რომ ბევრი არ არის; რადგან კაცის ღირებულობა არ წახდება უზიანოდ რომელსაც ვეღარ აიცილებს.

კაცს მომეტებულად უდიდესი სიმარცხე არა აქვს უფროს ამისა, ოდეს თჳთან ერთი დიდ სახელოვანი და დიდად გან-თქმული კაცის მონაცვლედ დაჯდების: და უდიდესი სიბ-რიყვე არ არის უფროს ამისა, როცა თჳთ ამ საქმისა-თჳს წინ ეჩრება და ცდილობს ამ საქმეს. ერთ დროს ერთი ხელოვანი მშჳლდოსანი კაცი დიდის ქების ღირსი იქმნა; როცა ეს მხნე კაცი დიდ ალექსანდრესთან წარა-დგინეს, ჭკუჳთ მოიქცა და არ ინება მაშინ იმ თაჳსი ხე-ლოვნების გამოჩენა კეისრის წინა; რადგან შეშინდა, არ იქმნას, ერთს წამში დაჰკარგოს ის დიდი სახელი, რომელიც თჳთან იმდენის შრომით თაჳს მრთელს სი-ცოცხლეში ძლივ მოეგო; რამეთუ უმფრო ძნელი არის გატეხილის ხელახლად გამრთელება, ჯრემც მრთელისა ახლად და სუფთად შენახვა.

კარგი სახელი და მიჩნეულობა ცეცხლსა ჰგავს, რომე-ლი სანამ ანთია ადჳლად შეინახება; მაგრამ თუ დასტო-

ებ, რომ ჩაქრეს, არ შეგიძლიან ისევე ანთება მისი, თუ არ დიდის შრომითა.

ბრძნული არაკი არის: «ერთ დღეს ცეცხლი და წყალი გადგნენ ერთად სამგზავროდ; და უნდოდათ სიყვარულით მუდამ ერთმან ერთან ამხანაგობა და დაიწყეს რჩევა ერთმან ერთში, რომ ნეტავ რა გზით უნდა შეიძლონ ერთი ერთის პოვნა, თუ რომ შემთხვევით ერთმან ერთი დაჰკარგონ? მოუბრუნდა ცეცხლმან უთხრა წყალსა: შენ იქ შეგიძლია ჩემი პოვნა, სადაც კვამლს ნახამ. წყალმაც უთხრა ცეცხლსა: შენც ყოველს მჭაობს და ჭოჭნარ ადგილებში შეგეძლება ჩემი პოვნაო.» ქარნა მიჩნეულობა და კეთილი სახელი მუდამ ჴმა მაღლა გვძახიან: «კარგად გაიფრთხილდი რომ ჩვენ არ დაგვკარგო: რადგან თუ ერთხელვე დაგვკარგე, იცოდე რომ მერედ ველარ შეგეძლება ჩვენი პოვნაო.»

ეცადე მაშა სადამე ყოველის სიბრძნითა დაიცვა შენი მიჩნეულობა და შენი კეთილი სახელი, რადგან ერთი მხოლოდი საქმე კმარა რომლითა ერთ წამში გაუტყდება კაცს სახელი, რომელიც მრავალი თვლის მოწურჯთა ძლივ შეუძენია მას მრთელს სიცოცხლეში.

ბ ა ვ ვ ქ ი ლ ი ჵ.

## ტრაბახობისა და გამომჩენებლობისა ზედა.

როცა ჳსმეს ვნახამ რომ ტრაბახობით სავსეა, დიდ დიდებს ლაპარაკობს, ვერ შევძლებ სიცილის შეკავებას, და მომაგონდება უთუოდ ბუზის არაკი. ერთ დღეს ბუზი გაქცეული ურმის თვლის ჩუნდზედ დაჯდა და იქ ტრაბახობით იწყო მაღალის ჴმით ძახილი: «ნახეთ, ნახეთ ჩვენებით რიგორც მიწას და რიგორას მტვერს ვადენთ,»

ასე არიან ის კაცნიცა სწორედ, რომლებსაც მარტო თავიანთი თავი მიაჩნიათ და დიდად სთვლიან და თუ რომელსამე საქმეშიც ცოტა ოდენი თითი ჩართონ, იწყობენ უჭკუობით ამაყობასა, თითქოსო მრთელი საქმე თჳთან თავს გაიტანეს. ეს არის იმათი მხნეობის სიმარჯვე და ამოდენაა მხოლოდ იმათი ყოველი ნაყოფი.

ვისაც თჳს თავს მოყვარულობა აქვს, საზოგადოდ მისი ჟილდო ეს არის, რომ ყოველნი შეურაცხჰყოფენ იმასა. ჯნც თჳს თავს აქებს ყველასთან შეურაცხყოფილი გახდების. თჳს გამომჩინებლობას ორ ნაირი სიბოროტე მოაქვს: ერთი, რომ თჳს თჳს საზიზღარს გახდის, მეორედ, რომ სხჳს შურს აღძრამს და ჩამოიმტერებს სხვას.

ერთხელ სპინოლა, მთელი ისპანიის სამხედროს მხედართ მთავარი და ორანჟი თავადი ოლანდიზების მხედართ მთავარი, დიდი მტერი იყვნენ ერთმან ერთისა. ორანჟი საკიცხავად სპინოლას ეუბნეოდა, რომ შენი წინა პარი ვაჭრობით წამომდგარა და ერთის სასწორით არ აიწონება და არ გაიზომება თავადი და ერთი ვაჭრის შთამამავალი. პასუხი გაუგზავნა სპინოლამ, რომ ვაჭრის შჳლს უფრო დიდი დიდება და პატივ ექმნება, როცა თავად აზნაურთ ზედა ბრძანებელი იყოს, ჯრემც სახელოვანს თავადსა, რომელს მხოლოდ ვაჭარი ქვევრდომად ჰყავს.

ერთ დროს ხელოვნებით საზოგადო სალდაპი (ყასაბი) ისე გამდიდრდა გადიდკაცდა რომ მრავალი ადგილები იყიდა და აზნაურობის წოდებაც დაიმტკიცა; სიკვდილის შემდგომ შვილები დაშთა, და ტრაბახობდნენ ესენი მეტად თავიანთ აზნაურობაზედა. ერთ დღეს ესენი ტახტის აზნაურთან ლაპარაკის დროს ძლიერ აქებდნენ თავიანთ სახლობის არმასა (ბეჭედსა). მაშინ ჰკითხა იმ ტახტის

აზნაურმან, რა არის თქვენი სახლობის არმაო? უთხრ-ეს ანთებული სანთლით. მაშინ მიუბრუნდა ის აზნაური და უთხრა იმათ: ეგ მოკიდული სანთელი იცოდეთ სხვა არა არის რა, გარნა მაღლად აბზეკილი ფურის კუ-დით.

ვისაც კარგი და მტკიცე მდგომარეობის ქონვა უნდა ამ ქვეყანაზედ, უნდა ეცადოს, რომ თაჳსი საკუთარი ღვა-წლით შეიძინოს ისა, ჳრემც ნათხოჳს სახელითა, ქრთა-მით და ანუ პატიჳთა.

მრავალი მოლაპარაკე, და ტრაბახი ჰგავს სწორედ დაფუს და ზურნასა, რომელი დიდ ხმაურობას კი გაიღებს: მა-გრამ თუ შიგნაგან ნახო, სრულიად ცარიელი დაგიხვდება.

ამბობდა ფილოსოფოსის ერთი: «მე ჩემს აზნაურ-შჳლობაზედ არ მინდა დავიქადო ეგჳპტელებივით, და არ-ცა რა ბჭობაში შევალ არკადიელებთანა, რომელნიც ამ-ბობენ მთავრისაგან ჩვენ უმთვრო ძველის ძველი გვარნი ვართო; ჩემთჳს ჩემი კეთილობა და სათნოება არის ჩემი აზნაურობაცა, დიდებაცა და პატივცაო.

რომელთაც რომ სხვა კეთილი საქმე არ ექმნებათ და იწყობენ ტრაბახობას მარტო თაჳანთ აზნაურობაზედა და თაჳანთ წინა პაპებზედ, სწორედ იმ კაცს ჰგვანან, რომელზედ დაცინჳთ სწერდა აბიდენო პოეტი: «ეს კა-ცი ცარიელს თეატრში ზის მხიარული, მღიმარი ტაშს უკრავს და ისე ჰგონია, თუ კარგი პოეტების დაწერილს ლექსებს ისმენდეს.» როგორც ერთხელ კალჳსიოს მდი-დარი კაცი მეცნიერ და სწავლულ კაცებთან ადგომით დაჯ-დომით, ჰგონებდა, რომ თჳთანაც ძლიერ სწავლული კაცი იყოს.

არიან ქვეყანაზედ სხვა ნაირი კაცნიცა; ამათ ფიქრში ჩაუდჳათ ჳთამ თჳთან არიან მარტო სხვათადმი გარდაწყ-ვეტილების და ბრძანების მიმცემნი, და მხოლოდ თჳთა

არიან ყოველნი მეცნიერების პატრონნი, მაგრამ ეს უნდა ჰცოდეთ რომ ბრძენებში ის არის ყველაზედ უფრო ბრძენი, ჰსაც ფიქრში ჩაუდვა რომ ნაკლები სწავლა აქვს, ჲ გიჟებშიც ის არის დიდი გიჟი რომელსაც ფიქრში დაუძს რომ თჳთან უმფრო მეტი იცის ყველაზედა.

არ შეჰფერის კაცსა რომ თავს მცოდინარობაზედ გაამპარტავანდეს, ძველი მწერლის ერთი სწერს, გვეჭირება ჰცოდეთ, რომ უდიდესი ნაწილი ჩვენი ნაცოდნის ჲ ნაქონი ხელობაების სხვებისაგან გვსწავლია ჲ სხვებისაგან მიგჳღია. ხელოვან ბაბაჭუას ჩვენთჳს რთვა ქსოვა უსწავლებია, მერცხალს სახლის აშენება უსწავლებია, იადონს (ბულბულს) გალობა. ჲ კვლავ სხვებისაგანაც მკურნალობა გვსწავლია. კრიტის კუნძულზე როცა თხები მონადირის ისრით დაიკოდებოდნენ, წავიდოდნენ მოსძებნიდნენ ფერფერულა ბალახსა ჲ იმითი წყლულს გაიმთელებდნენ: როცა რკუ იქედნე გველს შესჭამს, წავა იპოვნის გურგანის ბალახს ჲ იმით გაიწმენდს მუცელსა: ვეშაპი თვალს მოილესამს რეზნითა: ჲ წეროები შინაგანს გაიწმენდვენ ზღჳს წყლითა.

ვინც არა სცნობს რომ ცოტა სწავლა აქვს, იმისთანას ძლიერ ცოტა სწავლა მიუღია.

თუმც ცოტა რამ მიჩნევაც გქონდეს შენის თავსა, იცოდე რომ სხვების სულ არ მიაჩნდები. გამომჩვენებლობა მართალია თუმც გვაქებს ჩვენ ბრიყვების წინა, მაგრამ ბრძენებთან კი შეგვარცხვენს ჩვენ.

ანტიგონო ჭკვანს მეფეს მხოლოდ მაშინ შეეძლო დაიმედნეულობა თავს საქმეზედა, როცა ზენონ ბრძენი ფილოსოფოსი კარგს მოწმობას აჩვენებდა ხოლმე.

ადრე პოეტის ერთი ერთ დღეს პოეტურ სიმღერებს ადგენდა მარტოდ მარტო პლატონ ფილოსოფოსთანა. როცა გაცინვა დაუწყეს ამას სხვებმა, უთხრა: «მე მარ-

ტო პლატონს უმივრო დავსთვლი, ჯრეცმ ერთიან მრთ-ელ ათინელებისა.

რომელნიც ტრაბახობით სავსენი არიან, იმისთანები ჭკჳანების თვალში შეურაცხყოფილნი არიან, ბრიყვების განმაკჳრვებელნი, მუცელ მათრევალების კერპნი და თაჳ-ანთი გამომჩვენებლობის ტყვენი. ამისთანები თაჳანთ ნაქმნარებს ყველას გარედ გამოიტანებენ და აჩვენებენ ისე, როგორც საზოგადო მხატვრები თაჳანთ ნაბღარჯ-ნახატებს გამოიტანებენ, და გლეხ კაცების წინ დაუკიდებენ სანახავად, რომ გაუკჳრდესთ.

ერთხელ არისტოტელ ფილოსოფოსის წინ ერთი კაცი მეტად იქადნიდა თაჳს სამშობლო ქალაქის სიდიდესა და სიმშვენიერესა ზედა. მიუბრუნდა იმას არისტოტელი და ეს სიტყვა უთხრა: « მარტო მანდ ნუ ათავებ შენს სიტყვასა, არამედ დადეგ ცოტაც დაფიქრდი, თუ მართლა ღირსი მოქალაქე ხარ შენც იმისთანა დიდის და ჩინებულის ქალაქისა? »

როცა ერთი კაცი თაჳსი თავის მოწონებით გაბერილია, და თაჳსი გამომჩვენებლობა თაჳს კერპად გაუხდია, მისთანას არა ჳსი მორიდება არ ექმნება და არცა ჳსამე პატივს სცემს.

ერთ დღეს ნახა არისტოტელმან ერთი ვაჟკაცი რო-მელი რეერთიც თავ მხედი იყო, იმდენადაც ბრიყჳ და არა-ფერი იცოდა, უთხრა იმას: « ძმაო, მე ძლიერ მსურის იმ ნაირი ყოფილ იყავ რაც შენ ფიქრში გიძევს, და არ ყოფილ იყავ იმისთანა, როგორც ნამდვილად ხარ. »

სოკრატ ბრძენმა ფილოსოფოსმან ნახა, რომ იმ ჩინებულს ალკივიადს მომეტებული სიამპარტავნით დაეწყო დიდი ტრაბახობა თაჳს სიმდიდრესა და თაჳს მამულებზე. ერთ დღეს აიღო მოიტანა სოკრატმან ამის წინ ერთი ატლასი (ქვეყნის მოხაზულობა) და უთხრა იმას იმ ატლასში ეპოვნა სად იყო ატტიკვენი, საბერძნეთის

თემი? როცა იპოვნა კვლავ უთხრა, მაშ აწლა მაჩვენე ატიკვენში სად არის შენი მიწები? რომლისაც უპასუხა ალკივიადმა, რომ ის ჩემი მამულები ამ ატლასში გამოყვანილი არ არიანო: მაშინ მიუბრუნდა სოკრატი და უთხრა იმას: «მაშ სიამპარტავნით რადას იქადი იმ რამეზედა, რომელიც ამ ქვეყანაზედ რამე ჩინებულ ნაწილს არ წარმოადგენს?»

ვისაც თავ მხედობა სძლევს, იცოდე ბევრჯერ მოსტყუვდება. ძველად იგურდა მეფემ დიდი სახელი დაიმსახურა: ამიტომ რომ ბევრ საქმეს არიგებდა და თაჳს თავზედ კი სრულ არას ფერს იტყოდა ხოლმე. ამ გზიით სანამ ცოცხლულობდა მეშურნების კელისაგან გარდარჩა, და სიკვდილის შემდგომაც მოადგილეთა მისთა დიდი პატივ მისცეს, და დიდროვანი მისაგებლები მიაგეს.

კეთილი და ბრძენი კაცებისგან მოწონება საკმაო მისაგებელია ჩვენი ყოველი კეთილის საქმებისა. ტაკიტი ისტორიკოსი (მომთხრობი) სწერს რომ რომის ჩინებულს მხედართ თავს აგრიკოლას, თუმც მრავალი მხნეობა და სამსახური ექმნა რომის საკეისროსთჳს. მაგრამ იმ საქმებით სრულ არ გაამპარტავნდა თაჳსი სახელის განთქმულობასა ზედა, არამედ მუდამ მის უწინ ყოფილი მასზედ ჩინებული კაცების მოგონებითა თაჳს თავს დაიმდაბლებდა ხოლმე. ძლიერ გონივრული კანონი არის ეს განზრახვა კაცისთჳს თაჳსი თაჳს ზომაში დასაჭერად.

ყოვლად აღმატებულად დაითვლება კაცობრიობაში სისრულის მქონე კაცი: მაგრამ ორ წყევად აღმატებულია ის კაცი, ჳნც თაჳს სისრულეებს თაჳსში ინახამს და ტრაბახობით სრულ არას ჳს არ გაუცხადებს. იმისთანა კაცი იმდენად ღირსია სიმართლით სხვებისაგან ქებისა, რიერთიც რომ სიმდაბლითა თაჳს თავს იფარამს იგი.

სრულიად არა კაცი არ არის კმაყოფილი თაჳს ხუედრის ზედა, თუმცა კარგი ბედნიერი მდგომარეობაც ჰქონდეს; და არა კაციც არ მოიძევს, რომ მომდურავ იყოს თავისი ჭკუჳსა, თუმცა უსრული და უძლური ჭკუისაც იყოს.

როცა ერთს ჳსმეს მსახურობას უწევდე, სრულიად მოუფრთხილდი, რომ მოქადულობა არ აჩვენო იმ საქმეს ზედა. ამიტომ რომ წინამდღეგად მოქცევა, დაუმეჯრთე-ბელ მეგობარს, ბეჯითად მტრად გახდის.

ქვეყანაზედ სრულ არა არის რა, რომელმან ეგრედ სა-ჭებურად გახადოს ჩვენი ნაქონი სისრულენი, როგორც სისაბატიურე და გულმდაბლობა.

შენს დიდროვანს საქმებზედა სრულიად მოქადულობას ნუ ამოუშვებ შენის პირისაგან; ეს რამე თჳთ საქმესაც დაამცირებს და გამკეთებელსაც სასაცილოდ გახდის. ეს-ეც სრულ გახსოვდეს, რომ ქორ მამინოებში რომელ-თაც უღონო ფრთები აქვსთ, საზოგადოდ ისინი უმფ-რო მაღლა ფრინვენ. შენ შენთჳს საკმარად დასთვალე დიდი საქმის ქმნა; და იმაოთზედ ლაპარაკის რიგი სხვებს დაუტოვე.

დიდსული კაცი უმფრო ცდილობს, განკჳრვების ღირ-სი საქმის ქმნასა, ჳრემც თუ დადგეს და იმასზედ გან-კჳრდეს.

მისთანა კაცნიც არიან რომელნიც დიდ დიდებად და დიდ პატივად დასთვლიან, თუ რომ თავიანთი დროების კაცებ-ში თითოით საჩვენებლად მიღებული გახდებიან. მაგრამ იქამდინაც რომ მიწევნილნი გახდნენ, უნდა იცოდნენ რომ მაშინ ის იმათი მდგომარეობა იქმნება ამ ქვეყნის საოცრებაების ნაირი, რომელნი რიერთიც საოცარნი არიან მნახველთათჳს, ისეც საშიშრნი და საზიზღარ-ნი.

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი . თ .

## ს ჯ ა ს ა ზ ე დ ა , კ რ ი ტ ი კ ა ,
## დ ძ რ ა ხ ვ ა კ ი ლ ვ ა ს ა ზ ე დ ა .

დიდად სასურველი იქმნებოდა ჩუმთჳს, თუ რომ ეს მშვენიერი გაკვეთილი ძლიერ საჭირო არ ყოფილ იყო ჩვენის გვარისათჳს უფროს სხვა გვართა ზედა. მაგრამ მე მგონია რომ სხვა გვარებისაგან უფრო ჩვენის გვარისთჳს საჭიროა. რადგან ჩვენი გვარი თაჳსი ძმის სისრულესა, წინ წასვლასა, გადიდკაცებასა ზედა, დ სხ. შემურვებისა დ არ გახარების გარდა, კიდევაც ცდილობს რომ სახელი გაუტეხოს მას, დაუმციროს დ წაუხდინოს. ეს წარმოსდგება სამი რამისაგან: ერთი უზომოთავ მოყვარეობისაგან, მეორედ მოყვასის სიყვარულის ნაკლებობითგან, დ მესამედ უჭკუობისაგან; ამიტომ რომ ჰგონია სხჳსი თაჳს დაძლევით თჳთან ამაღლდებოდეს რომელიც შეუძლებელია, როგორც ქვემორე ნათქვამებითგან შეიტყობა.

არიან კაცნი, რომელნიც მშვენიერ ნოხს (ხალიჩას) რომ დაინახვენ, იწყობენ თვალიერებასა, გასინჯვენ გამოიძევენ უფრო იმის უკუღმა პირის დ ნაქსოვ ქსლის მსხჳლ ძაფებსა, ჳრემც კაი პირის დ მშვენიერს მოყვანილ ნახატ ყვაჳლებსა. აგრეთვე ამისთანებს უკეთუ მცირეოდენი ნაკლებულობის პოვნაც რომ შეეძლოსთ კაცში, ისე ჰგონიათ როგორც თუ მარტო ის ნაკლებულობა კმარ იყოს მისი ყოველი სისრულეებაების დ დიდების დასაბნელებლად, ძლიერ ჭკჳანურად სთქვა ამაზედ ერთმა მოლექსემ:

«სადაც რა ბრწყინავს სინათლით ერთიან დიდი ნაწილი:

ვერ დააბნელებს სიმართლით მას ცოტაოდენი ბრძჳლი.

ქ. ი. როცა ერთს ჴსმ̃ზედ მრავალ სისრულეს ვნახამ იმისი მცირე ნაკლებულობანი მე გულს არ წამიხდენენო.

რადგან მეც მრავალი ნაკლებულობების პატრონი ვარ, მით სხჳს ნაკლებულობის სჯაში არ შევალ, არ მინდა სხვა გავლანძღო იმ შეცდომილებისათჳს, რომელი ჩემ-შიც არის. აგრეთვე არ შემიძლია მოითხოვა ჩემის მო-ყვასისაგან რომ ყოვლად სრული იყოს, ამიტომ რომ მე ჩემ თავსაც ვხედამ რომ სისრულე არ მაქვს.

გონიერი კაცი მარტო თაჳსი საკუთარი სათნოებისა და კეთილ მოქმედებისაგან ასწონს თაჳს თავსა: არა თუ იმითი რაც კეთილი სჯა სხვათ აქვანან მას ზედა.

ბევრჯერ განკჳრვებული ვშთები როცა ვფიქრობ, რომ ბუნებითად კაცს თაჳს თაჳ ძლიერ უყვარს და ბოლოს ნა-ხამ, რომ თაჳს თაჳს კუთვნილს კეთილობასა ზედა სხ-ჳს აზრს უფრო ჰყურობს, ჳრემც თაჳს ნამდჳლს აზრსა. მე არ ვამბობ, რომ ჩვენს ნაკლებულობათა ზედა სხჳს რჩევას არ უნდა მივხედოთ მეთქჳ: რადგანაც კაცი თაჳს ნაკლებულობას თავ მოყვარობით, ან არა ჰხედამს, ანუ არ უნდა დანახვა, ანუ დააპატარებს მას: არამედ ვამბ-ობ, რომ, როცა შენ შენს შინაგანს გაიცნობ, რომ არა ხარ კეთილი, რაღათ გიხარიან შენზედ სხვების კე-თილ სჯაზედა? ეს ის სიტყვა არის, რომელიც ბრძენმა პავლე მოციქულმან სთქვა: «არა ჳნ არ იცის კაცისა, გარნა მხოლოდ სულმან კაცისამან, მას შინა მყოფმან.

ვისაც თვალი თაჳს ნაკლებულობათა ზედა დახუჭული აქვს, მისთანას თვალი სხვებისაზედ მუდამ ღია არის: მუდამ ჰხედამს და ასამართლებს, და მუდამ ზრახამს ჰკი-ლამს. ეს ის შეცდომილობა არის, რომ თუ ერთხელვე კაცი მიეჩვია, ველარ მოიშლის, თუ არ ეგება სხვების

სიკვდილის შემდგომ. ერთხელ ერთ კაცს ამბავ მოუტანეს, რომ «ამა და ამ სახელ განსულმა მზრახავმა კაცმან შენზედ კეთილი სთქვაო.» მიუგო: «მე ჩემს სიცოცხლეზედ სანაძლეოს დავსდებ, რომ უთუოდ ამ მზრახავს სიდამცალა შესმენია ჩემი სიკვდილიო, რადგან იმას ცოცხალ კაცზედ არ შეუძლია კეთილის თქმაო.»

ვინც სცნობს რომ მისი სახელი დაუმცირებიათ ზრახვთა, და სხ. მაშინ უნდა დაივიქრდეს თავს თავზე და სთქვას ან ღირსი ჰყავ იმ სახელის დამცირებისა, ან არა, უკეთუ ღირსი ჰყავ, მაშა სადამე სამართლიერად გარდამხდენია თავსა, და მორჩება მოისვენებს; თუ ღირსი არ ვიყავ, მაშ აბა უსამართლობა მომიხდა უბრალოდ, და ამითი მე ბრალიერად არ დავთვლები, და ამასაც გაუშვებს გაათავებს.

როცა ჰსმეზედ რამე ნაკლეულობას ნახამ, მისი მიხედვთა ისარგებლე და გაისწორე შენი ნაკლებულობა, რაც შენში გეგულება. და როცა ჰხედამ რომ სხვები მრუდს გზაზედ დაიარებიან, მაშინ შენ შენს თავს ასრე შეეკითხე ხოლმე: «ნეტავ მეც იმ გზისა ვარ თუ არა?

ძველად ერთს კარგ კაცს სთხოვეს, რომ კრებაში მისულ იყო და სამართალი გადაეჭრა ერთის პირისთჳს, რომელიც ბრალ ქვეშ ჩავარდნილ იყო. ადგა, წავიდა ეს სათნო კაცი, მაგრამ თან წაიღო ორი ძირ გარდგეული ქჳშით სავსე ტომარა, ერთი დიდი და მეორე პატარა მხარზედ გარდაკიდული დიდი უკან და პატარა წინ. ქჳშა გასდიოდა წინ და უკან და ამ რიგობით შევიდა კრებაში. რა ნახეს ეს, ჰკითხეს რომ რას მოასწავებდა იმ რიგი მოქცევა? უთხრა: «უკან გარდაკიდული დიდი ტომრიდგან ნაპნევ ჩემი ცოდვები არიან, რომელსაც მე ვერ ვუყურებ; ხოლო ჩემს თვალ წინ პატარა ტომრიდგან განადენი ჩემი ძმის ცოდვები არიან, რომელსაც მე ვხედა-

შრო. » ეს გაიგონეს თუ არა, შერცხვათ, და კრებას დაიოვანტა.

ჩვენ სხვეების ნაქონეჯ მიჩნეულობისაგან დამოკიდულება გვაქვს. ჭეშმარიტება შორი ადგილებითგან მგზავრობით მოდის და გვასხლოვდება, რომელიც სრულ ნამდვილი და სუფთა, როგორიც რომ დასაწყისში არის, იშვათად მოაწევს ხოლმე ჩვენამდინ; ამიტომ რომ გზაში შეხვდენილი ვნებაებისაგან სხვა ფერს მიიღებს და მაშინ ის ჭეშმარიტება ჩვენ ან მოგვეწონება და ანუ არ მოგვეწონება: იმის დაგვარად თუ სასარგებლოთ ანუ მავნებელი სახით არის ის შემოსილი.

საზოგადოდ კაცნი თაჳანთ გაგებას და თაჳანთ სამართალს გაზომენ და გარდასწყვეტენ, თაჳანთი სიბოროტის საწყეოთი და საზომითა. მით იცოდე რომ ჳნც უმფრო მეტად ისჯებიან და იჩანგრებიან, მუდამ არ არიან ისინი ეგზოომ მეტად ბრალიერნი. სხვების ნაკლებულობაების მსინჯავ, გამასამართლებელ და მზრახავ მკიჟავ კაცთა დიდ წილსა ჰხედავ, რომ თჳთან უმფრო ან უარესნი არიან, ანუ ბევრს არ გასწევს, თჳთანაც კელ ფეხითა იმ ნაკლებულობაში ჩავარდებიან.

კვალავ რომელნიც დიდ დიდი ნაკლებულობების მპატრონნი არიან, იმ თაჳანთი ნაკლებულობაების დასაფარავად და ანუ იმათ ზედ ლაპარაკის ნების და დროს მიუცემლობისათჳს, თჳთან იწყობენ სხჳს მცირე ნაკლებულობაების გადიდებას, და ალაპარაკებიან. მაგრამ ეს ყველა რადგან გაუგნებელი გზები არიან, ამისთჳს ბოლოს თჳთანვე სასაცილო გახდებიან. ეს კარგად იცოდე: სხჳს სახელის გამტეხი რო ვერაფერს ისარგებლოებს ამას გარდა, სახელიც დაუმცირდება ქვეყანაზედა, ამიტომ რომ მისი ნაქმნარი კილვა ძლიერ მდარე სულის საქმე არის.

ერთს ჴსმაზედ რომ რამე გაიგონო, ეცადე მაშინვე, მალე არ დაერწმუნო, რადგან სიცრუვე მუდამ წინ მავალის, ჵ ჭეშმარიტება თუ სიმართლე იმის უკან მიმდევარი. მუდამ მე კარს ღიას დავსტოვ მეორე ჯერ ჵ მესამე ჯერ გასაგონლად იმ პირველ ჯერ გაგონილისა. ამ კანონის გარედ საქმის ქმნა ძლიერ საცთუროვანი რამ არის. იცოდე რომ სიბოროტე ამ ნაირს რამეებში ბევრ ჯერ კაცს მოატყუებს: ჵ აგრეთვე ბულ ბოროტ კაცთაც მრავალ ნაირი ფერის მიცემას შეუძლიათ იმ შენი ნარწმუნეჳ რამისადმი.

არ შეიძლება იყოს იმისთანა უცოდო კაცი, რომელზედაც აჳ რამე არ ილაპარაკონ. ჵ არც იმისთანა უსამართლო აჳ კაცი იქმნება, რომ თაჳსი მომხრე კერძი კაცი არ ჰყავდეს. კაცის მიჩნეულობა ჰგავს ზღვას ანუ წყალსა, რომ წვრიმალ მსუბუქ რამეებსა პირზედ მოიგდებს ატარებს: ხოლო დიდს ჵ მძიმე რამეებს ქვეშ ჩაიტანს დაღუპამს.

პირველად დიდი მოადგილეობა ჵ დიდი გამოცდილება გვეჭირება, რათა მერმე სხვებზედ ჵ იმათ ცხოვრებაზედ კარგი ჵ სწორე სამართალი ვქმნათ.

ძლიერ ძნელი საქმე არის რომ კაცი სხჳს ლაპარაკისგან ჵ სხჳს განსამართლებისაგან სრულიად განთაჳსუფლდეს: გარნა ისე ძნელი არ არის, რომ სხვებმან იმის ნაქმნარი საქმე არ მოიწონონ. ჵ რათა რომ სხვათა მოიწონონ კაცი ჭკუით ჵ გონივრულად უნდა იქცეოდეს: ჵ იმათი ენისაგანაც მოსარჩენლად თაჳსი სიცოცხლე ერთიან უმანკოდ უნდა გაატაროს თჳნიერ ცუდი რამ საქმის ქმნისა. გარნა ნახამ რომ იმის მერმედაც კიდევ არ შეუძლია სრულიად გადარჩენა სხჳს ლაპარაკისაგან.

განიზრახე თუ რამდენი ტყჳლდებიან თჳსანთ გადაჭრილს სამართალში, როცა ერთს ჴსმეს სამართლე-

ბენ. ძველად დემოკრატე ფილოსოფოსს თაჳს დრო-
ების კაცთ ნაქმნართ ზედა ბევრჯერ გაცინჳსათჳს, იცი
თუ რამდენ ხანს გიჟად სთვლიდენ! და აგრეთვე როგორ
დაიღალნენ აღრინდელი ჭკჳანი კაცები, რომ ღირსეუ-
ლად მიეჩნევინებინათ ქვეყნისთჳს ის ბრძენი სოკრატი!
გვალად ის დიდი ფილოსოფოსი პლატონიცა რიერთს
ხანს ქვეყანაზედ, როგორც სიბნელეში ისე დაშთენილი
იყო, და არ კითხულობდნენ იმის წერილებს, რომელმან
იმოდენა დევნულობაც გამოიარა, იგოდენჯერ დაისაჯა,
და მისი კეთილი საქმე სრულიად ვერ გაიცნეს, გარნა
მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ.

მაშ ნურაჳნ თაჳს საკუთარს კეთილს საქმეზედა უზო-
მოდ ნუ გამოიჩენს კადნიერებასა; რადგან ჩვენზედ უმ-
ფრო ჭკჳანი კაცები დაჳწყებაში მიეცნენ ამ ქვეყნისაგან
და სიბნელეში დაშთნენ. ნუცა ჳნ ზომის გარედ თაჳს
საკუთარს სჯაზედა დაბჯენილი დაშთება, ამიტომ რომ
ჩვენზედ უფრო ჭკჳანებიც მოუხდათ შეცდომა და მო-
ტყჳლდნენ.

განა შეგიძლია მიჩვენო მე, ისეთი ბედნიერი კაცი,
რომელმანც შეიძლოს თაჳსი თაჳ მთელ ქვეყანას მოა-
წონოს? და ჳნ იქმნება ისეთი სრული კაცი, რომელს
შეეძლოს სხვების ენის აღჳრის ამოდება?

ათინელებს სიმონიდე ის ჩინებული პოეტი, არ მოს-
წონდათ, კმა მაღლა მოლაპარკობისათჳს. თებაელთ პე-
ნიკოლა, სახელოვანი კაცი, არ მოსწონდათ ბევრის
ფურთხვისათჳს. კართაგენელები აჳს ლაპარაკობდნენ თა-
ჳანთ იმ განთქმულ მხედართ მძღვანს ანნიბალზედა,
რომ სულ გულ გადაღელილი რად დადისო? იმისთანა
კაცებიც იყვნენ რომ დასცინოდნენ იულიო ცეზარსა თა-
ჳსი სარტყლის უშნოდ შემოკვრისათჳს.

ფოკლიოვერში ჰენ სხჳებზედ კრიტივის მიცემის წინად

შენი თავი კარგად გამოიძიე, და კარგად დააკჳრდი ამ საქ-
მეს, არ იქმნას ყოველმა ვაჟკაცმა და ყოველმა მოხუცე-
ბულებმა გამხილონ: და არამცა ისე დაგძრახონ შენ იმ
პოეტმა როგორც დასძრახა ერთი მკურნალი, რომელიც
თავის წყლულებ დალებულ სხეულს არ სწამლობდა და
სხვების განკურნება კი უნდოდა. უთხრა «როდისაც
შენ მაგდენად თვალთ არ გიჭრის რომ ახლო შენი წყ-
ლულები დაინახო, შორს რაღა დაგანახებს სხვის წყლუ-
ლებისაო.»

არ მინდა სხვების არც გასამართლება, არც შეურაცხ-
ყოფა და არც დაბეზღება: და არცა მინდა ჩამოდგომა შე-
ჰტყო რას შვრება ჩემი მეზობელი? მხოლოდ მე ჩემის
თავსას ვნაღვლობ, რომ კარგი ვყო, და მარტო ჩემი
ნაქმნარები გამოვძიო და გავსაჯო, რათა კარგი და სწო-
რე იყვნენ.

როცა რასმე კარგად ვერ ვხედამ, ბრალის სხვაზედ
გარდატანის წინად, მე ჩემ თავად ვწყობ გამოძიებას,
დაკვირვებას, რომ ნეტავ ამ ნაირ საქმეში ოდესმე მეც
ბრალიერი ვყოფილვარ? ამისობით მე ყოველის ჩემას
გაგონილითგან და ყოვლის ნანახისგან შევძლებ კარგის
ნაყოფის გამოღებასა, და ჩემს ნაკლებულობაებს სხვის
ნაკლებულობაებისგან გავსწორებ.

ერთის კაცის შეცთომილებამ მეორე კაცს თვალი უნდა
გაახელინოს. ამისთვის ძველად ერთი საზანდრის ოსტა-
ტი თავის მოწაფეებს აგზავნიდა ხოლმე ერთ უშნო-
კმის მქონე მოსიმღერესთან, რომ წასულ იყვნენ გაე-
გონათ. კარგი ავსაგან გამოერჩიათ და იმ ნაკლებულო-
ბას ასცილებოდნენ.

კაცი ხის მსგავსი არის, რომლის ხილი არ შემომწივ-
დება, სანამ თავსი განსაზღვრილი დრო არ მოვა. მაშა
სადამე როგორც შენ სანამ ჭაბუკი იყავ, გინდოდა რომ

შენს ნაკლებულობაზედ თვალი მოერიდებინათ, არ გამ-სამართლებინეთ, არ დაეძრახეთ, არამედ ცალკე გაე-წურთინეთ, ავრეთვე ახლა რომ სრული წლოვანებისა ხარ მოხუცებული ხარ, შენც იმ სახით მოიქეც შენგან წვრი-ლებთანა: ცალკეთ გასწურთნე ხოლმე, მოუცადე ხილის შემოსვლასა და კუხეს ნუ მოსწყვეტ. დღის რაჟობა სადა-მოთი გაირჩევა და გამოცხადდება, და კაცის ცხოვრებაც მისი დაჭერილის გზით და ყოფა ქცევით.

სრულიად ნურა კაცის გამსამართლებელი და დამძრახვე-ლი ნუ იქმნები, მეტადრე როცა იმ კაცს ვერ იცნობ. უმფრო ეშმაკური ცოდვა არის კარგის თქმა ავ კაცზედ, ჳრემც აჳს თქმა კარგ კაცზედა.

იცოდე რომ გამსამართლებელი და მძრახავ კიდეჳ კაცი ყოვლის კაცისაგან უმფრო გასამართლების და დაძ-რახჳს ღირსია. ამიტომ რომ როცა ჳნმე კელს მი-ჰყოფს სხვების დაძრახვასა, მაშინვე სხვებს სიმართ-ლეს მისცემს, ეგონოსთ, რომ მაშა სადამე თჳთან უმფ-რო სრული კაცი არის იმაზედ, ჳსაც სჯის და ასამართ-ლებსო: მით იმისთანა კაცი მოვალე არის რომ მუდამ თვალი გაალოს და ყოვლის სიფრთხილით თაჳს საქმეს და ცხოვრებას ყოველთჳს კარგად დაჰკჳრდეს და გაის-წოროს.

სხვათა ნაკლებულობის გამოძიების და გასამართლების მაგიერად, მხოლოდ შენს თავზედ თვალი გეჭიროს, და შენი ნაკლებულობანი გაისწორე. მიებაძე ბრძენს სო-კრატსა: ერთ დღეს ამას სთხოვეს, ერთი კაცის შეთხზ-ული წიგნი, აელო, გამოეძია და სჯა მიეცა. აილო, წაი-კითხა, გამოიკვლია, რაც გაიგო მოეწონა, და ბოლოს ე~ პასუხი მისცა: «მე ამ წიგნში რაც ვერ გაჳგე მგონია რომ კარგად იყოს დაწერილი, და რაც გაჳგე საკმაოდ საქებურია.» ჭკჳანი კაცის სჯა ასრე უნდა იყოს.

ავზნეს და შეცდომილებას რომ ვნახავ სხჳსას, მაშინ მე ჩემს ნაკლებულობაზედ ჳფიქრებ და დავსჯი, არა თუ ვაყვედრებ სხვასა, თუ მხილების მოვალეობა მექმნე-ბა, ვამხილებ კი მას ძმურად, მაგრამ იმ ნაირ გუ-ლის მომკვლელ საყვედურს არ უზამ, ჳნც რომ იყოს: რადგან ჳცი რომ მეც ბევრჯერ ღირსი ვყოფილ ვარ იმისთანა მხილებისა.

როცა ყურში ჩამივარდება რომ ეს და ეს კაცი რამე ნა-კლებულობას მწამებს, ანუ თუ ჩემზედ ცუდს ლაპარა-კობს, თუმცა მაშინ ცოტა გულის აღშფოთება წარმოს-დგება ჩემში, მაგრამ ვეცდები რომ კანონისაებრ გო-ნიერებისა და სიყვარულისა მოთმინებით გარდავატარო. უნდა ჳფიქრო იმ დროს რომ ის სიტყვა რადგან მეორე პირითგან ყურში ჩამცდენია, მით ძნელად შემიძლია რწ-მუნება: ხოლო თუ მართლა ულაპარაკნია, მაშინ ფიქრ-ში გავატარებ, მაშა სადამე ის მთქმელიც შემცდარა, ანუ თუ დაუფიქრებლად პირითგან სიტყვა წაუცდენია, ანუ თუ ჩემის სარგებლობის გულისათჳს უთქჳს, რომ სიტ-ყვა დამშვიდეს.

მოთმინება წამალია ყოველ ნაირის აჳს სიტყჳსა. ერთ-ხელ ძლიერ მშვენიერი პასუხი მისცა ერთმა დარბაისელ-მა მოხუცმა კაცმან: რა ჰკითხეს ამას, რომ როგორ მოახერხე რომ მაგდენ დიდ ხანს ხელმწიფის პალატში სულ მუდამ თვალთ უჯევ ყველას და საყვარელი იყავ? მიუგო: «მით რადგან მოთმინებით ვსწევდი ჩემს წი-ნამდღეგად ნაქმნარს და ნათქვამ სიტყვებსაო.»

ვინც თავს ჳნაობას აწონს თავისი ნამდჳლი სჳნდისის ცნობითა და არა თუ სხვებისაგან მასზე კარგის შეხედუ-ლობითა, იმისთანა სრულიად გასამართლებისა და ზრახ-ვა კილჳს პირს არ ნახამს.

როცა ჩემზედ ბოროტს რასმეს ილაპარაკებენ, მე მა-

შინ ასრე მოკლაპარაკებ ჩემ ფიქრში: მე იმ კაცს სიტყჳთა ცუდი კაცი არ გავხდები, როცა ჳცი რომ მე ბრალი არა მაქვს დ ისინი უბრალოდ ლაპარაკობენ. ხოლო თუ მართლა ბრალი მაქვს დ ლაპარაკობენ, ვეცდები მაშინ რომ ჩემი თაჳ დ სიცოცხლე გაჳსწორო: მუდამ თვალ წინ წარმოვიდგენ ალმასის თვალსაცა, რომელსა თაჳს ბრწყინვალების ჟამს არ ენაღვლება მასზედ ჳნც რა უნდა სთქვას, წამხდარიაო ეს, ანუ თუ ტყჳლი ალმასიაო. დ როცა ჩემი წმიდა სჳნდისი მე უბრალოდ მსახამს, სხვა გამაუპატიურებელი სიტყვებს არ შეუძლიანთ ჩემი ანდვრევა დ აღშფოთება.

მართალია, სიბოროტეს შეუძლია ჩემზედ თაჳსი შხამის გარდმოსხმა: მაგრამ გარდმოსხმით არა ჳთარი ზიანის მოცემა შეუძლია ჩემთჳს. რა სახელის გატეხვაც უნდა იყოს, რა ძრახვა კილვაც უნდა იყოს, სხვა არა არის რა, თუ არ ერთი მსუბუქი შემოკვრა ჩვენს ტანზედა; მაგრამ ესრეთი შემოკვრა საზოგადოდ უფრო ძლიერ უკუ ჰკრამს დ ეცემა შემომკვრელ პირსა: ანუ თუ ერთი ისარია ვსთქვათ, რომელი ჰაერში ასროლით მაშინვე უკან დაბრუნდება დ ისევ დედა მიწაზედ დაეცემა.

სრულიად ნუ რა ჳსზედ ავს ნუ ილაპარაკებ, რადგან თუ მაგ საქმეს კეთილ კაცს უშვრები, უსჯულოება არის; ხოლო თუ ავ კაცს, მაშინ უფრო გმართებს იმისთჳს ილოცო.

ენას ნუ წაიგრძელებ, კეთილი კაცის სახელის სავნოდ ანუ სახელის გასატეხავად. ერთხელ ორი ახალგაზრდა კაცები ავს ლაპარაკობდნენ დიონესიოს მეფეზედა, მის მძლავრობის თავობაზედ: გაიგონა დიონესიომ, გაუგზავნა მოიპატიჟა, მიიწჳა ისინი თაჳს ტაბლაზედა. როცა ესენი სჭამდნენ სვემდნენ, თჳთან გულ ხმიერად უყურებდა, ათვალიერებდა: ნახა ისინი, რომ ერთი ძლიერ

გაღწიერად იქცეოდა, რაც პირზედ მოადგებოდა, ჰმ-ბობდა, ლაპარაკობდა: ეს ისევ თაჳს უფლად გაუშვა უკანვე, ლოთიასი სიქვა. მაგრამ მეორე რომ ნახა ძლიერ გარე მოხედული და ფრთხილი სჩანდა და ძლიერ ზომიერად მსმელი, ეს მოაკვლევინა, როგორც დაფარული კაცი, საეჭო და გამცემელი.

ერთ დღეს ჰკითხეს ზენონ ფილოსოფოზსა, უკეთუ უსამართლოდ რამე ცილი შეეწამათ შენთჳს, ნეტა როგორ მოიქცეოდით? მიუგო: «მე მაშინ იმ ელჩიჳთ მოვიქცეოდი, რომელს პასუხის მიუცემლად უკანვე გააბრუნებენ.»

სახელის დამცირებაც სათნოსა და მართალს კაცს სრულიად იმ საქმეს უზამს რასაც ზღვას, როდესაც ასწიო-ჭურჭლით წყალი და ზღვაში გადაღვარო. სციპიონ-ერის რომაელ მხედართ მძღვანსა, დიდი სიკეთეები ჰქონდა ნაქმნარი: ამის საწინამღდეგოდ გამოჳდნენ პეტილიო და კიუნტო და იწყეს საზოგადოების წინ ნაირ ნაირის ბრალიერობითა შესვრა მისი. იწყო იმანაც, როგორც თუ არა ფერი ესმოდეს, მოთხრობა თაჳსი სიმხნისა. «ამა და ამ დღესა, მე შევები და ვსძლიე იმ მხნე ანიბალსა; იმაზედ გამარჯვებით კარქედონის დიდი ქალაქი ერთიან დავამორჩილე რომაელებსა. ახლა მე ამ გჳრგჳნით ავდგები წავალ, რათა მსხვერპლი შევსწირო კაპიტოლიის ტაძარში და თქვენგანს, ჳსაც კი მოსწონს ჩემი გამარჯვებანი, შეუძლია მას დამაგჳრგჳნოსო.» ეს სთქვა, თუ არა, გზას დაადგა, წაჳდა და სრულიად არც კი შეისადარა თაჳსი მტრებისაგან და მეტადრე იმათი დაბეზღებებისაგან.

არაფერი არ მეზიზღება მე ისე, როგორც, როცა ვხედამ, რომ ერთი ჳნმე ჳცდაზედა აჳს ლაპარაკობს მორიდგან ზურგს უკან. ერთ დღეს აღამემნონ მეფემ ნახა

თაჳსი დაქირავებული ერთი მხედარი, რომელიც ავს ლაპარაკობდა დიდს ალექსანდრეს ზედა; აილო შუბი წასჯგულიმა იმას და უთხრა: «მე შენ მხედრად მიმიღიხარ, რომ ალექსანდრეს ეომო, და არა თუ სძრახევდე შენ იმასაო.»

როცა ვნახამ რომ ჳნმე ავს ლაპარაკობს ჩემზედა; მე არ გამოუსარჩლდები ჩემს თავსა, არამედ ამ ნაირ პასუხს ჳკმარებ, იმ ჩემზედ მოლაპარაკეთ არ იციან ჩემი სხვა ნაკლებულობანი; თუ რომ სცოდნოდათ, ასე ცოტათი არ გაათავებდნენ.

სრულ არა ფერი ეშველება ავს ენასა: ყოველი მკვეთლი ხმლისაგან უმფრო მჭრელია: მე უმფრო ჳრჩევდი საზარელი და სასაშიშრო გველებისათჳს მივეგდე, ჳრემც თუ განრაზიანებული აჳ ენისათჳს. მაშ ისე ილაპარაკე, რომ ყოველი შენი ნათქვამი საბატიური იყოს და კარგი, და ბოროტ ავკაცზედ ნურა ფერს ილაპარაკებ: რადგან თუ რომ იმის სიშორის დროს ილაპარაკო, ეგრეთი მოქმედება მეტად მდაბალი (ლაქა) კაცის საქმე არის, რომელი სხვას ზურგს უკნითგან დასწყლულამს, დაჭკოდამს. ხოლო თუ პირში უთხრა, გულის მოკვდის გარდა, მრავალ დაბრკოლებასაც მოიტანს.

როგორც კეთილ მოლაპარაკე კაცი კაცს სიკეთეს უზამს, ესრეთვე ავად მოლაპარაკე და მძრახავ კილაჳ, დიდი და გამოსული ქურდიჳთ, კაცს უმფრო ძჳრფასს და უმფრო საყვარელს რასმეს წააგლეჯს და მოჰპარამს, ე. ი. კეთილს სახელს: მით საუკუნოდ არ შეუძლია შეინდოს სანამ არ გაუმრთელებს სახელსა.

იცოდე კაცთ ისე ჩაუძსთ თაჳანთ გონებაში, რომ თაჳანთ ასალები ვალისაგან უფრო ნამეტნავს ღირსნი არიან. ამ მიზეზისათჳს მაშა სადამე არ არის სხვა უკეთესი საშუალი იმათ შესაძინებლად, თუ არ კეთილი ლაპარაკი

მით ზედა. კაცი ახალი სახის მახინჯი ცხოველი არის: და ყოველი ცხოველებისაგანაც უმფრო თაჳს მოყვარული ცხოველი არის.

გაშინჯულა, გამოძიებულია, რომ ქვეყანაზედ საზოგადოდ, რომელთაც უფრო ცოტა დვაწლი აქვსთ და უფრო ცუდის ხასიათის პატრონნი არიან, იმისთანები უფრო მეტად ჩამოდგომილნი არიან, რომ სხვათ მიჩნეულობა დაუმცირონ და სახელი გაუტეხონ. მაგრამ სიყვარული მავალიანებს მე, ფიქრში ისე ჩაჳდვა, რომ მაგ საქმის მქმნელნი შვრებიან მაგას არა იმდენად ბოროტობისათჳს, არამედ რათა თჳთან კეთილ მოღვაწე კაცის სახელი შეიძინონ. (თუმც ეს შეუძლებელი საქმე არის). მით, როცა ჰხედავ რომ ერთი ჳნმე ავს ლაპარაკობს შენზედა, ნუ გაჰყვები სრულიად, არამედ ეცადე შენ ისეთი კეთილი ყოფა ქცევით ცხოვრება გაატარო, რომ შენზედ ბოროტ მოლაპარაკე კაცებს არ ჰქონდესთ გავლენა. ამის გარდა ესეც იცოდე, რომ მრავალნი კაცნი არიან, ავს ლაპარაკობენ, იმისთჳს, რომ კეთილს ლაპარაკს არ მისჩვეჳან.

შენი თაჳს უცოდველობა გქონდეს შენ როგორც ფარი, რომელი მაგარის ციხესავით უწინაღმდეგებს, როცა ავ გულის კაცნი წამოგესევიან შენ. მაგრამ შენი გონიერებაც მოითხოვს, რომ მუდამ თან გქონდეს ხუთოცა (ფანზიერი) წინაღმდეგად შხამიანისა და ავად მოლაპარაკე ენებისა.

ეცადე ყოველის ღონის ძიებითა, რომ შენ შენის მხრით მიზეზი არ მისცე აჳ ენის მოლაპარაკეთა, და ეს გქონდეს შენ პირველ ძლიერ ხუთოდ იმათ წინაღმდეგად. ეცადე აგრეთვე რათა შეაყვარო შენი თავი ყველასა, რადგან არა კაცი არ არის, რიერთიც მდაბალი და შეურაცხის მდგომარეობისაც იყოს, რომ არ შეეძლოს მას გა

ჩიავე რომ ერთს დღეს დიდ და ძლიერ მტრად გაგიხდეს შენ .

მუდამ ღია უნდა გქონდეს თვალები : რადგან ავ გუ-ლი კაცებითა და აგრეთვე უგუნურის კაცებით სავსე არის ეს ქვეყანა და ორთავეს დიდროვანი ზიანების მიცემა შე-უძლიათ . მოუფრთხილდი შენს წინ მავალს ზროხასა ; მოუფრთხილდი შენს უკან მავალს ჯორსა ; მოუფრთ-ხილდი ავად მოლაპარაკე ენასა , რომელს მარჯვნივ და მარცხნივ აული ხართ შენ .

თუ რომ ას კაცთან ზრდილობით და სიყვარულიანის მოპყრობით გული მოგიგია , და მარტო ერთის კაცის გული დაგიკოდია , იცოდე რომ იმ ერთის უფრო შეუძ-ლია გახდეს მიზეზი შენის დაქცეჳსა , ჳრემც იმ ას კაცთ შეეძლოსთ შენი დაფარვა . მით თუ შენის თაჳს უშიშ-რობა გინდა ამ ქვეყანაზედ , ეცადე , რიერთიც შეიძლება ყველას მოეწონო ; ეცადე რომ , ასრე ვსთქვათ , ყველას მიასესხო , რომ ყოველნი შენი მოვალე გახდნენ . ეს ქვეყანა იმისთანა წულა არის , რომელში ყოველ ნაირი ჴელის საწყოები იშოვებიან : ეს ჴელ საწყოებიც მხო-ლოდ იმ კაცმან იცის და შეუძლია ხმარება , ჳნც რომ ქვეყანას გაიცნობს და მისი პატრონი გახდება .

## ბ ა კ ვ ე თ ი ლ ი .

## გ ა ნ რ ი ს ხ ე ბ ა ს ა ზ ე დ .

ჭკჳანი კაცი ჰგავს იმ დიდს ხელმწიფესა, რომელს თაჳსი სახელმწიფო და თაჳსი სამფლობელო თაჳს შიგვე აქვს; მასში ჭკუა და სიტყჳერებაედ მბრძანებლობს , რომელი რო-გორც დედუფალი ზის ტახტზედ კჳერთხი ჴელთ უპყრია და ყოველნი თაჳსნი ვნებანი (მოითხოვნილებანი) ქვეშევრდო-

შიშით ემორჩილებიან იმას მსახურივით : თუმც, თითქოსო მისი სამფლობელოს საზღვარი მცირე არის, მაგრამ მისი ხელმწიფობა მეტად ჩინებული და სახელოვანია; და უფრო ვრცლად მიდის და მიიფინება ჯრემც იმ მეფის მფლობელობა, რომელიც აღმოსავლეთით დასავლეთამდე და ჩრდილოეთითგან ჯდრე სამხრეთამდე უფლობდეს. მშვენიერი სიტყვა არის ის ძველი ბრძენების სიტყვა: «უფრო ვრცელი სამფლობელო გექმნება შენ, თუ რომ შენს ავზნებს სძლევ, ჯრემც თუ აფრიკას ამერიკის თემებთან ერთად შეერთებითა ჰფლობდე.»

ვნება (ყინი) მრისხანობა და სიტყუერობა ჩვენს შინაგან როგორც ერთს ქალაქში, ერთმან ერთის პირდაპირად საჩხუბრად გამდგარან, და რაერთმც რომ ერთმან ანუ მეორემ გაიმარჯოს, იმდენად ჩვენც კეთილი ანუ ბოროტი შეჯქმნებით.

ვინც თავს ვნებას ( ყინს ) თავს ქვეშ მოიქცევს და სძლევს, მაშინ ის უფრო ძლიერ დიდებულს ძლევას შემოსჯლებას იზამს, ჯრემც მაშინ ოდესაც თუ თავსი დროშები გამარჯვებით წაელოს და დაესოს აზიისა და აფრიკის მეტად შორს ქალაქებში, და იმისთანას სახელი და დიდებულობა უფრო მაშინ გადიდდება; ჯრემც როცა ჩინებულს ტომებსა და გამჭრიახ გვარეებს მორევნოდეს.

რომაელების ფაბი დიდს მხედარს ერთჯერადაც არ შეეძლო მორევნა იმ ჩინებული მხედართ მთავრისა ანნიბალისა, თუ რომ წინად მას თავს თავ ზედ არ გაემარჯვებინა.

ძველად იმ მხნე მხედართ მთავრეებს და მეფეებსა, რომელთაც მრავალი ტომები და ხელმწიფეებანი დაეჭირიათ და დიდროვანი ურდოები აეწყვეტიათ, მოუსრიათ, გხედავთ, რომ ბოლოს კი თავიანთი ვნებაებისაგან ძლეულან ისინი და დამარცხებულან; რადგან თავიანთ მხრით თავიანთ

ზედ ძალა არ მოუხმარიათ და ვერც წინ დასდგომიან იმ ვნებაებსა.

თუმცა დიდმა ალექსანდრე კეისარმან ქვეყანა დაიპყრა და მისი უფალი გახდა, მაგრამ თჳს ვნებაებს კი მსახუ-რად და ტყვედ გაუხდა.

როცა მშვენიერს რიგში ჩააწყობ და გააწყობ ამ შენს ვნებაებს, და როცა შენი ჭკუვა და სიტყჳერება იმათ კარ-გს ზომას მისცემს, მაშინ ისე საყვარელად, ისე შინა-ურულად და ტკბილად გამოგიჩნდებიან შენ ესენი, რო-გორათაც (ვითარცა ძველი არაკია) ტკბილად გამოუჩნ-დნენ იმ მხეცთ ფრინველებს და იმ ბრაზიან მხეცებს ის ჴმა, როცა ორფეოს ძველი მოლექსის გალობას გაიგონებ-დნენ ხოლმე და იმისი ტკბილი ქნარის ჴმის ყურის მიგ-დებითა სიამოვნებდნენ.

შენ ამ გაწყობილი და გარიგებული ქვეყნის ერთი ნაწი-ლი ხარ: არ მინდა რომ შენის ვნებაების ურიგობამ და უკანონობამ ამისი ტკბილი გალობა გარყვნას და წაახ-დინოს: რადგან შენ მაშინ იქმნები ამ მშვენიერს საკ-რავში, როგორც ერთი მიუყოლებელი და წამხდენელი ძაფი გინა მართული.

შეჰკრიბე ოქრო, შეჰკრიბე ვეცხლი რიერთიც გინდა; აღაგე შენობაები, ამართე პირამიდები შენის პატივისა-თჳს, თუ რომ შენ შენის სულის ურიგობაებს რიგში არ შეიყვან, თუ რომ შენს მაწვალებელ და გამტანჯველ უსარ-გებლო ზრუნვა ნაღვლებს შენის თავთგან არ მოიცი-ლიებ, მაშინ სხვა არა ფრის მქმნელი იქმნები შენ, თუ არ მომტანი მრავლის ღვინისა და დიდს სნეულობის ხიცხეში ჩავარდნილი კაცისათჳს დამალევინებელი.

შენ ვნებაებს მაშინ დაიმონავებ და დაიზავთებ, რო-ცა ალჳრს ამოსდობ და მოიმზნობ იმ შენს სურჳლებ-სა და ნატვრებსა რომელნიც ურიგონი და ცუდნი არიან;

ხოლო რომელნიც მათგანნი კარგნი არიან, ისეთ რიგად განაზომიერებს იმათ რომ მას შემდგომ სხვა არა ფრის ნატვრა არა ჰქონდეს, გარნა მხოლოდ მისი, რისაც თა-ჳს თავად საქმებსა და ბედის უმტკიცობაებსა უნდოდესთ მოცემა შენთჳს; მაგრამ არ დაივიწყო ესეც რომ მუდამ სასწორის ერთს თვალში იმედი დასდევ ხოლმე, და მეორე თვალშიც შიში. ამიტომ რომ ჭკვანმა კაცმა თანასწორ-ედ იმედის ქონჳთა და შიშის ქონჳთა, თაჳსი თაჳ სრულია-ად ბედის კელში არ უნდა ჩააგდოს თაჳსი ბედნიერების მოკლებისათჳს და ანუ მომატებისათჳს.

უმფრო დიდი მთავრობა და უმფო დიდებული ხელმწი-ფობა ამ ქვეყანაზედა თაჳსი თაჳსა და თაჳსი სურჳლების კეთილად მართვა არის. და ეს არის ძლევა შემოსჳლება და გამარჯვებაცა სიბრძნისა.

მე სრულიად არ მინდა ჩემი მტერები ჩემზედ განვახა-რო და იმათ ვაჩვენო, შევატყობინო, რომ მრისხანების ვნებას ჩემზედ უუფლია. მრისხანებისაგან ძლეული სუ-ლი, ძლიერ ჭკვანურ სიტყვებსა და მიზეზებსაცა ყურს აღარ ათხოვებს, არამედ ერთს მხარეს გასდევნის იმათ და თაჳსთჳს აირჩევს და შეინახავს უფრო ცუდს და უჭკუო ფიქრებსა და გამოსატულობაებსა. ამისთანა სული ჰგავს ერთ წმიდა სამტკიცავსა, რომელიც პატიოსანს და სუფ-თა ქბილს გაიდენს და მხოლოდ მსჯლს ანამტკიცსა თა-ჳსთჳს შეინახავს.

ჭკვანი კაცები თაჳანთ ყოვლს სურჳლსა, თაჳანთ სიტ-ყჳერობას უქვევრდომებენ ხოლმე მუდამ.

ჩვენს ყოველს ვნებაებში მრისხანების ვნება უფრო უმსგავსო და რიგ გარედი ვნება არის: რადგან სხვა ვნე-ბაები, თუმცა გვებრძვან, გვძლევენ და გზის გარედ და-გვარგვენ ჩვენ, მაგრამ მრისხანება არა მარტო თაჳსკენ გჳტაცებს, გჳზიდებს და მიგვჰყავგვართ ძალის ძალად

არამედ თანვე მძლავრობით მიგვაფრენს და გვასწრაფებს რომ ჩვენ, არა თუ მარტო ჩვენი თავი დავაქციოთ, არამედ სხვანიცა. ეს ვნება ბევრ ჯერ ერთ რასმეს მეორის მაგიერად აიღებს, მიეჯრება და ძალას ატანს უცოდოსა როგორც თუ ცოდვილი იყოს, და მსუბუქ ბრალსაც აიღებს და გარდააკეთებს ერთს დიდ და მძიმე ბრალად. ეს ვნება დაუფიქრებლივ პირითგან წაცდენილს სიტყვასაც გარისხამს დიდის პატიჟებითა, მაგალითად შებორკილებითა, დატყვევებითა, ცემითა, სახლის გატეხითა და ზოგჯერ ჳდრე სიკვდილითაცა. კაცს დროებასაც არდარ მისცემს და საშვალს, თავისი თავის გამართლებისასა: სრულიად დაფიქრება არდარა აქვს და არ გაიკითხამს არც მეგობარსა და არც მტერსა: აურდაურევს ყოვლისფერსა, და მუდამ ჩხუბსა და ბრძოლაში აგდებს კაცებრივს ბუნებასა.

როცა ერთს ჳსმეს ძლიერი მრისხანების ვნება მოსგლოდეს, მაშინ მიბრუნდი და შეხედე შენ იმ კაცსა და მაშინვე ნახავ მას ზედა ყოველი ბრაზიანი მხეცების სახე სურათსა. თუმც ამბობენ ვეფხჳ ძლიერ ბრაზიანი მხეცი არისო, მაგრამ ამ ფიცხ ვნებაში მყოფი იმისგან უმფორო ბრაზიანია. თუ რომ ამ ვნებაში ერთი ჳნმე ამას შეეხოს, ვაჲ მოუვა! ნახავ მაშინვე საშინელს რამებსა: მაშინ შორს დარჩებიან იმასთან ის საზარო მხეცებიცა რომელთაც ვეტყვით ცეცხლ მბერვალსა, რომელნიც მუდამ ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიან; შორს დარჩებიან ის საშიშარი კორიანტელი ქარებიცა, რომელს გრიგალს ვეტყვით, რომელიც მთელს ოკიანეს აღაქოთებს; შორს დარჩებიან ის ჯოჯოხეთის სულებიცა, რომლების ერთის შეხედვით კაცს ნაღველა გაუსკდება!

როცა ძლიერ მრისხანების ჯავრი მოგივა, მიბრუნდი ერთი და სარკეში გაიხედე: იქ ნახავ რომ სისხლი სიბრაზისაგან ბგდუღებია, თვალებისაგან ცეცხლი გამოგ-

ლის, ამა აგზნურძგვნის, სახე-სურათის მდებარეობა შეი-ცვლის, ისე რომ მარტო მაგ შენი საზიზღარის და სა-ძულველი შეხედულობითა თვით შენც შენგან შეგეშინ-დება და შეგეზარება.

ძლიერ კარგი წამალი, რაც მიჰრთვა ამ სნეულობის სი-ფიცხის წინააღმდეგად ის არის, რომ რაც შეიძლება შენ-ვე შენი თავი შეიკავო და შენი გული დაატკბო; იმ დროს ეს საქმე შენს სულსაც დაამშვიდებს, და იმისთანა მშვენიერს მდგომარეობაში შეგინახავს, რომ უეცრის მოძრაობისა-გან განთავისუფლებულს, არღარ მიგიშვებს, რომ ცეცხ-ლის ნაპერწკლები გაყარო, ანუ თუ მრისხანებამ ისწრა-ფოს და შენი ჴორცის სახსრები აალელოს, აღგიყენოს, და იმითი ფერი გიცვალოს და აღგანთვრიოს შენ.

კაცის ვნებათების სიფიცხე დიდი ღელვის დროს მღვ-რია და მჩქერვალე წყლების და ზღვრების მსგავსია. ჭკუ-ვა და სიტყვიერება უნდა იყოს მაშინ შენთვის ხელოვანი ნავთ მოძღვარი, რომელმან მშვიდობიან ნავთ სადგურს მიგიყვანოს. ამასთანვე უნდა მოუფრთხილდე, არ იქ-მნას, ერთი უსიბრძნო და დაუდევნელის სიტყვით ან საქმითა, ღელვა გაამრავლო.

ძველად პითაგორა დიდი ფილოსოფოსი ამბობდა: «მო-უფრთხილდი, არ იქმნას ცეცხლი ხმლით განსჭრა, განაშ-ორო.» ჯთამც განრისხებული კაცი არ აადელო, არამედ სჯობია დაუთმო, რომ დასცხრეს.

განრისხებულ კაცთან საქმეს ნუ დაიჭერ: ამიტომ რომ კაცი რკინა არ არის, რომ იმაზედ შეეძლოს მუშაობა და თამაში, როცა ცხელია.

მრისხანების სიბრაზე ღვარნამიჯთ თავს თავად ჩაივლის წავა, მოუფრთხილდი თავს დაანებე: მიატოვე რომ თა-ვისი ჩვეულობითი მიმდინარეობით ჩაიაროს, როცა აღი-დებულია; ერთიც ნახავ რომ ისრე არ დარჩება და

უკანვე მობრუნდება ის თაჳს ადგილს, და ბოლოს ეგოდ-
ნად დაწყნარებულ და დამშჳდებულს ნახამ. იმ ურიგო და
შეუკავებელი ვნებაებისაგან უფრო მეშინიან მე, ჯრემც
მტრის ისრებისაგან; და უფრო მეშინიან იმათი ტყვედ
გახდომისაგან ჯრემც თუ ჩემს მძლეველს დავეჭირე და
რკინის ბორკილებით შევებორკილე.

არა არის რა ეგრედ ნამდჳლად გამაცნობელი ნიშანი
კაცის მხნე გულოვანობისა, როგორც როცა ვნახამთ,
რომ მრისხანების ვნებას წინა აღუდგება ჳნმე და შეიკა-
ვებს მას ყოველს შემთხვევაში.

ავდრიანობა, ღრუბლები და ქარიშხალები ჩვენს ბნელ
ჰაერში არიან, მოდაბლო ადგილას; ხოლო არის იმის
ზემოდ მყოფი მაღალი ადგილებიც რომლები სრულიად
დაწყნარებული, მოწმენდილი და ბრწყინვალენი არიან. ეს
არის მაგალითი იმ მხნე, გულადი და კეთილ მოღვაწე კა-
ცისა, რომელსაც თაჳსი ვნებანი შეკავებული აქვს და
თჳთან მშჳდობიანად და შეუშფოთველად ზის.

უნდა ეცადო რომ შენის მრისხანების პირველი მოძრა-
ობა მაშინვე შეიკაო, თუ რომ ამ პირველს წინ არ
დაუდგე, მეორეს უფრო წინ ვერ დაუდგები, და ასე თან
და თან ისინი გაძლიერდებიან. ის სიძნელე, რომლისაც
პირველ ჯერად შეგიძლია მორევნა და დამონავება, ბო-
ლოს ის შენ უძლეველად და შეუძლებელ საქმედ გეჩვე-
ნება.

ჩვენი ვნებაები ჩვენი სულის საზრდოს მიმცემი ხსენე-
ბი არიან: როცა ესენი დაუწყობენ იმას წამოსივებას,
მაშინ ჩვენი სული დასნეულდება; და უკეთუ სნეულება
იგი პირამდის მოაწევს, აღძრამს, და შეაგიზგიზებს
მრისხანებასა, მაშინ ჩვენი სიტყჳერების ძალს გახრწ-
ნის და სიბრაზეზედ გარდააქცევს. როცა ყოველი ჩვენი
ვნება იცნობება და ჩვენი ნების გულს მოდგინება გამო-

ცხადდება, მაშინ შეუძლია ამას უფლობა მათ ზედა.

ამისთჳს გირჩევ, ეცადე რომ პირველშივე სძლიო და მოიმზნო ხოლმე შენი ვნებანი.

მუდამ შენი ვნებაებისაგან მაღლა უნდა იდგე, და მუდამ ისინი შენის მფლობელობის ქვეშ უნდა გყავდეს ხოლმე და ადგილის დაგვარ, დროს დაგვარ უნდა მოიხმარო. როგორც ძველად არკია (იგაჲ) ოდისეი ჭკჳან მეფეზედა, რომ ქარები როგორც ერთის მინაში გამონწყვდეული ჰქონდა, რათა თჳს გასაჭირში მოეხმარა. როგორც რომ ჩვენც გიჟებს დაჳჭერთ და დაბორკილებულ შევჳნახავთ ხოლმე, რათა არ იქმნას რამე განსაცდელი მოხდესო.

მრისხანება მოგჳვა თუ არა ჳსმეზედ, ჭკუჳთ უნდა განჳზრახოთ ესრედ, რომ კაცთაგან ზოგნი არიან ყოველს კერძოდ ჩვენგან მაღალნი და ზოგნიცა ჩვენგან დაბალნი; ჩვენგან მდაბლების ჩამოდგომა და მაიზედ განრისხება უსიბრძნობა და სიმდარე არის; ხოლო ჩვენგან მაღლებზედ, გლისპობა და უგუნურობა არის.

დიოგინე ფილისოფოსი ერთ დღეს რომ ჰქადაგებდა მრისხანებაზედა, იქიდგან გალიზღებულის ვაჟკაცის ერთმან ამას პირზედ მიაფურთხა, გამოსაცდელად რომ ენახო თჳს ფილოსოფური წურთნა დარიგებაებს დაიჳწყამს თუ არაო. მოუბრუნდა დიოგინე იმას და ეს სიტყვა უთხრა: «ეგ შენი გალიზღებულობა ვერ განმარისხებს მე, მხოლოდ ამაზედ ვყოყმნობ, და ვსდგავარ ნეტაჲ გაჯავრება მმართებს თუ არა?»

განიფრთხილდი, გარემოხედულობა გქონდეს ყოველს შენს სიტყვაზედ, რასაც ლაპარაკობდე და ყოველს შენს საქმეზედ რასაც რომ არიგებდე, ისე, როგრც თუ შენი მტრები შენთან მდგარ იყვნენ ახლოს, გიმზერდნენ და გსინჯემდნენ. ეს კრძალულობა ადანთებს შენს გულში

ერთს მშვენიერს გულს მოდგინებასა, რომ ყოვლის შენის ღონით ცდილობდე შენი უწყსო ვნებების მოშზნობას და ზომიერობაში შეყვანას; ამასთანვე აღავსებს შენს სულსაცა ნაირ ნაირი სასარგებლო და სათნო განზრახვებითა და მტკიცე პირობისდადებებითა, და დაბრძნილი კაცისაჳთ ცხოვრებას გაგატარებინებს.

ჩვენი ვნებანი ჩვენის სიტყჳერებისაგან უმთვრო უძველესნი არიან. ესენი ჩვენთან იბადებიან, მაგრამ სიტყჳერება კი მრავალი დროების გასვლის შემდგომ თავს იჩენს.

მრისხანებისათჳს არა არის რა ისეთი მომეტებულად ძლიერი წამალი და უმთვრო გამკვეთი, როგორც დროება და მოთმინება.

პლატონ ფილოსოფოსის მსახურმან ერთ დღეს რაცალა დიდი ბრალი ჰქმნა, პლატონი რადგან გაჯავრებული იყო, უბრძანა თავის ძმას ყმაწჳლ კაცს სპევსიპპო ფილოსოფოსს, რომ პატიჟი მიეცა იმ მსახურისათჳს. მაგრამ სპევსიპპომაც თავისი თავ რომ განრისხებული ნახა, არღარ დასაჯა ის მსახური, და ასრე იმავე მიზეზმა, რომლისათჳსაც პლატონმან სხვას მიანდო დასჯა, შეაგონა სპევსიპპოც, რომ სრულიად არ დაესაჯა იგი.

ზოგჯერ როცა ვნახამ ჩემს მეგობარს ძლიერ გამწყრალს ჳსმეზედა, მეც ეგრედ გარეულად და მოჩვენებით სიმწყრალეს გამოვჩენ; მეც შევევერთები იმასთანა და მის აზრს ჳქონიებ მას ზედ მოხდენილს უსამართლოებაზედა, და ამისობაში დროს მოჳგებ ამითი, და ჳსარგებლებ ამას რომ ის იმავ წამს არ აასრულებს იმ საქმესა, და ამფერ ლაპარაკში გაყოლჳთ, გარდუვლის რა მას მრისხანება, მაშინ ვეცდები რომ დავამშჳდო იგი.

პირველი საქმე რომელიც უნდა ვქმნათ ჩვენი ვნებათაგანს

გასაზომიერებლად, არის განზრახვა დ~ ცნობა, რომ ვნებათ შეუძლიათ ბოლოს ერთიან ჩვენზედ უფლობა დ~ ჴმის გამოძიებაცა, თუ სანამდის უნდა მივაწევნინოთ ამ ცეცხლსა რომ მოუთმენლობაზედ არ გადჰდეს რათა იმის დაგვარ შეგვეძლოს მრისხანებაში შესვლა დ~ გამოსვლა რა დროსაც რომ გვნდოდეს ზომას გარდაუცილებლად

თუ რომ შენი ვნებანი კარგის გამოძიებით გაგეცნოს, მაშინ გულს მოდგინებით ეცდები იმათ რიგში შეყვანასა, ამისთჳს უებრო წამალია ფიქრობა დ~ ცნობა მათი. შეიკავე დ~ დაიზავთე პირველს გულ მოსულობაშივე შენი პირველი ცეცხლი; დ~ მით ის ნისლი, ბურუ, რომელსაც შენი სული დაუბნელებია, ნახამ, რომ ერთიან გაიფანტება დ~ განქარდება.

როცა ერთი კაცი შეიძლებს წინამდღვრობის ქმნით დაზავთებასა დ~ შეკავებასა თავჳსი ვნებების მოძრაობათა, სჩანს რომ კარგი ჭკჳანური დაფიქრებანი აქვს იმას; ამიტომ რომ ეს მოძრაობა სხვა არა არის რა, გარნა მხოლოდ სულის სნეულობა, რომელშიც ჭკჳანი კაცი გონიერად უნდა იქცეოდეს, ეგრედ როგორც ჴორცის სნეულობაში მოიქცევა.

თუ გინდა რომ მრისხანებამ შენზედ არ იუფლოს, ეს არის წამალი, რომ უნდა დაიწყო გამოძიება მისი მიზეზისა.

ერთ დროს ერთმან კაცმა მიართვა ერთს თავადს მშვენიერად ნაშენი დ~ ხელოვნური თხელი ჩინურის ჭურჭლები, თავადმანც იყიდა ისინი, ბოლოს დაფიქრდა რა, უბრძანა, რომ დაემტვრიათ ისინი: «მეშინიან, არ იქმნას, ჯავრი მომიჴდეს უეცრად დ~ ძლიერი პატიჟი მივსცე იმათ ჳნც შემთხვევით გატეხოს.»

ვისაც უნდა სასარგებლო უფლობის ხმარება თავჳს თავ-

ზედა ჲ სხჳს შეუწუხებლობაც, უნდა ეცადოს, რომ თა-ჳსი ვნებანი შეიკავოს ჲ მოიმზნოს.

ერთ დღეს პლატონ ფილოსოფოსი მომზადებულა რა თავისი მსახურის საცემლად, როცა ჴელი აუწევია მსახუ-რის დასაკრავად, უეცრად შემდგარა ჲ უწყჳა თავისი თა-ჳსავე გამტყუნება ჲ ლანძღვა. იქიდგან თურმე მეგობრის ერთმან დაინახა ეს საქმე, ჲ ჰკითხა მას: რას შვრებით? მიუგო პლატონმან: «ამაზე ვფიქრობ, რომ დასჯა მინდა ერთის კაცის ჩემს დიდს განრისხებაში.» ეს თქვა ჲ გაუშვა მსახური რომ თავისი თავ თჳთან დაესაჯა ჲ უკანაც ეს მისძახა: «კაცი როცა თავისი თავს უფალი არ არის განრისხების დროს, მაშინ არცაღა სიმართლე აქვს მას, არც თავს მსახურზე ჲ არც ტყვეზედაო.»

მაგრამ ადგილიც არის, რომ იხმარო, ეს ვნება რადგან ზოგჯერ ამით ძლიერ სამართლიერ ჲ სასარგებლო საქ-მესა იქმ: მაგალითად, როცა შენ გაცხარდები, ჲ გაწყ-რები ხოლმე ცოდვაზე ჲ მრისხანების ვნებაზე. ეს გა-ცეცხლებული ვნება ისე გლისპი ჲ ისე ურცხჳა, რომ თუ ერთხელვე იუფლა ჩვენს სულზედა, თავისი ბრაზიანის შემგიზგიზებლობით, სრულიად პირუტყვებს ჲ მხეცებს დაგვამსგავსებს ჩვენ.

მართლა თჳთ მრისხანება უფრო დიდ ზიანს მოგვცემს, ჯერემც ის უსამართლობა, რომელზედაც გვცხელდებით ჲ ვსჩიჳთ. სხვა ვნებანი თან ჲ თან ჭლეობით იმატებენ, მაგრამ ეს ვნება კი აენთება ჲ აბორბოქდება ერთიან, ჲ ჰგავს საშინელად ამოვარდნილ ჲ დამლეწველ თოფის წა-მალსა, რომელი თავს წინ დამდგომს მივარდება უვეც-რად ჲ დასწვავს, დასდაგავს.

მრისხანება ზოგჯერ შეიძლება ჭკჳან კაცთაც შეემჩნი-ოსთ, მაგრამ უჭკუო ჲ უგუნური კაცების უბეში კი მუ-დამ ყოველ წამსა ჲ ყოველ წუთს მზად არის. კარგ

კაცი არ გაცხელდება და არ გაწყრება, თუ არ მხოლოდ ცოდვა ზედა; და ჳნც ასრე მოიქცევა, ის კაცი თაჳსი მწყრალობის დროს არ შესცოდამს. ეს არის ფსალმუნის სიტყვაცა: «განრისხდით და ნუ შესცოდამთ.»

თუ რომ ეგრედი ბუნებითი რევანი გაქვს, რომ მაშინვე გაცხელდები, და განრისხდები, ეცადე იმისთანა კაცებს გაეწყო, რომლებიც მშჳდნი და მომთმინენი არიან. ეს არის უებარი წამალი, და უებარი გზა, რითაც გაეჩვეჳ და გაიწაფები რათა შენი თაჳ ზომიერებაში შეინახო გაუძნელებლად. ამ რიგ ყოფვა ქცევას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია შენთჳს: ასრე რომ ამ გზით შენს უგრძნობელად ნახამ, რომ შენს გულში ფესვს გაიდგამს ტკბილი ხასიათი, მოქალაქური მოძრაობა და კეთილი სახელის ქონჳს სურჳლი.

ფრთხილად იყავ, ისე არ დამდაბლდე, რომ მსახური-ჳთ ტყვე გაუხდე შენს ვნებათა. ამიტომ რომ ვნენი წინა კარში ფეხს შემოადგმენ თუ არა, ნახამ რომ ჭკუვა და გონიერება მაშინვე უკანა კარითგან გავლენ და გაიქცეჳან!

რიერთიც მომეტებულად დიდი იქმნება სხვათა ზედა ჩვენი მფლობელობა, იმდენად უფრო დიდი მფლობელობა უნდა ჳხმაროთ ჩვენს თავზედა.

ამბობს ერთი ფილოსოფოსი, ისე ძლიერ გაკჳრვებული ვარ, რომ მეტი არ იქმნებოდეს, ქსერქსისი სპარსის ხელმწიფის ნაქმნარზედა, რომელმა ერთხელ როცა ძლიერი ჯავრი მოუჳდა, სხვა არა ჰქმნა რა, თუ არ მხოლოდ ეს რომ მუქარას უთვლიდა ჰაერსა, და სცემდა ზღვასა; და ამითი ის ძლიერი მრისხანების ცეცხლი გამოცალა თაჳსგან და დაწყნარდაო.

მცირე და უბრალო რამეზედაც მაშინვე ავარდნა და განრისხება, სასაცილოთ გაგვხდის ჩვენ მნახველთ წინაშე.

არაკად (იგავად) უთქვამსთ: «პეპელას დაჭერა გინდოდა და როდეს ვერ დაიჭირე, ნუ თუ იმისთჳს უნდა გახელდე, და გაწყრე?»

უფრო დიდი ჭკჳანობა იქმნება არაფრად დასთვალო შენს წინამღდეგად მოხდენილი მსუბუქი რამე, ჳრემც თუ იმაზედ ყურად ღება მიაქციო და გახელდე. პირველ შემთხვევაში დიდსულობითა შენს შემხებლებზედ მაღლა დადგები და ბოლონდელით კი შენც იმას გაუსწორდები.

ბ ა ჰ ვ მ თ ი ლ ი . ჲ

## უსამართლობასა და შურის ძიებასაზედა.

უსამართლოების თქმით გვესმის ჩვენ აქ უფრო ჩვენი პატიჳს წინაღმდეგად მოხდენილი საქმე.

როცა მე რამე უსამართლობა მომადგება, ვეცდები რომ სრულიად არ გავშფოთდე და გული არ აჳმღვრიო: ჳწყობ მე მაშინ დაფიქრებას, ამაზედ რომ სითგან მომიჳდა მე ეს უსამართლობა?

თუ რომ ნათესაჳსაგან არის, გონებაში გამოჳსახავ, რომ ეს საქმე უმეცრობით მოხდენია მას. თუ რომ მეგობრისაგან არის, ჳტყჳ რომ უეცრად და თაჳსი ნების წინამღდეგად მოსვლია. ხოლო თუ ჩემი მტრისაგან არის, არ გამიკჳრდება, თუ რად ჰქმნა? რომ არ ექმნა, ის გამიკჳრდებოდა: რადგან ამისთანა საქმეს ჰქჳან მტერობა. და ესრეთი გონიერის განზრახჳთა კეთილ მხარეს დავჳჭერ მაშინ, როცა რამ შემემთხჳოს, და უშფოთველად დავრჩები.

ერთხელ არქელაოს მეფეს წყალი გარდაასხეს. მაშინ ერთი თაჳს გენერალთაგანი დიდად გახელდა რა ამ საქმეზედა, გაადიდა საქმე და უნდოდა შურის ძიება. მიუბ-

რუნდა იმას ეს ბრძენი მეფე, და ესრედ უთხრა: «შენ სცდები; ეს წყალი რომ გარდამასხეს, მე არ ვეგონე, არამედ სხვა კაცისათჳს უნდა გარდაესხათ და იმათ ეგონათ თუ მე ის კაცი ვარ.»

ბევრჯერ ვსცადე და გავსინჯე რომ ძლიერ უსაფერო და მავნე შედეგებისაგან ვერას გზით ვერ მოურჩი, თუ არ ამითი მხოლოდ. ოდესაც მოთმინებით გავსწიე ჩემზედ მოსული უსამართლოება, საყვედური, და სხვაც.

ჩვენ ჩვენის მტერებისაგან ძლიერ მაღლა ყოფნას მაშინ დავამტკიცებთ, როცა იმათ ვაჩვენებთ, რომ ჩვენი გულის მშჳდობის ჩვენგან წართმევა არ შეუძლიათ იმათ.

მე შემიძლია სხჳსაგან ჩემზედ მოყენებული უსამართლობის მოთმენა, იმ გვარის მოთმინებითა, როგორც ერთი მკურნალი მოუთმენს ერთს ჭკუა შეშლილს და გადარეულს სნეულს; კვალად შემიძლია მოთმინებით ჳტჳრთო ჩემთჳს მოცემული ყოველი ლანძღვანიც, რადგან ჩემი აზრი ზეცას აღსვლა არის მოთმინებითა.

თუმც უსამართლობა მიყოს, თუ რომ მე ჩემს თანამდებობას ვასრულებ, არ გავშფოთდები: არამედ მინდა რომ ბოროტისათჳს კეთილი მივაგო მას, და ის უსამართლოება გავჰხადო მიზეზად ჩემის სათნოებასების წარმოებისა. ჩემი ცხოვრების უცოდველობა მოსვენებული და კეთილის სჳნდისითურთ, არა თუ მარტო უშფოთველად შემინახავს მე, არამედ მუდამ მხიარულად და მტკიცედაც ჩემს მდგომარეობაში.

ერმრავალ ეროვან ქალაქის ქუჩებში მოსიარულე კაცმან, თვალში უნდა აიღოს, რომ სიარულის დროს ხან ერთს და ხან მეორე მხარეს მიეხლება; ხან კელს ჰკვრენ, ხან შედ, ზებს, ხან თაჯ მოეგანგლება, ან ტლაპოს წინწკლით ანუ ლამისა, უნახავად იმ კელისა ანუ შეუნიშნავად იმ კაცისა ჳნც თავ ტანი მოუსვრას. ეს რიგნი არიან ამ ჩვენი ცხოვ-

რეზის შემთხვევანიცა, რომელნი მოთმინებით უნდა გავსწიოთ. დღეს შენ სხჳსას, ხვალაც სხვა შენსას!

სანამ ამ ქვეყანაზედ ავნი კაცნი არიან, უსამართლობა მუდამ მოუკლებელია; და ესრედ ის კაცი, ჳნც მუდამ მოუთმენლობითა თაჳს თავს სტანჯამს, ჰხედამ რომ, როგორც უნდა ისე არ ემარჯვება საქმეები, და მისთანას საუკუნოდ ერთი წამი მშჳდობა არა აქვს მთელს თაჳს სიცოცხლეში.

ზომას გარდავლა იქმნება თუ ყოველი შენს წინამდ-დეგად მოხდენილი საქმე, და ანუ შენი შემხებელი კაცი დიდ რამედ დასთვალო და გაშფოთდე; ესრეთვე კეთილ მოღვაწე კაცის საქმე არ არის შურის მძიებლობისაც. ამისთჳს ჩემი დარიგება და რჩევა ეს არის: ისრე მოიქცე როგორც თუ ვერ ჰხედამ და არ გესმის მოხდენილი უსამართლოება, და რაოდენათაც შეიძლება ფიქრიდგან გამოიღე და დაივიწყე; ეს არის უკეთესი გზა, ამიტომ რომ მოგონება და გახელება იმისი სხვა არას იზამს რა, თუ არ მხოლოდ ამას რომ გაამრავლებს და განაფიცხებს ბოროტსა, რომელი უკეთუ არა ფრად არ დაგეთვალა, ერთიან გარდაგაჳწყდებოდა და გათავდებოდა.

ერთხელ ლუდოვიკო ფრანციის მეფეს, უბიძგიძემდნენ ზოგიერთნი, რომ დაესაჯა ის კაცნი, ჳნც მისი წინამდ-დეგნი იყვნენ მაშინ, როცა იჳთან ისევ ორლეანის თავადი იყო. მიუგო მეფემ, «ეგ საქმე ფრანციის მეფეს არ შეჰფერის, და მისთჳს დიდება არ არის შურის მძიებლობა, თუ ჯავრის ამოყრა იმ საქმეზედ, რაც ორლეანის თავადისთჳს უქმნიათო.»

ვისაც ბუნებითად შურის მეძიებლობის მიზიდულობა აქვს, მისთანას თაჳსი წყლულები მუდამ ღია აქვს: რომელნი თუ დაეფარა თაჳს თავად გაუმრთელდებოდნენ.

თუ რომ მე უმძვროსი ვარ და უფლობა მაქვს, იმ კაც-

ზედა, ჯრც მე შემგზო, შურის ძიებისაგან მე არა ფერი მესარგებლება, და ეგრედი მდაბალი და მდარე მოქმედება არის ეს საქმე, როგორც ის ოდეს ჩემს მტერს არა ჰქონდეს სრულიად რამ საჭურველი (იარაღი) თაჳსი დაცჳსათჳს, ძალა დამეტანებინა რათა ჩემს გელ-ქვეშ მომდაბლებულ იყო.

ხოლო თუ იმის საპირდაპიროდ იმდენი ღონე არა მაქვს, მაშინ არც გავხელდები და არც გავრისხდები; ამიტომ რომ უღონიოდ განრისხება სხვა არა არის რა, თუ არ ერთი ქარი, რომელიც დიდ გრიალს გასჩენს, მაგრამ ზიანის მიცემა კი არა შეუძლია რა.

მოხდენილი უსამართლოებაების მიტევება, დიდი და პატიოსანი შურის მძიებლობა არის, და მგონია მიტევებით რა შეუნდობ, საკმაოდ ჯავრს ამოჲყრი მე ჩემის მტრისაგან. კიკერონ დიდმა მჭევრმეტყველმან უფრო დიდი ქება შეასხა იულიოს კესარსა, როცა შეუნდო და მიუტევა იმან თაჳს მოწინამღდეგე მიტელო დიდ თავადსა, ჯრემდ როცა მრავალი გამარჯვებაები ჰქმნა თაჳს მტრებზედა.

შენდობისა და მიტევების დიდება და სიამეც უდიდესია, უფროს იმ ყოველი სიამისა და მოხარულობისა, რომელიც მიეცემა კაცს ჯავრის ამოყრითა, თუმც დიდებულის სახითაც იყოს, რადგან მოხდება ზოგჯერ, რომ მოხდენილი შურის მძიებლობა ბოლოს კაცს დაამწუხრებს და დაანანებინებს. ის სიამე, რომელსაც სიაჳს ქმნისაგან მიიღებს კაცი, ქმნის შემდგომ თაჳსი სიმწუხრისა და თაჳსი უსიამოვნობის მიზეზად გაუხდება მას.

ჭკჳანი კაცის საქმე ის არის, რომ პირველადვე ისე ფრთხილად იყოს, რომ, რიერთიც შეიძლება, უსამართლოება არ მიადგეს მას; ხოლო მოხდენის შემდგომ დიდ სული კაცის საქმე არის ჯავრის ამოუყრელობა.

ჰო თუ რა საქებურია ის კაცი, რომელსაც შეუძლია შურის მოძიებლობა და არ იძიებს, და ამის წინაღმდეგად რაოდენი კიცხვს ღირსია ის კაცი, რომელიც თავის თავს სრულიად მისცემს შურისძიებასა და იმითი აჩვენებს რომ ამაშა სადამე ძლიერ მდაბალი სულის მქონეა კაცი იგი. როცა შენს ვნებას მოიმზხნობ, შეიკავებ, და მხნეობითა მოხდენილს უსამართლოებათა მოითმენ, იცოდე რომ დიდებული გამარჯვების ნახევარი შეძენილი გაქვს მით.

ესეც კარგად იცოდე, რომ თავს თავს უფრო უსამართლოებას უზამს კაცი, როცა სხვას უზამს მას, რადგან ბევრჯერ თჳთან უფრო მომეტებული აჯ მისაგებელი მიეგების მით.

ერთ დღეს ლომი ძლიერ მძიმე სნეულად იყო, აქეთ იქითგან ყოველი ცხოველნი მიჯდნენ სნეულის სანახავად, მხოლოდ მელა იქ არ აღმოჩნდა. გაკვირვებული დაშთა ლომი იმის უზრდელობაზედა, მაშინ მგელი მოუბრუნდა, და უთხრა ლომსა, რომ მე ბევრჯერ მელა დამირიგებია, გამილახია ამ ნაირი თავისი ნაკლებულობისათჳს, მაგრამ არც ერთი სარგებლობა არ მინახია მისგანაო; და ისე ცხარედ ილაპარაკა მელაზედა, რომ ლომი სასტიკად განრისხდა, და მაშინვე ბრძანება გაუგზავნა მელას, რომ სასწრაფოდ მისულ იყო და წამდგარ იყო მის წინ. როცა მოჯდა, დაუწყო კითხვა იმას, თუ რისთჳს დასტოვა ისა ეგრედ, არ მიჯდა და არ აღმოჩნდა, იცოდა რა რომ სნეულად იწვა? მიუგო მელამ, მე ძლიერ დიდი სიმწუხრე ვგრძენ, როცა შენი სნეულობა გავგონე: მით მაშინვე გავქეც წაველი ყოველ ჩინებულ მკურნალებს რჩევა გთხოვე თქვენის განკურნებისათჳს; იმათ ყოველთ ერთ პირად მითხრეს, რომ ღონე არ არის მისი გამრთელებისა, სანამ ახალ მოკლულს მგლის

თბილ თბილ ტყავში არ გაახვევენ იმას. ლომი ძლიერ მადრიელი გაუხდა იმას იმდენს სიყვარულსა და მონადვლეობაზედა. გაჴდა ცოტახანი რა, და ხელახლავ მიჴდა მგელი სნეული ლომის სანახავად, ბრძანა ლომმან რომ მაშინვე დაეჭირათ მოეკლათ მგელი, რომ მის თბილ თბილ ტყავში წახვეულ იყო, როგორც მელას ეთქვა. ლომი კარგად გამრთელდა, და მელამ ამ რიგი ლომის სამსახურითა ძლიერ მძჳრად დაუჯდინა მგელს მას ზედ იმ ნაირი მტრული ლაპარაკი.

გაიფრთხილდი, უსამართლობა არ უყო არა კაცსა, თუმცა ძლიერ დიდიც არ იყოს ის შენგან და თუმცა ბევრადაც შენგან მდაბლა იდგეს. ქვეყანაა: მოხდება, რომ ზოგჯერ სიკეთეს გიზამს იგი შენ და ზოგჯერაც სიავეს.

გონივრული არაკი ჩვენ ჭკუვას გვასწავლის: ერთ დღეს მწოლარე ლომი არ მოასვენა თაგვმა, რომ დაეძინა, ეს ჩაუვარდა ლომს ბრჭყალში უეცრად. დაუწყო თაგვმან ვედრება ლომსა რომ შეებრალა: «ეუბნეოდა შენს წინა ერთი უბრალო და საწყალი ცხოველი ვარ მე, გამიშჳ თავჳ დამანებე მე, შეიძლება დრო მოჴდეს რომ მე შენ რამე საქმეზედ გამოგადგები, და სამსახურს გარდაგიხდიო.» გაიარა ცოტა ხანმან, რომ ეს ლომი მონადირეებისაგან ჩავარდა მახეში. როცა ამ თაგვმან გაიგონა, სასწრაფოდ მიირბინა მიჴდა ლომთან და თავჳსი სიკეთის დამსწავლელობითა უწყო მახის მსხჳლ ბაწრებს ღრნა; და ამისობით გადაარჩინა ლომი, რომელი თავჳს ძალა ღონეზედ რომ დარჩენილ იყო მარტოდ ამ საქმეს ვერ ითავებდა სრულიად.

კარგის ყურად ღებითა უნდა მოჳსმინოთ და გამოჳძიოთ ის საფლავჳს წერილი, რომელსაც ამბობენ წმიდა ბერნადის საფლავჳს ქვაზედ ამოთხრილსა ესრედ: «სამ რამეს დაგიტოვებ თქვენ ძმანო ჩემნო; რომ ნახოთ

გამოიძიოთ და ჰქმნათ. მეც, რაც ჴელითგან გამომიჴდოდა, ესენი ვჰქმენი. პირველად რომ არა ჳს არ შევეხე; და თუ როდისმე მომხდენია, მაშინვე რიერთიც შემძლების გული მომიგია. მეორედ მუდამ სხჳს ჭკუჳთ უმფრო მოვქცეულ ვარ, ჳრემც თუ ჩემითა. მესამედ, რაც ზიანი და უსამართლოება მომდგომია, არა ოდეს არ მიძეჳა შური ჩემის მავნებლებისაგან. აგერ ამ სამ რასმეს გიტოვებ თქვენ, ე. ი. სიყვარულს, სიმდაბლეს, და მოთმინებასა. »

უნდა ფრთხილობდე, პირველად, რომ ყოვლიფერში მაშინვე ფიქრში არ ჩაიდვა და არ გეგონოს რომ შენ ზიანი, დაჩაგვრა და შეურაცხყოფა მოგსვლია. მეორედ, სასწრაფოდ მრისხანებას ჴელი არ უნდა მიჰყო. თუ რომ პირველი სიფრთხილე არ იქონიო, აჩვენებ მით რომ გონივრული დაფიქრება არ გაქვს. ხოლო მეორეთი აჩვენებ, რომ ცუდი ხასიათი გაქვს.

თუ რომ ჳნმე შეგეხო შენ, უმჯობესი მხარე შურის ძიებისა ეს არის, რომ ჳთამც არ გაგიგონია და არ გინახია, ნურას ინაღვლი. ასე მოქცეჳთ საქმეს კარგად დააიწყობ. ხოლო თუ ფიქრიდგანაც ამოიღო და დაიჳწყო, ძლიერ კარგად თავს გაიტან იმ საქმესა.

ვინც ვერ შეიძლებს მოთმინებით ძლევას მოხდენილი უსამართლოებისას, ის თაჳსი თაჳს უფალი არ არის, არამედ მუდამ ოაჳს თაჳსაგან ძლეულია. უსამართლოების წამალი არის მისი დაჳწყება. ბევრჯერ მოხდენილა, რომ ეს წამალი ჩვენ დაგვჳწყნია და დაგვჳწყჳა ნებიერად გონებაში წარმოდგენა და მოგონება იმ რამეებისა, რაც უნდა დაგვეჳწყა. ერთხელ ერთმა უგუნურმან დაჰკრა კატონ დიდ ფილოსოფოსსა; როცა ამ უგუნურმა იწყო სიმწუხრე, და მონანება თაჳს შეცდომილობაზედა, კატონს კიდევაც დაჳწყებოდა ის შემთხვევა, როგორც ამბო-

ბს სენექა. «უკეთესად სთვლიდა იგი მიტევებასა, ჳრე-მც მოგონებასა.» მზნებრივს მოთმინებით უნდა გას-წიო შენს საწინამღდეგოდ მოხდენილი საქმე.

გულის გამბასვრელი სიტყვები წყლულებს მზამით აავ-სობენ; დ~ საპატიური დ~ ზრდილობრივ სიტყვები იმ წყლულს გაამრთელებენ: მიტევება მოაშრობს, ხოლო ფიქრიდგან ამოღება დ~ დავიწყება დაკოდილის ნაალაგევს დ~ მის ნიშანსაც სრულიად აღხოცს, რომელი პირველში ეტყობოდა.

ერთ დროს ანტიგონო მეფემ ღამე ყური მოჰკრა ზოგი ერთს თავს მხედართაგანს, რომ მას ზედ ავს ლაპარაკ-ობდნენ (რადგან ზოგი იმათგანი უნდა დაეკიდა). მეფემ იმათ ნალაპარაკევს ყურის მიუგდებლად, მაღალის ხმით უთხრა იმათ: «მხედრებო, ადეგით წადით მანდეთგან, არ იქმნას რომ მეფემ გაიგონოს თქვენი ნათქვამებიო.»

ჩემის მტრების შესარცხვენლად ყოველს ხელოვნებას დ~ ყოველს ჭკუვას ჳხმარებ დ~ ვეცდები, რაც ძელითგან გამომივა, რომ დიდ დიდი სიკეთები ვუყო მე იმათა.

თუ რომ ჩვეულებად გაქვს ყოველი წვრიმალი რამების გაყოლა, დ~ იმათზედ აიწჳ ხოლმე, მუდამ აწღვრეული დ~ მოუსვენებელი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს შენს დღეში. შექცევაში დაჰკჳრდი იმ შეუფერებელ დ~ უსაპა-ტიო ვნებათა დ~ იმათ მოძრაობათა, რომელებსაც ნახამ მოუთმენელ კაცებზედა, რომელნი მნახველთაც დიდს უსიამოვნებას მისცემენ, დ~ შენ ამითი გაფრთხილდი დ~ დაარჩჳე შენი თავ რომ მოთმინე იყო.

როცა მარცხი რამე მოგივა, დ~ მოთმინებით არ იქმ-ნები, იმითი სხვა არა რასა იქმ, გარნა მხოლოდ მას რომ დაუმატებ დ~ გაამძლიერებ იმ შენს სიმარცხეს. ჳნც თავს ვნებაების ხელთ მიეცემა დ~ იმათ დაუტყვევდება, იმაზე საწყალი კაცი არ იქმნება. ვნებაებისაგან განთავის-

უცვლებულის სულის მშჳდობასა უმფრო დიდად დავსთვლი მე, ჳრემც ამ ქვეყნის ყოველი ხელმწიფობის სიკეთესა.

როცა უსამართლოება მომივა, გავფრთხილდები და ვეცდები, რომ არ გავხელდე, არ ავმჩივნდე: ამიტომ რომ გამოვსცადე და ვნახე, რომ მოჩივარობითა შინაგანი მრისხანება უფრო ადჳლად შემიზეზება, ჳრემც თუ სხვებისაგან შემბრალებლობით ნუგეშის მოცემა. ეს ჩემი მომჩივრობა მსმენელთაც გზას გაუხსნის, რომ იქმნება იმათაც გამიბედონ და მამიზეზონ მისთანა შემაწუხებელი საქმები, რადგან წინად მოხდენილი საქმებს დაიხვევენ ისინიც ჰელზედ თაჳანო თაჳს გასამართლებლად, გავლილი და წასულთ უსამართლოებაზედ ჩიჳლი მიზეზად გაუხდება კაცსა თან და თან ახალ ახლის უსამართლოების გაწეჳსა.

ჭკჳანობის ძლიერ მშვენიერი ნიშანი არის სხვათაგან მოყენებული უსამართლოებაების მოთმენა. თუ რომ სხვათ ნაკლებულობაების მოთმინება არ გჳნდოდეს და ვერ შეჳძლოთ, გვეშინოდეს, არ იქმნას, რომ ჩვენც იმ ნაკლებულობაში ჩავარდეთ. ამიტომ, რომ გონიერ განზრახვას რა დავჰკარგამთ, მაშინ დავუწყობთ ჩვენს თავს ვნებასა, რადგან მრისხანების ვნება ისე ცუდი ვნება არის, რომ ადჳლად წარგჳტაცამს და ჩაგვაგდებს ჩვენ იმ სიბოროტეში, სიდგანაც უნდა ჳვლტოდეთ.

ვინც რომელიმე სახით შემეხებიან მე, შემებრალდება მე ისინი, მით პირველად თაჳანთ თავს შეეხებიან, და უფრო თაჳანთ თავს აძლევენ დიდ ზიანსა, რადგან ჭკუჳს ხმარებასა ჰკარგვენ.

უფრო მომეტებულს რისხვას, რომელსაც გასწევს კაცი თაჳს ნაქმნარის უსამართლოებისათჳს, თაჳსივე სჳდისის ჩხვლეტა არის იმისი ქმნის შემდგომ. და ძლიე-

რაც გაიტანჯება ის კაცი, ჳნც ვალდებულია ქმნაზე სიმწუხრისა და სინანულისა თაჳსი ნაქმნარისათჳს.

უმფრო სასარგებლოა შეურიგდეთ ჩვენ ჩვენდა უსამართლოების მომყენებელთა, ჳრემც თუ შური ჳძიოთ მისგან. რადგან უსამართლოებისათჳს შურის ძიება, ბევრჯერ უფრო სხვა და სხვა უსამართლოებასა გარდაგვახდეჳნებს ჩვენ.

როცა კაცს დრო (ფურსანდი) ჩაუვარდება ჴელში ადჳლად შურის ძიებისა, მისთანაი დასაწყისშივე თაჳს ავზნეს უნდა წინ აღუდგეს და რაც შეიძლება, ეცადოს ყოველის თაჳს ძალითა შეიკავოს თაჳ და მოიმზნოს იგი.

როცა რამ უსამართლოება მომადგება მე, არ გავშფოთდები, არამედ ყურს წაუგდებ, რადგან მისი მქმნელი ან ხუმრობით შვრება მას, ანუ თაჳს რამე სარგებლობისათჳს; ხოლო თუ ჳნმე ავგულობით და ბოროტობით მეხება მე, მაშინ მე იმისთანას ერთს ეკლად დავსთვლი, ხოლო ეკალს სხვა არა ფერი შეუძლია თუ არ მარტო შესობა და წაჩხვლეტა.

თითქმის უწყვეტლივ შეეხებიან ხოლმე დიდთქვა კაცნი კაცს, მაგრამ ჩემთჳს კი რამე სიაჳს ქმნა არ შეუძლიათ იმათ: ამიტომ, რომ სრულიად არ შეუძლიათ იმითი ჩემი აშფოთება და მოსვენებულობის დაკარგვეჳნება, ანუ თუ ძალდატანება, რომ მე ჩემი პატიჳს წინამღდეგი რამ საქმე ვქმნა.

და არცა რა აჳს თვალით ჳქმნები მე იმათ ზედა: რადგან ყველანი იმ ნაირი ხასიათის პატრონნი არიან, როგორისაც მე, და ყოველთა ჩემ ნაირი სიტყჳერება აქვსთ და ჩემ ნაირი ნიჭიერება, რითაც ჩვენ უფრო ვემსგავსებით ყოვლად სახიერს ღმერთსა. თუ რომ ჳნმე მე შემეხოს ანუ ლახვა ლანძღვა მომაყენოს, ვეცდები რომ მე იქიდგან რამე სარგებლობა გამოჳღო და ვქმნა ის გე-

თილი, რის ქმნაც ვალად მძევს, და ვეცდები მოვერიდო იმისთანა ჳამებს. ხოლო თუ მნახონ და მიპოვონ მე ის უძლური მხარე, საითგანაც შეიძლონ შეხება და ადჳლად გამწარება ჩემი, მაშინ ვეცდები, რომ მე ის უძლური მხარი გაჳმაგრო და განჳძლიერო; მაგრამ თუ მაინცა მოლოს ვირის ერთმან წიხლი მკრას მე, მაშინ მე ჩემს საქმეყოფას არ დავაგდებ, რომ წაჳდე და ის ჳრი მეიდანზედ გამოჳყვანო და ვუჩივლო და სამართალში წარვადგინო იგი. ჩემზედ მომდგარი უსამართლოებანი და ჩემი მტრების ბოროტნი-განზრახვანი ჩემზედ, იმდენად ვერ გამაშფოთებენ, როგორც არ გაშფოთდა დიდი ალექსანდრე, როცა თაჳსი მკურნალის მარჯვენა ჴელითგან სასმისი წამალი მიიღო და მარცხენა ჴელით ექიმს მისცა წერილი, რომელშიც თაჳსი მტერი დარია სწერდა ალექსანდრეს, რომ მისი ექიმი მას მოსწამლავდა.

## ბ ა ჭ ვ ე თ ი ლ ო. იბ

## ს ა თ ნ ო ე ბ ა ზ ე დ ა.

ყოვლიფრისაგან უფრო მეტად მოგცემ შენ პითაგორა ფილოსოფოსის იმ მაღალს სწავლასა, რომ მუდამ მცადო მისი საქმით აღსრულება, ჳთამც: «აჳი საქმე არა ჰქმნა რა, არც სხვების წინა და არც, როცა მარტოდ ხარ, და ყველასაგან უფრო შენ შენის თაჳსაგან შერცხჳნე.»

უეჭველად იცოდე, კარგი კაცი ისე შეირცხვენს უდაბნოში ღვთის წინამღდეგად შეცოდებასა, როგორც თეატრში. იმ ძლევაებითა, რითაც იმარჯვებს ჩემზედ ეშმაკი, მე უფრო თვალს გამაღებინებს, ჳრემც თუ ის შეიძენდეს, და ჩემი დატყუვების მაგიერ უფრო გამომაფ-

ხიზღებს მე, რომ ჩამოუდგე და მე ჩემს თავს ვსძლიო-რიერთიც ცოდჳს ქმნის მიზეზი მცირე იყოს, იმდენ უფრო ბრალიერი იქმნება შემცოდე, და უფრო ბრალიე-რია ის, როცა ცოდვა არაფრად დასთვალოს, ჳრემც რო-ცა ის ჰქმნა.

დიდი და კეთილი სულის თჳსება ის არის, რომ მძლევე-ლი იყოს თჳს ცოდვებისა და ტყვე სათნოებისა.

სათნოება გინა ღვაწლი არის კაცისათჳს ისეთი, რო-გორც მზე ქვეყნისათჳს; ხოლო კეთილი სჳნდისი კაც-ისა სავალი და სასიარულო გზა არის სათნოებისა. არა არის რა ეგოდენად საქებურად გამხდერი კაცისა, რო-გორც სათნოება.

ღვაწლი და სათნოება არაფრის ნატრულია, გარნა მხო-ლოდ თჳსი თავისა. ეს არის, რომელიც მრთელს ჩვენს სიცოცხლეში ჩინებულს გვყოფს ჩვენ, და ჩვენის სიკვ-დილის შემდგომაც უკვდავების დიდებით დაგვაგჳრგჳნ-ებს.

არც თმა თეთრობა და არც დიდხნიერობა არ გაგვხდის ჩვენ პატივსაცემს, არამედ მხოლოდ სათნო გინა კეთი-ლი ცხოვრება. ჭკუვა არ მიწვდება და ვერ მიმხვდარვარ, თუ როგორ ჩამოსდგომიან კაცნი უფრო თჳსნით სიცო-ცხლის გავრცელებასა, ჳრემც სათნოებით სიცოცხლის გატარებასა; მეტადრე, როცა ვფიქრობ, რომ შეუძლი-ათ სათნოების ქმნაცა სიცოცხლის გავრცელებასთან. ჩვენი სიცოცხლე ყოვლად კეთილი ღვთისაგან მოცემუ-ლი მადლი არის, და თუ რომ გჳნდა კეთილად ჳცოცხლ-ოთ, საჭიროა სათნოებას შევუდგეთ მუდამ: რადგან სა-თნოების ქმნა, სიცოცხლეზედ უფრო მეტად დიდი რამ არის.

სათნო გინა ღვაწლით შემოსჳლი კაცი კეთილი სჳნდი-სის კანონებით იცოცხლებს, და არა ქვეყნის კანონებით-

თა. ჰო, თუ რა დიდი სასიხარულო არის იმ კაცისათჳს, რომელი, როცა თაჳს გულში შევალს და კარგად გამოი-ძევს, შეიძლებს გაბედვით აღიაროს რომ, « ფიქრში არა მაქვს, რომ შური მქონოდეს სხჳს სიკეთეზე-და, ანუ თუ შური მეძიოს ჩემი მტრებისა, ანუ შფოთის მიზეზი გამხდარ ვიყო ამხანაგობაში, ანუ თუ მწვალებ-ლობა მომეფინოს ქვეყანაშია, ანუ ერთის სიტყჳთ იმისთანა კაცი ვყო, რომ სიავკაციით გარგულობდე და ვმალულობდე ჩემ გულში ნაქონევ ბოროტია, ჩემი სურჳლე-ბი და ჩემი ნატვრანი შეუკავებელნი არ არიან; ჩემი ში-ნაგანიცა დახშული და დაცული მაქვსო». ბრძენების ის მშვენიერი სიტყვაცა: «შენს თავს ნუ ქებ გარედ,» მუდამ კანონად გამიხდია ჩემის სიცოცხლისაგო.

უნდა ვცდილობდეთ კიდევ ამასაც, რომ ჩვენი მშვენი-ერი სათნოების გამოჩენამ ნათელი შეაყენოს ჩვენის სა-უკუნოების და ჩვენის დროის მყოფ კაცთა.

მიყვარს კაცი მისი სათნოებისათჳს, ამიტომ რომ თაჳსი მხრით უშიშრად მყოფს მე იგი ყოველ ნაირი უსამართლოებისაგან; და თუმცა რამე სამსახურის ქმნაც არ შეეძლოს მას ჩემთჳს, მაჲნც მისი გულ კეთილობა ნამდჳლს მეგობრობას მაცნობებს მე.

როდესაც დიდმა ალექსანდრემ დარია სპარსთ ხელმ-წიფეზედ ომით გაიმარჯვა და დარიას ქალი შჳლები მის ჴელში დარჩნენ, უკან დადგა და არ შეეხო იმათ სრულიად, თუმც მეტად მშვენიერნიც იყვნენ. ამ საქმით ალექსან-დრე უფრო დიდებულ იქმნა, ჯრემდც იმითი რომ ინდო-ეთი დაიჭირა: რადგან პირველით იუფლა მან თაჳს თავ-ზედა; ხოლო მეორეთი მოერია იმათ, ჳნც ძალის კერ-ძოდ იმისგან დაბლა იდგნენ.

საიანო გინა ღვაწლით შემოსილი კაცი ქვეყანას ჰხე-დავს თაჳს მწიროობის ადგილად, და ზეცას თაჳს სამამუ-

ლოდ, და ღმერთს მოწმად და მოსამართლედ ყოველ-
თაჳსი ნაქმნარისა და ნათქვამისა; თჳთანაც ისე ცოცხ-
ლულობს და ისე ფიქრობს, როგორც თუ მრთელ ქვე-
ყანას თვალი იმაზედ ჰქონდეს და ხედავდეს მის ნაქმნარ-
თა, და ისმენდეს მის ნათქვამთა.

ძლიერ მცირე ბოროტ მოქმედებასაც ადგილს ნუ მის-
ცემ: სასამიშროა, არ იქმნას, მერმე დიდროვანებსაც
კარი გაეღოსთ. ეცადე, რომ მიემსგავსო მზესა, რო-
მელი, თუმც ბევრ უწმიდურ ადგილებს დადგება და გარ-
დაივლის, მაგრამ თჳთან ისრევე ბრწყინვალედ შთება
მუდამ. სათნო კაცი უფრო თავს იდებს საშინელი სატ-
ანჯვლების გაწევასა, ჯრემც თუ ერთი უსამართლო საქ-
მის ქმნასა. რიერთიც მშვენიერნი ჩამდნენ შეცთომილე-
ბის სახენი და რიერთისაც ცდილობდე იმათ დაფარვას და
დამალვასა, მაინც კიდევ ერთ დღეს გარედ გამოაშკარ-
დებიან, და შეგარცხვენენ შენ იგინი.

სათნო კაცი თანასწორედ მორჩილია, როგორც სხვა-
თა ისე თაჳსი თაჳსა; და თუმც როგორც კაცი, შესცდებს
იგიცა, მაგრამ მაინც ისე უდიდესი შეცდომილებანი არ
მოუხდება, რადგან მუდამ თვალწინ ჰყავს ღმერთი, და
მისი შიშით ფრთხილობს და შორს დგას ყოველი ცოდჳ-
საგან.

რიერთიც დაფარული იყოს ბრალი, მაინც შეუძლებე-
ლია რომ ერთ დღეს არ განირისხოს მისი მომქმედი.
შეუძლებელია ისიც, რომ უღთო კაცს ყოველთაჳს სხვა-
თაგან თაჳსი თაჳს დაფარვა შეეძლოს და ერთ დღეს კელ-
შიდ არ მიეცეს პატიჟსა.

თუ რომ სათნოების წინამღდეგს არასა ჰქმ, რა მენა-
დვლება, თუ რომ მთელმა ქვეყანამ შეიტყოს ისა და თუ
რომ წინამღდეგს ჰქმ, რა სარგებელს მომცემს ქვეყნი-
საგან უცოდნელობა მისი, როცა მე ჳცი, რომ ბრალი-

ქრი ვარ? რადგან თჳთ ცოდვავე არის ცოდჳლის მხოლოდი მეხმლე და მტარვალი, და შურის მძიებლობის შიშიცა ყოველ წამს უკნითგან სდევნის ბოროტთა, რომელთა, თუმც კი უნდათ მისი ჴელითგან გაქცევა, გარნა მაინც ტანჯვა და საშინელი ვნება დაუძს ბუნებასა იმ ავ კაცების სჳნდისში.

ვისაც სჳნდისი სჩხვლეტს რამე დიდის ცოდჳსათჳს, მისთანა მუდამ შიშს და კანკალში არის, და იმ რისხვა პატიჟის მოლოდინების დროსაც ხედავ, რომ თჳთვე თაჳს თავს სჯის მით. ჳნც დასჯის ღირსია, წამ და უწუმ იმას მოელის, და ცოდჳს გარედ გამოცხადების უწინვე ჰგონია, რომ სრულ განცხადებულიაო.

ცოდჳს სასყიდელი სიკვდილია; და რა-სასყიდელსაც არ შეუძლია კაცისთჳს სიცოცხლის მიცემა, ის ძლიერ ნაკლები სასყიდელია. როგორც სათნოებას მუდამ აქვს თან მისაგებელი სასყიდელი, აგრეთვე შეცდომილებასაც აქვს მუდამ თან თავისივე პატიჟი და რისხვა. თუ კარგად დაჰკვირდე და გამოიძიო ცუდი და შემცდარი კაცების მდგომარეობა, ნახამ იმათ გულში ფრიად ღრმას და მწარე წყლულებსა, რომელნიც მუდამ სტანჯვენ და აწვალებენ იმათ, თაჳანთს სვებედის, გამარჯვების, და სიმდიდრის დროსაცა; როგორც კეთილი კაცი არ შეიძლება, რომ მუდამ საწყლად დაშთეს, აგრეთვე ბოროტ მოქმედი კაცისა, არ შეიძლება, რომ ბედნიერად იყოს.

არიან კაცნი, რომელთაც გარყვნილობა უყვარსთ თაჳანთ ზედა; გარნა ცოტანი არიან, რომელთაც სხვებზედ უყვარდესთ ისა,

სათნოება კაცს უძლეველს ჰხდის, და ბედის მარცხებისაგან დაიფარავს იმას. ერთ დღეს წაჳდა ერთი და ზენონ ფილოსოფოსს შავ ამბავი მიუტანა, რომ შენი ყოველი რაც კი გქონდა და არ გქონდა დაგეღუპა ზღვაშიო,

მიუგო ზენონმან: გლახ! «მაშა სადამე გგონია რომ ბედმან უნდა ფილოსოფოსად გამხადოს მე?» ვერაფერს ვერ შეუძლია ძლევა იმ კაცისა, ჳნც იცის ძლევა ბედის სიმარცხეთა: ბრძენი და სათნო კაცი სრულიად იმედს არ გარდაიწყვეტს და გულს არ გაიტეხს, რიერთ-ეც დიდროვანი იყვნენ იმისი მარცხები, რადგან ღვთის ჴელისაგან მოსულიჳთ მიიღებს იმათა.

თუ რომ გაგატარონ შენ კეისრების კარეში, და ანუ თუ გლეხების წოდებაში შეგიყვანონ, ნუც პირველისთჳს გაამპარტავნდები შენ და ნურცარა მეორეზედ შეირცხვენ; ისე ბედნიერად დასთვალე შენი თავ ტყვეობაში, როგორც შენს სამშობლოში.

ნამდვილი ბედნიერება არ მოიძევა მიწის ქვეშე, სადაც ჩვენ ვსთხრით და ვეძებთ რომ ოქრო ვპოვოთ; და არცა რა ზღვის ქვეშე სადაც ჩვენ თავს ათას ნაირ განსაცდელში ვაგდებთ რათა საუნჯე ვპოვოთ; არამედ იპოვება იგი მხოლოდ ღვაწლით შემოსილი და კეთილი კაცის გულში.

ერთ დღეს ჰკითხეს სოკრატ დიდ ფილოსოფოსსა, რომ ნეტავ სპარსიელების მეფე ბედნიერია? მიუგო: «არ ვიცი მე, თუ ნეტავ სითგან და სიდამდის მიაწევს იმისი სათნოება!» კარგად დაფიქრდი ამ სიტყვაზე: უნდოდა თქმა, რომ ნამდვილი ბედნიერება სათნოებაში არისო, და არა ბედის წარმავალს რამეებში, რომლებიც არიან ამ ქვეყნის დიდება, პატივი, სიმდიდრე, და სხ.

სათნოება მუდამ დიდებულის სახით პირნათლად და კადნიერად აჩვენებს თავს თავს ყოველს დროსა, როცა შეეხება იმას ბედი. ოდეს ჳნმე დაისჯება, თუმცა თავთან უცოდო იყოს, სრულიად არ შეშფოთდება და არც შესწუხდება; მაგრამ თუ მართლა ბრალიერია იგი, და თავს თავსაც ეგრედ იცნობს, მაშინ თანა მოქმედი იქმნე

ზა იგი სიმართლისა.

იცოდე, რომ თუმცა სათნო კაცს ბევრი რამ ჰქონდეს გასაწყენ და მოსათმენი, მაინც მზის მსგავსია, რომელი, რიერთიც ბნელი და დანისნული იყოს ჰაერი, არ შედგება, და მუდამ თაჳს სრბვას აწარმოებს; კეთილი და სათნო კაცი მშვენიერი მწვანილებით აშენებულს კლდესა ჰგავს, რომელი რიერთიც მოკრიჭო, უფრო მშვენიერად აჯეჯლდება.

აჳ ზნისა და გარყვნილის კაცს თაჳსი თაჳს მოგონებისაგანაც ეშინიან, და თაჳს ცხოვრების გამოძიებით და ფიქრობით ვერა ფერს იპოვნის მასში, გარნა მხოლოდ უწესო და უკანონო გულის თქმათა. თაჳს დროებს ატარებს ყვაჳლების კრეფაზედ, ყვაჳლების აკონვაზედ; არ ფიქრობს და არ იცის, რომ იმავე იმათ შეკრების დროსაც ისინი ხმებიან; და მისი ყოველი სიამოვნება და სიხარული ერთი რიგი რამ არიან და ერთი და იგივე ბუნება აქვსთ, რადგან ყოველნივე თჳთო თჳთო წამს ძლივ გასძლებენ.

ავ ზნესა და გარყვნილობასა მწვე მოკლე და მეტად ცოტა დრო აქვსთ; შემდგომში გამოიცვლებიან და გარდიქცეჳან იგინი ერთ უკურნებელ სენებად; იმის მერმედ გარეულად ნაქმნარნი კეთილნი საქმენი წარსულში ნაქმნარ ბოროტთა სახსენებელს ვერ წარხოცვენ კაცთ წინაშე ისე, როგორც კაცის ახალი და ახალი ვალების დაუდებლობით, პირველში ადებული ვალი მისი არ მიეცემა დაჳწყებაში.

ყოველნი კეთილნი პირნი ცხადად და კადნიერად აქებენ და პატივს ცემენ სათნოებასა; ხოლო ავნი კაცნიც კი ფარულად აქებენ მას.

კეთილი კაცის გული მშვენიერი მტილია, რომელში ჯველის შესვლა და გამოდევნა ერთი იქმნება.

კეთილნი პირნი უნდა ჳპყრათ ჩვენს წინამძღვრებად ყოველს ჩვენს საქმე ყოფაში, ისე, როგორც რომ ჳპყრობთ ხელოვან ნავთ მოძღვარსა ზღვაში.

სათნოების მოყვარე კაცის ძლიერ მცირე ბრალიცა მის ყოველ სიკეთებზედ ჩრდილივით გადეფარება და დაასინელებს, მსგავსად მზის დაბნელებისა, რომელიც თვალით არ დაიფარება და რომელსა მთელი ქვეყანა დაუწყებს ცქერასა.

კეთილი და სათნო კაცი ყოველი კარგი რამისაგან ძლიერ უკეთესია და ყოველი დიდი რამისაგანაც მეტად უდიდესია.

სათნოების მისაწევნელად მრავალი შრომა უნდა გამოჳართოთ, და უნდა ავბდოტდეთ და აჳდეთ იმ მაღალს მთებ ზედა, სადაც თჳთ სათნოება ასულა და ზის.

დიდის ცდით უნდა ვზრუნავდეთ სათნოების კელთ გატარებასა, რადგან იმითი ისეთ სიკეთეს კელში ჩავჳგდებთ, რომ არა ჳს შეუძლია მისი ჩვენის კელითგან გამორთმევა, თუ რომ ჩვენ არ ჳნებებთ მის დაკარგვასა.

სათნოების საქმების ქმნა ძლიერ ადჳლია, მაგრამ ნამდჳლ სათნოებაზედ მიწევნა კი ძნელია, რადგან ბუნებისაგან მოცემული ნიჭი არ არის იგი; ამისთჳს დიდი ცდა და დიდი ოფლის მოწურვა გვჭირია, რათა კელთ გაჳტაროთ იგი, და საკუთარი მოხერხებულობაც სათნოდ გახდომისათჳს; როგორც ეტყოდა ხოლმე ერთი ფილოსოფოსი თავს მოწაფეეს: «რას კარგებს უთვალავ რამების ცოდნა და უთვალავ წიგნების გარდაკითხვა, როცა შენ უკან დასაწევ საქმებს იქმ, და ახლ საქმნელი საქმებისაგან უკან დადგებიო.»

თუ ჯერ არ იცი და ვერა სცნობ შენს საქმნელ საქმებს, დაჰკჳრდი ყურად ღების მიქცევით, თუ ერთი კეთილი და ჭკჳანი კაცი რას შვრება? როგორ ცხოვრებას ატარებს და როგორ იქცევა თავს საქმეში? ეგრედ წარმოიდგინე

გონებაში, როგორც თუ ის კაცი მუდამ შენს წინ დგას და გიყურებს შენ; ყოველი შენი საქმებიც ისე გააკეთე, როგორც თუ ის კაცი გიყურებდეს და იძევდეს ყოველს შენს საქმებსა. მაშინ ნახამ, თუ ის პატიჳს ცემა და ის მოკრძალებანი, რომელთაც გაქვს შენ იმაზედა, ჳთარ დაგიჭერს და არ მიგიშვებს შენ, რომ იმის ნებას შეეხო და ცუდი საქმე ჰქმნა, და შეგეფიქრება თანვე, რომ არ იქმნას, მაშინვე სჯაში შეჳდეს, და გამხილოს შენ იმან.

თუ რომ ესრედ შენს თვალთ წინ გყოლოდა ხოლმე ის ძველი კეთილი და ღვაწლით შემოსილი კაცებიცა, რომლების ცხოვრება და მოთხრობა წიგნებში წაგვიკითხამს, ვერ გაბედემდი მაშინ ეგრედ ადჳლად სათნოებისაგან უკან დადგომას და გარყვნილობის უკან ჩამოდგომასა.

ყოველ დღივ დაჰკჳრდი და გამოიძიე შენი სჳნდისი თუ რომელი ავი ზნენი და შეცდომილებანი არიან შენში, რომლებსაც იმ დღეს ღვთის მადლით წინ უნდა აღუდგე და სძლიო? და ამ საშვალობით ნახამ, რომ დღითგან დღეზედ შემცირდებიან ისინა და შენც დღიდგან დღეზედ კეთილი გახდები.

მუდამ პატიჳს ცემით მოჳგონნამ ხოლმე იმ ბრძენ-ფილოსოფოსსა, რომელმანც ასწავლა კაცთ ეს რამე: «ნურა ფერი უზომო და ნამეტური.» ჳთამც, არა ფერი იყოს უზომო, ამ ორის ლექსით გვატყობინებს ჩვენ იგი ყოველი სათნოების კრებასა. ამიტომ, რომ, როგორც ზნეობა გვასწავლის, «სათნოება შუაში მდგომარეობს.» ამისთჳს სათნოდ გახდომა თუ გინდა, ეცადე, რომ არც აქეთ თავს გარდაჰჳდე და არც იქით თავსა, არამედ მუდამ შუაზედ დადეგ. არ შემიძლია არ მოჳგონო ხოლმე ყოველთჳს იმ ბრძენი დაყუდებულის ნათქვამიცა, რომ: «რაც ნამეტურია სიბოროტისაგან არის.»

აღჳლი საქმეა მარტოობასა და მხოლოობაში კარგ კაცა-

ყოფნა ჲ შეუმოწმელად სათნოდ გახდომა; ხოლო მე სათნოებისადმი ერთი ბუნებითი სურჳლი ჲ მოწადინება მაქვს, რომ უმისოდ დავალიანებისა (რომ მუდამ ვალდებული ვარ) მინდა მისი უნიფორმის შემოსვა ჲ მუდამ ტყვედ ჳყო იმისი, ეგოდნად მშვენიერი ჲ კარგი რამ არის სათნოება.

ერთ დღეს დაჰკითხეს არისტიპპო ფილოსოფოსსა, რომ ფილოსოფოსები სხვა კაცებზედ რით დგანან მაღლად? მიუგო: «თუმც ყოველი სჯული ჲ ყოველი კანონი ახოცილ იყვნენ ჲ ამდგარ იყვნენ ამ ქვეყნითგან, მაშინაც მუდამ მართალნი იქმნებოდნენ ისინი ჲ მუდამ იმავე ცხოვრებით იცოცხლებდნენო.»

ღვაწლით შემოსჳლება ჲ სათნოება განგვააზნაურებს ჩვენ, უმისოდ აზნაურის მთამავლობისა ჲ უმისოდ ჯილდოებისა, კვალად პატივსაცემს ჲ სათაყვანებელ გვყოფს ყოველგან ჲ ყოველთ წინაშე; ის მიჩნევა, რომელიც გვაქვს ჩვენ სათნოებაზედა, ემსგავსება ზეფირსა, ჯოამც ტკბილს ჲ სასიამოვნო ნიავსა, რომელიც მცენარებსა ჲ ყვავილებზედ მოდის ჲ მოჰქრის რა, პატიოსანი ფერის მიცემით ამშვენიერებს იმათ.

შენის გულის სიწმიდე ჲ სიმხნე უნდა ჰგავდეს ნაჳს სინჯსა, რომელსაც ხომალდის ძირში ჩაჰყრიან რათა თანასწორედ დააყენოს ზღვაში ხომალდი, ხოლო შენი სათნოება უნდა იყოს იმ ხომალდის ბარგი. შეიძლება მოხდეს ოდესმე რომ, თუმც შენ ყოველი ღონის ძიებით წინა აღუდგე, მაგრამ მაჲნც რაც გაქვს, არა გაქვს ყოველი შენის ქონებისა ჲ პატიჳსაგან მოგწყჳტონ ჲ ცარელა დაგაჯდუნონ; გარნა იცოდე არ შეუძლიათ მოწყვეტა შენი შენის სათნოებისაგან, თუ რომ შენ არ გინდოდეს მოწყვეტა მისგან.

ერთ დროს ათინელთ სამას სამოცი ძეგლი აუმართეს

პატივად თავანთ წინეპულ თავადს დიმიტრე ფალიროსნსა, რომელმან სრულს ათს წელიწადში გონიერობით და სიმართლითა ჭმართა ისინი; მოხდა, რომ ერთ დღესაც მიესივნენ მეშურნენი და ის ძეგლები ყოვლივე შემუსრეს და ძირს გადმოყარეს. რა ნახა ესე დიმიტრემ, ეს სიტყვა სთქვა: «სწორედ შეგიძლიათ რომ ეგ ძეგლები გარდმოყაროთ ადჳლად, მაგრამ ჩემის სიმხნისა და ჩემის ღვაწლებისა, რისთჳსაც ეგ ძეგლები შეიწირნენ, იმათი დაქცევა კი საუკუნოდ არ შეგიძლიათო.»

ფრთხილად იყავ, არ იქმნას, შენი სათნოების ეგ ტურფა გჳრგჳნი მისცე და გასცვალო ოქროს ან ვეცხლის მადანზედა.

სათნოება მუდამ პირთეთრია და კადნიერი, შესარცხვენი და ანუ შესამჩნებელი არა აქვს რა მას. ბრძნული არა კი ესე ჭკუვას გვასწავლის ჩვენ: ერთმა მეფემ, გზას მიმავალმან ნახა რა ერთ ადგილს ძეგლი ამართული, მიეახლა იმას და უნდოდა შეეტყო, თუ რისა იყო ისა; ნახა ქვეშ ეწერა «სათნოება» და შეიტყო რომ სათნოებისა ყოფილა, მაგრამ, თურმე რადგან თავთ ფეხამდინ შიშველი იყო ის ძეგლი, შეეწყალა მეფეს და პატივ საცემად მოიხადა თაჳსი სახელმწიფო ბისონი ტანითგან და იმ ძეგლს გარდაახურა. მაშინ ძეგლი მოუბრუნდა და მდაბლად მადლობის შემდგომ, ეს სიტყვა უთხრა: «მე მეფეო, დაფარჳს ღირსი არა მაქვს რა, რომ მრცხვენოდეს, და არცა რა სიმახინჯე მაბადია რა, რომ დახურული მქონდესო.»

### ტ ა ბ ვ ე თ ი ლ ი . იბ.

### მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს ა და მ ე გ ო ბ ა რ ზ ე დ ა.

არ არის რიგი, რომ კაცი თავს თავს ბედნიერად რაც-

ხუმდეს ერთი კეთილი მეგობრის ყოლისათჳს და ერთთან მხოლოდ კადნიერად დაახლოვებისათჳს; არამედ უნდა ცდილობდეს, რომ ყოველნი მეგობარნი მისნი იყვნენ კეთილნი პირნი.

ერიდე მოზსარული კაცი მეგობრად არ გაიხადო, და არცაღა ლოთი კაცი, რადგან პირველი იგი განსაცდელის დროს დაგაგდებს შენ და წავა; ხოლო მეორე ყოველს შენს ნაიქვამს და ხვაშიადს გარედ გამოიტანს და ილაპარაკებს; ამისთჳს ესენი ორნივე სამოქალაქო ამხანაგობისა მეტად მავნენი არიან. მუდამ გახსოვდეს და არ დაივიწყო ეს ჭკვიანური სიტყვა: «საბატიურის გული და მთვრალი კაცის ენა.» ჳთამც როგორც საბატიერი კაცი თავს გულში სიტყვას შეინახამს საიდუმლოდ, ეგრეთვე მთვრალი კაციცა მოურიდებობით გარედ გამოიტანს საიდუმლოსა.

არ იქმნას, რომ აჩქარებით მეგობრეში გაიჩინო. თუმცა ზოგჯერ შენს პირველს სურჳლს დიდი გავლენა ექმნება შენს გულში, მაგრამ უმთვრო მტკიცე იქმნება ის სიყვარული, რომელიც ნელ ნელა შიყოლებით შევალს ჩვენს გულში, დროების მიცემითა და ჩვენი ნაცვალ გებითი მეგობრულის შეერთებითა. ერთობ მალე დაკავშირებული მეგობრობა იმ ხეებს ემსგავსება, რომელნი, თუმც ერთობ მალე ამოვლენ და გაიზრდებიან, მაგრამ, ვიხედავთ, რომ იმდენი ძალა არა აქვსთ, როგორი ძალაც აქვსთ იმ ხეებს, რომელთაც გასაზრდელად უფრო მომეტებული დროებანი სჭირიათ.

ნამდჳლს მეგობარს ჯერედდა დაუკავშირებელსა ჩვენთან დროების მიცემა უნდა, რომ გამოჳძიო მისი ჳთარება. ხოლო მისი კეთილობის ცნობის შემდგომ კი სრული უფლობა მიეცემა იმას ჩვენ ზედ და მაშინ მეც ჩვენს ხვაშიადს (საიდუმლოს) გაუცხადებ იმას ისრე, როგორც

ჩემს თავს.

სარწმუნო მეგობარი სხვა არა არის რა, თუ არ ერთი სხვა «მე». მის გამო იმდენად არ უნდა განვამრავლოთ იგინი. ამ კანონის შეუნახაობით საკჳრველი არ არის, რომ მოვსტყუვდეთ, და ბევრჯერაც დაგჳვიანდეს და შევსწუხდეთ.

შენს მეგობრად აირჩიე ხოლმე მუდამ კეთილი და სათნო პირი; რადგან ავ ზნის მქონი და გარყვნილი კაცი ვერც ვერა ჳს შეიყვარებს და ვერც შეუყვარდება იგი ჳსმეს დიდი ხნით.

აჳ კაცების მეგობრობა არის აჳ ამხანაგობა, ჳრემც თუ ნამდჳლი და მისანდო მეგობრობა.

შეიძლება, რომ ყოველი კაცი მტრად გაგიხდეს, მაგრამ ყოველი კაცის დამეგობრობა კი არ შეიძლება, რადგან ძრიელ მცირედნი არიან, რომელთაც შეეძლოსთ ჩვენთჳს სიკეთის ქმნა, და თითქმის ყველას კაცს კი შეუძლია ჩვენთჳს ზიანის მოცემა.

ჩვენი ნათქვამი მეგობრობა ძლიერ პატივ-საცემი და წმიდა რამე არის, ამისთჳს ღირსი არის, რომ ყოვლის გულითა შეჳყვაროთ და პატივ ვსცეთ მას.

რაც გაჩენილა ქვეყანა სიყვარულით დაკავშირებული და შეერთებული დგას, და კაცნიცა მეგობრობითა; თუ არა ჩვენ უამისოდ გარდვჳქცეოდით და გავხდებოდით ერთის საშინელ უდაბნოდ. არ არის რა ქვეყანაზედ ისე დიდად სასიამოვნო და დიდად გულის მომსვენი, როგორც ერთობა და სარგებლობის ქონვა ერთმან ერთისაგან.

ერთი აზროვნება და ერთი მიჩვეულობა მეგობრობას განაჩენს და კიდევაც შეინახამს მას: ხოლო სხვა და სხვა ნაირი აზრების და სურჳლების ქონვა ჰგავს მეწინწილობას, იმ უწესო და შემცდარს საკრავს, რომელი სხვა არასა იქმს, თუ არ წაახდენს ტკბილს გალობასა და მსმენელთა

ყურთა მისცემს უსიამოვნებას.

იშჳათად მოხდება რომ სხვა და სხვა აზრების და გო-
ნების მქონებლებში მეგობრობა მტკიცედ დარჩეს; მა-
გრამ მე ამ რამეს, ჳსთანაც უნდა იყოს, იმდენად არ ჳნა-
ღვლი, ოღონდ კარგი კაცი იყოს ჩემი მეგობარი; შე-
მეძლოს მე იმაზედ მინდობა, შემეძლოს მე მისი გულ-
ის შეთჳსება და რა კარგად გავცნობ მის კარგობასა, სხ-
ვა არღარა ფრისგან შემეშინდება.

კეთილი მეგობარი ჩვენი ნუგეში არის ჩვენს მარტო-
ობაში, შემწე არის ჩვენს საქმეში, დამფარველია ჩვენს
განსაცდელში; მრჩეველია ჩვენს ყონყმნობაში და ეჭვნე-
ულობაში, მმართველია სჳნიდისში და შესახიზარი ადგი-
ლი არის სიმარცხეში.

არა ფერი არის ეგრედ უფრო ძნელად საპოვნელი, უფ-
რო ძჳრფასი და უფრო საჭირო და გამოსადეგი, როგ-
ორც ნამდჳლი მეგობარი.

დიდმა ავჳსტო კეისარმან, რაც რამ დაჰკარგა ცეცხლ-
ისა, წყლისა და სხვა მარცხების მიზეზებითა, შეიძლო
მცირე დროში შემატება მათი; მაგრამ როცა დაჰკარგა
ის თაჳსი ორი მეგობრები, რომელნიც ჰყავდა მრთელს
თაჳს სიცოცხლეში, მუდამ უნუგეშოდ სტიროდა მათზედ
ის ჩინებული კეისარი.

ამ ქვეყნის რამები ყოველნივე ამაოებანი არიან, გარდა
ძველი და კეთილი მეგობრებისა, რომლებთანაც გაერ-
თობი და გარდა კარგის წიგნებისა, რომელთაც აილებ და
წაიკითხამ.

სარწმუნო მეგობარი ცოცხალი საუნჯე არის, სანამ
ჴელში გვაქვს, ფასი არა აქვს; ხოლო როცა დავჰკარგ-
ამთ, არ კმარა ცრემლი ჯეროვნად მას ზედ სატირლად.
არა აქვს კაცსა ისე სასიამოვნო სიტყვა, როგორც ლა-
პარაკი თაჳს მეგობრებზედა, და არც არა ფერია იმდენ-

ად უფრო ძნელი, როგორც ჰპოვნა ერთ გულის მეგობრისა ჲ სრული ცნობის ქონვა იმას ზედა.

როცა ნახამ იმისთანა ჳსმეს, რომელთანაც შეიძლებ თქმასა ჲ გარდაცემას შენი ჭირისა ჲ შეწუხებისასა, მაშინვე იგრძნობ ერთობრ ნუგეშის-ცემას ჲ ადმსუბუქებასა; ამისთჳს ძლიერ შესაბრალებელი არის ის კაცი, ჳსაც სარწმუნო მეგობარი არა ჰყავს, რომელთანაც შეეძლოს მინდობა ჲ თჳსი ხვაშიადის თქმა.

ჩემის მეგობრის გული კეთილობა დაატკბობს ჲ ამიმსუბუქებს ჩემს გაწეულებსა; ჲ ჩემს თავობაზედ მისი ნაფიქრებნი შეამცირებენ ჩემს ნაღვლებსა. თუ რომ იმას გაემარჯოს ჲ ბედი გაეხსნას, გავხარამ ჲ სიხარული დამიდგება ისე, როგორც იმას შეუძლია გახარება მასზედ; ჲ ამითი ჩემი ბედნიერებაც გაბევრდება. ძლიერ მშვენიერად სთქვეს ძველმა ფილოსოფოსებმან: «როცა მსგავსი მსგავსთან შეერთდება, ორნივე ერთობ გაბედნიერდებიან.» კვალად, თუ რომ არ შეიქმნა ჩემსაჳთ, არ შეგიძლია გახდე «სხვა მე.» მიყვარს ჩემი მეგობარი ჩემსაჳთ ჲ მგონია, რომ ამითიც კიდევ ღირსად ვერ ვჰყვარობ მას.

მართლად დიდი ქების ღირსი გახდა ის ფილოსოფოსი, რომელმაც სიკვდილის დროს ბრძანა, რათა თჳსი ქონების დავთარში ჩაეწერათ ჲ გაეტარებინათ თჳსი მეგობარიცა.

ერთ დღეს დიდ ალექსანდრეს სთხოვდა ჳნცღა, რომ თჳსი შეძენილი საუნჯე ეჩვენებინა მისთჳს; მაშინ უბრძანა ალექსანდრემ თჳს მსახურებს, რომ წასულ იყვნენ ჲ ეჩვენებინათ იმ კაცისათჳს, არა თუ შეძინებული ვეცხლი, არამედ თჳსი მეგობრები. ამით ალექსანდრემ საკმაოდ დაგვანახა, რომ მაშა სადამე უფრო დიდად სთვლიდა იგი თჳს მეგობრებსა, ჳრემც თჳს თვალთ მი-

უწდომელს სიმდიდრესა.

პირი გამიცინებს და გაჳხარებ, როცა კმა ყოფილს და მხიარულს ვნახამ ჩემს მეგობარსა; მაგრამ სიხარული უფრო მომემატება მაშინ, როცა შეჳძლებ მე შემწეობის მიცემასა მისდამი. როცა ჩემის მეგობრის საქმისთჳს ფიქრობას დაჳწყობ, და შეუდგები იმის სარგებლობის მომატებას, მე მაშინ იმდენად ჳშრომებ მისთჳს, რავდენადაც ჩემთჳს.

მეგობარი ერთს სუფთა ბრწყინვალე სარკესა ჰგავს, რომ ჩვენს ნაკლებულობაებს სრულიად გვაჩვენებს ჩვენ.

ერთხელ ფოკიონ კარგმან ანტიპატრო დიდ თავადს უთხრა ეს სიტყვა: «თუ რომ შენ ფიქრში წარმოგიდგენია, ეგრეთი მეგობარი ჳყო მე შენი, რომ პირფერობით მოგეპყრა შენ, დიდათ სცდებით.»

ჩემმან მეგობარმან თჳსი მოვალეობის გამოჩენა ბევრიც რომ მომაკლოს, მე ამისთაობისათჳს ჩემს მეგობრობას იმას არ დავაკლებ, და თუ გინდ მას ერთ მხრესაც დაეგდოს მეგობრობის მოვალეობანი, მაინც მმართებს მე, რომ ის პირველი მეგობრული სიყვარული ვიქონიო მას ზედა.

ყოველნაირ შემწეობას და ყოველნაირ საჭირო ზრუნვას ვეცდები რომ ჳხმარო მეგობარზედ და თუ ვნახამ რომ გზიდგან გარედ გასულა იგი, მაშინაც ყოველს შესაფერს საშვალებს და წამლებს ჴელს მოვკიდამ იმის გზაზედ მოსაყვანად.

ჭკუჳთ, გონიერებით და ზრდილობით მოქცევა მეგობართან ისე მშვენიერი და პატიოსანი რამ არის, როგორც რომ მდარე და შეუფერებელი არის მეგობრის გაჭირვების დროს შემწეობის მიუცემლობა მისთჳს.

სიკეთე უყავ შენს მეგობარსა, რომ მით მუდამ მტკიცედ შეინახავს შენ იგი. აგრეთვე სიკეთე უყავ შენს

დასამეგობრებლად.

ყოველს დონეს ჰხმარებ რათა კეთილი ჰლაპარაკო ჩემს მტრებზედა, და ამასთან ვესარჩლო და დაჰფარო ჩემი მეგობრებიცა. პირველ ამათი ესრედ შეყვარების შემდეგომ, მერმე მოვა რიგი შეყვარებისა და შემწეობისა სხვებზედაც.

თუ ხედამ რომ ვერ შეიძლე შენდამი დამეგობრება რომელიმე ჩინებული პირისა, ეცადე, იმ სახით მოიქცე იმასთან, რომ მაინც მტრად არ გაიხადო ისა; ესეც საკმაო იქმნების შენთჳს. ამიტომ რომ თუ უკან ჩამუდგე და გინდოდეს უშიშრად დამშვენება იმ ნაირი დიდი კაცების მეგობრობისა რომელნიც კეთილნი დვაწლით შემოსჳლნი არ არიან, მიემსგავსები შენ მაშინ იმ თაგვსა რომელსაც უნდოდეს დაბუდესა კატის ყურში.

საშენო მეგობრებს ნუ მოსძებნი პალატებში და დიდი კაცების სახლებში.

ცოტა მეგობარი ჰყავს კაცის პირსა რომ ჳთარცა გამარჯვებაში ისეც დამარცხებაში, მუდამ ნამდჳლად მეგობრობა უყოს მას, და მრავალი მეგობრები ეყოლება კი არა თჳთ კაცს არამედ კაცის სვე ბედსა და გამარჯვებასა. (ინთერესისა) და სარგებლობისათჳს დამეგობრება იმდენ ხანს გასძლებს, რამდენსაც გასძლებს ის ინთერესი და სარგებლობა: ჩვენს უნებურად ამ რამის ჭაშნიკი მიგჳდის ხოლმე ყველასა. ერთ გული და უინთერესო მეგობრობა ალმასის თჳსებასა ჰგავს, რომელი ბევრს გასძლებს, და ძლიერ ძნელია იმისი დაღნობა და გაუქმება.

მხოლოდ ვაჭრობა და ალებ მიცემობა უნდა იყოს სარგებლობისათჳს, და არა მეგობრობა. მეგობრები არ უნდა ჰგავდნენ იმ სასწორსა, რომლის ერთი თვალი როცა ზეით ავა, მეორე ქვეით ჩამოვა. არამედ უნდა ემსგავსებოდნენ რიცხვებს არითმეტიკურის ანგარიშისასა

რომლის სრულ წვრილნი რიცხვნიც სრულ დიდროვანი რიცხვებიჳთ, სხვა არა ფერში იხმარებიან თუ არ რომ ორნივეცა გაამრავლებენ ანგარიშებს.

სრულიად გაფრთხილდი არა ჳნ არ დაიმეგობრო ძღვნ-ის მიცემითა, ამიტომ რომ, უკეთუ მოაკლო ძღვენი მალე გაცივდებიან ისინი შენის სიყვარულისაგან.

მეგობრობა უნდა დამტკიცდეს აზრების, მიდრეკილო-ბის, თჳსებათა, თანასწორობასა და ერთ ნაირობასა ზე-და მეგობრებისა, და არა ძღვენებ ზედა, რომელი ბევრ ჯერ მოგვერთმევა ჩვენ მოსაქრთამებლად და მოსა-ფერებლად; რომელს რიერთსაც მეტს გასცემ, იმდე-ნი ნაკლებად სანდო მეგობრები გეყოლება.

მტერი თუ რომ ჭკუჳთ და ზრდილობით შეიძინო და გული მოუგო, ბევრ ჯერ ისე კარგი მეგობარი გაგიხ-დება ჳდრელა შეგიძლია მინდობა და შენის ხვაშიადის (საიდუმლოს) გაცხადება მასთან.

როცა ერთი მეგობრობის კავშირი დაირღვევს, მის შემდგომ მეგობრებში ყოფილი ფარული საქმების კარ-იც გაიღება; და ნახავ, რომ აქეთ იქით გამოსულან და დაფრინავენ ის ხვაშიადები გინა საიდუმლოვანი საქმები როგორც თუ გალიიდგან ფრინველები გამოშვებულ იყვ-ნენ. აგრეთვე როცა მეგობრები ერთმან ერთთან აიშლე-ბიან, ნახავ, რომ მეორე კერძოთ ფარული მტრები, რომელნიც მუდამ ფხიზლად ათვალიერებდნენ იმათ საქ-მებსა, მივლენ იქ და მოწამლულის გესლით გააღჳებენ იმ ცეცხლსა; და რა ცხადად გაიმართება ბრძოლა, მაშინ ნახავ, რომ თჳთ ისივე ძველი მეგობრებიცა გამხდარან და გარდაქცეულან უფრო საშიშარ მტრებად.

როცა აღირჩევ ჳსმეს შენს მეგობრად, თუმც უნდა აჩვ-ენო იმას დროს დაგვარ ყოველი შესაძლისი საიდუმლ-ოანი საქმე შენი მაგრამ მაინც კიდევ გონიერება მო-

ითხოვს ფიქრში გვქონდეს ესეც, რომ ისიც კაცი არის, დ~ შეიძლება მოხდეს რომ ერთ დღეს მტრადაც გაგვხდ-ეს ჩვენ ისა.

ნეტა იმ კაცსა, ჳსაც შეუძლია იშოვნოს თაჳს გაჭირ-ვებაში ერთი იმისთანა მეგობარი, რომელმან შემწეობა მისცეს მას. მაგრამ უფრო მეტად ნეტაი იმ კაცსა, ჳს-აც არ ეჭირება ესე!

მეგობრები არ არიან ისინი, ჳნც ძალას გატანებენ დ~ გიგიზგიზებენ შენ შენის სარგებლის საწინამდღეგო-საქმეში შესვლას, როგორც შენ მეგობარი არ იქმნე-ბოდი შენის თაჳსა, უკეთუ შენი სიმართლე ერთ მხარეს დაგეგდო სხჳსი სიმართლის დაცჳსათჳს.

შენთჳს მეგობრის არჩევაზედ დაიყოვნე დ~ ნუ აჩქარ-დები; მაგრამ უმფრო დაიყოვნე როცა ძალა დაგადგება დ~ ვალდებული ხდები რომ მეგობარი დასტოვო.

ყველასთან კი მოქალაქობით დ~ ზრდილობით მოიქეც ხოლმე, მაგრამ ცოტა პირთ დაუახლოვდი დ~ დაუშინა-ურდი ხოლმე.

ვინც უნდა იყოს, ნუ შეურაცხ-ჰყოფ მისა მდარე მდგ-ომარეობისათჳს; დ~ ნურც ზომაზედ მომატებულს მი-დებას დ~ პატივს მისცემ ჳსმეს მისი სიმდიდრისათჳს.

გამარჯვება არ შეიძლება მართალი საწონი იყოს, არა-მედ სიმარცხეში შეგიძლია აწონო შენი ნამდჳლი მეგ-ობრები თაჳანთი მართალი დ~ სწორე წონის დაგვარ.

პლატონ ჩინებული ფილოსოფოსი მეტად დიდებული-ქებაების ღირსი იქმნა მისთჳს რომ სრულიად არ დას-ტოვა დ~ არ დააგდო გაბრია თჳსი მეგობარი, რომელი-ც ჩაბეზღებით დასჯილი იყო დ~ რომელიც ყოველთა დაეტოვებინათ დ~ დაეგდოთ. როცა პლატონი თჳს მეგ-ობარს გაბრიას მისდევდა დ~ მიდიოდა სატყვეოსაკენ, მაშინ ჳცდა კრონიულთ სახელით ორპირის ერთი, შეხვ-

და პლატონს გზაზედ და უთხრა : «მიდიხარ, რომ სხვას შეეწიო განა? მაგრამ იცოდე რომ სოკრატის საწამლავ შენთჳსაც შემზადებული არისო.» მიუგო პლატონმან იმას ესრედ : «მე ომში შევსულ ვარ ჩემის მამულისათჳს და სიცოცხლეც საცდურში ჩამიგდია, ახლაც ეგრედვე მინდა მოჳქცე ჩემის საყვარელის მეგობრისათჳსო.»

ნამდჳლს მეგობრებში დაარსებული მეგობრობა ყოვლითურთ უნდა ჰგავდეს იმ ძველი დროის აშენებულს ტაძარს, რომელსაც ერქვა რწმუნების ტაძარი : ეს ტაძარი უსართულოდ აშენებული იყო და ჭერის მხარე სრულ ღია, მით მუდამ ბრწყინვალე და სინათლიანი იყო. ამის დამფუძნებელნი ამით გვაგონებდნენ ჩვენ, რომ სრულ ესრედ ბრწყინვალე და ნათლოვანი უნდა იყოს მრწმუნებლობა და არ შეჰფერის შეერიოს იმას რაჲმე ფარული ორგულობა.

მეგობრობა ჩვენ გულს სიხარულს მოუმატებს, და ჩვენი უბედური ცხოვრების მოწყენილებას დაჰფანტავს.

არიან მეგობრები, რომელნიც თავჳსნით ქცევით ემსგავსებიან კროტონის თაგვს. ერთხელ ერთ კაცს სახელად კროტონს ჰყავდა თავის სახლში ერთი თაგჳ, ეს თაგჳ სანამ მოულობდა სიუხჳთ საჭმელს, არ გაშორებია კროტონსა სახლისაგან. ერთ დღეს ცეცხლი გაჩნდა რა სახლში და მოეკიდა ერთიან, თაგვმან კარი მოძებნა, დასტოვა სახლი და გახტა წაჳდა. ეს რომ ნახა კროტომ დაფიქრდა და სთქვა : თუ როგორ უმტკიცო ყოფილა სარგებლობისათჳს შედგენილი მეგობრობა, და დაჯდა დასწერა ეს ორი ტაიპი სიტყვა : «იყავი და იცხოვრე ჩემთან მეგობარო, უმტკიცო ბედის დროსა და ახლა კი გაიქეც და წახველი ჩემგან, როდესაც შეგეძლო გამარჯვებასთან სიმარცხისაც გაწევაო.»

სწერს ერთი ახალი მწერალიც ესრედ : «მე არას დროს

არ დამიტოვებია და არ დამიგდია ჩემი მეგობარი სანამ თჳთან პირველად არ დაუტოვები ვარ, რათა გაშორდეს ჩემგან და მით გაშორდეს კვალად სათნოებისაგანაც რომელი არის მშვენიერი და ნამდჳლი კავშირი, რომელისაც დავეკავშირებნეთ ჩვენ ერთმან ერთთან.

და ახლა თუმცა უკან ვდგავარ მისი დაახლოვებისაგან, მაგრამ საკუთარი სიყვარული კი კიდევ მაქვს მას ზედა, და მუდამ მისი სიკეთე მინდა, მიხედვით იმ ჩვენი ძველის მეგობრობისა და ჩვენი სიყვარულიანის ერთობისა. და რადგან კეთილი მოქალაქე ვარ ამ ქვეყნისა, მით მძულს მეზიზღება, და ვმტრობ იმ ყოველს რამესა, რასაც არ შეშვენისთ კაცთა ქმნად; და სხვაზედ მოხდომილს უსამართლოებასაც ჩემად მოხდენილად ვსთვლი.

## ბაკვეთილი იდ.

## ზომიერს სარჩოსა და ხარჯვაზედა.

საკუთარი ზრუნვა უნდა გქონდეს არა მარტო მოგებული ფულის ზომიერად დახარჯვასა და მის შენახვასაზედა, არამედ თუ შეიძლება ზომიერად ფულის შეძინებასა და აღორძინებასა ზედაცა კანონიერი და სამართლის გზითა. ფული ბედის საძკჳდრებელია, და დიდი მფლობელობა აქვს ქვეყანასაზედა.

მხარჯველმა კაცმან კარგად უნდა იცოდეს, რომ ფული გამდიდრების გასაღებია, რომელი გზას გაუღებს და ადჳლად საქმეში შეიყვანს ჭკჳან კაცს თანამდებობაების ძელით გასატარებლად ქალაქის სამსახურისათჳს. თუმცა რა გინდა დიდი ჭკუა გქონდეს, თუ რომ ჭკუასთან ერთად ოქროს ფერიც თან არა გაქვს, ქვეყანა საზოგადოდ სრულ არაფრად არ მიგიღებს შენ. და თუმცა კი უჭკუო-

ესრედ მოშურობა კაცისა დ~ ასე არ უნდა ყოფილ იყო, მაგრამ ეს ქვეყანა ესრედ მიდის. ამბობდა ფილოსოფოსის ერთი: «კაცის ცხოვრება ზღვა არის დ~ მისი მფლობელი დ~ ნავთ მოძღვარი ფული არის. უბედურს მოგზაურობას იქმს ის, ჲსაც ეს ნავთ მოძღვარი არ ჰყავს.» ამით იმას არ ვამბობით ჩვენ რომ ვეცხლის მოყვარული იყო, არა, რადგან ვეცხლის მოყვარულობა დიდად ბოროტი რამ არის დ~ ყოველი ბოროტობის მიზ-ზეზიცა, არამედ ამით ამას გეუბნებთ, რომ უზომოდ მხარჯველი ნუ იქმნები, რადგან აქედგანაც ბევრი ბოროტობა დაიბადება.

ამბობენ, რომ ერთხელ ვენეტიკის თავადმან გაიგონა, რომ კოზიმო მედიჩ ფლორენციის დუქას, ჰქონია საფილოსოფოზო ქვა. ადგა წაჲდა იმასთან დ~ ევედრებოდა რომ ეჩვენებინა მისთჳს ის ქვა. ამ ვედრებაზედ ზრდილობით პასუხი მისცა იმ დუქამ დ~ უთხრა: «მართალია მაქვს მე ის შენი გაგონილი საკჳრველი ქვა, აგერ გითხრა ჩემი ხვაშიადი. ა. მე სრულიად შემწეობას არა ჲს არ მოვსთხოვ იმ საქმეში, რისაც გარიგება მე თჳთან შემიძლიან. ბ. მე დღეს გასარიგ საქმეს სახვალიოდ არ დავსტოვ. გ. მე ძლიერ წიწკტ საქმეებშიც ფრთხილი დ~ მზრუნაჲ ვარო.» ეს რომ გაიგონა ვენეტიკელმან, კარგად ჩახვდა, დ~ დიდი მადლობის მოხსენებით დუქისაგან გამოსული წაჲდა თავის ქალაქში დ~ იწყო რა იმანაც წარმოება გაგონილთა მათ, გახდა დიდად მდიდარი დ~ დიდი ჭკჳანი მოქალაქე ვენეტიკში! შენც ეცადე რომ ეს ფარული საფილასოფოსო ქვა იხმარო, თუ რომ გინდა შენი მონაგების შენახვა დ~ შენის სახლისა დ~ მამულისაცა გონივრულად მართვა.

ცხადი არის რომ დიდ სულს დ~ გულს ჰქვს კაცს ისე დიდად ზრუნვა არა აქვს ფულისთჳს; მაგრამ როცა ჩა-

მოელდევა და მოაკლდება ის, მაშინ კი იწყობს მისი ნაკლებულობის გრძნობასა.

ყოვლითურთ და სრულიად უფულო კაცს; რიერთიც კარგი და კარგი ნიჭებიც ჰქონდეს, ამსგავსებენ ყოველის კელ საწყობებით და ჭაპან თოკებით მომზადებულს ხომალდსა: რომელი ვერ შეიძლებს აფრის გაშლასა და წასვლასა უმისოდ (თჳნიერ) მარჯვე ქარისა.

თუ რომ რამე საქმის გარიგების სურჳლს და მოწადინებას ვერ მისწვდება ის ფული რაც გაქვს და შენს შეძლებაზე მაღალია ის საქმე, რომლის გარიგებასაც რომ ნატრობ, ეცადე ფრიად რომ ეგ შენი სურჳლი შეიჯურიო აწინდელი შენის ქონებითა და შენს შეძლებაზედ ზეით და მაღალს საქმეში არ შეხჳდე.

გაფრთხილდი, არ მიემსგავსო იმ კაცსა, რომელიც გამოსდგომოდეს და ცდილობდეს სხჳს ხომალდის გარდარჩენასა საცდურისაგან და თაჳსი კი ხმელეთზედ ბაებდოს და დაელეწოს.

ნახე, გასინჯე ის ადგილები სადაც სხვიებმა დიდის განსაცდელით თაჳანთი ხომალდები შეალეწეს და დაიღუპნენ, შენ მათი მზერით დიდად გაფრთხილდი და შორითგან გაუარე ხოლმე იმ საცდუროვან ადგილებსა.

რომელთაც რომ თაჳანთი ფული, რაც ჰქონდათ არ ჰქონდათ, აბუქობითა და უძღებობითა გააფუჭეს, ბევრჯერ ისინი საკჳრველის ჩამოდგომითა იმისთანა რჩევებს მოგცემენ შენ რომ შენც შენი ფულები იმათსაჳთ გააფუჭო. ესენი იმ მელას ჰგავან, რომელსაც მოგჳთხრობს არკი: ამან როცა რაჲმე განსაცდელის გამო თაჳსი კუდი მოიწყჳტა და დაჰკარგა, სხვა მელებსაც ურჩევდა და აგულიანებდა, რომ იმათაც თაჳანთი კუდები დაეჭრათ; ეუბნებოდა: ეს კუდი ნამეტური რამ ყოფილა ჩვენთჳს და სხვა სარგებლობა არა მოაქვს რა ჩვენთჳს, თუ არ გვამ-

ძიმებს და მოუსვენრობას გვაძლევს ჩვენაო.

ერთმა თავადმა, რომელს გაუფუჭებინა თავისი მდიდარი საცხოვრებელის დიდი ნაწილი, ერთ დღეს მიიწჳა ელისაბედ დედოფალი თავის სახლში. ეს სახლი დიდად მშვენიერი და დიდებული პალატი იყო, და მის კარზედ ეწერა ესრედ: «ყოველივე ამაოება არის.» შესვლის დროს როცა წაიკითხა ესე დედოფალმან, მიბრუნდა და ჰკითხა მისი ძალა; ისმინა რა თავადისაგან იმ ნაწერის თარგმანი, უთხრა დედოფალმან: «მაშ შენ რისთჳს ესრედ შეამოკლე შენი ყოველი ქონება, და განაგრძელე შენი ამაოებაო? და ამ სიტყჳთ ძლიერ მეტად ამხილა დედოფალმა ის უზომოდ მხარჯველი თავადი.

ძველ კერპთ მსახურების წიგნებში სწერია ეს მოთხრობა: ერთხელ ტყეში ერთ მუხის ხეზედ აემართათ ერთი არა ღმერთას, კერპის, ძეგლი, და დიდ ხანს ერი მიდიოდა და დიდ პატივს ცემას და დიდ მსხვერპლებს უზორჳდნენ თურმე იმ არა ღმერთას. ბოლოს ნახეს რა რომ ხე დაფუტურდა და გადაბრუნებას ლამის; თუმც ჯერ არ იყო გადაბრუნებული და თუმც ჯერედ ისევე ამართული იყო ზედ ის არა ღმერთა, მაგრამ მაინც კაკალი კაციც არღარ მიეკარა.

ძლიერ იშჳათად მოხდება, რომ შეაყუვარონ და პატივსცენ კიდევ იმ კაცთა, რომელთაც ბედი და გამარჯვება დაჰკარგოდესთ; აგრეთვე სრულიად იშჳათად მოხდება, რომ სიმარცხე ერთად შეკავშირებული დარჩეს მეგობრობასთან. მეგობრულს სიყვარულს ბევრ ჯერ ვხედამთ რომ უფრო ინტერესისა და სარგებლის მოყვარულობისათჳს არის; და ბევრჯერაც ერთმან ერთი გაჲყვარს მხოლოდ მისთჳს რათა შეჰგვეძლოს მიწევნა იმ ოხჭანისა და იმ მიზნისადმი რაც რომ ფიქრში ჩაგჳძს.

ბევრნი კაცნი არიან ქვეყანაზედ, რომელნიც გაჰგან სრ-

ულიად მზის მომზირაჲ ყვავილის ბუნებასა; ეს ყვავილი მაშინ გაიშლების როცა მზე ამოვალს და როცა დაღამდება მაშინვე მოიხუჭება.

დამიჯერე მე, შენი დამარცხების დროს ბევრჯერ დიდ მტერებად ისინი გაგიხდებიან შენ, ვინც რომ გემეგობრებოდნენ ხოლმე შენს გაის დღეებში.

მომავალი შენის სარგებლობისა და შენის მოგების მომლოდინებით რიგი არ არის, რომ შენი ქონება გააბნიო და დახარჯო. ჭკვიანი და გონიერი ვაჭარი თავის საყოველ დღიო ხარჯს არ გაამრავლებს, და უზომოდ არ დახარჯავს, შიშით არ იქმნას, რომ მისი საქონლის დაღუპვისგან უფრო ცუდი სიმარცხე შეემთხვოს მას.

ის კელში ნაქონები ფული არის, რომელიც კაცს დირებულად სთვლის თვით ქვეყნის წინაშე, და ამასთან გონიერება და ჭკუა არის რომელიც კაცს ყოველ დროს საქებურს გახდის; და ამის გამო, თუ ერთი და თუ მეორე გაჭირვების დროს დიდ შემწეობას მისცემენ ხოლმე კაცსა.

აბუქობა და ხარჯვა ჰგავს გველის იქედნესა, რომელიც თავისი მშობელის მუცელს გამოჰგლეჯს და ისე გამოვა გარეთ; ხოლო ზომიერი სარჩო, და სიმართლით შეძენა არიან, როგორც ორნი ფრთანი და ორი კელები სვებედისა და გამარჯვებისათვის.

ერთ დღეს ზენონ ფილოსოფოსმა ნახა რამდენიმე ვაჟკაცები, რომელნიც თავიანთ ქონებას აფუჭებდნენ, და დაუწყო რა მათ სწავლა ამაზედ და მხილება, იმათ თავიანთი თავის გასამართლებლად უთხრეს: ჩვენ ისეთი ქონიერნი ვართ, რომ შეგვიძლია ამ ნაირად ცხოვრებაო. მიუბრუნდა მაშინ და უთხრა ფილოსოფოსმა: «თქვენ ნეტავი გაამართლებდით იმ მზარეულსა, რომელსაც საჭმლებში ზომაზედ მომეტებული მარილი ექმნა? რა არის? ბევ-

რი მარილი მაქვსო. »

აბუქა მხარჯველი კაცი შეგიძლია მიამსგავსო იმ ღელევებსა, რომელნიც ციცაბო ადგილებს ამოვლენ და იმათ ნაყოფს მხოლოდ ყორნები და ზარნაშოები სჭამენ.

შემთხვევა არის, ბედი არის, რომელიც ზოგჯერ მოაგებინებს ფულს კაცსა; მაგრამ მოგებულის შენახვა კი შემთხვევა არ არის, არამედ გონიერება და სათნოება.

ვინც რომ ყოველს ადგილას და ყოველს რასმეში ზოგამს ფულს, ის სრულიად ხარბი არის; და ჲნც არა ფერს არ დაზოგამს ის ბუქა არის. მაშ შენ ეცადე რომ რაც ძლიერ საჭირო რამ არ იყოს დაზოგო, რომ შესაფერს დროს შეგეძლოს უფრო უხვად მოხმარება შენის ნაქონების.

ვინც ზოგჯერ ხარჯამს, იმისთანამ ზოგჯერაც უნდა დაზოგოს, რადგან იშჳათად მოხდება, რომ სახლები არ დაიქციან იმ კაცთა, რომლებმაც არ იციან ქონების გონიერად მოხმარება და დაზოგვა, იკონომიის ქმნა.

თუ რომ სიკეთისათჳს ჰსმეს ფული მისესხო, ეცადე რომ ბევრ ხანს არ დარჩეს და მალეზედ უკანვე გიბრუნოს. ამიტომ რომ საზოგადო მიხედჳთა, ძველ ვალებს მარტო უმადურობითა ხდილობენ კაცნი.

თუ რომ ფულის მოსაგებში და ან რაჲმე სამკჳდრებელში შეხჳდე, ანგარიში მალე გასწმიდე და ეცადე რომ სიმართლის გზით გაამრავლო, და შენს ფიქრში მუდამ დაუჳწყებლად გქონდეს ესეც რომ შეურცხვენლად და მოუქიქავად არ შეუძლია კაცს თაჳსი პირველი მდგომარეობითგან ჩამოვარდნა.

ერთ დღეს პლატონ ფილოსოფოსმან ნახა ერთი მდიდარი კაცის შჳლი, რომელს ყოველივე, რაც ჰქონდა არ ჰქონდა, გაეფუჭებინა და ერთს ყოველთ სადგურის, სასტუმროს კარს იდგა, ცარელს პურს სჭამდა და წყალს

სვემდა ზედ; მიახლოვდა იმას და დარიგებისათჳს ეს სიტყვა უთხრა: «თუ რომ მუდამ დაზოგჳთ სადილები გეჭამა, მაგნაირი სერის (ვახშმის) ამარას ხომ არ დარჩებოდით.»

ძლიერ სასარგებლო არის რომ კაცმან პირველშივე იწყოს ეკონომიის ქმნა, დამზოგველობა, თვარემ რა ყოვლიფერს წააგებს, მერმე დაზოგვა რიგ გარეჭია და ძლიერ გჳან.

იმ ნაირი მემკჳდრენიც იყვნენ, რომლებს მშობლებისაგან თუმც კი ბევრი რამ დარჩათ, მაგრამ იმფერი თავჯანთი სიუხჳს შემდგომად, მოჳდა დღე რომ მის მერმე მარხულობა შეინახეს და სიგლახაკითა და სახელ დავარდნილობითა სადილს და ვახშამს მიირთმევდნენ ხოლმე.

ზომიერი სარჩო თავით თჳსით სხვა არა ფერი არის, თუ არ ერთი იმ ნაირი მოგება რომელი თან და თან უფრო იმატებს, თუ რომ ჰქონდეს კაცს თანვე სიმართლითი მოგება და ან სხვა რამე შემოსავალი.

რათა რომ შეგეძლოს დიდი თავნის (კაპიტალის) შედგენა ანგარიშსა და სათვალავში, ძლიერ წვრილი რამებიც ერთი ერთზედ უნდა დაადვა, და გააერთო ისინი, და თუ გინდოდეს გაბევრება თავნისა, ფულის ძლიერ წვრილი შლილობითგან დაიწყობება მუდამ გამრავლება მისი.

მოხდება ზოგჯერ, რომ კაცი ბევრს ოფლს მოიწურამს, სანამ ზომიერი რამე მოიგოს; გარნა როცა იმდენს მოიგებს, იცოდეს დიდი რამ მოუგია; ამიტომ, რომ, როცა გამარჯვება იქამდის შეეწია იმას, მას მერმედაც იმასთან იქმნება და მალე ჴელი მოემართება.

## ზ ა ჰ ვ ქ თ ი ლ ი იე

სიმდიდრესა დ̃ ვეცხლის მოყვარულობაზედა, დ̃ თუ სიმდიდრის აზრი რა უნდა იყოს?

არ ვშობილი ვარ მე გასამდიდრებლად: ამისთჳს ამაზედ მოუსვენრობაში არ შევალ. მეტადრე როცა ვფიქრობ, რომ კაცს რიერთიც მომატებული რამ აქვს, თითქოსო იმდენიც უფრო ნაკლებულობა აჩნდება.

მართლად შეგვეძლო სიმდიდრის სურვილი გვქონებიყო ამ ქვეყანაზე, თუ რომ სიმდიდრეს შესძლებოდა მოცემა ჩვენითჳს იმ სიამოვნებისა, დ̃ იმ კმაყოფილებისა, რომლითა მხოლოდ შეგჳძლია გამდიდრება სიგლახაკეშიცა. ხოლო თუ სიმდიდრეს ვნატრობთ, მხოლოდ ჩვენი ნაკლებულობის შესავსებლად, მაშინ ცოტა რამის ქონჲთაც შეგჳძლიჲ დიდ მდიდრად ყოფნა, რადგან ამით უფრო შეჳძლებთ დაახლოვებას ყოვლის მპყრობელი ღვთის სიმდიდრესთან დ̃ სავსებასთან რომელს არაფრის ნაკლებულობა არა აქვს არასოდეს.

თუმც კაცობრიობაში ბევრ ჯერ უფრო უღირსებს ვხედამთ, რომ იშვენებენ ბედის სიკეთებსა, როგორნიც არიან სიმდიდრე, პატივ დ̃ სხვაც: მაგრამ კაცის ნამდჳლად გამამდიდრებელნი ესენი არ არიან, არამედ კაცის თაჳსივე ნამდჳლი ნაყოფი არის დ̃ შინაგანი ღირსეულობა მისი რომელიც იმას გაამდიდრებს.

არიან კაცნიცა, რომელთაც ჰგონიათ, რომ აზნაურობას დ̃ სიმდიდრეს შეუძლიათ კაცის გაბედნიერება; მაგრამ ესენი იმდენად ქების ღირსნი არ არიან, რადგან სხვებისაგან გარდმოგვეცემა ჩვენ ესენი. ხოლო ღვაწლი სათნოება დ̃ კეთილი ცხოვრება!, კი არიან ქების ღირ-

სნი, რომელნიც თაჳთ თჳსით საყვარელნი და პატიოსანი რამენი არიან, და რომელნი ბევრ ჩინებულ კაცთაცა საკუთარის სახით დიდებას და პატივს მოუმატებენ.

კრეზი დიდი და მდიდარი მეფე იმ კაცს სთვლიდა მდიდრად, ჳსაც შეეძლო ხელად შენახვა ერთის ურდოსი. მაგრამ ამ შეძლების მქონე კაცსაც ეჭირება კიდევ სხვა ერთი ურდო მსახურნიცა რათა მით ის თაჳსი ქონება შეინახოს მან დაუკარგავად.

ამბობდა არქიდამო ჭკჳანი მეფე სპარტელებისა: თუმცა მთელი ქვეყნის პატრონი გახდე, მაინც კიდევ თუ რომ შენი ჩრდილი გაზომო პირველისაგან დიდს ვერ ნახამ!

დანიელ წინასწარ-მეტყველმან ხილვაში ნახა რა ოთხნი ჩინებულნი ხელმწიფობანი რომელნიც აღმოჩნდნენ ქვეყანასაზედა, დაფიქრდა იმათ ზედ და ჰკითხა ანგელოზსა: «რა არიან ესენი? უპასუხა ანგელოზმან: «ესენი არიან ოთხნი ქარნი.» ამ სიტყჳთ შეგვატყობინა ანგელოზმან, რომ ქვეყნის ყოველი სიმდიდრე, ყოველი დიდება და პატიჳ, მომსვლელი წამსვლელი და განმვლელნი რამენი არიან.

ამბობს ერთი ავტორი, რომ ქრისტე უფალმან ჩვენმანცა საკმაოდ გვაცნობა და გვასწავლა ჩვენ, თუ რა ღირებულობის მიცემა და რა აზრიც უნდა გვქონდეს ვეცხლზედა, როცა მოციქულებში იუდას მიანდო ფულის კოლოფის მზრუნველობა და შენახვა.

ღვთის წინა გამგებლობას მოუნიჭებია ჩვენთჳს მომეტებულად ის ყოველი რამე, რაც ჩვენის კეთილისათჳს გვეჭირება. ხოლო ოქრო და ვეცხლი რომელიც დამბადებელმან შეყარა და შეინახა მიწის ქვეშ ღრმა ადგილებში მიწასთან არეულად, კაცის ანგაარებმან და დიდების მოყვარულობამ ამოიღო ის იქიდგან, გამოადნო და გა-

მოაშვარდა გარედ.

ვისაც სურს გამდიდრება, ეყოფა მას გასამდიდრებლად, რომ კმაყოფილი იყოს. ეს კმაყოფილობა ერთი ისეთი სიკეთე არის, რომლისა ყოველს სიტყვერს კაცს შეუძლია კელით გატარება და უფლობა მას ზედ, თდომც უნდოდეს. ჩვენ ვერ გავმდიდრდებით ჩვენის შემოსავლის გამრავლებითა, არამედ მხოლოდ ჩვენის სურვილისა და ჩვენის გულის თქმის გაზომიერებითა; მის გამო არა თუ შემოსავლის ზომის მიხედვითა, მდიდრად ან გლახაკად უნდა დაითვალო შენი თავი, არამედ შენის სურვილის გაზომიერების მიხედვითა.

ძლიერ მდიდარი არის ის კაცი, ვინც ცოტით დაკმაყოფილდება; გლახაკათ არ უნდა დავთვალოთ ის კაცი, ვისაც ცოტა ფული აქვს, არამედ ის კაცი, რომელსაც ფული აქვს და მაინც უფრო მეტს ნატრობს, რომ ჰქონდეს.

არიან კაცნი, რომელნიც კმა-ყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი ზომიერი მდგომარეობითა, მაგრამ რადგან ამათ უკან მისდიეს დიდროან სამსახურთა და ღირსებათ კელით გატარებასა და მოხდა რომ სხვათ მოასწრეს და წარჰსტაცეს მათ ეგენი კელიდგან, ამით თავიანთი სურვილისაგანაც მოსწყდნენ ესენი, და პირველში ქონებული მშვიდობიანობაც დაჰკარგეს.

თუ რომ შენს სახმარითაგან მომეტებული რამ გაქვს, ნამეტარია ის შენთვის; და მით მუდამ შეწუხებას მოგცემს შენ ის. ამიტომ რომ, უკეთუ ეცდები და თვალს მოიწურავ, რომ ის ნამეტნავ რამე ასარგებლო და გაამრავლო, მაშინ ის თითქმის დაკარგულია შენთვის, რადგან ვეღარ მოიხმარებ მას; ამის გამო თითქმის შენ საკუთარს არამედ მხოლოდ ის რამე უნდა დაითვალო, რისაც შეგიძლია ხმარება შენის ნებისად. ამის გარდა ესეც იცოდე

რომ ერთი უგუნური მდიდარი სხვა არა არის რა, თუ არ ჭკჳანი კაცის მესაუნჯე და მუშა.

თუ რომ კარგის დაკჳრვებით დააფიქრდე კაცის სიცოცხლესა, სხვა ვერას ჰპოვებ მასში, თუ არ ცვლებას ნაირ ნაირი უშნო განზრახვებისას და გულის ძგერისასა, რადგან პირველი მისი ნაღველი და გართულობა ის არის, რათა უკან ჩამოუდგეს და ეძიოს, თუ რა საშვალებით შეუძლია ფულის მოგება? როცა მოიგებს, ნაღვლობს ფიქრობს, თუ როგორ ის მოგებულნი, არა თუ მარტო შეინახოს, არამედ ასარგებლოს და გაამრავლოს და მით არას დროს მოსვენება არა აქვს მას, სანამ არ ნახამს ფულს გამრავლებულსა და ქონებას უშიშრად შენახულს; ამასობაში ერთიც ნახამს რომ ბოლოს ეს ქონებაც ანუ შემთხვეჳთა, რომელიც მუდამ მოხდება ქვეყანაზედ, გაფუჭდება და დაიკარგება, და ანუ თუ თჳთან უნდოდეს, არ უნდოდეს, დასტოვს იმათ და წავა, რადგან კაცი მოკვდაჳა.

ვერცხლის მოყვარული მდიდარი კაცი, რომელიც მუდამ აქ ვახს შკრებს ვეცხლის მოგებისათჳს და მუდამ გული უძგერს, არ იქმნას რომ წააგოს, იმისთანაი მუდამ სიმწუხრესა და ტანჯვაშია თჳს სიცოცხლეში. გლახაკი კი თჳს სიგლახაკესა შინაცა მდიდარია, მაშინ როცა ის თჳს სახმარსა და სურჳლს ზომას დაუდებს, და როცა მხოლოდ იმდენი უნდა მას რაოდენიც იმას ეჭირება; მაშინ იმას სრულ არა ფრისა არ ეშინიან რადგან არა აქვს რა თჳს შესაწუხარი და არც არა ფერზედ გული უძგერს დაკარგჳსათჳს.

თუ რომ მარტო შიში ჩვენი ქონების წახდენისა, ასე დიდ მოუსვენრობაში გვაგდებს, მაშ როგორი დიდი სიმწუხრე და როგორი გულის გატეხა გვექმნება იმ წამს, როცა ძალა უნებრივ უნდა დავჰკარგოთ ჩვენ ისინი?

უფრო ბოროტობა ეს არის, რომ ანგაარი კაცი თავს დიდ მარცხად სთვლის იმ შემთხვევასაც როცა დახედამს რომ ვერ შეიძლო თავსი ოქროების გამრავლება.

ქურდობა ისე დიდ ცოდვად ითვლება, რომ უფრო ფიცხელად სჯიან ქურდობას ვრემც თუ მრუშობის ცოდვასა. ამის მიზეზს ფილოსოფოსი ასე ხსნის: «მე მგონია, ანგაარებას ამ საქმეში მრავალი ღონე აქვს. ამისთჳს სხვა მიზეზის პოვნა არ შემიძლიან ამ საგანზედ, გარნა მხოლოდ ვტყჳ ამას, რომ კაცი თავს ცოლს სთვლის როგორც თავს ძვალსა, ძვალთა თჳსთაგან დ~ ჴორცსა ჴორცთა თჳსთაგან თანახმად სამღთო წერილისა; ხოლო თავს ფულს კი სთვლის იგი როგორც სულსა, თავსი სულისაგან.» დ~ მართლად, რომ ერთი მდიდარი ანგაარის ოქრო თითქოს იმისი სული არისო.

მთელი ამ ქვეყნის წამლის მეიდველებისაგან არ შეიძლება მისთანა წამლის პოვნა, რომლით შეგეძლოს გამრთელება ანგაარების დ~ გამსესხებლობის სნეულებისა.

იმ ახალმა ქვეყანამ (ამერიკის კალიფორნიამ) ერთ რიგად ფეხ ქვეშ გაზერგნა, გააოხრა დ~ გააფუჭა ძველი ქვეყანა: ასე რომ მოიღო დ~ დასთესა ჩვენს გულში ანგაარება, დ~ თითქოსო ერთიან აღმოფხვრა დ~ ამოიღო ჩვენის გულითგან სიყვარული დ~ მეგობრობა უწინდელთ კაცთა. ასე საუბედუროდ დაუკავშირეს თავანთი გული კაცთა ოქრო ვეცხლსა, ვიდრელა მსახურად დ~ ტყვედ გაუხდნენ მათ დ~ კერპულის მსახურებითა შეიქმნენ კერპთ მსახურად ოქრო ვერცხლისა

მდიდარი დ~ ხარბი კაცი გარეულად ჰგონება რომ ძლიერ საკვრველი საანდაზო რამ იყოს იმდენი აუარებელის ოქროსა გამო. მაგრამ კარგად რომ გამოსძებნო დ~ გამოიძიო, თუ როგორ ხმარობს ის იმ თავს ქონებას? რას შვრება? დ~ როგორ სცხოვრობს? ნახამ დ~ გაიგებ.

რომ მისგან უფრო საწყალი კაცი არ ყოფილა ქვეყანა-
ზედ.

არ უნდა შეურაც-ჰყოთ გული, როცა სიმართლით შე-
ძენილია; მაგრამ ის კაცი, რომელიც თავისი პატივსა და
თავისი სახელის გაფუჭებითა გამდიდრდება, იმისთანა კა-
ცი მით მოგებისაგან უფრო წაგებაში არის.

ბუნებას მარტო გულზედ არ დაუკავშირებია ჩვენი ბე-
დი და ჩვენი გამარჯვება. ამისთჳს შეიძლება კაცმან სულ
სიცილში და სულ სიხარულში გაატაროს თავისი სიცოც-
ხლე და თავისი დროება, თუმც არ იყოს არც აზნაური, არც
მდიდარი და არც თავადი.

ცოტა რამეზედ დამჯერებლობა და დაკმაყოფილება,
სიგლახაკეს სიმდიდრესთან გაათანასწორებს და როგორც
ის კაცი, ჳნც ახვახს შვრება და ნატრობს, არ არის იგი
მდიდარი; აგრეთვე ის კაცი, რომელსაც მომეტებული
რამის სურვილი არა აქვს, არ არის იგი გლახაკი. ნამდჳლ
კეთილად მხოლოდ ის რამე უნდა შევრაცხოთ, რაც რომ
უფრო საჭირო არის; და ეს საჭირო რამეც ადრევე ბუ-
ნებას მოწყალე ღედასავით უხვად მოუცია ყოველი კა-
ცისათჳს. ჩვენს კეთილად საცხოვრებლად ცოტა გულ-
იც კმარა და მეტადრე კეთილი სიკვდილისათჳს

უმფრო მარჯვებელია ცოტის ქონვა, ჳრემც მრავლისა;
რადგან ჳსაც ბევრი აქვს, უფრო მომეტებულს ნატრ-
ობს, რომლით აჩვენებს, რომ მაშა სადამე ჯერ თავისი
საგმაო არა ჰქონია მას. ხოლო იმ კაცს კი მრავალი აქვს
და საყოფისაგანაც მრავალი აქვს, ჳნც რომ მოსვენებუ-
ლის გულით ცხოვრობს.

დიდი ალექსანდრე თითქმის მთელი გვარების დამონა-
ვების შემდგომ, ჩიოდა, რომ ნეტავ თუ დამრჩა კიდევ
დასაჭერად სხვა გვარებიცაო? ყოვლიფრის თავის კელთ
გატარების შემდგომ, კიდევ ნატრობდა მომეტებულს

ჩასმესა; და ესრედ იმდენი რამე, რაც ჰკმაროდა მთელ კაცებრიობასა, არ იყოფინა ერთმა კაცმან.

შეგიძლია გამდიდრდე, როგორც გინდა, ოღომც რომ სურჳლის კერძოდ გქონდეს სიგლახაკე. მაშინ მხოლოდ დასთვალე კაცი უფრო მდიდრად და ანუ უფრო გლახაკად, რაოდნათაც ნახამ რომ მომეტებულად ანუ ნაკლებად კეთილ-მსახური არის იგი.

გონიერი კაცი უფრო დიდად არ დასთვლის აბულეო მდი-დარი მეფის ჯრსა, რომელსაც ბევრი ოქრო ეკიდა ზუ-რგზედ და დაჰქონდა. და არცა დიდი ალექსანდრეს ცხენს მიიჩნევს დიდად მისი დიდებული და მდიდარი მორთუ-ლობისათჳს.

სიმდიდრე რა არის თაჳს თჳსით? თუ არ ჭკუჳთ რომ ჳფიქროთ, ერთი უბრალო პრიალი, რომელიც ყმაწჳ-ლებს და ანუ გიჟებს თვალთ აუბჭყვრიალებს. ერთი ფი-ლოსოფოსი ამბობდა, რომ «მე ამ ქვეყნის გარეუ-ლი რამები, სიმდიდრე, პატჳ და სხვაც, მინდა ჳხმა-რო ერთი თხელი და მსუბუქად გასაყოლი წამოსასხამი-ჳთ: რომელი თუმც ჩემზედ იქმნება, მაგრამ მუდამ ჩე-მის ჴორცისაგან მოცილებით იდგება.»

მდიდარ კაცს მარტო მისი ფულის სიმრავლისათჳს ნუ დასთვლი სხვა კაცზედ უმფრო მრავალი რამის მქონედ, არამედ ის დათვალე დიდად რომელსაც სხჳებისთჳს სიკე-თე ექმნას და სხჳების ნაკლებულობა შეევსოს თაჳსი სიმ-დიდრითა. ყოვლად კეთილ ღმერთს ამის გამო ერთისთჳს სიმდიდრე მიუცია, და მეორე სიგლახაკეში დაუტოვებია, რათა მდიდარმან გლახაკის შეწყალებითა თაჳსი ცოდვე-ბი ილხინოს და სული იცხონოს, და გლახაკმაც მოთმი-ნებითა თაჳსი ცოდვები შეინდოს და სული აცხონოს.

სიმდიდრე და დიდ-კაცობა, თუ კარგად ჳფიქროთ, სხ-ვა არა ფერს არ მოგჳტანებენ, გარნა მხოლოდ დრო-

მათს ეძლევარებას მისცემენ ჩვენს გულებით სიჩაყრესა და სიადლასხავესა. ამიტომ რომ ყოველი კაცი თანასწორედ შემკულად შობილოს, და თანასწორედ შემკულივე უნდა წავიდეს საფლავში.

ერთი ცხენი, ვსთქვათ მშვენიერის მოწყობილობით მორთულით და ზედ მშვენიერი ძოწის ოქრო ფარჩის გადაფარებულ ზედ გამარჯვებული მხედარი მძლავრი იჯდეს და მიჰყავდეს, ნუთუ შეიძლება რომ ის ცხენი სიმართლით გაამპარტავნდეს, რადგან აქეთ იქითკენ ერი სიხარულით და ერთის ყოფით ტაშს უცემდნენ? ანუ თუ შეიძლება იმ ცხენმა თავისი თავ დიდად დასთვალოს ზედ მჯდომის სამკაულის მიზეზით, რომელი თავისთვის თუ იცის უმეტესი ტვირთია, ვიდრემდე თუ სამკაული? ვაჲ! რაოდენად ცოტა კაცნი იქმნებიან, რომელნიც შენ სანახავად მოვიდნენ და ნამდვილად შენთვის? შენითან ილაპარაკონ, შემცევას შეჰყვნენ ნამდვილად შენთვის! ამიტომ რომ ყოველთაგან მოცემული პატივი იგი და თავს დაკვრა შენთვის კი არ არის, არამედ მარტო შენის ოქროსათვის. ჩი თუ რაოდენად მცირედნი კაცნი არიან, რომელთაც ნამდვილად თავ დაუკრან შენ და მორჩილობა გაჩვენონ შენ. იცოდე რომ იგინი მარტო შენს საგდარს პატივს სცემენ და თავს უკვრენ: მით ნამდვილ შენთვისაც მომეტებული არა ჩიებია რა, თუ არ მხოლოდ შემოხსენებული ცხენისა ვითოლი შრომა და თავს ტვენა.

სიმდიდრის ოქროსნი და მიზანი თავით თვისით სხვა არაფერია იყოს რა, თუ არ ეს რომ უფრო მოსვენებით იცხოვროს კაცმან თავისი დღენი და სხვათაც შეეწიოს მისცეს. მაგრამ ახლა ეს ხდება, არა თუ კაცის მოსვენების მიზეზი არამედ მისი მტანჯველი, და რაოდენიც უფრო სიმდიდრე მოემატება კაცს, იმდენი უფრო მოუმატებს მას ნაღველი, ვართულობა, გულის განგაში და

შიში, რომ არ იქმნას წაგროს, ან დაჰკარგოს იგი. ამის-თჳს ამბობდა ერთი ფილოსოფოსი: «მაშა სადამე გლახაკობაზედ უფროს დიდი სიმდიდრე არ იქმნება: მე შემიძლია ამ სიტყჳს ბეჯითად თქმა და დამტკიცება, რადგან თუმცა მე ცოტა რამე მაქჳს, მაგრამ რადგან კმა ყოფილი ვარ იმ ცოტით, ეგრედს დიდს სულის მშჳდობას ჳმშვენებ ამ გლახაკობაში, და ისე კმა ყოფილი და მოხარული ვარ გულითა, როგორც თუ ამ ქვეყნის მთელი ოქრო მე მქონებოდეს.» უნდოდა ეთქვა, რომ უკეთუ ნამდჳლადაც ის ოქრო მქონებოდა მე, ნეტაჲ იმავე სულის მშჳდობიანობის დამშვენებას შევძლებდი მეო?

არიან კაცნი, რომელნიც კერპთ მსახურნი არიან ოქრო ვერცხლისა: არიან სხვანიც პატივისა და დიდებისა. ხოლო შენ ქალდე, აკურთხე შენი ვარსკვლავი, შენი ბედი, რომ შენ არა ოდეს არ შეგაგიზგიზა იმ არა ღმრთეუბისათჳს თავ დაგეგრა, თაყვანი გეცა.

ეგოდნად მიიხნიე შენი ვერცხლი, რაოდნადაც დაგეხმარება შენს საჭიროებაში. ფული გაჩენილია შენის მსახურებისათჳს, და ამისთჳს არ გმართებს შენ, რათა თავ მოუდრიკო იმას სამსახურებლად, და ანუ ტყვე გახდე მისი.

კაცის პატიოსანი სული და გული არ უნდა ჰყო იმ ნაირ ადგილად, რომელიც ამოავსო ამნაირი მდარე და უბრალო რამეებითა. და მართლად ძლიერ საოცარი მახინჯი არის, ის კაცი რომელსაც ამ მადანზედ, ამ მიწაზედ და ამ ნაცარზედ ესოდენი სიყვარული დაუდვა.

ძველად სახელ გასული თავადი და მხედართ ძღვანი ბერძნეთისა თემისტოკლე ერთ დღეს განსაცდელში შთავარდა. სურჳლი მოსდიოდა რომ ერთ ადგილს შეხვედრილი დიდძალი საუნჯე აელო და წაელო თაჳსთან; მერმედ გონებაზედ მოვიდა რა, შერცხვა იმ თავის ნაკლებულობასა და იმ შეცდომაზედა, და მოუბრუნდა თავის ერის მსახურსა

და უთხრა: «შენ ასწიე მე ფული, რადგან შენ თემისტოკლე არა ხარო.»

ვიას დიდმა ფილოსოფოსმან თავისი ყოველი, რაც ჰქონდა არა ჰქონდა ნებიერად დასტოვა რა, მით მდიდრად სთვლიდა თავს თავსა; და ეს სახელოვანი ფილოსოფოსი მუდამ ამ სიტყვას ამბობდა: «ჩემშიდ მაქვს მე ყოველივე.» უნდოდა ეთქვა: კაცის სიმდიდრე მხოლოდ თავისი სათნოება და თავისი კეთილი ცხოვრება არისო; და ესრედი ჭკვიანი კაცი თავს საჭიროთ სახმართ მიხედვით ცოტით დაკმაყოფილდება რა, ამით თითქმის ყოველი ფერი ექმნება. ამ მშვენიერმა სიტყვამ ამ ფილოსოფოსს როგორც თუ ერთი დიდებული პირამიდი აღმართა, რათა მის შემდგომ მომსვლელთ უწყვეტლივ პატივ სცენ მას და მუდამ მოიხსენიონ ხოლმე ეს სიტყვა: «ჩემშიდ მაქვს მე ყოველივე.»

ტაკიტი, რომაელი კონიერი მომთხრობი სწერს, რომ ვესპასიანე, ჩინებული კეისარი, მართლად რომ გაუთანასწორდებოდა ძლიერს და დიდ სახელოვან რომაელებს, თუ რომ მის სიხარბეს არ წაეხდინა მისი სხვა კეთილი საქმებით.

პერსიოს მეფემაც დაჰკარგა თავისი საუნჯე და თავისი ხელმწიფობაცა სიმდიდრის უზომო სიყვარულისათვის; ტყვეთ დაიჭირა იგი რომაელთ მხედართ მძღვანმან და თავის ოქროებითან ერთად სასაცილოდ ატარებს იგი გამარჯვების დიდებისათვის რომის ქალაქში.

ევანდროს ძველი მეფის სიტყვა, ენეას რომ უთხრა ერთხელ, ფიქრში შესანახავ და საფიქრებელი სიტყვა არის: «კადრე ჩემო სტუმარო! შეურაცხყავ შენი ქონება, და მაშინ შეგიძლია შერაცხო შენი თავ ღირსად ღვთისა.» ჯოთამც, განგულოვანდი, განმაცდი მეგობარო, ნურაფრად ნუ დასთვლი ოქრო ვერცხლსა, და რო-

ცა ჰმსა იქ, მაშინ იცოდე რომ საყვარელი განძეულჲ ღვთისა.

მდიდარი კაცი მარტო მაშინ ბედნიერს და კეთილს ცხოვრებას გაატარებს როცა კარგ რიგად და კარგ რამეებს მოახმარებს თავს ფულსა. და გლახაკი კაციც მაშინ დიდ მდიდრად დაითვლება, როცა თავს ნაკლებულობას აუ-ივლებლად, მოთმინებით გასწევს და მუდამ მადლობას შესწირავს ღმერთსა.

ფილოსოფოს კაცსაც თითქმის სურვილი მოუვა, რათა თავისი წყლის სასმელი გარდაჰგდოს, როცა ნახავს რომ გლახაკი ორის მუჭით წყალს სვამს, როგორც ჰქმნა ერთხელ დიოგინე ფილოსოფოსმან. კვალად სურვილი მოუვა როგორც ერთხელ კრატეს ფილოსოფოსს სურდა, რომ როგორც წყალი მზა სასმელია კაცისათვის, ეგრეთ ნეტა რამე მზა საჭმელიც ყოფილიყო ქვეყანაზედა კაცისათვისა რომ სხვა რამე აღარ დასჭირებოდა, თუ არ ის მხოლოდ რასაც ბუნება მოგვიმზადებს ჩვენ, მუდამ უშიშრად და უმისოდ სხვა რამე ზრუნვის ქონისა; და თუ კარგად დავაკვირდებით დამზადებულს ამ ნაირადვე მოუმზადებია ჩვენთვის, ოღონდ კაცი დაკმაყოფილდეს, როგორც პავლე მოციქული გვასწავლის: «გვაქვს საზრდელი და შესამოსელი, იმითი დავკმაყოფილდეთო.»

შენს ნამდვილ საჭირო საზრდოზედ მომეტებული რაცა გაქვს, ის შენს გამოუსადეგ რამედ დასთვალე. თუ რომ ოთხი კაპეკი უბეში გქონდეს, მადლობა და დიდება მიეცი ღმერთსა. თუ რომ შენი ტანისამოსი შენ გყოფნის რათა დაგიცვას შენ სიცხისაგან და სიცივისაგან, და შენი სახლიც თუ საკმაოდ გიფარავს შენ ავდრებისაგან, ქარისაგან და სხვაც, მეტი ნურა გენაღვლება რა, რომ გქონდეს ეგეთუ ამაზედ მომეტებული რამ გქონდეს,

დიდ რამედ ნუ დასთვლი.

ამბობდა ერთხელ ერთი ფილოსოფოსი: «სრულიად არა ფრად არ დავსთვლი ოქრო ვერცხლის საუნჯესა ძველი სამნიდელი მდიდარი კაცებისასა, ზედაც არ შევხედამ ნაირ ნაირს ტკბილს და გემრიელს საჭმლებსა იმ ავმუცელი რომაელი აპიკიოსასა; და თუ რომ უფლობა მქონოდა სრულიად საჩუქარს ჯილდოს არ მივსცემდი იმ კაცებსა, ვინც ნაირ ნაირს ახალს სასიამოვნო საშვებელ რამეს გამოიგონებენ და გააჩენენ, ვითარცა აჯილდოებდა მათ სიკილიის დიონისიო მეფე. არ ჩამოუვარდები მე დიდკაცად გახდომასა დიდი სციპიონ რომაელისას; ანუ თუ ყველასზედ დიდი ჯუოვო ფაბიო რომაელი მხედართ თავით; და არ მენაღვლება არც ფული, არც პატივი და არც დიდება, რადგან ამისთანები ჩემთან, როგორც ერთი სათამაშო და უქმი რამეები არიან, რომელთაც ბევრი აძლევს ხოლმე კაცთა, რათა იხარონ და ინავარდონო, როგორც ჩვენ ყმაწვილებს უზამთ ხოლმე, რომლებსაცა სრულიად ემსგავსებიან ის კაცები, რომელნიც სულით გულით მისდევენ, რომ ბევრი ნაირი რამე და ბევრი დიდება ჰქონდესთ, მისთვის რომ, როცა ერთი რა მისაგან მობეზრდებიან, მეორეს კელი მიჰყონ ხოლმე.

მრავალი რამის ქონვა მოუსვენრობას მისცემს კაცს, გამდიდრების ნატრა უბედურობა არის, პატივ თავს ტკენა არის, თანამდებობაში შესვლა და წინ წასვლა საცდუროვანი არის, მაგრამ შესაფერი და ზომიერი ცხოვრების ქონვა ბედნიერება არის. შენ რაც კი გსურს, გაქვს მაშინ თუ რომ გქონდეს ის რაც რომ შენ დაგეჭირდება შენის ნაკლებულობის შესავსებლად. მაგრამ მაინც ბევრჯერ კიდევაც მოგხდენია რომ გაკვრვებული დარჩენილა ხარ ხოლმე რა გინახავს რომ შენის ღირსეულობისაგან უფრო მომეტებული რამეები გაქვს: და ამის გამო

მიუწყენლად კმა ყოფილებით მუდამ მადლიერი ყოფი-ლი ხარ შენის დამბადებელისა.

ვინც მშჳდობით ცხოვრობს, კარგად ცხოვრობს, და ის არის დიდი კაცი ჯერ დიდი არის სათნოებითა. კარ-გად სთქვა ერთმან ფილოსოფოსმან. « დიდ დიდ საუნ-ჯეებს მე განკჳრვებით არ დაუწყებ ყურებას, და არც მწა-ვალს და დიდ ქვეყნებსა: რადგან როცა დავფიქრდები, რომ კაცი შობილა ქვეყნის დასამყრობელად, მაშინ მეც არ გამოვაკლდები ჩემს სიმართლეს და ვიწყებ სი-ხარულით და სიამოვნებით დამშვენიებას იმ ნაწილისასა, რაც ურგუნებია ჩემთჳს ღმერთსა! »

მომეტებულის სიამოვნებით ნუ დაჰხარი ამ ქვეყნის ნა-ირ ნაირს სამხიარულო რამეთა, შენც იმ თვალით შეგიძ-ლია შეხედვა იმათ ზედა და მოხმარება მათი, როგორც შვრებიან მეფეები, რომელნიც თუმცა ჰხედვენ, უყურებენ და იშვენებენ კიდევაც მათ, მაგრამ ბოლოს შებეზრებუ-ლნი როგორც თუ არა ფერი იყვნენ, აღარ ფიქრობენ იმათ ზედა. რა შვება და რა სიხარულიც რომ გქონდეს ამ ქვეყანაზედა, უნდა ეცადო რომ მუდამ შენი თავის უფალი იყო და არა თუ იმათი მონა და ტყვე. რა ნა-ირი მშვენიერებანიც რომ ნახო ამ ქვეყანასა ზედა, უნ-და ეცადო გონება ღვთისაკენ აღიმაღლო და აკურთხო იგი და არა თუ შენი გული ამათ რამეებს დაუტყვევო. შენი სი-ხარული და შენი შვება უნდა იყოს შენი გულის მშვიდო-ბა და შენის გონების სიწრფელე, რომელიც იქმნება ამ სამის რამითა: ერთი შენის დამბადებელის ცნობითა, მეორედ მისი შეყვარებითა და მესამედ მისი მოსაწონი საქმეების ქმნითა. ამ სამ რამეს რომ იქ, მაშინ რა მდგო-მარეობაშიც იყო, და სადაც იყო, თითქოს მუდამ სამო-თხეში იქნები.

თუ ეს სამი რამე გექმნება, მუდამ ნამდვილი მდიდარი

ძერ, ხოლო თუ ეს სამივე რამე არ გექმნება, თუმცა ამ ქვეყნის მთელი ოქროც შენ გქონდეს, მუდამ საწყალი საბრალო და გლახაკი იქმნები. თუ რომ ეს სამნივე რამენი გექმნება, უდაბნოც მკრედ გესიამოვნება შენ, როგორც ერთი საკვირველად მშვენიერი მტილი. შენ სულსაც ყოველს ადგილას შეუძლია იპოვოს მოსვენება როგორც მიყრუებულ ადგილს, ესრეთვე მეტად დიდ დიდებაშიაც, და ერმრავალს ქალაქებშიაცა შეუძლია შენი თავი ისე შეაკავო, როგორც თუ უდაბნოში ყოფილი იყავი.

ცოტა რამებით კმაყოფილი კაცი, როცა წავა და მშვენიერს ტყეში შევა და რა გაიგონებს იქ იადონის ტკბილ ტკბილს გალობასა, თითქოსო შეშურდება მისი ბედნიერება: ამიტომ რომ კაცს ეგონება ის ფრინველი განზე ტყეში გადახვეწილა და გამარტოვებულა, და იქ როგორც თუ დიდი გამარჯვება და ბედი ეწოვნოს; განთავისუფლებული ყოველი ნაღვლისა და ფიქრისაგან მოჭყოლია ტკბილის გალობითა შვებას და სიხარულს იმ თავის საყვარელ სიმარტოვეში.

გულისა და კეთილი სვინდისის მშვიდობა არის ის ძვირფასი და უებარი წამალი, რომელიც შენ მუდამ უნდა იქონიო ხოლმე შენის სიმრთელის დასაცველად და ბედნიერი ცხოვრების საქონვლად. ეს გულისა და კეთილი სვინდისის მშვიდობა გარდაგექცევა შენ იმ საფილასოფოსო ქვად, რომელიც ოქროს ფერს მისცემს იმ ყოველ ნაირს მადნეულობასა რომელნიც ოქრონი არ არიან, და გაჰკურნავს შენი სულის ყოველს სნეულებასა.

ჭკვიანი კაცი იმ კაცებს უფრო ბედნიერად დასთვლის, რომელნიც თუმცა ცოტას იგებენ, მაგრამ მაინც მუდამ მზად არიან და უნდათ მცირედით დაკმაყოფილება.

ერთის სიტყვით რაც იყოს, ეცადე მუდამ დაუვიწყებლად შეინახო ეს ჩემი მოცემული რჩევა, ე. ი. ეცადე

საჩამ ცოცხალი ხარ, მოიხმარე ზომიერად შენი ქონება. თვარემ ნამდვილად იცოდე რომ უნდა დაუტოვო და დაუგდო ისინი იმ შენს დიდ მტრებსა, ვინც შენს სიცოცხლეში შენს სიკვდილს ნატრობენ და ელიან.

ჩვენი სიკვდილის შემდეგ ჩვენის დატოვებული ქონებისათვის იმდენს მოგვიხსენიებენ ჩვენ რამდენსაც ჩვენის მოშის წინად; ამისთვის უნდა იქონიო მოსვენებით ცხოვრება და კეთილი ცხოვრებაც. დიდი უგუნურობა არარის, რომ კაცმან თავი სტანჯოს, აწვალოს, მშიერი მოკვდეს, რათა შეეძლოს თავის შემდგომ მოსულთ მემკვიდრეთ გამდიდრება, და მეგობარი მტრად გაიხადოს, რომელსაც სიცილი და სიხარული მაშინ უფრო დაუდგება, როცა ნახამს რომ მომეტებული ქონება დაშთა!

მაგრამ შენი შრომისა და ოფლის მოწურვის ნაყოფი ვინ უნდა შეჰკრიბონ და დაიმშვენონ? იცი ვინა? იმათგინც რომ შენზედ აწლავე იცინიან! და სიმართლეც არის: ამიტომ, რომ შენ მის გამო მეტის მეტი ნაღვლით კანკალობ შენს ქონებაზედა, რათა მეტის მეტად დაიმშვენონ სხვათა შენის დატოვებულისაგან.

ბევრჯერ ნახულან მისთანა კაცნიცა რომელნი უფრო უკმაყოფილნი იყვნენ თავიანთ სიმდიდრეში, ვინემც თუ თავიანთ სიგლახაკეში.

თალეს ფილოსოფოსი ამბობდა ხოლმე, რომ ყოველთა ნამდვილთ ფილოსოფოსთა შეუძლიანთ თუ უნდოდესთ, რომ თუმც გლახაკნი იყვნენ მაინც მუდამ მდიდრად დაშთნენ. ფილოსოფოსობაც უნდა ისწავლონ ამ ნაირად გამდიდრებისათვის, და ავრეთვე შეკრებილი სიმდიდრეც უნდა წაიგოს ამ გვარის ფილოსოფოზობის სწავლისათვის.

მართლად ქვეყანაზედ-ეს ორნი რამენი არიან: მფლობელობა და სიმდიდრე, როგორც კარის ორი ქუსლები,

რომელზედ მთელი ქვეყანა დგას და ტრიალობს. გარნა ეს ორნივე არიან მიზეზნი ჩვენის სულის ყოველი მოუსვენრობისა და უკმაყოფილობისა. რა სარგებელი ქვეყნის ბატონი იყოს, როდესაც კაცი თავის თავის უფალი არღარ არის?

ნუ ინატრებ ბევრი რამის ქონვასა არამედ დაკმაყოფილდი იმდენით მხოლოდ რისაც სიმართლით შეძენა შეგიძლია და ეცდე პირველად მისთვის რათა შენ თვით ზომიერად მოიხმარო და დაიმშვენო; მეორედ რათა სხვა ხელმოკლეთაცა და შენს მემკვიდრეთაც იქითკენ ზომიერი კერძი დაუდვა; და მესამედ გული არ მიაკრა იმათ რათა შეუწუხებლად და გაუძნელებლად დასტოვო ისინი უფროსი ერთი სიკვდილის ჟამს.

ხოლო თუ გაქვს იმდენი შეძლება ფულისა და გაალებ შენის ხარჯით ერთს სკოლასა, რომელშიაც მუდამ წურთნებოდნენ გლახაკნი ყრმანი; და ანუ დაამყარებ ერთს საობლოს და სახელოსნო სახლსა რომელში მაინც რაოდენიმე ობოლნი და გლახაკნი ყმაწვილები აღიზრდებოდნენ შენის წარსაგებით კეთილი სიცოცხლითურთ საკმაო სწავლაში, და რომელიმე იმ ნაირი ხელობის სწავლებაშიაც რომლით, შეეძლოსთ მათ შემდგომში თავიანთი დღიური საზრდოს მოშოვნა, მაშინ ამით არა მარტო დიდად აამებ ღმერთსა და მიიღებ მისგან უხვად სასყიდელსა, არამედ აღმართავ ერთს პირამიდასაც სამარადისო შენის სახსოვრისასა უკვდავად დაშთენისათვის შენის სახელისა და შეიქმნები წარჩინებული კეთილის მყოფელი შენი სამშობლოს საზოგადოებისა, ვითარცა ჰყოფენ ხოლმე ევროპაში წარჩინებულნი მამულის მოყვარენი და კეთილნი პირნი

ზ ა ჭ ვ ჭ თ ი ლ ო ივ.

დიდების მოყვარულობისა და დიდროვან სამსახურისთვის.

დიდების მოყვარულობას ზომა არა აქვს. რაგვართად გადიდკაცდეს დიდების მოყვარული, მუდამ ცდილობს და ჩასთოსდგომია, რომ უმეტეს ამაღლდეს. ის მდგომარეობა რომელიც პირველად დიდ რამედ მიაჩნდა ნახვა, რომ ახლა მის წინაშე სხვა არა ფერი არ არის, გარდა მხოლოდ პირველი აღსავალი და პირველი ნაბიჯი. და იმ რასმეს, რომელს პირველად ყოველის სურვილითა თით-ქოსთ მისი გული მოელცა, როცა იმას ხელს გაიტარებს მას მერმე ძლიერ მცირე რამედ გამოუჩნდება იმას იგი; ვინც სამოგადო თავადია, აწ განზრახავ დიდის თავადობისათვის; დიდ თავადსაც თვალი უჭირავს და ნატრობს უფრო დიდკაცობასა, და სრულ არ ფიქრობს თავის ზე-და, თუ პირველად რა იყო? არამედ მუდამ ფიქრობს და ნატრობს იმას, რაც ახლა არ არის!

იულიო კესარსა და პომპეუს ისე დიდი დიდების მოყვა-რულობა ჰქონდათ, რომ ამ ქვეყნის სამმა ნაწილმან ვერ დააკმაყოფილა იმათი გულის მესამედი ნაწილი. ამ დი-დების მოყვარულობის გნებამ ამ ქვეყნის ძლიერ ჩინებ-ული და ძლიერ ჭკვიანი კაცებიც დაატყვევა და დაამხო.

ისე დიდი დიდების მოყვარულობა ჰქონდა დიდ ალექ-სანდრეს, რომ მთელმა ქვეყნის სიმრგვლემ ვერ შეიძ-ლო მისი დაკმაყოფილება. ეს დიდების მოყვარულობა ამპარტავნობითა, თავმხედობითა და უჭკუობითაც ადგვ-ავსებს ჩვენ. დიდების მოყვარული კაცი მუდამ მწუხარე გულგიწროებაში არის, შერს სხვისი მდგომარეობაც, ხელამს რა რომ მისგან წინ მიდის იგი.

არიან ისეთი დიდების მოყვარულნი კაცნიც და ისეთი გულით მომსურნენი პატივისა, რომ უმეტრო რჩეულობენ

დიდ კაცობას, ვინემც თუ კარგ კაცობას.

ერთხელ როცა იულიო კესარი კატულელო თავადთან ერთად ცდილობდა, რომ ჩინებულ სამსახური შესრულ-ეყო, მაშინ დედამისმან უწყო დარიგება შვილსა, რომ იმ საქმიდგან ხელი აეღო; მიუგო უარით დედას მისსა: «ან უნდა დიდი კაცი გავხდე რომაელებში, და ან თუ არა რომიდგან გავალ გადვიკარგებით.»

სრულიად ნუ იხალისებ, რომ ღირსების ზომიერის ალისვლის იქით გარდაიბიჯო, რადგან ეგ სხვა არა ფერ-ის სურვილია თუ არ მტრების გამრავლებისა, მშურნე-ების მომატებისა, ამას მოჰყვება მუდამ ჩხუბი, მუდამ თავში ცემა და ბოლოს დაქცევაცა.

ვისაც უნდა მომეტებულად აფრინოს და ამაღლოს მხრ-უმდის, ბოლოს ნახავს, რომ ის თავისი დიდების მოყ-ვარულობაზე დაუწვავს და დაუხრაკავს იმას ფრთებსა.

რიერთიც შეგვიძლია, ყოველის ღონით უნდა ვერიდოთ დიდების მოყვარულობასა: ამიტომ რომ ეს ვნება თავ-ის რჩენისა და ჭკუების დროს აღვირს არღარ წაიკ-რებს: მით უნდა გვეშინოდეს, არ იქმნას, რომ საცოდ-რიანს დაქცევას შეგვყაროს.

ზოგიერთნიც არიან, რომ სრულიად მფრინველების ნა-ირად იღვწიან და ცდილობენ, რომ სრულ მაღლა აფრ-ინდნენ ავიდნენ და არ იციან თუ სად მიდიან და სიმაღლის შიგა იმათი ფრენა!

ამისთანები, როცა მიაწევენ თავიანთ დიდ კაცობის შესასვენებელ ადგილს, მას მერმედ სამღთო წინაგანგე-ბულობა იმათ ყოველს თვითო ნაბიჯს ზომას მისცემს, და თუმც ადვილია იმისთანების დაცემა, მაგრამ ხელახლავ ადგომა, ამაღლება კი სრულიად ვერღარ შეეძლებათ.

შენი უმთავრესი დიდების მოყვარულობა ის უნდა იყოს რომ ეცადო უფრო ღონიერი გახდე, უფრო კეთილი და

სამაგალითო შენის დროების კაცებისა; და შენს ჭკუვა გონიერობას მუდამ გულ კეთილობაც თან ჰქონდეს, დასტოვე, დაანებე ყოველ ნაირი მომხრეობა, და მაშინ იქმნები შენ როგორც ის ნავი რომელიც მშვიდობიანად და უსაცდელოდ მიაწევს და შევალს ნავთ სადგურში.

ჭკვიანი კაცი ბურთსა ჰგავს, რომელიც მრგვალია და რა მხარესაც მოაბრუნო თანასწორია.

ჭკუვით გავსინჯოთ და ვნახოთ თუ რა არის ნეტავი ეს პატივი და ის დიდება, რომელს ამდენს ჩამოსდგომია და დაუძებს დიდების მოყვარული კაცი? სხვა არა არის რა გარნა მარტო ერთი ჩრდილი და ერთი ჩერო თუ მუქი, რომელი გაივლის წავა; და სრულიად ჰგავს ვარდსა, რომელს სადამოს ჟამს საწყლავად გაუქრება თავისი ის მშვენიერი სიწითლე, რომელიც დილით ავვნად ჰქონდა მას.

დიდი კაცების ბედი და გამარჯვებაც არ წავა იგურდიგ მრუდ წრეზედა, რომელი მუდამ ნელ ნელა გავრცელე-ბას და გადიდებას ლამის; არამედ დადის იმ გრგვლივ მრ-გვალს წრეზედა, რომელი როცა შუა ადგილებს მივა, იწყობს ქვევით დაწევას და ბოლოს დაეცემა ძირს!

ეს ქვეყანა ერთი თეატრი არის: თეატრში ძლიერ კარგი მოთამაშენი ისინი არიან, რომელნიც უფრო ბუ-ნებითის სახით წარმოადგენენ. ხოლო ჭკვიანები კი სრ-ულიად თავს მოარიდებენ, რომ მეფედ წარმოდგენენ და ან დიდ თავადად, და იშვიათად იკისრებენ მხნე და გამ-ჭრიახ კაცად წარმოდგენასაცა

იცოდე რომ პატივს და დიდროვან თანამდებობასის ყვე-ლთვის ღირსეულ კაცებს არ მისცემენ, არამედ ბევრჯერ მიმცემთ მომხრეობასა და შემთხვევას ხელი აქვსთ ხოლ-მე ამ საქმეში. ფილიპე კომინის მომხრობი სწერს რომ იმ ომში, რომელიც მოუხდათ ერთმან ერთან დუ-

უდოვიკო ფრანგების მეფესა ჲ კარლო ბურგონის დუქსა ბევრმა მაშინ თავიანთი პატიოსანი სამსახურები დაჰკარგეს, ამიტომ რომ სიცოცხლის მორჩენისათჳს ჩხუბიით-გან განქცეულ იყვნენ; მაგრამ მერე ის სამსახურები იმათ მიეცათ ვინც პირველებისგან კი მიდრე უფრო შორს განქცეულ იყვნენ!

ევრიპიდე დიდი პოეტის მამა ერთ დღეს მივიდა ჲ უთხრა თავის შვილსა: «იცოდე შვილო, რომ მხედართ-თავობის სახელი ჲ ღირსება მიიღებ!» მიუგო ევრიპიდემ: «გაქვს მაშასადამე შენ ის რამე რაც ყოველ კაცს შეუძლიან ჰქონდეს თავისი ფულითა.»

რამთვენნი მოთამაშენი ყოფილან ქვეყნის თეატრში, რომელნი თავიანთი ღირსეულობით აზნაურნი უნდა ყოფილიყვნენ? ჲ რამდენი აზნაურებიც გვინახია რომ ძლივას შეეძლოთ აზნაურობის ჩრდილის წარმოდგენა.

ბედი ბევრჯერ იმათ გამოირჩევს თავის ამხანაგად, რომელნიც ძლივ ღირსნი არიან მისი სამოსის შემოსვისა.

ზოგჯერ ბედი ჭკვიანებს წყალობის თვალით არ უყურებს იმდენად; მაგრამ ჭკვიანები მარტო ამას თავიანთთვის საკმარად რაცხვენ, რომ თვითან ღირსნი არიან მისი მადლებისა, თუმც ნამდვილადაც არ დაიმშვენიონ. ჭკვიანნი რომ უფრო პატიოსანი ნიჭებითა მდიდარნი არიან, ზედაც არ შეხედვენ ხოლმე იმ რამეებსა, რომლებსაც მხოლოდ გლეხები ჲ უმეცრები განკვირვებით უმზერენ!

კაცთ ნაირ ნაირ მდგომარეობასა ზოგჯერ ის საქმე მოუვა, რასაც დღე ყოველ ვხედავთ სასწორზედა, რომ მძიმე მხარე ქვეით ჩადის ჲ მსუბუქი მხარე ზეით ადის. მაგრამ იცოდე, ამისთანები მაიმუნებივით რიერთიც უფრო მაღლა ახტნენ, იმდენი უფრო თავიანთ სიშიშვლეს გამოაჩენენ ჲ სამასხარო გახდებიან. ანუ ჰგავან იმ სახელმწიფო ხატსა რომელიც გორომზედ ასვლს დატყობილი.

ვინც ცოტა ხანში ერთობ გადიდკაცდება, იშვიათად იქმნება რომ იცოდეს იმან თავისი თავის მართვა იმ უეცს ცვლილებაში.

რიგ გარედი პატივები და დიდობანი რომ მიეცემათ უღირსთ და უჭკუვო კაცთა. იმათსავე თავს წაახდენენ და გაამპარტავნებენ და სხვათაც გახელების მიზეზნი გახდებიან.

როცა ნახავ რომ ვინმე დიდების ძლიერ მაღალს წვეროზედ ასულა, იცოდე რომ მაშინ ფეხის ძლიერ მსუბუქი წაბორძიკებაც ჩამოაგდებს მალე და ჩაიყვანს მას ვიდრე მდარე და უბედურს მდგომარეობამდინ.

უკეთუ გინდა ამ ჩემი ნათქვამების გარკვად შეტყობა, და დაბეჯითება, წაიკითხე დაფიქრებით პლუტარხი, იმ დიდი ფილოსოფოზის და ისტორიკოსის წიგნი, რომელი ქვეყნის ძლიერ ჩინებულ კაცთ ცხოვრებას თავითგან მოლომდისინ გონიერის დარიგებებითა ადგილობრივ მოსთხრობს; და გარკვად შეიტყობ ამ ქვეყნის დიდკაცების დიდების მოყვარულობასა, მასთან იმათს ამაოებასა და დაქცევასა. მით ყოველნი წამკითხველნი მისნი უნდა დაფიქრდნენ თუ რა იყო ნეტავი ის დიდება, პატივი და მიჩნევა პარმენიონ თავადისა, სანამ დიდ ალექსანდრესთან იყო? არადა სიკონიოს დიდება ფილიპპე მაკედონელთან? ის დიდი სახელი გასულობა, განთქმულობა, რომელიც ჰქონდა ოტია მხედართ მთავარსა, სანამ ვალენტიანო კეისარს თვალში უჯდა? და სხვაც. და მის შემდგომ დაფიქრდნენ და დასწვრიტონ ის მისაგებელნი და ის სასყიდელნი და ის სიმარცხენი და უბედურობანი რომელნიც შეემთხვათ ამ დიდ და ჩინებულ კაცებსა თავიანთი იმდენის ღვაწლებისა, იმდენი სამსახურისა, იმდენის მხნეობისა და იგოდენი განთქმულობის შემდგომ ქვეყანაზედა? ამაზედ იმდენი საკვირველი და გასაოცარი საქმების ნახვის შემდგომ. განა რომ სიმართლით შეუძლიათ სო-

ქვან ისვიანით ზედ იმ პოეტის სიტყვა: «ამდენი ოფლ-
ების და ამდენი შრომების სასყიდლად მივიღე მხოლ-
ოდ ეს ორი რამე: პირველად ძლიერ გვიან ცნობა დი-
დობის ამაოებისა, და მეორედ სინანული.»

სრულ იშვიათად მოხდების, რომ დიდი ღირსების და დი-
დი თანამდებობათების მქონენი ბედის მწარე სიმარცხის
ხელითგან გარდარჩნენ. როგორც მაღალ მეჟუვალ და
კლდოვან მთებზედ ვხედამთ, რომ ცისგან ელვა მეხები
იქ უფრო ეცემიან და ცვივიან, ქარიშხალი და სეტყვაც იქ
მოუკლებელია, აგრეთვე ვინც ჩინებულს მაღალს საფა-
ხურში და მფლობელობაში მიწევნილია, ისინი ბევრჯერ
სხვაზედ უფრო უბედურობით და სიმარცხით წახდებიან:
ანუ თავიანთი ამპარტავნობისაგან, ანუ ავიკაცების ხელი-
საგან, და ანუ მეშურნების მახის მომდგმისაგან!

რომელთაც დიდი და ჩინებული თანამდებობანი ხელთ
ჯაუტარებიათ, უნდა იფიქრონ, რომ ის თავიანთთვის მი-
ცემული საბოძვარი თავიანთი უფროსისაგან სამუდამო
არ არის, და ესეც რომ დიდ ხანს ყინულზედ იაროს კა-
ცმან და არ წაიქცეს ძლიერ ძნელი საქმე არის: ამიტომ
რომ თუ უეცრად ერთი ფეხი დაუცურდეს მრთელი ტანი
ერთიან იმასთან ერთად დაეცემა. და მაშინ ნახამ თუ იმ
დაცემულს პირზედ რა სახით მიესევიან მაშინვე ათას
ნაირი ლახვა ლანძღვანი თუ როგორ მრავალი საჩივრები
აქეთ იქითგან თავს იჩენენ და როგორ იმათი ძლიერ მცი-
რე ნაქმნარი საქმეებიც გამომძიებლების ნამდვილ გან-
ხილვაში და გამოწვრილვაში შევლენ მტრების ვნებისა,
შურისა და მტერობის დაგვარისად, რაც ექმნებათ იმათ
ზედა; ეს კიდევ არ კმარა, ნახამ იმასაც რომ ზედ ცილ-
საც შეაწამებენ მას უფრო დიდროვანი ნაკლებულობე-
ბისა უფროსად მისა რაც რომ ნამდვილად ნაქმნარი
აქვსთ იმათ.

ამბობენ, რომ იმ დემოსთენე ჩინებულმა ბრძენმა ჲ ბერძნების დიდმა რიტორმან დიდ ხანს მოთავობით მა-რთვის შემდგომ თავისი გვარისა, ერთ დღეს, რა მიჯდნ-ნენ მისი მეგობრები იმის სანახავად, სხვა სიტყვებში ეს სიტყვა უთხრა იმათ: «თუ რომ ჩემი მმართველობის თავზედ აღების უწინარეს ვისმეს დაესახა ჩემს წინ ეს ორი გზა რომელთაგან ერთს ავეყვანე ვიდრე უპირატე-სი მფლობელობის საყდარზედ, ჲ მეორეს მივეყვანე ვი-დრე საფლავამდინ ჲ მაშინ თუ რომ მე შემძლებოდა წი-ნაწინ დანახვა იმ სიბოროტეთა, იმ სახელის დამცირება-თა, იმ შიშთა ჲ გულის განკალთა, იმ ჩაფიქრებათა, იმ მოშურნეობისა ჲ სხვათ, რანიც მფლობელობას თან მისდევენ, მე მუდამ უფრო ავირჩევდი საფლავისაკენ წამყვან გზასა, ვიდრემდე თუ მფლობლობაზედ მიმყვანს გზასა.»

რა კაცსაც დიდი თანამდებობა ჲ მფლობელობა ხელთ ექმნება, იმას ძლიერ დიდი მოთმინებაც თან უნდა ჰქო-ნდეს, რომ შეეძლოს გაწევა ჲ დათმენა სხვათა სიბო-როტისა ჲ ცილის წამებისა. გონიერება მოითხოვს, რომ იმისთანას თან ახლდეს მუდამ ერთი ძლიერი კაციცა რომელი მაგარ ციხედ ჰყავდეს, ჲ რომელიც იფარემდეს იმას სახელის დამცირებისაგან, შეურაცხყოფისაგან, ლანძღვალახვისაგან, ჲ სხვაც.

ვინც დიდებაზედ მიწევნილია შეუძლებელია, რომ მე-შურნებიც არ ჰყავდეს მას. მეშურნე სხვა არა არის რა, თუ არ სხვისი ღირსების მტერი. რადგან წინ წასვლა ჲ დიდ მთავრობაზედ ასვლა ჰგავს იმ ხესა, რომელიც ძლიერ ამაღლდება, გაგანიერდება ჲ გამსხვილდება დიდროვანის ტოტებით; ამ ნაირი ხე უსაცილოდ ძლიერ დიდს ჲ განიერ ჩრდილსაც დააყენებს; ჲ მით თავის ამოსულ ქვეშ მცენარეებს ნერგებს დაუშლის მზის ნათ-

ვასა გასაზრდელად და ასამაღლებლად და აგერ ეს არის, რომელიც დიდ კაცებში შურს ჩაავდებს და იმათგან მდაბლებში იმედის გადაწყვეტილებასა.

რადგან მრავალნი კაცნი არიან რომელნიც მისდევენ და ნატრობენ პატივზედ აღსვლასა, მაშა სადამე მოჰყვება ამას რომ ღირსების მსურველს მეშურნეც ჰყავდეს, და თავისი წინ წასვლის უმსურველნი.

ვინც უფრო ამაღლებულნი არიან და სხვებზედა მფლობელობა და მმართველობა გაუდისთ, მუდამ დევნულობასა და ტანჯვასა შინა არიან იმათგან, ვინც უფრო წმიდად სჭვრეტენ და სჯიან იმათ ღვაწლსა და ღირსებასა, ვირემც თუ იმათ მთავრობასა.

აგ გულ კაცთა მუდამ თანა აქვსთ ერთი ფარული ღონის ძიება და ოსტატობა, რომლითა პატივ-ცემული კაცნი საძულველი გახადონ და დევნულობა გააწევინონ იმათ.

ვინც დიდს მთავრობას მისწევია, იმისთანას უნდა იმდენი თვალი ჰქონდეს, რიერთიც ჰქონდა პოეტებისაგან გამოგონილს არგოს კაცსა, რომელსა თავზედ ჰქონდა ასი თვალი, რათა მუდამ ფხიზლად ყოფილ იყო და დაენახა არა მარტო თვისი ნაქმნარნი და გარდამავალობანი, არამედ სხვისისაცა. იმდენი ხელებიც უნდა ჰქონდეს რამდენიც ჰქონდა იმათ ტიპიო გმირსა. ე ი. ასი ხელი: რომ შეეძლოს რიგისა და კანონის დადება და მართვა ყოვლის ფრისა. უნდა ჰქონდეს ასიც მკლავი, რამდენიც ჰქონდა იმათ ბრიეარეო დიდს გმირსა: რომლით შეეძლოს თვისი თავის დაცვა სიბოროტეთა და სახელის დამცირებათაგან.

დიდობა მაღლა ასული დგას ერთს მაღალ დასაგორვებელს ადგილზე და სიმარჯვეზედა. თუ რომ კაცმან ცოტა რამ მის სინჯს გარდაძლევინოს, მაშინვე გარდასჩეხამს და ათას ნაწილად დაამსხვრევს მას.

უმსვრო მშვიდობიანისა ზოგიერთ მდგომარეობაში ცხოვრების გატარება, ვითარცა გამოდგომა დიდობისა და მბრძანებლობისა. ამიტომ, რომ ვერ შეუძლია მიწევნა იმისი თვინიერ უთვალავი და მიუცილებელის განსაცდელების თან ქონვისა.

არ შეუძლია კაცს მაღლა ასვლა და ამაღლება ღირსებაზედ, თუ არ როგორც კიბეზედ თითო თითოდ შევლითა. ამ კიბეზედ საზოგადოდ რომ ვსთქვათ უთვალავი ჩვანჯები, ეშმაკობანი და ოსტატობანი არიან, ავიცა და გარეგიცა არეულნი ერთმან ერთთან. თუ რომ სიმართლითა და სათნოებითა შენს თანამდებობას და შენს მთავრობას აწარმოებ, ბოროტ კაცებს თვალთაგან გამოუვარდები; ხოლო თუ უსამართლოებითა და გარდამავალობითა ასრულებ შენს თანამდებობასა ღმერთისაც თვალთაგან გამოუვარდები, და ყოველს კეთილს კაცსაცა.

თუ გინდა შეიტყოთ, რომ ვისმეს დიდების მოყვარულობისაგან აღძრულობითა რამ ჩინებული სამსახური ხელთ გაუტარებია, ეს არის ნიშანი, რომ მაშინვე დაიწყობს გასივებასა და გაბერვასა და როგორც ესრედ კარგად თავის ამპარტავნობას და თავ მხედობას გაამძლობს, პირველი მისი წარმოებული საქმე ეს იქმნება, რომ დაუტევებს თავის მეგობარსა. ამად ერთხელ ერთს იტალიელს ერთი მეგობარი ჰყავდა, რომელმა მთავრობა აიღო რა, ამან ის სიტყვა მისწერა იმას: « ძალიან დიდი სიხარული ვიგრძენ რა გავიგონე თქვენი გამთავრება! გარნა ამასთან ფიქრადაც შევსწუხდი ამაზედ, რომ ამითი დავჰკარგე მე მაგნაირი კარგი მეგობარი. »

დიდების მოყვარულ კაცს, როცა უნდა ერთი ღირსების ხელით გატარება, ყველას წინ მოიგონებს მომდაბლებას; გარნა ერთი თუ ხელში ჩაიგდო ის, მაშინვე ნახავ, რომ სიამაყისაგან თვალით აღარავის არ გაიცნობს

და აღარც არა ვის პირზედ შეხედამს ; და თუმც თავისი სამსახურიც თხოულობდეს და ავალისრებდეს იმას ტკბილის და კაცობრივის ზრდილობით მოკიდებასა ყველასთან, მაინც თავისი თავმჯედობა და ამპარტავნობა საძულველად გაუხდის იმას, ვისაც საქმე დავარდნილი აქვს იმასთანა.

დიდების მოყვარული კაცები ყოველი კაცისაგან უფრო უბედურნი არიან. ამიტომ რომ მუდამ ახალ-ახალ ოხვრაში და ფიქრობაში არიან გადიდკაცებისა, ეჭვიანადაც არიან, ნეტავი შეუძლიაო მისი ხელით გატარება თუ არა? და ამითი უფრო მუდამ დღე სწუხდებიან იტანჯვიან, და რა დახედვენ ბოლოს რომ უქმად მიუდისთ თავიანთი იმედი, მის გამო უწყვეტო ცხოვრებას გაატარებენ!

ჩავიაქრებანი და სიმარცხე თითქმის არაოდეს არ გამშორდებიან გადიდკაცებისა და დიდროვანის სამსახურისაგან ვითარცა ქვეყანაზედ მაღლობზედ მყოფი თემეში და წყალნი ადგილები თითქმის არას დროს არ არიან თავის ყოვალნი ავდრებისაგან, ესრეთვე ამ ქვეყნის პატივნი და დიდებანი სწორედ ხომალდივით მუდამ დატვირთულნი არიან დიდ დიდის-ნაღველითა და მძიმე მძიმე ფიქრებითა!

რომელნიც რომ ამდენს ოხრობენ ღირსებისა და ჩინებულის სამსახურისათვის, თუ რომ ერთხელ შეიძლებოდათ შესვლა იმათ მექონთ გულში რა საშინლად გაჰკვირდებოდნენ და გაოცდებოდნენ მაშინ ნახამდნენ რა იმდენ მძიმე დარდს და ნაღვლებს იმ დიდკაცობისას და იმ ღირსებისას.

თუმც მართალია ხანდისხან განცხრომა და სიხარულიცა აქვსთ მათ, მაგრამ მაინც მუდამ მოუცილებლად აქვსთ თან საშინელი ფიქრები იმ თავიანთის გასიამოვნების

დროსაც და იმათი სიტკბო მუდამ ნაღვლით სავსე არის. ის ყოველი სიავე და ყოველი სიმარცხე რომელიც შეემთხვევათ დიდს თანამდებობაში მყოფთა, იმდენს უმატიურებს ამიზეზებს იმათ, რაოდენი გარდამავალობა და უსამართლობაც მოხდენიათ იმათ თავიანთ სამსახურში და იმათ სიმარცხეს დასთვლიან კაცნი დიდს მატიუალ იმ თავიანთი ბრალიერობისა.

მეტად დიდებული რამ მდგომარეობაცა როგორც გარეგან ელვარებს და ბრწყინვალედ გვიჩანს ჩვენ თვალში, ნამდვილად ისე არ არის ის შინაგან; რადგან ნამდვილი იმ მდგომარეობის მქონეს შენი შთაბეჭდილება არ აქვს იმ თავის მდგომარეობაზედა, როდის ხედამს რომ გულის მოუსვენრობა და ნაღველი უფრო მომეტებული აქვს მას, ვირემც დამშვენების სიკეთისა.

ვინც სამოქალაქო სამსახურში არის, სხვა არა არის რა, ის თუ არ სამოქალაქო მსახური. მაშ აბა სიმართლით შეუძლია უთხრას ვინმემ იმას ის სიტყვა, რომელიც ერთხელ ბერის ერთმან უთხრა ადრიანე კეისარსა: «უკან დადეგ შენის ტახტისაგან, როგორც უკან დგახარ მაგ შენის თანამდებობის აღსრულებისაგან!»

კაცნი ვინც დიდ დიდ სამსახურში არიან, როგორც საჭიროა თავიანთ თავს ისე ვერა სცნობენ. ამიტომ რომ იმდენად სხვა უთვალავს საქმეებში გაბლანდულნი და გართულნი არიან, რომ თავიანთ ზედ ფიქრობის დრო ველარ უპოვიათ. ამისთვის ძლიერ გონიერად სთქვა ერთმა ბრძენმან: «დიდს სვებედში მცირედი თავის უფლობაც არ არისო.»

უწყვეტლივ ოფლის მომწური და სასჯელიანი ცხოვრება ჰგავს ერთ იმ ნაირ გრძელ გზასა, სადაც არ იყოს სრულიად სადგომი პურის საჭმელად ანუ ცოტა რამ შესასვენებელად!

პატრივი დიდება არის ერთი პალატი, დარბაზი, რომლის წინა გერძო კი ძლიერ მშვენიერი ხელოვნური და დიდებულია, მაგრამ უკანა მხარი კი ისე არ არის. მთავრობასა და სამსახურში შესვლა თითქოსო დიდ გამარჯვებულობით შესვლა არის, გარნა იქითგან გამოსვლა კი ბევრჯერ საწყლად და შესაბრალად ხდების, ვინც გამარჯვების კარითგან შევა, საზოგადოდ სიმარცხის კარითგან გარედ გავა ხოლმე!

გასაოცარი საქმე არ არის, რომ კაცნი ისე მიმდევნულნი იყვნენ მთავრობის ხელთ გასატარებლად? რომელი სხვა არა ფერში გამოადგებათ თუ არ რომ თავის უფლეობას ხელითგან დააკარგვინებს მათ! დიდროვან სამსახურისაკენ წამყვანი გზა ძლიერ შეუმართი, ძნელი შესავლელი და ეკლიანი გზაა, ხოლო თუ უნდოდეს ვისმეს უღირსობით მიწევნა და აღსვლა მთავრობაზედ, ის სხვა დიდ კაცობა სხვა არა არის რა, თუ არ მშვენიერი მეწუხება. ვინც დადგებიან და უყურებენ მთავრების გვირგვინსა და მასზედ ყოფილს ძვირფასი თვლების სიბრწყინვალესა, მართლიად იმათს თვალს ასიამოვნებენ; მაგრამ თუ შესძლებოდათ დანახვა და ცნობაცა იმ უთვალავის ვარმისა (დარდისა) და ნაღვლისა რომელიც იმ გვირგვინს გარე შემორტყმული აქვს, მაშინ სწორედ თვითანაც იმ სიტყვას იტყოდნენ, რაც სთქვა ერთხელ ერთმან ბრძენმა მეფემან: «ეს გვირგვინი თუ რომ გზაზედ დავარდნილი გენახათ ძნელად რომ გესურვათ დაწვ'დება და ხელში აღებაო.»

ეს ჩვენი ნათქვამი სამწუხარო გამოცდილება რა ნახა თავის სიცოცხლეში თვით იმ ჩინებულმა იულიო კეისარმანც, ერთ დღეს ძალდაუტანებულმან წარმოსთქვა ეს სიტყვა თავის პირით: «როცა გინდოდეს აუხსნა და შეატყობინო ვისმეს სიმრავლე დარდ ნაღვლისა, და ამლვრ-

ფულობისა, მოიგონე იულიო კესარიო. »

თუმცა ხედემდე რომ ამ ქვეყნის მდიდარნი აქეთ იქით აგზავნიან უთვალავ ხომალდებსა; ხედემდე, რომ დუკანან და უბრძანებენ უთვალავ ჯარსა; ხედემდე, რომ ოის გუითხივ შემორტყმიან დიდროვანი თავადები და სანდო მცველები, მაგრამ კი ნუ გგონია რომ ყოველნი ამა ყოფილს და მხიარულს ცხოვრებას ატარებდნენ, ანუ თუ ყოველნი ერთ ნაირს სიხარულს და შვებას იმშვენებდნენ: ამიტომ რომ ეს ყოველი სხვა არა არის რა, გარნა მხოლოდ ერთი ოქრომა და სიზმარი, მოჩვენება, შიში, გულის კანკალი და ნაღველი რომელნი იმ ელვარე საჭურველთ მოძრაობასა და ბრიალსა არაფრად დასთვლიან და ოქრო ვეცხლის სიბრწყინვალესა ანუ ძვირფასი ბისონების ჭირსა სრულიად არც კი შეხედვენ, არამედ სისწრაფით მისულნი შევლენ შიგნი შიგან დიდ დიდი მთავრების გულებშიაცა, და იქ (როგორც პრომეტეოს) მფრეწელი არწივებივით დააჯდებიან, სჭამენ და ულევენ გულსა.

რას მოასწავებენ ის ყოველი დიდებული ღირსების სახელები (ტიტულები) ნეტავი «აზნაური» ლექსის მეტი რამე არის? თავადებისა და მეფების მსახურები, დიდებულნიც რომ იყვნენ, მაინც ჭკუვა და განსჯა გვაგონებს, რომ სხვა არა რა არიან ისნი, გარნა მარტო ერთი მშვენიერი გამოჩვენებანი. თუ რომ ამ ქვეყნითგან მაღლა-ასულნი მიწევნილ ვიყავით ვარსკვლავებამდის და იქიდგან გარდმოვხედავდა ქვეყნისათვის, ნეტა როგორ გავშტერდებოდით და გავჰკვირდებოდით რა წარმოვიდგენდით ამ ქვეყნის მდიდრების დიდებულ პალატებსა? იმათ გარემე მყოფი თავადების დიდებასა? იმათგან განზრახულ ღირებულობასა, რაცა აქვსთ ღირსებასა და დიდებასა ზედა?

ამბობდა ერთხელ ერთი ფილოსოფოზი: «მე არც

ერთი ღირსების წოდება არა მაქვს, მაგრამ მაინც ყვე-ლაზედ დიდი ვარ, და დიდობასაც ვიმცერებ ჩემს მტერს ქვეყანაში, ამიტომ რომ მე ჩემი თავის უფალი ვარო.

ბრძენი იქმნება ის კაცი რომელიც ღირსებაზედ მიწე-ვნისა და ჩინებული საქმეების აღსრულების შემდგომ შე-დგება და ეცდება რათა უშიშრად გახადოს თავისი წარმა-ტებანი და გამარჯვებანი, რადგან გაუწყვეტლად მიმყო-ლი წარმატება მუდამ საფიქრებელია.

ოსტატი და მეტად დახელოვნებული მოთამაშე რომელიც გაიმარჯვებს და მოიგებს, თამაშობას ხელს აჰყრის და და-სტოვს: რადგან თუ ჩააცივდეს იღბის უეჭველად, რომ მოგება შეეცვლება წაგებაზედ!

კარლო მეხუთემ დიდებულმან კეისარმან, რომელიც ბედითა და გამარჯვებითა ქვეყნის პატრონი გახდა და ყველას სძლია, თავის იმდენ დიდებასთან დიდი ჭკუაც იქონია; ბოლოს ბედსაც თავს მოუყვიდა, და იმაზედაც გაიმარჯვა. ასე რომ თავისი დიდების მოყვარულობის და მფლობელობის მოყვარულობის გაზომიერებითა თა-ვისთავადვე დიდსულობით გამოეთხოვა მათ და გადადგა,

არ შემიძლია ღირსად პატივი ვსცე და ვაქო იმ რომაელ-ის სიმხნე და დიდ სულობა, რომელიც ასე ამბობდა თა-ვის ზედა: «მე დიდებისადმი უკან ჩამოვდგომის წინად მთავრობანი ხელთ გავიტარე, და ბოლოს სანამ სხვანი წასახდენად ჩამომიდგებოდნენ, თვით მე წინაწინ ისინი დაუტევე.»

ნუ ინატრები, ნურც ღირსებას, ნურც დიდებას და ნურც დი-დებულ სამსახურებს, თუ არ ამითი განაცხადებ, რომ მაში სადამე ის რამეებსა, რისაც მოცემა შეუძლიათ სხვათ შენთვის, უფრო დიდად სთვლი, ვიდრემც მას, რაც შენ შენგნივ გაქვს; და ესეც კარგად იცოდე, რომ სასინდი-სოსაგან უმფროსი სხვა არა არის რა, რომელსაც შეეძ-

ლოს შენი ამაღლებას და გადიდკაცებას. შენ შენი თავი დიდად დათვალე, სანამ კეთილად შენი თავი გიჭირავს სათნოებაში. თჳნიერ რისამე შეშინებისა შეგიძლია ყველასთან წარსდგე, თუ რომ ღვაწლით შემოსვილი ხარ. არ შობილი ხარ შენ პატივისა და ღირსების შესაყვარებლად, არამედ კეთილი საქმების ქმნისათჳს და ღვაწლის შესაყვარებლად. სიმდაბლე ღირსებას ერიდება, და მხოლოდ სიმდაბლის გზითვე ღირსება მოიპოების.

ერთი ფილოსოფოსი დაიფიქრდა რა კაცთ დიდების მოყვარულობაზედ, სიკვდილის შემდგომისათვისაც, თჳსთვის ამ ნაირი ანდერძი დაწერა: «ჩემის სიკვდილის შემდგომ არ მინდა რომ მდიდრული სამარე და დიდებული საფლავი მქონდეს და არცა მშვენიერი კუბო, რათა ჩემი ძვლები და ჩემი სხეულის ნაცარ მტვერი იქ ჩასდვან და შეინახონ; და არც მინდა ჩემი სახელი თითბრის ფიცარზე ანუ მარმარის ფიქალზედ ამოსთხარონ; ხოლო თუ სამღვთო წინა განგებულობამ მომანიჭოს მე ერთი საზოგადო ქვა საფლავზედ დასადები, მაშინ სხვა არა მინდა რა რომ დასწერონ იმაზე თუ არ მხოლოდ ეს სიტყვა: «თავის უფალი ვიყავი.» ვითამც, ყოველი დიდებისა და პატივისაგან განქცევითა, თავის უფლობა დავიმშვენეო.

ნ ა კ ვ ე თ ი ლ ი ი ზ

რა გზით შეგვიძლია გაბედნიერება ამ ქვეყანაზედა.

ამ ქვეყანაზედ სანატრელი მდგომარეობა ბედნიერება არის, და ყოველ კაცს შეუძლია თავისი გაბედნიერება, ოდესმც უნდოდეს.

გასაბედნიერებლად საჭიროა, სიტყვიერებას წინ გიძღოდეს ხოლმე შენი გამოხატულობაების გასასწორებლად

შენი ყოველი უგუნური განზრახვაების მოსაშლელად და გარგანსაძიებლად და ბოლოს იმ ნაირი ცხოვრების გა-სატარებლად, რა ნაირსაც ჭკუა გონიერება და შენი მო-ვალეობა გიჩვენს და თხოულობს შენგან.

სულისა და ხორცის მოსვენება ჩვენის ცხოვრებისათვის ძლიერ დიდად საჭირო და სასარგებლო რამენი არიან!

ნამდვილი ბედნიერება არ არის დამოკიდებული მეფო-ბაზედ, არც თავადობაზე და არც სიმდიდრეზედა; არა-მედ, როცა სრულიად რიგში და კანონში შევიყვანთ ჩვე-ნს სურვილსა, ჩვენს გულის თქმასა, და როცა ყოველს ჩვენს საქმეში ჭკუვით მოვიქცევით, მაშინ ვიქმნებით ბედნიერნი.

შიში და სურვილი ორივე უმთავრესნი სნეულებანი არი-ან ჩვენის სულისა. ამისთვის ზომიერების სათნოება ზედით უნდა აიღოთ ფარივით, რათა შეეძლოს შენი თა-ვის დაფარვა ცუდი და უზომო სურვილების ხელითგან. ხოლო სიმხნის სათნოებითაც შიში მოიცილოს თავით-გან. პირველი მწარად დაიჭერს სულსა, როცა გულის თქმა მოიწევის ჩვენ ზედ საომრად; ხოლო მეორე იგი ყოველ ნაირს შიშებს ზედ გაამარჯვებინებს სულსა.

სიტყვიერება დაგვიფარავს ჩვენ, როცა გულის თქმა და შიში ფიცხლად მოგვესევიან ჩვენ, დაგვარიგებს და გვა-სწავლის ჩვენ, რათა მხნედ გავუძლოთ ყოველს სიმარ-ცხესა და მით მოსვენებისაგენ მიმავალი გზა გავიადვი-ლოთ.

ისე რიგში ჩააგდე შენი თავი, რომ შეგეძლოს ყოვე-ლი შენი ნამეტური გულის თქმაებისის განზომიერება; და რასაც ბუნება გვასწავლის მისი ზომის გარედ ნუ გა-ხვალ. მისი ნასწავლი ის რამენი არიან, რაც უფრო ჩვე-ნთვის საჭირონი არიან; ამ საჭირო რამენის რიცხვი ცოტა არის და ძლიერ დიდი განსაცდელებიც რომ შეჰბ-

მიხვას. არ შეუძლიათ ჩვენი იმათგან მოწყვეტა. ხოლო
ვინც ნამეტნავ და უსარგებლო რამეში ჩამოუყვება, მა-
მინ საჭიროსაც ძლივ ხელთ გაიტარებს. ყოველს ადგ-
ილას შეგვიძლია ჩვენი საჭირო საზრდის ხელთ გატარ-
ება, გარნა ნამეტნავისთვის ვგონებ, რომ მთელი ერ-
თი სახელმწიფოც არ კმარა. მხოლოდ ჭკუას შეუძლია
რომ უდაბნოშიც ბედნიერი გვყოს ჩვენ.

ცუდი ეს არის, რომ კაცთ დიდი ნაწილი სულთქმით და
ოხვრით უმაღლეს რამეებს ნატრობენ და მდაბალი რამე-
ის მოხმარება კი არ იციან. უქონელი რამების სურვი-
ლი, ნაქონევი რამეების სასიამოვნო მოხმარებისაგანაც
მოგვწყვიტამს ჩვენ.

მუდამ თვალწინ გქონდეს ის სიტყვა, რომელიც ერთ-
მან ჭკვიანმა სთქვა ძველად თავის თავზედა: «ნამეტარ
რასმეს არ ვნატრობ.» შენ ამ ნაირობით, რასაც ნატ-
რობ მუდამ გექმნება: რადგან არა ფერს არ ინატრებ
ნამეტურს თუ არ იმას რისაც შეძენა შეგიძლია.

ვისაც გულში უწესო გულის თქმები აქვს, უეჭველად
ფიქრში უნდა ჩაიდვას იმან, რომ თავისი იმედებისაგან-
აც ცარიელა დარჩება.

ვინც ზომიერი არის თავის სურვილში, ნაშანია, რომ
ჭკვიანი არის ის ვინმე რადგან დიდი უჭკუობა არის
« ფასით მოსყიდვა იმედისა. »

რისაც ქონვა არ შეგვიძლია, სრულიად არ უნდა ჩამოუ-
ყვეთ იმას, და მუდამ მხიარული უნდა ვიყოთ ჩვენის ნა-
ქონვებით.

კმაყოფილი კაცი არის მხოლოდ მდიდარი, ამ-
იტომ რომ კმაყოფილება ყოველი სიმდიდრის მქონებ-
ლივით მხიარული არის, როგორც ზემოდ ვსთქვით.

სულის მოსვენებულობა ბევრად უფრო ჯატიკასცემ-
დეის ინდოეთის ყოველს ოქროზე და ვინც თავისი თავის

უფალისა და განშორებული ყოველნაირი ცოდვისაგან და მყუდრო სვინდისით აცდარებს თავის სიკვდილს, იმისთანა ისე კმაყოფილია, როგორც თუ ამ ქვეყნის ყოველი სიკეთე და ყოველი სიმდიდრე მას ჰქონდეს.

ჩვენ შინაგან ქონებულს მშვიდობასა შეუძლია გარედგანაც საკმაოდ დაკმაყოფილებას ჩვენი.

ამბობდა ერთხელ ერთი ფილოსოფოსი: «სხვის ბედნიერი მდგომარეობა არ შემშურდება, რადგან მე ჩემით კმაყოფილი ვარ; და სხვა რამეს არ ვინატრებ, გარდა მისა რაც უფროსი ერთად მე მეჭირება, ისე რომ უკეთუ შემძლებოდა მთელი ქვეყნისაც დამშვენება, არ ვისურვებდი».

რა არის სიმდიდრე? თუ არ ერთი ხაზი ანუ ნოლი (ციფრი): ნოლების სიმრავლე არა ფერს არ შეადგენს, არამედ ჭკუვა არის ის რიცხვი, რომელიზედ დაერთოდა თუ არა ნოლს, რიცხვს შეადგენს. რას გამოგვადგების ჩვენ ჩვენი ნაქონები, როცა ჩვენ იმაიზედ არა ვართ კმაყოფილი? ვხედამთ, რომ ნამეტური რამის ქონვის სურვილს, ნაქონვის გემოც გააქვს ჩვენგან და ერთიან გვართმევს მას. დიდი ალექსანდრე თავისი ტახტის და დიდების მოყვარულობის ზრუნვისა და ნაღვლისაგან გატანჯულობით მეტად საბრალოს და საწყალს მდგომარეობაში იყო ვირემც დიოგენე ფილოსოფოსი, რომელი ერის ჭურში სცხოვრებდა კმაყოფილად.

ზომიერი მდგომარეობის მქონი, ვინც მადლიერი არ არის თავის წოდებაზედა, იმისთანა მუდამ შესაწყალი და შესაბრალებელია, მდიდარი და თავადიც რომ გახდეს იგი: ამიტომ რომ სისაწყლე მუდამ გულის თქმასა და უმადურობასთან შეყრილი ამხანაგია და იმათ არ მოშორდება. და ეს უჭკუოთ მოაბეჭდილებს და გონი თუ ვინმემ ფიქრში ჩაიდვა, რომ საკმაო შემოსავალი არა აქვს, იმან

ესეც უნდა ჩაიდვას ფიქრში რომ მთელი ქვეყანაც არ ეყოფა იმის საჭიროებასა; და მის გარდა რიერთიც მეტი აქვს, იმდენად უფრო უნდა მას რომ ჰქონდეს უკუნისამდე!

რიერთიც პატიოსანნი მშვენიერნნი და საქებურნი იყვნენ შენი ნაცვამი სამოსნი, ვგონებ არ შეუძლიათ მოუმატონ იმათ მომეტებული რაიმ სიამოვნება შენს სულსა; მეტადრე როცა ჭკუვით ვფიქრებთ რომ თქმული სამოსი სხვა არაფრისთვის არ არის, თუ არ მხოლოდ ჩვენის სიშიშვლის დასაფარებლად.

ეუბნებოდა ერთი ფილოსოფოსი ერთხელ ამ სიტყვას დასარიგებლად თავის მოწაფეებსა: «შემიძლია ჩაცმა ერთი ნახმარის სამოსისა იმ ნდომითა, როგორათაც ახალი ყოფილიყოს; და მე სრულიად არ გამიგონია, რომ სამეფო გვირგვინს თავის ტკივილი გაერთვინებინოს, ანუ თუ მშვენიერს ნაკერს ფეხსაცმელს ფეხის მეტაცულობის (პოდაგრა) მავნე სენი შეემსუბუქებინოს.»

«ცხელების დიდეოულს ლოგინშიც ისე გასტანჯავს და მოუსვენრად გახდის კაცს, როგორც უბრალო ქვეშაგებში.»

«როცა სანოვგალო სამოსი მაქვს, სიცხე სიცივისაგან დამფარველი ჩემი, სხვა არა ფერის ნაკლებულობას არაარ ვინაღვლი: მით არაფრად და უქმად მივიდებ იმის გარდა გინდ ბისონი იყოს, გინდ ნემსით ნაქსოვი, გინდ ვრცელი და ფორმიანი სამოსი, გინდ ზედ ალმასი ჭყაროს გინდ მარგალიტი და ანუ სხვა რომელიმე ძვირფასი თვლები.»

ვისაც შეუძლია ზომიერებაში და წესიერებაში მოუყვანა თავისი გულის თქმებისა, იმისთანას იქეთი მოსვენება და სიამოვნება აქვს, რომ იმდენი სიამოვნება არ შეუძლია

მისცენ მას ამერიკის პერუსის მდიდარმა მადნებმან ოქროსა და ვეცხლისამან. შეგიძლიან შენ ისე კმაყოფილებით იცხოვრო ერთს მცირე ქალაქში, როგორც იცოცხლებ სახელმწიფოთ დიდა ქალაქში.

ერთს დღეს წარმოდგინებითა ამ ქვეყნის ამაოებისა და კაცთ ნამეტურის მოყვარულებისა, ესრედ ელაპარაკებოდა ერთი ფილოსოფოზი თავისთან მყოფთა: «თვალმა სრულიად არ მომივა, როცა სიბარიტული მრავალ ფერი საჭმლის ტაბლაზედაც ვიჯდე, ანუ თუ დიონესითო მდიდარი მეფის დიდებულს სასახლეშიც ვიწვე და მეძინოს. თუ რომ ერთი პინა მარცვლეულის საჭმელი მექმნება, და თივის ქვეშაგები დასაწოლად, მას შემდგომ ხელმწიფისაც არა შემშურდება რაო.

როგორც ბრძენ კაცს არ მართებს, რომ ნამეტური რამის სურვილი ჰქონდეს, არამედ რაც კი საჭიროა იმას უნდა სჯერდებოდეს, აგრეთვე მხნე გულოვან კაცსაც არ მართებს მიუშვას რომ თავისი სულის მშვიდობა დაჰკარგოს რომელიმე სიმარცხითა, თუმცა ძლიერ დიდიც იყოს სამარცხე იგი.

ამ ქვეყანას შეუძლიან კაცი დააგლახაკოს, მაგრამ არ შეუძლიან მინაგან საწყლად და საბრალოდ გახდომა მისი.

არა კაცს არ შეუძლიან გაბედნიერება ამ ქვეყანაზედა, თუ რომ დიდი სიმხნე და დიდი გული არ ექმნება, რომლითაც შეიძლოს შეურაცხყოფა და მოთმინებით ტვირთვა ყოველი ჭირისა და შეწუხებისა. რაც კი შეიძლება რომ შეემთხვიოს მას თავის სიცოცხლეში; და ყოველი მარცხის მოსვლის დროს შეიძლოს უთხრას ეს სიტყვა თავის თავსა: «მართლად კმაყოფილი ვიქმნებოდი, თუ რომ საქმე ესრედ მოხდენილ იყო, მაგრამ რადგან ჩემის სურვილისაებრ საქმე წინ არ წავიდა, კურთხეულ არს ღმერთი!»

ვისაც უნდა კმა ყოფილებითა და სისწორულით ცხოვრება, თავის კეთილს და გამარჯვებულს მდგომარეობას არ უნდა დაენდოს, და არც უნდა უბედურის და მარცხის მდგომარეობისაგან გული გაიტეხოს და ანუ იმედი გარდაიწყვიტოს; არამედ მუდამ ფრთხილად და მზად უნდა იყოს თავისი თავის დასაცველად ყოველ ნაირი მტრებისაგან.

ბრძენი კაცი მუდამ კმაყოფილი და ბედნიერი იქმნება, რა მდგომარეობაშიც რომ იყოს. იმისთანა ყოვლიფერს თავის ნებას დაამორჩილებს; თავის ნებასაც სიტყვიერებას დაამონებს, და თავის თავსაც ერთიან ღვთის ხელთ მიანდობს; და ცდილობს რომ ჭკუამ და გონიერებამ მართოს იგი, არა თუ თავის ვნებებმან (ჟინებმან).

ვინც კმა ყოფილია ყოველს ნაირს მდგომარეობაში, იგი აგრეთვე კმაყოფილი იქმნება თუ ყოვლიფრისაგანაც მოსწყდეს: რადგან ნაკლებულობა თავით თვისით საგანში არ არის, არამედ მარტო ჩვენს სულში.

მხნე და გულად კაცსა ფეხზედ ჰკიდია ბედი. რიერთიც შეიძლება ცოტად შეწუხება, დიდი მეცნიერება არის, და ამ მეცნიერებას გაუთვნის ყოველი ჩვენი ცხოვრების ბედნიერება.

გინდა შეძლებისაებრ ბედნიერი იყო შენს სიცოცხლეში? ეცადე, რომ მარტო აწმყო რამით იმხიარულო და ეს დაიმშვენო, და მომავალისათვის შენს თავს მოუსვენრობაში ნუ ჩააგდებ: რადგან შეიძლება რომ სრულიად არც მოხდეს ის, რისაც გეშინია. რიგი არ არის რომ იმედი და შიში მოუსვენრობით გტანჯავდნენ შენ, დაკმაყოფილდი შენს ახლანდელს ქონებაზედა, და ადარაფერი დაგაკლდება.

შენს თავზედ გარდავლილი მარცხების მოგონებით შენს თავს ნუ შეაწუხებ, და მომავალის მარცხებისათვისაც

ნუ ინაღვლი. ამიტომ რომ პირველებისაგან შენ ახლა-ახლარა ფერსა ჰგრძნობ; ხოლო მომავალისაგანაც მუდამ შეგიძლია მორიდება და გარდარჩენა. ყოველ წამს შეგვიძლია მზად გვქონდეს ჩვენის მომავალი სიმარცხის საწინამდეგო წამლები: რადგან ისინი ჩვენს მოახლოებამდინ და ჩვენს თავს გარდასავალამდინ, მუდამ წინ და წინ გვანიშნებენ ჩვენ. ეს არის საზოგადოდ ამ ქვეყნის რიგი და ღვთიური წინაგანწყობულება ჩვენის სიკეთისათვის.

ერთ რასმეს რომ ეწამლება, მისგან შეშინება უგუნურობა არის. ვინც დროების წინად თავის თავს სტანჯავს, იმისთანაი მით რამდენადაც საჭიროა იმაზედ უფრო მეტად თავის თავს აჭირვებს და აწუხებს; ამიტომ, რომ იმ თავისი სულის და ჭკუვის უძლურობით ასე ადრე რომ წარმოუდგინა მას თავისი სიმარცხე, ისივე უფრო დიდადაც აჩვენებს იმას იმ სიმარცხესა, რომელიც ნამდვილად ისე არ არის.

ჭირში ჭკვიანი კაცი განძლიერდება და განმხნევდება გონიერებითა, და უგუნური კაცი კი დაუძლურდება იმედ გარდაწყვეტილობითა.

სასაცილო რამ არის, თუ რომ ვინმემ იწყოს წინათვე თავისი თავის გასაწყალება, გასაბრალება შიშითა რომ არ იქმნას სიმარცხე შეემთხვიოს მას. ამიტომ, რომ კაცი მომავალი რამის მოლოდინებითა, აწმყო რამის დამშვენებასაც დაჰკარგავს. ის შიში, ვაი თუ დავჰკარგო რამეო? დაკარგვის ოდნად მავნეა. ჩვენი სისაწყლე უზომო და ურიცხვი შეიქმნება, უკეთუ მუდამ მომავალი რამეებისაგან შიში გვქონდეს.

როცა მომავალი მარცხის შიში მოგეცემა შენ, ეცადე რომ მუდამ იმ შიშთან ერთად კეთილი იმედიც მისცე შენს თავსა. ვითარცა ამბობდა ერთი ფილოსოფოზი.

«მხოლოდ ეს ღონე ვიპოვნე მე, რომ სრულიადაც თუ
ვერ შევიძლო განკურნება ჩემი ტანჯვებისა, მაინც შე-
ვიმსუბუქო.»

ეცადე, რომ არ მოასწრაფებინო შენს სიმარცხებსა, რად-
გან, როცა მოვლენ, მაშინაც კმარა მათი გაწევა, გას-
წიე აწ მხოლოდ ის სიმარცხე, რაც მოგივიდა: და გას-
წიე მარტო ის შიში, რისაც ჯეროვნად მოგეცემა შენ
რამისთვის. ესეც კარგა იცოდე, რომ ისე ნამდვილად არ
შეგემთხვევა შენ ის, რისაც შენ გეშინიან, და უფრო ნამ-
დვილი ის არის, რომ ის სხვა მრავალი რამებიც რომ-
ლებისაგანაც რომ შიშობ, მის დღეში არ მოხდებიან!

ახლავე რა საჭიროა რომ სტანჯავ შენ თავს იმ რამი-
სათვის, რომელიც იქმნება ორმოცი წლის უკან უნდა
შეგემთხვას. ამისთანა თვისება ურთი გარდადგომილი
სულის ხელობა არის, და მოასწავებს რომ მას თავისი
თავი სრულიად არა აქვს შთავედრებული საღმრთო წინა-
განგებულობის ხელთა შინა. ჯერედღა მოუსვლელი სი-
მარცხისათვის ჩივილი და ტანჯვა ერთი ახალი საკვირვე-
ლი გამოგონება არის შენი მდგომარეობის გაუბედუ-
რებისათვის.

დაღმე, მოუცადე, მოვიდეს ის სიმარცხე რისგანაც
რომ გეშინიან და მერმე იწყე გატანჯვა. შენი გარნა ახ-
ლა კი რიერთიც შეიძლება იმხიარულე. რადგან არ იცი
ბეჯითად უნდა შეგემთხვიოს ის სიმარცხე თუ არა, და ანუ
თუ იქმნება ვინმემ შეაყოვნოს მაგ ზიანის მოსვლა ანუ თუ
ერთიანად უნდა მოსპოს იგი შენგან რამე შემთხვევამ?

ერთხელ ავრიკის დიდი თავადი აბალი კრანნაღის მეფის
ძმა და მემკვიდრეე მეფობისა, როცა ბედის ჩუღმა უ-
უობლობით დაიჭირეს და დატყვევეს, იქ სატყვეოში დღე-
ოს გასატარებლად და სიმარცხის სიმწუხრის დასავიწყე-
ბლად იჯდა და თავის თავად ნარდს თუ ჭადრაკს თამაშობ-

და ჩუმად, რადგან ეს თამაშობა ქვეყნის ცვლილებათჳს სიმართლისა და გამარჯვების სახეს ჰგავს კარგად წარმოუდგენს. ერთ დღეს, როცა ემზადებოდა დაჯდომას სათამაშებლად, ნახა კარიდგან უეცრად გამომჟღავნებული შვილი და უთხრა მას: ამას იქით გათავდა შენთვის ყოვლის ფერი, უნდა მოკვდე: მაშ მოამზადე შენი თავი სასიკვდილოდა! ეს სამწუხარო სიტყვა რომ გაიგონა აბალმან, სთხოვა იმას არ აჩქარებულიყო, არამედ ორი საათი დრო მიეცა, სანამდისინ დაეწყო იმ ჭადრაკის თამაშობა და შეესრულებინა. მტარვალს თუმცა მეტად ვრცელ დროებად ეჩვენა ესრეთი სათხოვარი, მაგრამ მაინც შეებრალა და უკანასკნელი ვედრება ესე შეისმინა იმ საწყალს თავადისა, და თავი დაანება, რომ დაეწყო თამაშობა, და გაეთავებინა, იწყო აბალმა თამაშობა, და მოიგონით სიცოცხლე და მეფობაცა, ასე რომ ჯერ თამაშობა არ გაეთავებინა, ერთიც ვნახოთ, რომ სხვა მახარობელი შეიჭრა, შევიდა, და მოახსენა რომ მოკვდა შენი ძმა მეფეო, და ესე სთქვა რა მიართვა მას გრანადას ქალაქის გასაღებები.

კაცს სიმართლე არა აქვს ჩივილისა, ამიტომ რომ ყოველნი ერთი და იმავე მდგომარეობის ვართ, ამისთვის ეცადე, არ ჩიოდე რომელსამე შენს მდგომარეობაზედ.

ჩვენ ჩვენს კერძოდ მუდამ მზად უნდა ვიყოთ ყოველი სიმართლის მისაღებლად, რაც შეიძლება რომ თავს გარდაგვხდეს, და მუდამ უნდა ვეცდილოთ ყოველს შესაძლის მოსახდენს საქმეებსა.

ნეტავი უნდა დავაკვლახაკდეთ თუ არა? არ გვენაღვლებოდეს, რადგან ამხანაგიც გვყოლება მენუზეში! ნეტავი გარდაწყვეტილია ჩვენთვის ექსორიაში გარდასახლება განდევნა? არ ვიწადლებთ, არამედ ჩვენს გონებაში ისე წარმოვიდგინოთ, როგორც თუ ექსორიის ადგილი

ჩვენი სამშობლო ადგილი იყოს ; და მუდამ შეურყევლად ვიყოთ ფიქრობით ამისაც რომ ზეცას სასუფეველში წასასვლელი გზა ყოველგან და ყოველს დროს ერთი და იგივეა .

თუ გინდ ვხედავდეთცა რომ აქეთ იქითგან უსამართლოებას, ლახვა ლანძღვას გვაყენებდნენ , არ ვინაღვლოთ : არამედ ჩვენ ამ ნაირი რამები მივიღოთ ჩვენთვის , როგორც თვითო და თვითო პატიოსან და ძვირ ფას სამოსად რომელს სიხარულით ჩავიცვამთ და იმ ჩვენის დიდის დამარცხებისაგან დიდი გამარჯვებები შევიძინოთ ჩვენს დიდებად : და ეს ნუგეშად გვქონდეს რომ სადაც წავიდეთ სრულ იგივე ბუნება გვაქვს , სრულ იგივე სამღთო წინაგანგებულობა გვყავს ჩვენთან და სრულ იგივე სათნოებანი დაგვაქვს თან ჩვენთან .

თუ რომ რამე დაჰკარგოთ დაფიქრდი და სთქვი : ეს დასაკარგი შეიძლებოდა და უნდა მოხდენილ იყო . რაერთ ცოტა ფულიც აქვს-კაცს იმდენათაც ცოტა აქვს მოუსვენრობა გულისა და იმდენათ ცოტა მოშურნენი ჰყავს . რა არის ამდენი შრომა შეწუხება ? ამდენი ოფლის მოწურვა ? და ამდენი დარდი და ნაღველი ? მაშინ როდესაც ცოტა რამაც გვეყოფა ჩვენ სარჩოდ და როდესაც ჩვენი საჭიროებანიც იმდენად ბევრის ღონისა არ არიან .

რაც რომ შეგვემთხვეს , სრულიად ნუ გავშფოთდებით და ნურც გავიკვირვებთ რადგან მუდამ ვიცით რომ ყოველი შესაძლისი რამ შეიძლება მოგვიხდეს ; და ის რამე რომელიც ყოველ დროს შეიძლება მოხდეს შეიძლება დღესაც მოხდეს !

ყოველი მარცხი , ყოველი ჭირი და შეწუხება გაგიადვილდება შენ , თუ რომ იმათ შენ თავს მიაჩვევ . რა გასაკვირველი , რა გასაშფოთებელი საქმე არის , თუ ამ დროს არა იმ დროს უნდა დავჰკარგოთ რამე ? რადგან

ერთი დღე მოვა, რომ სიკვდილით ყოველივეს ერთიან დავჰკარგავთ !

როცა ნახავ რომ ვისმეს რაიმე მარცხი თავს გარდახდა უეცრად, მაშინ შენ დაფიქრდი და სთქვი, რომ მაშ-სადამე ის იმ სახით შეიძლება ჩემს თავზედაც მოვიდეს; მით არ უნდა შევჰკრთე, არამედ ჩვენს საზოგადო სიმარცხეზედ მარტო ეს საგანი უნდა ვსცნათ რომ უთვალავს შესაძლის განსაცდელებში ვართ ხოლმე !

გამჭრიახ და მხნე გულის კაცს, რიერთიც დიდი შეწუხებანი თავს დაატყდეს, სრულიად არ აღელდება; და ეს არის ნიშანი ძლიერი ჭკუვის და სულის ქონვის, ოდეს სძლევს კაცი ყოველს თავისზედ მოსულს სიმარცხესა.

ვინც რომ თავის სიცოცხლეში მოხდომილ მარცხებს შეერაცხყოფს და ზედ არც კი შეხედავს იმოდნად გამჭრიახად და მხნედ შეგიძლია დასთვალო ის კაცი, რაოდნადაც იყო დათვლილი ძველად ის ტროელთა მხნე მხედართ მძლევარი ჰექტორი, ამისთანა კაცი ამ ნაირი თავისი სიმხნისა და სიმამაცისათვის შეგიძლია დასთვალო კვალად თანასწორედ იულიოს ცესარისაც.

რიერთიც ვრცლად გამწვევა იყოს ჩვენი სნეულება ჩვენს სიცოცხლეში, ხან და ხან მაინც შემცირდება, და ამით გვეღირსება და შემსუბუქებასა გვრძნობით; ხოლო თუ ის სნეულება მოკლე ხნისა იყოს, მაგრამ ფიცხელი და ძლიერი, ან მოგვკლავს ჩვენ, და ანუ თავის თავად გაგვივლის და წავა, ეგრედ რომ, ანუ ის მოცემული შემსუბუქება სნეულებას მოგვათმენინებს და ანუ მისი დასასრული ადრაოვერს გვაგრძნობინებს ჩვენ.

მოსულს სიმარცხეთა მხნე და ღვაწლით შემოსვილი კაცის გულზედა არ უნდა იზედმოქმედონ და არ მისცენ სიმწუხრე უმეტოს იმ განწყვეტილესა, როგორც მერსიელები განწყვეტილდებიან ხოლმე თავიანთ აზნაურებს: ამ

მეწსიელებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ როცა თავიანთ-თან დიდს სახლობის და აზნაურის შვილები რამე დანა-შაულისთვის გასაწვრთნელავი გახდებოდნენ, წკეპლებს აიღებდნენ და ტანზედ დაკვრის მაგიერად, იმის ტანისა-მოსს სცემდნენ!

მხნე გულის კაცმან თავისი ნათქვამების და თავის გო-ნებაში გამოსახული საგნების წინამდეგ საქმეებსა მხნ-ედ უნდა უწინამდეგოს; ისრედ როგორც ზღვაში ამა-რთული დიდროვანი კლდეები და ლოდები მაგრა დაუდგე-ბიან საშინელს ზვირთებსა ძლიერის ღელვის დროს.

ამ ჩვენს სიცოცხლეში მოხდენილნი სიმარცხენი სწო-რედ წვრთვანი და დარიგებანი არიან ჩვენთვის, რათა ჩვენი თავი რიგზედ მოვიყვანოთ, სიცოცხლე გავასწო-როთ, და თუ რომ გზის გარედ გასულნი ვიყოთ, თავში ჭკუა მოვიკრიბოთ.

კაცის ცხოვრება ღელვებით და კორიანტელებითა სავ-სე არის: ამისთვის გონიერება გვასწავლის, რომ გავა-ლეთ გავაწიოთ გარეთ, შევიდეთ ერთს მყუდრო ნავთსა-დგურში, და იქ მოვიცადოთ, სანამ გაიაროს და დაწყნა-რდეს ღელვა.

თუ რომ შესანიშნავი სიმარცხე შეგემთხვას, ეცადე რო-ერთიც შეიძლება, შენი თავი გარდაარჩინო იქიდგ-ან, და თანვე ეცადე იპოვნო შენს შესახიზრად ერთი იმ-ისთანა ტყე სადაც უფრო ცოტა ქარები იყვნენ.

რომლებსაც ბედის მეხთილობისაგან უფრო ცოტა ში-ში აქვსთ, იგინი არიან ერთის სიტყვით უფრო სათნო-კაცნი.

გონიერად სწერს ერთი ახალი ფილოსოფოსი: რო-ცა რიგის გარეთი შემთხვევა რამ მომივა, მე მაშინ ორს საშვალს ხელთ ავიღებ რათა ჩემის გულის მოუსვენრო-ბა დავაწყნარო. პირველი ეს არის, რომ მე იმაზედ

ალარ ვიფიქრებ და მეორე ეს არის რომ მე ჩემს ჭკუას გონებას მივაქცევ იმ რამებსა, რომელთაც შეუძლიათ ჩემი გართვა და განავარდობა; ამის გარდა მუდამ ავიმაღლებ ჩემს გონებას და ზრახვასა ღრუბლებს ზეით, სადაც ღელვაებს არ შეუძლიათ მოწევნა ვერც ქარებს შეხება ჩემი და ვერცა მეხებს რომ დამეცნენ მე.

ჩვენის გულის მოუსვენრობა და ის ჩვენი უსიამოვნება, რომელიც სიმარცხისთვის გვტანჯამს ჩვენ თავით თვისით ბუნებისაგან არა წარმოსდგება, არამედ მარტო ჩვენის შემტყობელობისაგან იმაზედ; ისე რომ, როგორი მიმართულობაც გვექმნება ჩვენ იმაზედა, იმის დაგვარ მეტად ანუ ნაკლებ დიდად გამოგვიჩნდება ჩვენ ისა.

ამისთვის თუ რომ ჩვენი შემტყობლობა მართალი იყოს და სიტყვიერი, მაშინ დიდ რამედ არღარ დავსთვლით ჩვენს თავზე მოხდენილთ სიმარცხეთა მათ; არამედ ჩვენგან გარეთ მყოფი რამების ადგილად დავსთვლით, რომელთაც არ შეუძლიანთ შეხება ჩვენი: ამის გამო არც რიგის გარეთ ვიფიქრებთ იმათ ზედა და არცა ის უზომო მთაბეჭდილება გვექმნება ჩვენ იმათ ზედ რაც პირველად გვქონდა.

მაგალითად გვსთქვათ, რომ ერთი ხომალდი გქონდა შენ ზღვაში მდიდარის სავაჭროთი დატვირთული და ის ნავი დაგდუპოდეს, მაშინ შენ ამ მარცხის შემთხვევის გამგონს, მართალია თუმცა ის პირველი მოსვენება და სიხარული იმდენად არ შეიძლება გქონდეს, რამდენიც გექმნებოდა, მაშინ ოდესაც არაფერი სიმარცხე მოგესვლოდა შენ, მაგრამ მაინც თუ რომ მტკიცე გულისა და საღონო კაცი ხარ და ქვეყნის რაობას ჭკუვით გაგიცნია, იმდენი ნაღვლიანობითა შენს ჭკუვას ძალას არ უზამ იმ დანაკარგისათვის: ესრედ შეიტყე სხვა რამეს ზედაცა.

ჭკვიანი კაცის გონიერება მიითხოვს ჯეროვნად მოუს-

ვლელ სიმარცხეთათვის შორმხედველობა ჲ წინადმხე-დველობა სიფრთხილე ჰქონდეს რიერთიც შეიძლება; ხოლო მხნე ჲ გულადი კაცის ჭკვიანობაც ამას თხოუ-ლობს რომ იმ მარცხის მოსვლის შემდგომ უკეთესი წამალი ხელთ პილოს იმათ საწინამდეგოდ.

## ნ ა კ ვ ე თ ი ლ ი იჱ.

## ზ ო მ ი ე რ ო ბ ა ს ა ზ ე დ ა.

ზომიერებად გვესმის ჩვენ აქ ზომიერი ჲ საპასტიური სმა ჭამა, მით ეს გაკვეთილი ნაყროვანების წინაღმდე-გის.

დიდი ფილოსოფოზი იგი პლატონი ერთხელ ათენის ქალაქითგან გაემგზავრა სიცილიისაკენ: რადგან დიონე-სით მეფე მრავალი წიგნის მიწერითა იწვევდა მას თავის სახლში სიბრძნის მოსასმენლად. როცა პლატონი მობ-რუნდა იქიდგან ჲ მოვიდა თავისავე ათენის ქალაქში, იქ რომელთამე ფილოსოფოსთა ეს შეკითხვა წარუდგინეს იმას, რომ ნეტავი სიცილიაში დიდს შესანიშნი, ახა-ლი ჲ საკვირველი რამე თუ ნახა მან? მიუგო პლატონ-მან: «ვნახე ბუნების საკვირველი ჲ საოცარი რამე: ვითამც კაცი, რომელიც დღეში ორჯერ საჭმელს მიირთ-მევდა.» ეს კაცი იყო დიონესით სიცილიის მძლავ-რი, რომელი რაც შეეძლო, მაძღრისად სჭამდა სადილს შუადღისა ჲ სადამოზედაც აგრევე მაძღრისად სჭამდა ხოლომე ვახშამსა.

ძველ დროს (როგორც ახლა ზოგან) პურს საზრდე-ლს სადამოზედ მიიღებდნენ, ჲ არა შუადღისა, შუა-დღისა მარტო ებრაელები მირთმევდნენ თურმე; დანაშ-თა ცვარები კი სადამოს პირად.

«ჩვენ ახლათ სწერს ახალი ავტორის ერთი, ზედი ზედ ვაყრით სადილს ვახშამზედა და ვახშამს სადილზედა, და ხარჯს ვშვრებით, რათა ჩვენი თავი უფრო გავასაწყლოთ, ვირემც თუ სრულიად დავაკმაყოფილოთ. ჩვენი ცხოვრება ჰგავს კომედიასა: რადგან ჩვენი წინა სიტყვაობა საუზმეა, შუა თამაშობა სადილი, ხოლო დასასრული თუ დასკვნა არის ვახშამიო.»

«ჩვენ არა ვსჭამთ ჩვენის სიმშილის მოსაკლავად, არამედ მხოლოდ ჩვენის უზომიერობისა და დიდების მოყვარულობისათვის და სწორედ ჩვენ ჩვენი სახლები ეგრე საფლავად გვიქცევია, ვიდრე ყოველს კარებზედა შეგვეძლო დაგვეწერა ეს ზედწარწერა: «ჩვენ ჩვენის მგრძნობელობის სიამოვნებისაგან მოწამლულნი ვართ და ათას ნაირ სნეულების საგანსაცდელში ვჰკვიებით, რადგან ვცდილობთ მარტო ჩვენის მუცლის დაკმაყოფილებას.»

ყოველი კაცი თავისი თავის დამქცეველის განსაცდელში ჩავდებითა, და თავისი უზომოებითა, როგორც თუ თავისი ხელით თავისავე სიცოცხლის ძაფსა სწყვეტს. შეგიძლია ნეტავი მაჩვენო მე ერთი კაცი, რომელმან საჭმელი ისე მიირთვას, როგორც სნეული წამალს მიიღებს მხოლოდ გასამრთელებლად? კაცი ნამდვილი მკურნალია თავისი თავისა. ამ საგნის დამამტკიცებელია თავისი კეთილად განწყობილი და კანონიერი ცხოვრება.

კარგად ყურად ღება მიაქციე და შეინახე კატონ ფილოსოფოზის კანონი: «ჭამა სიცოცხლისათვის არის: და არა თუ სიცოცხლე ჭამისათვისო.»

ჩვენ ჩვენის უზომოებით ბუნების ზომის გარედ ვხტებით და გავდივართ, და თითქოს საჭირო რამებით დაკმაყოფილება სხვა კაცთ არ შეშვენოდესთ, გარნა მხოლოდ მათხოვარ გლახაკთ!

წარყვნის წინად ჩვენს წინაპართა საზოგადო საზრდ-

გლი მარცვლეული იყო ჲ ხილი, ჲ ძველი რომაელებიაცა ექვსას წელიწადზედ მეტი მარცვლეულით სცხოვრებდნენ!

და სხვა უთვალავი ტომებიცა რომლებში იაპონელნი, ამერიკელები ჲ ჩინეთის სხვა ჲ სხვა თემის კაცნი საზოგადოდ სხვა არა ფერს არ სჭამენ, გარნა მხოლოდ ბრინჯსა ჲ ხილსა: მით სრული სიმრთელე აქვსთ ჲ ბევრსაც ცოცხლულობენ!

ჰი თუ რა პატიოსანი, ჲ რა სასარგებლო შიმშილიაას სიმშილი, რომელიც საკმაოდ დასთვლის თავისთვის პურსა ანუ მხალსა ჲ მასთან ცოტა რამ საწუთროსაცა? ჲ რა ტკბილი ჲ მამრთელებელია ის სიმწყურვალე, რომელიც მარტო წყლით გაივლის წავა? ერთ დღეს დარია მეფეს ერთი სტაქანი ცივი წყალი მოართვეს, ძლიერ დიდის მადლობით აიღო სვა, ჲ იმოწმა რომ სრულიად არას დროს არ უსვია ისე ძლიერ გემრიელად არა რიგი პატიოსანი ტკბილი სასმისი. ამიტომ, რომ ისეთი სიმწყურვალე არ გამოეცადო დარიას სხვა ჯერ, როგორც იმ დროს ჩხუბში.

სწავლას ჲ მხილებას აძლევდა ერთხელ ზომიერი ერთი ფილოსოფოზი ნაყროვანებსა ესრედ: «არ მინდა შევხედო პერსიულ ტკბილ გემრიელ საჭმლებსა, ჲ არცა რა აზიურ ფაფუკს საჭმლებსა, ჲ არც გალიტონურს ნაქებ ღვინოებსა ჲ არცა რა ირკანულს პატიოსან თევზებსა, რადგან ესენი ისე თქვენ შიმშილს არ მოჰკვლენ, როგორც რომ თქვენს სტომაქს მოაუძლურებენ ჲ სიმრთელეს წაგიხდენენ; ხოლო მე საზოგადო საჭმლის მიღების დროს, ისე სიამოვნეს ვჰგრძნობ, როგორც თუ ნაირ ნაირი კარგ კარგი საჭმლები ყოფილი იყვნენ რომლების სიამეს თუმც ვჰგრძნობ, გარნა იმათ მოცემულს ზიანს კი არ გავსწევო.»

ერთხელ არტაკსერი, კიროს მეფის ძმა, რა ომში დამარცხდა და სრულიად დამონავდა, გაუჭირდა და საჭმლის მაგიერ ქერის პური და ლეღვი მიირთვა. ის იმნაირი გემო და სარგებლობა ჰგრძნო ამ თავისი საჭმლისაგან, ვიდრე წანობდა რომ პირველად როგორ ვერ შეიტყო და ვერ გაიგო ესა? და არ შეეძლო სურვილისაებრ წარმოითქმა თავისი სიამოვნებისა და თავისი სიმრთელისა. მაშ მივიღოთ ვსჭამოთ, რაც რომ ბუნებას მოუმზადებია ჩვენთვის მარტივი უზიანო და მამრთელებელი საზრდელები, მეტადრე როცა ვისმეს ჰშიოდეს.

ზომიერება ჩვენს სასიამოვნო და საამურად გამხდარ რამებსაც დაამრავალკეცილებს. ზომიერი მრთელი და კადნიერი ცხოვრების საყოველდღეო დატკბობასა და მოხვეწებასა არა მიელარება რა და არც არის ამ ქვეყნის სასიამოვნო რამებში სხვა ამისთანა რამე რომელიც იმას გაუთანასწორდეს.

ერთი ახალი ავქსონი სწერს ჯანის სიმრთელეზედ ესრედ: (თუ რომ მე მკითხავ, როცა სახლში გამომცხვარი კარგი პური მაქვს, და კარგი წყალიც მზად, დავჯდები მივირთმევ მას ერთ ნაირ მამრთელებელ საზრდელად, და ზოგჯერ (როცა ჩემის თავის მომეტებულად პატივის ცემა მინდა) ერთ რამესაც ზედ დაუმატებ, როგორც მომნელებელს ყველსა და ხილსა; მაშინ ჩემი ბედნიერების მპოვნელივით ვარ, და დიდებულ წვეულებაში მყოფთაც შემიძლია კადნიერად შევეკითხო, რომ ნეტავი იმათაც იმ ნაირი მადისა და სიტკბოს გრძნობა შეუძლიათ, რასაც მე ვჰგრძნობ ჩემის საჭმელის მირთმევის დროს? ანუ თუ ისივე ჩემი საყოველდღეო სიმრთელის დამშვენება შეუძლიათ?

ნეტარი იმ კაცსა, ვინც შიმშილისათვის სჭამს, და მარტო სიმწყურვალის მოსაკვლელად სვამს! ნეტარი

ომას, ვინც ბუნებისა და სიტყვიერების კანონებითა ცნო-გრებას აცარებს, და არ მისდევს იმ მაგალითებს, რო-მელნიც ყოველ დღივ თვალ წინ აქვს და ჰხედავს! ნეტარ იმ კაცსა, ვინც მარტო თავის საჭიროთა და სასმართ რა-მეთა ხედავს და ნაღვლობს და არა თუ თავის ნამეტურს და დიდების მეძიებლობას.

თუ რომ კაცთა ნამეტნავი რამეებისათვის არ ეზრუნათ და მხოლოდ ბუნების დაკმაყოფილებას დასდგომოდნენ, ნაცვლად მაშინ რომ ხელოვანი მზარეულები ისე უჯანას-კრელად და უხმარად დარჩებოდნენ ქვეყანაზედა, როგო-რც რომ სალდათები მშვიდობიანობის დროსა! ყოველ კაცს ადვილად შეეძლო თავისი საჭიროების და თავისი ნაკლებულობის შევსება, თუ რომ ისე სალისით არ მიჰ-ყოლოდა თავისი უწესო და ურიცხო სურვილების დაკმა-ყოფილებასა.

ერთხელ კარიელების დედოფალმან ადასმან პატივი სცა ალექსანდრეს დიდსა და გაუგზავნა მადის გამღები კარგი და კარგი რამეები, სუნნელით შეზავებული აჭოსტები და ძლიერ ხელოვნურად შემზადებული ახალი და საკვირვე-ლი ტკბილეულები. ნახა რა ეს ყოველი ალექსანდრემ, შეუთვალა მას პასუხი მომტანის პირითა: «მაქვს მე თან ტკბილეულები, რომლები ამათ ზედ ბევრით პატიოსან-ნი არიან, ვითამც ჩემი ღამით მოგზაურობა, რომელიც ჩემი შუადღის სადილის დამატკბობელია და შუადღისა მიღებული საჭმლის სიმცირე რომელიც სადამოს საჭ-მლის გამაგემოვნებელი არისო.»

ერთხელ, როცა სპარტელების ბრძენ მეფეს აგეზი-ლაოს უნდა გაევლო თრაკიის თემითგან, მკვიდრთა ძღ-ვენად მიართვეს პური, ბატი, ტკბილეული, ყველი, და სხვაც ნაირ ნაირი პატიოსანი საჭმლები და სასმლები. ამათ ერთი თვალი გარდაავლო აგეზილაოსმ და მარტო

პური მიიღო, და უბრძანა იმათ, რომ დანაშთი რამეები
აეღოთ უკან წაეღოთ, როგორც სრულიად გამოუსადე-
გნი რამები და კაცის სიმრთელისათვისაც მავნებელნი.
ეს რომ ნახეს მომრთმევლთა, ეწყინათ და უწყეს ბევრი
ვედრება, რომ ყოველივე მირთმეული მიეღო, აგეზი-
ლაომ გაუგონა, მიიღო ყოველივე, მაგრამ მაშინვე ბრ-
ძანა, რომ ის ყველა აეღოთ და ტყვეებისთვის დაერიგე-
ბინათ. როცა ასე ქმნის მიზეზი ჰკითხეს, მიუგო და
უთხრა: «ვისაც ჰსურსთ და ცდილობენ რათა მხნე და გა-
მჭრიახნი იყვნენ, რიგი არ არის რომ ამ ნაირი პატიო-
სანი რამები მიირთვან; და ტყვეებისაგან მიღებული რამეც
არ შეიძლება მოსაწონრად და სასიამოვნოდ დაურჩესთ
მხნე კეთილ მოღვაწეთ და პატივცემულთ პირთათა.»

რიერთიც მარტივი და აურეველი საჭმელი იქმნება, იმ-
დენი სტომაქში კარგ საზრდოდ გარდიქცევა. და მიზე-
ზი ეს არის, რომ ნაირ ნაირი საჭმლები და ნაირ ნაირი
სასმელები ამიზეზებენ სხვა და სხვა იმ ნაირ ორთქლებსა,
რომლებისაც არ შეაძლება ისე ადვილად ერთმან ერთთან
შეერთება.

ზომიერად ჭამა ხორცისა ძალას შეინახამს და მოუმატე-
ბს, კაცის ორთქლებს უფრო გააძლიერებს და აღადგენს,
ნივთებს დაშლის და დაამორებს მოუნელებლობისაგან,
გზების დახშობისაგან და სხვა მრავლის სნეულებისაგან
შეინახამს; სისხლს გასწმენდს, სტომაქს გაასუფთავებს,
მადას გაუხსნის და მონელებას გაუადვილებს.

თუმცა სასნეულო (გოშპიტლებში) მოპოვებული ყო-
ველი სნეულებაც გქონდეს, მხოლოდ ზომიერების უფ-
რო წამალს შეუძლია იმ ყველასი განკურნება.

კარიტიელთ ტომი თავიანთი საკუთარის სისაპატიურ-
ობით და რიგ გარეთის ზომიერებითა განთავისუფლებ-
ულნი არიან იმ უთვალავის სნეულებისაგან, რასაც სხვა

ბგარებში ცხელაში, უკეთუსიც ჭინდა გაიგონო, ისეთი ძალიანნი არიან, რომ ვიდრე ღრმა სიბერემდინ, როგორც ასის წლისასა და უფროსისასაც, ამბობენ ჭაღარა ძლივ შეერევათ თმაში და იმ დროულებს შვილებიც ეყოლებათო.

ძველი ეგვიპტელების ჭკვიანებიც იქადოდნენ თავიანთის ხომიერებითა: ისინი ნილოს პატიოსან წყალს სვემდნენ და საზოგადოთ ბრინჯსა და მარცვლეულს სჭამდნენ.

პერსიელებიც, რომელნიც ძველად მეტად ძალიანნი იყვნენ, სხვა არას შეატანდნენ პურსა, გარნა მარტო წიწმატსა, ანუ გარეულს პიტნასაო!

ხოლო ძველ დროსა აწლანდელ დროს თუ შევადარებ, თუ სახლის მართველობასა, თუ ცხოვრების კილოსა და თუ კაცებრივის ყოფა ქცევის საქმეებსა ძლიერ შეცვლილად ნახავ. თუ რომ ჩვენს საჭმლის ხანდისხან ვზოგავთ, ამას არა თუ მარტივად ბუნებითი საჭიროების შესავსებლად ვშვრებით, არამედ ჩვენს პირს ვაკლებით, ვაწყვეტთ იმისთვის, რომ სხვა რამეებში ჩვენი აბუქობა და დიდების მოყვარულობა გამოვაჩინოთ!

ამბობენ, რომ ერთხელ ვიცდა გამარტოვებული თავის ცხოვრებაში თურმე პურის მეტს არა ვერს მიირთმევდა და წყლის მეტსაც არა ვერს სვამდა, და ჩვეულებად ჰქონდა ამ საჭმელზედ თავისგან შეთხზულის ამ ლექსის თქმა:

«მე ჩემთვის პური და წყალი
არს ბედნიერების ძალი!»

დრო მოვიდა, ბედი გაეღო ამ კაცსა, მიეწია დიდს და ჩინებულს მთავრობის აღსავალზედ; როგორც მდგომარეობა შეიცვალა, ისე ჩვეულებაც შეიცვალა: აღარ უნდოდა მას მერმედ იმ თავისი ჩვეულებრივი საზრდელ-

ის მიღებს, მიზეზად მოჰქონდა და ამბობდა ამ ლექსსა,

« სულ ჰური წყალი სასმელი,
არის ძაღლური საჭმელი! »

წყალ-რღვენის წინად, წყალი რომ საზოგადო სასმელი იყო, უმფრო შემრგები იყო ის კაცის აგებულობისა, ახლა კი მის მაგიერ ისმება ყოველი ნაირი მავნე არაყეულის სასმისები. თუ განიხილებოდეს, ვის შეუძლია წარმოსთქვას, თუ რამდენად მავნე და რამდენად მაკვდინებელნი არიან ესენი კაცის ცხოვრებისა. ესენი ჩვენს ბუნებითს სიმხურვალეს აფუჭებენ, ხრწნიან; ხმას უცვლიან, სხეულის შედგენილებას ასხვავებენ, და ნაწილების დაწყობილებასა შლიან, საიდგანაც სწარმოებს სიმჭლე გამხდრობა, დაღონობა დანახიჭროება, ძარღვების უძლურება, სახსრების კანკალი, რომელიც წარმოსდგება უწესო მოძრაობათაგან ჩვენის მაცხოველებელის ორთქლებისა; რადგან თავიანთი ბუნების წინააღმდეგ ძალის ძალად შეიბერტყვიან არაყეული სასმისების მოძრაობათაგან. არ უარვჰყოფთ, რომ ღვინო პატიოსანი სასმისი არ იყოს; თუ რომ ზომიერად იხმარების, სიცხოველეს და ძალას მისცემს დონითგან დავარდნილ მოხუცებულთა; კარგად ვიცით რომ დონეს მისცემს სტომაქსაც, ბუნებითს მხურვალებას მოუმატებს, მონელებას შეეწევა, მირთმეულ საჭმელს და საზრდოს აიღებს მოჰფინამს აქეთ იქით ხორცის ყოველს ნაწილებში, გულს გაამხიარულებს და კერძობითად ორთქლებს გამოაღვიძებს და ზეზე ააყენებს! მაგრამ ესეც ვიცით, ამ ყოველ სასარგებლო და მარგებელ ნაყოფებს მხოლოდ ზომიერად მსმელი ჰგრძნობს.

არა ფერი არ არის ისე მეტად საცთუროვანი კაცისათვის ყოველს კერძოდ, როგორც ღვინის დღე ყოველ უზომო ხმარება.

გონიერება და სიბრძნე, ამბობს იგივე მკვიდრობს მშრალ ქვეყნებში და არა სველს ადგილებშიო. როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს: «სიბრძნე მკვიდრობს ურწყულებში და არა თუ ჭოჭნარში და ტბებშიო.»

ერაკლიტო სიბრძნის მოყვარემ ეს ანდაზა დაგვიტოვა ჩვენ: «ნათელი უწყლო, პირი ყოვლად ბრძენი.» გონების ნათელი რომ მშრალია, მეტად გონიერს გახდის სულსა; მაგრამ ღვინის ორთქლი იმას დაასველებს, გამოათაყვანებს და ჭკუვითგან გამოიყვანს.

ძალა და სიმშვენიერე ხორცის სიკეთენი არიან, მაგრამ დღითგან დღეზედ აკლდებიან: გარნა ზომიერება, ყამი და გონიერება მოხუცებულობის დროს კაცს დაატკვირვინებენ და მაშინ სცნობს კაცი ამათ ღირსებასა.

იტალიელებს არაკად უთქვამსთ რომ «როდესაც ღვინოს პიდალიო (ტიმონი) არა აქვს, მაშინ კაცის ჭკუაც ნავთმოძღვრობას ვერ იზამს, ამიტომ რომ სიტყვიერების ნათელი, საკურწე გარსკვლავივით რომ უნდა ჭყოლოდა უშიშრად სატარებლად ნავისა, მისგან ძლიერ დაშორებულია.

ღვინოს სამი ზედმოქმედება აქვს: პირველი სიამოვნება, მეორე მთვრალობა, მესამე სინანული.

ურიების რაბინები ზსასხვდენელად ამბობენ, რომ მოსემ თავის პირველ გაშენებულს ვაზსა სამ ნაირი წყალი მისცა: ჯერ ბუს სისხლი, მერმე მაიმუნის სისხლი და მას უკან ღორის სისხლით. მით როცა კაცნი დათვრებიან, ზოგნი გარდიქცევიან ბუდ, რომლებსაც მთელ ღამეს ღვიძავსთ, პირს ატმატურებენ და სჭამენ რასმეს; ზოგნი ჭხდებიან მაიმუნად: მასხრობენ ლაზღარობენ, და ზოგნიც დაემსგავსებიან გაზრახიანებულის მხეცობით ღორმსა.

ერთი პოეტი ბევრს სმაზედ ასე სწერს: «თუ რომ

შეგხვდესთ როდისმე თქვენის ნების წინამდღეგ ნამეტური ღვინის სმა, თქვენც მაშინ სატურნოის სამწიგნობროს კანონი დაიცვეთ რომელიც გვიბრძანებს ესრედ: როცა ნახამ რომ ღამის შეყოლებულმა ბევრი ღვინის სმამ გავნო შენ, დილასზედ ცოტა ღვინო სვი, ეს არის უშიშარი წამალიო.

ზომიერობა ყოველ ნაირს სნეულებისაგან შეგინახავს შენ და შენს სიცოცხლეს მხიარულად გაგატარებინებს. ნაირ ნაირ სნეულებათა დიდი ნაწილი მხოლოდ უზომოებისაგან წარმოსდგება.

ზომიერი საჭმელი გვამიზეზებს სრულს მონელებასა. და საჭმელი თუ რომ კარგად შემზადარია (მოხარშულია) მაგარ საფუძვლად დაეგება ხორცის სიმრთელის შესანახად; სისხლი განსუფთავდება, და ხორცს საზრდოთ უქმნება ყოველი თვისება ისე, როგორც ბუნება მოითხოვს. ხოლო თუ ხორცის ყოველი ნაწილები აირდაირიან უზომოების მიზეზით, თუ რომ საზრდოს მიმცემ ნივთებს თავიანთი სინამდვილე შეეცვლებათ, წახდებიან, მაშინ მრთელი სისხლი და შრატებიც აიჭრებიან (გაიხრწნებიან), და ყოველი ხორცის შედგენილება უწესობაში მიეცემა.

ჭამა სმის კერძოდ ფრთხილობა და ზომიერობა სნეულების მიზეზებს ძირ ფესვებითგან დასთხრის, და ბუნების აგებულებას მისცემს განწყობილს და კანონიერს მდგომარეობასა.

უზომოებისაგან მოსდებს, რომ კაცნი გააქარობენ თავიანთ სიცოცხლეს ზეთ მოკლებულის კანდილივით ე. ი. მოკვდებიან. ამიტომ რომ საფუძვლიანი სინოტივე მოასწყდებათ, უმისოდ რამე ჭირისა და შეწუხების გრძნობისა!

თუ რომ ეს ქვეყანა არსობს და ბიჟის იმ მშვენიერს და

საკვირველს განწყობილებაზედ, როგორც ყოვლად კეთილს ღმერთს გაუჩენია, და თუ რომ ჩვენს ცხოვრებასაც დამოკიდებულობა აქვს იმ კეთილს განწყობილებაზედ, რაც ჩვენს ხორცს უნდა ჰქონდეს ნივთებში, მაშ აბა საკვირველი არ არის რომ, როგორც განწყობილობა ყოვლიფერს შეინახამს, ისეც არეული დარეულობა ყოვლიფერს დამლის დაარღვევს. ჭკუვით მართვა ხორცისა და ზომიერი საზრდო ბევრს შეეწევა კაცის დღეგრძელობასა.

ავგისტო დიდი კეისარი 76 წლისა მოკვდა; და მთელს ამდენი დროს განმავალობაში, ამბობენ, არც ტანში სასაქმებელი მიუღია, არც სისხლი გაუღია და არც შესანიშნი წამალი დაულევია. გარნა ყოველ წლივ რამდენმეჯერ წყალში იბანებოდა თურმე, კვირაში თითო დღეს მარხულობდა და ყოველ დღივ თითო საათს დადიოდა. თუ რომ სრულის სიმრთელის ქონვა გინდა მოკრძალებული და ზომიერი იყავ.

ერთხელ ურიებში ესსიანთ ჩინებული ძმობა იყო რომელნიც საზოგადოდ ას წლამდინ ცოცხლობდნენ თავიანთი მოკრძალებული და ზომიერი ჭამის გამოისად.

აგრეთვე, როგორც ძველი ავტორი ლარეთო მოგვთხრობს, სტოიკიანთ და კინიკიანთ ფილოსოფოსებიც ძლიერ ბევრს ცოცხლულობდნენ.

ამბობენ რომ ერთ დროს ერთმან ევროპიელმან მღვდელმან თავისი საყოველდღეო მცირე საჭმლის მიღებისა და მოკრძალებულობის მიზეზით მიაწია ვიდრე 186 წლამდინ. ამისთვის მისი სიკვდილის შემდგომ მის საფლავზედ ესრედ წააწერეს: «აქ არის მღვდელი ედენტ[illegible], ამას ორჯერ კბილები ამოუვიდა და ორჯერ ვემთმა; ახლაკი აქ განისვენებს.»

ერთმა ირლანდელმა მოხოვგელმან, პარამან, თავისი

ზომიერობის მიზეზებით ძლიერ დიდ ხანს იცოცხლეს; მათ სიკვდილის შემდგომ ეპიტაფისცეს ამ მოხუცებულს საფლავზედ ესრეთი წარწერითა: «აქ წევს ყველასაგან ცნობილი ერთი განმოჩინებული მოხუცებული; ეს ამბობდა რომ მინახვია ას ოცი ზამთარი და მეტიცა.»

და მართლად თუ რომ კაცთ ეცხოვრათ ეგრედ, როგორც ბუნება ითხოულობს და სრულად შეენახათ სიმრთელის კანონები, ძლიერ დიდ ხანს იცოცხლებდნენ.

თუ რომ კაცმან ხორცის საფუძვლიანი სინოტივე და ბუნებითი სიმხურვალე დაიცვას, როგორც რიგია და ადვილადაც შეიძლება დაცვა მისი, მით ბევრ წელიწადებს ნახავს იგი.

ამბობდა ერთხელ ერთი ზომიერი კაცი: «ჩემი ცხოვრების კიდეთ თითქოსო სამარადისო გაზაფხულში მინახამს მე, შემოდგომა არ მინახია ჩემზედ, ე. ი. ფოთოლების დაცვივნის დრო; ძალა და ჭამა სწორედ იზესავით რომელიც ყოველ ცის მარად დღეს ქვეყანაზედ ამოდის, თავის ადგილას არიან და ყოველ დღივ ერთნაირად მეწევიან მე, და მე ერთი მარტივი საჭმლის მიღების შემდგომ მთელი ღამე მოსვენებით მძინამს; რა განცისკრდება და გამოვიღვიძამ ავსდგები ისე მხიარული ისე გაახლებული, როგორც თვით გათენების დრო.»

თითქმის ყოველი ჩვენის სნეულებისა და სიცოცხლის მომკლები მიზეზი სხვა არა ფერისგან იმდენად არ წარმოსდგება, როგორც ნამეტურის საჭმლისა და ნამეტურის სასმლისაგან.

ზ ა ჭ ვ ე თ ი ლ ი ი თ

## ს ა ჩ ი ვ ა რ ს ა თ უ დ ა ვ ი დ ა რ ა ბ ა ს ა ზ ე დ ა

თუ რომ გინდა ბედნიერი და მოსვენებული ცხოვრება გქონდეს, გინდოდეს ფულის შენახვა და მომატება, გირჩევ შენ, რომ რიერთიც შეიძლება, ყოველს ნაირს დავიდარაბიდგან უკან დადგე, მოერიდო. თუმც ერთის საჩივარშიც შეხვიდე, აზრში გამოისახე, რომ ყოველი შენი მოსვენების დაკარგვის გარდა, და მრავლის ფულის მოწურვისა, მრავალ ზიანსაც მისცემ შენს ჯიბესა.

როცა საჩივარს მოიგებ ნახავ რომ მრავალნი მოდიან გიახლოვდებიან შენ, მრავლის მოხარულობის ჩვენებითა, მრავლის ქება დიდებითა ამაღლებენ შენს გამარჯვებასა; ცხადია ამით აზრი. მაგრამ შენ მაშინ მოაგონე იმათ, რომ ცოტაც გონება მაქციონ იფიქრონ, თუ რა განსაცდელში ჩააგდე შენ: შენი ქონება, შენი სახლი, მამული, და სხვაც იმ საჩივარის მოგებისათვის.

თუ რომ შემთხვევამ მოგიტანოს შენის ნების წინააღმდეგად ძალ დატანებული გახდე საჩივარში შესასვლელად კარგად გასინჯე, არ იქმნას, რომ შენი მოჩივარი უჭკუო მდიდარი იყოს: იმაზედ მომეტებული ჭირი აღარ იქმნება, როცა კაცი იმისთანა პირის ხელში მოავარდება: ისივეა, როგორც თუ ერთი ძლიერი მხეცის პირში ჩავარდნილ იყოს. მხეცი არის იმის გამო რომ უჭკუოა, და ძლიერი რომ მდიდარია.

ამის გარდა კარგად გასინჯე შენის მოსარჩლის (ადვოკატი) კაცობა: დააკვირდი ხელში თუ რამდენი საჩივარი აქვს? ან იმათგან მოგებულებს რას შვრების? ნახე-

მატყუვარი კაცი არ იყოს ; თუ იმისთანა არის შენ ბევრ ზიანსა და ბევრს თავში ცემას აგიშლის.

ძველად ორნი ხელოვანი მოსარჩლენი (ადვოკატები) ერთ დღეს ორი კაცის საჩივრებზედ შეიყარნენ, ერთმან ერთის წინამღდეგად ლაპარაკობდნენ, მოსარჩლობდნენ ძლიერ ცხარედ, და ეგრედის თავგამეტებითა, რომ ორნივე მოჩივარნიც კმა ყოფილნი იყვნენ თავიანთ ადვოკატობისაგან როცა საჩივარი გარდასწყდეს, გარდასწყვიტეს მოსამართლეებმან, ეს ორნი მოსარჩლენი, სასამართლოსაგან გარედ გავიდნენ თუ არა, მაშინვე ერთმან ერთს გარდეხვნიენ გარდაჰკოცნეს პირები! ეს რომ ნახეს საჩივრის პატრონებმან გაუკვირდათ, გაშტერდნენ და დარჩნენ! გავიდა ერთი და ჰკითხა იმათგან ერთსა: რა არის ეს თქვენი ნაქმნარი საქმე, ესრე მალე ერთმან ერთთან შერიგება, დამეგობრება? ამ კითხვაზედ გაწყრა ერთი მოსარჩლეთაგან მოუბრუნდა და უთხრა იმას: «რა გგონია? იქმნება იაზრე, ჩვენ ერთმან ერთის მტერნი ვიყოთ? იცით თუ ჩვენ რა ვართ? ჩვენ მოსარჩლეები სრულიად ვჰგავართ მაკრატლებსა, რომელნიც ხელში საქმობის დროს თითქოს რკინებმან ერთმან ერთი უნდა გარდასჭრანო; გარნა ისინი სხვა არა ფერს არ იქმონენ, თუ არ თავიანთ შუა პოვნებულს ნივთს გასჭრიან!»

მოიგონე ლომისა და ზარნაშოს არაკი: ზარნაშო ერთს ხეზედ იჯდა, იქით ლომსა და დათვს ჩხუბი მოუვიდათ ერთმან ერთთან იმაზედ, თუ რომლის პირჯვალში უნდა ჩავარდნილიყო ეს სანადირო მფრინველი. მოიგონე ხოლმე და გაუფრთხილდი, არ იქმნას, რომ შენზედაც ითქვას ეს არაკი.

ამისთანა შემთხვევებში შენ სახარების დარიგებები მიიღე, რომ უშიშრად იყო თუ რომ ვისმეს უნდოდეს

შენთან წასჩივლებს, რათა სამოსი წაგართვას, მიატოვე მასთან ზედ ნაცვამი გაბაცაო. იცოდე, თუ რომ გამართე დავა და მოსარჩლეები საჭირო გაგიხდნენ, მაშინ ვიდრე პერანგამდინაც განგაძრობენ და შიშველს დაგტოვებენ შენ ისინი.

როცა სარჩივარი გაიშლება წარმოიდგინე, რომ ის დავის გამშლელი მით თავის ბედ თამაშობს როგორც ნარდს, სადაც თუ რომ ძლიერ ცდითა და ცხარედ თამაშობა გაგრძელდეს, ნახავ, რომ საზოგადოდ მათში ოსტატები უმთვრო მოიგებენ! ამ სიტყვით არა თუ ადვოკატობის ხელობას ვეხებით, არამედ იმათ ბევრნაირს ოინებს იცხადებ; რათა შენ სარჩივარის გაშლისაგან მორიდებული იყო.

ვიცით, რომ ადვოკატებში იპოებიან საკვირველი და ძლიერ მართალი კაცებიცა, და დიდი ნეტარებაა კაცისათვის, თუ რომ ამ ნაირ მოსარჩლეების ხელში ჩავარდეს.

ერთხელ ვენეტიკელების მთავრობის რომელიც ძლიერ საკვირველი და ძლიერ გონიერი მმართველობა იყო, დიდ სამსჯავროს თვითან აერჩია ადვოკატები, სრულ აზნაურის შვილები, რიცხვით ოც და ოთხნი. ამათთვის მთავრობას საკუთრად ჯამაგირი დაება და უხდიდა წლითგან წელიწადზედ, და მათ სრულიად ნება არ ჰქონდათ, რომ სხვათაგან ან ძღვენი აეღოთ ან ფული ან რამე შესაძინი, ეს მისთვის, რომ ის აზნაურები, რომელნიც ადვოკატობის თანამდებობას ასრულებდნენ, არ იქმნას, რომ მოსყიდულ იყვნენ ქრთამით: არამედ ცდილ იყვნენ რომ სიჩქარით დროითი გარდაწყვეტილ იყო სარჩივარი.

ფსალმუნის სიტყვებს «დაეცნენ მათ ზედა საფრხენი» ერთი რაბინი ასრე ხსნის: კაცთ საფრხეს შეადგენენ ჭორმეტყველები, სამსახურის კაცნი, და ესენი არიან

ბადე სათხევლები: რომელნიც შიგნით შეითრევენ ჲ დაიჭერენ ერსაო.

და მართლად უსვინდისო ჲ უსამართლო ადვოქათები სხვა არასა ჰგავან, თუ არ ბუნების ჯინჭვლებსა, რომელნიც უხმარნი არიან სხვისთვის, არა ფერში გამოდგებიან; მხოლოდ თავიანთვის კი კარგნი არიან, მრავალ ზიანსაც აძლევენ მტილებსა თუ ბოსტნებსა.

თუ რომ ესრეთ კაცებს მიჰმართო, შეეხიზნო, მაშინ ნახავ, რომ ისინი ეგრეთნი ფიჩხნი არიან, როგორც ოდეს ცხვრები, გაიქცევიან ჲ თავს შეიფარებენ ეკლიან ფიჩხნარ ადგილებში კორიანტელის დროს, რომ უშიშარი თავ შესაფარებელი ადგილი იშოვნონ იქ თავიანთთვის. ნამდვილად იცოდე, რომ შენც იქითგან არ შეგიძლია ფეხის მოცვლა, გარედ გამოსვლა ჲ გარდარჩენა გაუბლეჯავად გაუბრტყვენლად, ჲ დაუტვებლად დიდი ნაწილისა შენის სამოსისაგან.

სრულიად ჰგავან ისინი ოთხ დღე გაშვებით ცივებ ცხელებასაც რომელნი არას გზით არ გაგიშვებენ შენ ხელითგან სანამ არ გამოგართმევენ რაც გაბადია ზედ.

ბევრჯერ გაკვირვებული დარჩენილან მოთხრობის წამკითხველნი, როდესაც დაფიქრებულან, რომ ნეტავი რა სვინდისს ემსახურებოდა ერთ დროს ერთი ჩინებული კაცი, რომელიც თავის სასიმხარულოდ, სანავარდოდ მთელი ქვეყანა აემღვრია, ალექოთებინა ნაირ ნაირის საჩივრებითა. ამ კაცის საქმე გაიგო ლუდოვიკო ფრანგის მეფემ, მიწვია ერთ დღეს თავისთან ჲ უთხრა იმას: მე შენის საჩივრებისაგან გარდაგარჩენ შენ, მე თვითან მოვისმენ ჲ გარდავსწყვეტ, ეს რომ გაიგონა იმ კაცმან, ძრიელ დაღონდა; გარნა მაშინვე მდაბლად მადლობის მოხსენების შემდგომ მეფისა იმ მოწყალებისათვის, დაუწყო მრავალი თხოვნა ჲ ვედრება მეფეს, რომ დაეტო-

ვეპინა იმისთვის იმ საჩივრებისაგანი ოც და ათი თუ ორმოცი ოდგ გარდაუწყვეტლად, რომლებით მას შესძლებოდა ნუგეშის ცემა და ნავარდობით დროს გატარება.

რჩევას გაძლევენ შენ გონიერები, რათა რა მთავრობის ქვეშევრდომიც ხარ, მისი სჯული კანონები წაიკითხო-გამოიძიო და ისწავლო. ამიტომ, რომ სჯულის და კანონის ცოდნა ბევრს შეეწევიან შენ და ბევრ საქმეებში თვალს გაგახელინებენ, რათა შეეძლოს თავის დაცვა შენის მტრებისაგან. და ბევრჯერაც აღარ დაეჭირდეს ადვოკატების ხელში ჩავარდნა.

თუ რომ არ გინდა ამ ჩემის რჩევის გაგონება, მაშინ რაც გაქვს და არა გაქვს მისი მესამედი ნაწილი უნდა გარდასდვა და გააფუჭო რომ შეეძლოს მეორე ორი ნაწილის გარდარჩენა, შენახვა: და თუ რომ ამასაც თვალში არ აიღებ, მაშინ ერთიან დაჰქლუპამ შენს თავს.

არაკით დავასრულოთ ეს გაკვეთილიცა. ერთ დღეს ორივე ხელებმა დაიწყეს ცილობა, დიდი ჩხუბი ერთმანერთთან: მარცხენა ხელმან პირველად დაუწყო ბრძოლა, ჩიოდა მარჯვენა ხელზედა და ამბობდა, რომ, ეს მძლავრობით მე მჯაბნის სრულ თვითან იდებისა. ამ საჩივრის მომსმენ მსაჯულთა სიმართლედ შერაცხეს მარცხენა ხელის საჩივარი და იმის მხარე დაიჭირეს. იწყო აქეთგან მარჯვენა ხელმაც საუბარი და სთქვა: «მე ძლიერ ძველის ძველი და მოუგონებელი დროების აქეთ მაქვს ეს უპირატესობა და მით სიმართლე არ არის, რომ ეს უფლება წამართვათ მე.» მარჯვენა ხელის მიზეზსაც რომ გაიგონეს მსაჯულებმა, სთქვეს მაშინ. ამ სადამე ჩვენც ჩვენის ღმობიერებისა და ჩვენის მოწყალების დასამტკიცებლად მივანდობთ ჩვენს შემდგომ მომავალთა, რომ ამ საქმეს რამე ღონე და საშვალება უპოვნონ.» მით იმ დროიდგან მსაჯულებს, ადვოკატებს,

სამსახურის კაცთა და სხვა ყოველთა, ვინაც ხელით ფული ჩაუვარდებათ მუდამ ეს ჩვეულება გაუხდათ, რომ გაურჩევლათ ორივე მხრითაც მიიწვადონ და აიღონ: და გარედ ორივე ხელები თუ მარჯვენა, თუ მარცხენა თანასწორედ იხმარონ და გამოიყენონ.

## ბ ა ჰ ვ ძ თ ი ლ ი ჭ.

## თ ა მ ა შ ო ბ ა ს ა ზ ე დ ა.

როგორც სარიგრის ამღა დაასქცევს კაცს, აგრეთვე ფულზე თამაშობის ავი ჩვეულებაც; ამისთვის როგორც სარიგრისაგან, ისე ფულით თამაშობითგანაც მორიდებული უნდა იყო და განშორებული. თამაშობაში მოსაწონარი და სასიამოვნო არა მოიძევა რა, არამედ მხოლოდ ერთი მდაბალი და სათაკილო სურვილი სხვის ფულზედ, ანუ ერთი ურიგოდ წაგების ჩვენი ფულისა!

დიდი გიჟობა არის (რომელი მთელი ქვეყნის წამლით არ გაიკურნება) და გადარეულობა ის, ოდეს ვინმე ნარდს ხელს მოჰკიდამს, აჭყრის, და ამით რიერთი ფულიც აქვს სატყუარში აგდებს: რადგანაც შეიძლება, რომ ის ფულები ერთიან ხელიდგან წაუვიდნენ.

თუ რომ ფულით თამაშობისაგან ხელს არ აიღებ და არ გაფრთხილდები, ჭკვიანს კაცს, წინასწარმეტყველიც რომ არ იყოს, შეუძლია წინად შეგატყობინოს შენი თავს გარდასავალი საქმე და გითხრას, რომ შენს ნაქონ ფულს ის საქმე მოუვა, რასაც ყოველდღივ ვხედამთ, რომ მოსპის მტევრსა და ქვიშასა, როცა ქარი დაჰქროლამს აჭოგვის, წაიღებს, გაჰფანტამს ერთს წამში და გააუჩინარებს ისრე რომ ადგილის პოვნაც არღარ შეგიძლია, თუ სად წავიდა? ეს არის შენს ფულზედ ქმნილი წინასწარმეტყველება. ხოლო თამაშობით მოგებული ფულზედაც უთუოდ

იცოდე რომ იმ გზით მოგებული ფულიც ისე ადვილად ჲ მალე დადნება, გაქრება, როგორც თოვლისგან შემდგარი სახლი ანუ სვეტი, რომელიც უგრძნობელად ნელ ნელა გალხვება ჲ დადნება.

ამბობს ერთი ავტორი: «მერწმუნე მე, ერთ დღეს თამაშობა გაგიხდება შენ ისე მავნებლად, როგორც შვიდი თავი მომაკვდინებელი ცოდვები.»

ფიქრში გქონდეს დაუვიწყებლად რომ შენ უფრო პატივს გცემს შენს უბეში ყოფილი ერთი აბაზი, ვირემც თუ ათი თუმანი, რომელიც უადგილო ალაგს დაგეხარჯოს.

ერთხელ პლატონ ფილოსოფოზმა ნახა ერთი ვაჟი, რომელიც იჯდა ჲ ნარდს თამაშობდა, პლატონმა რა ნახა ის, დაუწყო მხილება მას. მოუბრუნდა ვაჟი ჲ უთხრა: «ასე ცოტა რამისთვის განა ღირს ხმის ამოღება, ჲ მხილებაო.» მიუგო პლატონმან: «შეთვისებული ცუდი ჩვეულება ცოტა რამ არ არისო.»

## ჰ ა ბ ვ ე თ ი ლ ი კა.

## დ ა ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა ს ა ზ ე დ ა.

კაცსა კმაყოფილი ჲ მოსვენებული ცხოვრების გასატარებლად ჲ სვე გამარჯვების მოსამატებლად შეუძლია სხვა მდგომარეობასაც ხელი მიჰყოს, ე. ი. კარგად მომზადდეს დასაქორწინებლად. კარგად მომზადებას ვამბობ, ამიტომ რომ ეს იმისთანა საქმე არის რომ, ძლიერ დიდი დაფიქრება ჲ დიდი სიფხიზლე უნდა.

სიფრთხილე საჭიროა, რათა ვინმე ამ საგანზედ არ აჩქარდეს, ჲ მარტო ერთი ორი რამის განზრახვით, მაშინვე საქმეს არ შეუდგეს. ეს გზა სირბილით არ უნ-

და დაიწყო: ამიტომ, რომ შეიძლება გზის დასრულე-
ბისას დაგნანდეს დ̃ იმწარო თუ რათ დავიწყეთ?

ვისაც დასახლება უნდა, გამოირჩიოს საბატიური დ̃ კე-
თილ მოღვაწე დედაკაცი. ამიტომ, რომ მარტო სილამა-
ზე არ კმარა, რომელიც ჰგავს ერთს (იარმუკას) დღეობა-
სა, რომელიც აქეთ იქით ყოველ კერძოთგან დაიწვე-
ვს დ̃ მიიზიდავს თავისკენ ყოველს მსყიდველსა.

არ ურჩევენ ჭკვიანი კაცები, რომ ვინმემ მარტო სი-
ლამაზისისათვის ცოლი შეირთოს. სილამაზე შემოდგომ-
მის ხილსა ჰგავს, რომელიც დიდ ხანს ვერ გასძლებს
დ̃ ადვილად წახდება.

დასახლების უმთავრესი აზრი არის ეს, რათა კაცმან სა-
ბატიური დ̃ სათნო ცხოვრება გაატაროს დ̃ ღვთის მსახურ-
ნი გაამრავლოს. დ̃ რადგან დაქორწინების აზრი ესრედ
დიდი დ̃ საკვირველი არის, მაშა სადამე ყველაზედ უწინ
ღმერთს უნდა შევევედროთ ლოცვითა დ̃ შემდეგ მშობლე-
ბის კურთხევით ხელი მივჰყოთ ამ მდგომარეობასა.

უმზითო მშვენიერი ქალიცა გაუწყობელ ცარელა ლა-
მაზ სახლსა ჰგავს: მართლად შეუძლია კაცს ისიამოვ-
ნოს იმ ნაირს სახლზედა გარეგანი მისი შეხედულო-
ბით, მაგრამ შიდ ვერა ფერს ნახამს, რაითაც შეეძლოს
სიცივისა დ̃ ყინვისაგან თავისი თავის დაცვა.

თუ რომ კაცმაც შეირთოს იმ ნაირი ცოლი, რომელიც
გვარტომობისა თუ ქონების კერძოდ მასზე მაღლა იდ-
გეს, მაშინ საქმე თავისთავად ისე მოვა რომ იმდენად
მისი ქმარი არ იქმნება ის, რამდენადაც ტყვე მისი თავ-
მხედობისა დ̃ ამპარტავნობისა.

სიყვარული სიგიჟის ასულია, დ̃ ყოველს ვნებაებში ეს
უფრო ძლიერია: ვხედამთ რომ უძლურ აგებულობის მქ-
ონე პირებზედ უფრო ეს ვნება უფლობს.

ყმაწვილნი კაცნი სიყვარულს ეწყობიან; შუა კაცნი შეე-

ობრობასა; მოხუცებულნი კი გაყმაწვილებას დიწყე-ბენ.

დიდი განრჩეულობა არის დედაკაცის ვითარებასა და მი-სი სიმდიდრის შუა. რიერთიც მრავალი და შესანიშნი იყო-ს მისი მოტანილი მზითევი, თუ რომ თვითონ კეთი-ლი არ არის, იცოდე, რომ შენი ბედი არ გიპოვ-ნია.

ერთს რომაელს აზნაურს ჰკითხეს, რომ რის-თვის დასტოვა თავისი აგრე დიდათ მშვენიერი და მდი-დარი ცოლი? მაშინ რომაელი დაეწოდა, გაიხადა ფეხ-ითგან თავის ფეხსაცმელი, აიღო ხელში, მოუბრუნდა მკითხველს და ეს პასუხი მისცა: «ეს ფეხსაცმელი ხომ კარგი ნაკერი, მშვენიერი მოწყობილია? მაგრამ ჩემის მეტმა კაცმან არ იცის, თუ ფეხის რომელ მხარეზე მა-ჭლის, მატკენს.»

არც ელვარე მშვენიერს ოქროს, არც ბრწყინვალე ალ-მასებს, არც მარგალიტს, არც ზურმუხტს და არცა რა დიდებულს ბისონებს შეუძლიათ მორთობა და გამშვენი-ერება ერთის ქალისა. მისი ყოველი სამკაული არის მხ-ოლოდ მისი სიმძიმე, მისი სახლის გაძღოლა, მისი სი-მდაბლე, მისი სისპატიურე და მისი მორჩილობა ქმრ-ისა.

როგორც რომ არა ფრად დავსთვლი იმ სარკესა, რომ-ელსაც ჩაფაზედ ოქროთ მოჭედილობა ეყლოს და ძვირ-ფასის თვლებითი სავსე იყოს მაგრამ თვითონ კი მრუდეთ აჩვენებდეს, აგრეთვე არაფრად დავსთვლით იმ დედაკაცის მოტანილს დიდ მზითევს, როცა მისი ვითარება და ბუ-ნება, შესაფერი და თანახმა არ არის თავის ქმრის ნების-სა და მიმართულობისა, და როცა ქმარი თავის სიკეთების სურათების სრულიად ვერ ჰხედავს თავისი ცოლის ყოფა-ქცევაში.

იმისთანა ქალი მოსაძებნია, გამოსარჩევია, რომელსაც ქმრის სიმარცხის ჟამს შეეძლოს მისი აზრის და მისი ნების დათანხმება! ამიტომ რომ მეუღლობა ჰგავს სრულიად ზღვის მოგზაურობასა: ვინც ამ ნავში შევა, უეჭველად ან ამ ჯერად ან სხვა ჯერად ღელვებს და ავდრებს შეხვდება.

ერთხელ ფიდამ, ჩინებულმა გამომქანდაკებელმან ერთი არა ღმერთის ძეგლი გაუკეთა რა ერთს თავადსა, იმ ძეგლს ცალი ფეხი დაუდგა კუს ზურგზედ. ამით გონიერს ხელოსანს უნდოდა შეეტყობინებინა, რომ საზატიური და სათნო ქალი ამ თავის ორ დიდ ვალდებულებას კარგად უნდა უყურებდეს: ერთი რომ სახლში ფეხი უნდა მოტეხილი ჰქონდეს, სახლი წყალს არ მისცეს; და მეორედ ადგილისა და დროს დაგვარ სიჩუმე იქონიოს.

თალეს ფილოსოფოსს ჰკითხა დედა მისმან, თუ რა მიზეზისთვის არ სახლდებიო? მიუგო დედას რომ ძლიერ ადრე არისო! სხვა დროსაც როცა ჰკითხა და ძალას ატანდა რომ ცოლი შეერთო, მიუგო (რეგვენურად) ფილოსოფოზმა «რომ ძლიერ დაგვიანებული არისო.»

თუმცა საზოგადოდ ამ ქვეყანას საჭიროა დასახლება, და დიდი შეწევნა არის კაცისათვის ცოლი ქმრისა, როგორც ღმერთმაც ბრძანა, მაგრამ ამ მდგომარეობის თვითოეულმან აღმრჩეველმან პირველად კარგად უნდა იფიქროს. ერთხელ ერთი ბრძენი კაცი ქვეყნის ნაირ ნაირ მდგომარეობასა ზედა ფიქრობითა ამბობდა: «როცა მე ჩემს ფიქრს მივაქცევ და ვიფიქრამ ქორწილობის დარდთა და ნაღველთა, მოვალეობათა და უთვალავ გართულობათა, ფიქრში მომივა, მაშ დიდი სასყიდელი უნდა მიიღონ ღვთისაგან იმ მეუღლეთა, რომელთაც კეთილად აღზარდონ შვილები ღვთის სამსახურზედ და დაათმინონ ღვთისთვის ესოდენი შეწუხება

გართულობა. »

დიდი არის შვილებისაგან მოსული შეწუხება და მოუს-ვენრობა; ხოლო იმათგან მიღებული ნუგეში და შემწეობა კი ძლიერ მცირე.

მაგრამ რადგან ცოლ ქმრობა ღვთისგან არის განსაზღვრული და საჭიროა კაცთ ტომის დაცვისათვის ღვთის მსახურების გამრავლებისათვის; მით როგორც დიდის მეუღლების შეწუხება მრავალ გვარძოდ, ისე დიდი ნაყოფი და სასყიდელი ექმნებათ მათ ღვთის წინაშე, როცა ერთმანერთთან დამოკიდებულ თანამდებობათა და შვილების შესახებ მოვალეობათა ეცდებიან ასრულებას რაც შეუძლიანთ.

ერთ დღეს პლატონ ფილოსოფოსმა ნახა ერთი ყაჭი, რომელიც ძრიელ კადნიერად ელაპარაკებოდა და ეწყრობოდა თავის მამას, და უთხრა იმას: «რატომ არა ფრად არა სთვლი შენ იმას, ვინც შენი თავის წარჩინებულობის მიზეზი არისო?»

კაცს თავისი მშობლებისა უფრო-ვალი აქვს, ვირემც თუ მთელის ქვეყნისა. ამიტომ რომ რიერთი სიკეთეც სხვისგან ჰქონდეს მიღებული, თავისი მშობლებისგან თავისი თავი აქვს; ამისთვის თუ რომ სხვა კაცებზედ აღმოჩენილი უმადურობა ძლიერ საძაგელი საქმე არის, მშობლებზედ ჩვენი უმადურებობა მეტად საშინელი და ძლიერ შესაჩვენებელი საქმე იქმნება?

ის შვილები, ვინც თავიანთ მშობლებს არ ემორჩილებიან, არა სცემენ პატივსა, არ აძლევენ შემწეობასა, ნამდვილად და უეჭველად იცოდნენ მათ, რომ როცა თვითანაც გაიზრდებიან და შვილების პატრონები გახდებიან მაშინ თავიანთ შვილების ხელითგან ყოველ ნაირ უმადურობას გასწევენ.

თუ რომ მარტოკა შენის თავის საკმაო საცხოვრებელ-ფული გაქვს და სხვა მრითაც ვალი არა გაქვს რა და და-

ქორწილებულ ხარ, გაფრთხილდი მაშინ, არ იქმნას შე-
ნის სიკუდილის დროს შენს ცოლს ძალზედ მეტი სა-
ცხოვრებელი დაუტოვო სარჩენლად, მეტადრე როცა
შვილები გყავს. კარგად იცოდე რომ ეგ საქმე ვალზედ
უფრო საცდუროვანია და დაქცევა შენის სახლისა.

მცადე ზომიერი სარჩო დაუტოვო შენს ქვრივს ცოლ-
სა შენის შვილების გასაღარიბებლად. თუ რომ ესრედ არ
მოიქცე იქმ ისრე, როგორც თუ ნედლი ხე მოსჭრას
ამოგდოს და იმის მაგიერ ხმელი დარგოს.

თუ რომ შვილები გყავს, იცოდე რომ მეტად მოვალე
დარჩები ღვთის წინაშე, თუ რომ არ ასწავლი, არ გას-
წაფვამ: პირველად, თუ რა ვალი აქვთ იმათ ღმერთთანა;
მეორედ რა ვალი აქვსთ მოყვასთანა, და მესამედ რა არის
თავიანთი ვალი თავიანთი სულისათვის. ამათ გარდა უკე-
თესი იქმნება უფრო საკმაო საცხოვრებელი დაუტოვო
რომელიმე ხელობის სწავლებითა, ვინემც თუ დიდი სა-
უნჯე და სიმდიდრენი დაგეტოვებინა შენ იმათთვის ხელ-
ში საქმის ანუ ხელობის უქონველად. პირველითა მუდამ
ჭკუვის ხმარების და სიმართლით მოგების მდგომარეო-
ბაში სტოვებ შენ იმათ; ხოლო მეორითა იმათ გამოუ-
დეგარათ და უნაყოფოდ გამოყვანის გარდა, უტევებ იმათ
სიმდიდრეს როგორც ერთს მძორსა, რომელზედაც აქ-
ეთ იქითგან მგლეჯელი მხეცი მფრინველები უნდა მოიხ-
მოს მიიწვიოს რათა მივიდნენ და შესჭამონ ერთად.

რომელი მშობელიც კეთილად გაზრდის და გაწაფავს
თავის შვილსა, მისთანამ თუმცა ცოტა რამ დაუტოვოს
იმას, ანუ თუ სრულ არა ფერი, მაინც კიდევ დიდ სამკ-
ვიდრებელს დაუტოვებს იმას იმნაირი აღზრდითა.

სწავლულის ღვთის მეტყველის, თუ მოძღვარს მიმართე
შენის სვინდისის გასასწორებლად და გასასუფთავებლად
და შენის შვილების მოკაზმულობათ კარგად შესატყობლად

კარგს ჲ გონიერ მსაჯულს დაუახლოვდი შენის საქმეის რიგზედ გასაწყობლად ჲ პატივცემულს ჲ სათნო მოსახლესთან ნათესაობა დაიკავე შენის თავის კარგ მდგომარეობაში შესანახავად.

ქმარ ცოლი ერთგულად ერთ სულად ყოველივერში უნდა დადიოდნენ თანახმად ერთმან ერთისა. ის ჭკვიანი ჲ ჩინებული ოდისე ჲ მისი ცოლი პენელოპეისე მეტად შეერთებულნი იყვნენ ერთმან ერთთან, რომ ოდისემ (როგორც მოლექსები ამბობენ ჭკუვის გასახსნელად) უფრო ირჩია დათხოვა უკვდავებისაგან, რომელსაც აძლევდა კალიპსე არა ღმერთა, ვირემც თუ თავისი საყვარელის მეუღლის დატოვებას. წაიკითხე ტელემაქის წიგნი.

ერთხელ რუსიომ, ჩინებულმა კაცმან ბრძანა რომ თავის საფლავზედ ეს წარეწერათ: «თავის ცოლთან ერიას თან დაშთა, იცხოვრა ამ კაცმან ორმოც ჲ სამი წელი ჲ რვა თვე მოუხდენლად ერთმან ერთში მცირე რამ ჩხუბისა.

ძველი კერპთ მსახურნი ერთს არა ღმერთას ძეგლს სდემდნენ ჰერმე არა ღმერთის ძეგლის გვერდით. უნდოდათ ჩავეხვდინეთ ამითა, რომ მეუღლობას თან უნდა ჰქონდეს მუდამ ტკბილი ყოფა ქცევა. ჰერმე ერთი ტკბილი მოლაპარაკე ჭირმეტყველი არა ღმერთი იყო.

ძველი დროს წარმართნი რომ უზორვიდნენ ჰერას (ქორწინების არა ღმერთისა), ნაზორევი ცხოველის ნაღველასა მის წინ არ ამოიღებდნენ სხვა ნაკვეთებთან, არამედ ნაღველას ამოიღებდნენ ჲ გარდააგდებდნენ ბომონის უკან. ამით გვაგონებდნენ რომ მრისხანება ჩხუბი ჲ მწარე სიტყვები შორს უნდა ყოფილ იყვნენ სრულიად იმ სახლისაგან სადაც მეუღლური მოყვრობა ჲ სიყვარული იყო.

სათნო დედაკაცი, როცა მარტო არის ან თავისი მეუღლე სადმე წასული ჰყავდეს, მეტადრე მაშინ უფ-

რო უნდა ცდილობდეს, რომ გამოიჩინოს თავისი საწმიდე, თავისი საპატიურება და სარწმუნო სიყვარული თავის ქმარზედა,

თუ რომ ბედნიერად ყოფნა უნდათ მეუღლეებს, უნდა იყვნენ ერთგულნი, ერთ სულნი, ერთ ხორცნი ერთმან ერთთანა. და თუ რომ ასე არ იქმნებიან არ არის ქვეყანაზედა ისეთი საწყალი და ისეთი უბედური მდგომარეობა, როგორც იმათი მეუღლობის მდგომარეობა!

თუ რომ ბედნიერად ყოფნა უნდათ მეუღლეებს, იმ მიზანს უნდა ემსახურნონ, რა მიზნისათვისაც გაუწესებია ღმერთს მეუღლობა, თვარემ ყოვლის კერძოდ უბედურნი იქმნებიან.

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი კბ.

### თ ა ვ ი ს ი პ ა ტ ი ვ ი ს და თ ა ვ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ი ს შ ე მ ნ ა ხ ს ა რ წ მ უ ნ ო კ ა ც ზ ე დ ა.

როცა რამე საქმეს ხელს მიჰყოფ, შენი ღირსება და შენი თანამდებობა მოითხოვს, რომ ყველასთან გულ მართლობით და კეთილ მოღვაწობით საქმე დაიჭირო.

სათნოებით მოქცევა კაცის ოუნების პატივისა. სხვა ნუ რა გძულს რა, თუ არ მხოლოდ ის რაც სათნო არ არის; სხვა რამისგან ნუ შეგეშინდება, თუ არ მხოლოდ მისგან რაც მდარე არის და სახელ წამხდარი, იმისი გეშინოდეს; და სხვა ნურას შეიყვარებ, მხოლოდ გიყვარდეს ის რაც რამ მართალი და პატიოსანია.

როდესაც დიდობაზე მიწევნისათვის იწყობ ეგოდენად თავის მომდაბლებას, რომ მდარე და სახელ დამამცირებელი საქმების ქმნასაც იკადრებ, ემსგავსები მაშინ ძერასა რომელიც აიჭრება, აფრინდება და ავა მაღლა ჭაერში და

ბოლოს თვალის დახამხამებაშივე დაეცემა მყრალი რამების საჭმელად.

ეცადე არავის უსამართლობა არ უყო და სახელი არ დაუმციროო; თუ ამას იქ, მაშინ შენს თავად გზას გაუხსნი სხვათაცა' რომ ისვე შენ გიყონ მათ.

უცოდველობა გყავდეს შენ წინამძღვრად, გულ მართალობა და მორწმუნობა გქონდეს შენს ფარად.

კეთილი სვინდისი დიდროან საქმეს გამართვინებს, და ვისაც სუფთა გული აქვს, ჰგავს იმ ნაირ შეუვალს ციხე-სა რომლის აღება არ შეიძლება.

უფრო ადვილი და უშიშარი არის კეთილად და სიმართლით სიცოცხლე, ვირემ ბოროტად. იცოდე მტკიცედ, რომ ვინც თავის საქმეებში სანდო კაცობას ერთ მხარეს გარდასდებს, იმისთანა კაცი როცა საქმე მოემარჯვება, სირცხვილსაც ცალკე გადასდებს; და მართლა რომ არ არის სხვა უგრეთი ავი ზნე იმდენად კაცის შემარცხვენელი როგორც უსამართლობა და სიცრუე; და ესეც მტკიცედ იცოდე შენს გონებაში, რომ თუმც ყოვლად კეთილი ღმერთი ზოგჯერ შეაგვიანებს უსამართლო საქმების განრისხვასა, მაგრამ ბოლოს უეჭველად გარისხავს მომეტებულად.

. შენი ყოველივე საქმები ეგრედ დათვალე, როგორც თუ შენი ცხოვრების ბოლო საქმები ყოფილ იყვნენ: მით მაშინ ეცდები, თვალს გაახელ, რომ მუდამ მართალნი და სრულნი იყვნენ შენი საქმები.

სხვა რამეზე ნუ იფიქრებ, თუ არ აწ მყო შენის ცხოვრების სათნოებით გატარებაზე; რომ გავლილი დავიწყო: ხოლო მომავალი ყოვლის სიმდაბლითა ერთიან სამღთო წინაგანგებულობას მიანდე.

როცა შენ შენს თანამდებობას აღასრულებ, მას მერმე შენს გონებას ნუ მოაქანცავ, ნუ რას იფიქრებ, რაც უნდა

სხვათ შენს წინაღმდეგ სთქვან, იფიქრონ დ~ ან ქმნან.

ნუ რას ფერისა ნუ გეშინიან, დ~ ნურა ფერს ინატრებ, როდესაც ჰხედავ რომ შენი ნაქმნარი საქმენი სათნო დ~ პატიოსანი არიან. გარნა რომელიმე შენის საქმის ხელის მოსაწყობლად სრულ თავზედ ნუ აიღებ მდარე დ~ უპატიოსნო საქმის ქმნასა; დ~ თუ იქმ, მაშინ მით არჩენებ რომ აღარ გრწამს, თუ სამღთო წინაგანგებულობა შენ გმართებდეს.

ისე უნდა გძულდეს, გეზიზღებოდეს ცოდვის მორშოფვის (ნიშნების) მქონი რამე, რომ, თუმცა შენი ბოროტი საქმე, ღმერთმაც არ იცოდეს (რომელიც შეუძლებელია) დ~ კაცთაც დასჯის მაგიერ კეთილი მოგაგონ, მაინც არ შეგეძლოს იმ ცუდი საქმის ქმნა!

სიმართლით გული ისე სუფთა უნდა გქონდეს, რომ მუდამ ნატრობდე, ნეტარ ბუნებას შენს გულის ფიცარზედ ერთი ჭიქის მინა გამოუდო, რომ ვისაც შენთან საქმე აქვსო, შესძლებოდათ დაენახვა შენის გულის გულმართლობისა დ~ სისუფთავისა.

თუ რომ ეცდები ძლიერ რამეში შენი მიცემული სიტყვის ასრულებას, დიდ რამეშიც არ მოატყვილებ; შეპირებული თუ აღთქმული სიტყვა ერთი ვალი არის დ~ ვალი გაქვს აასრულო სრულიად: მისი თავდებნი არიან შენი საკუთარი სათნოება დ~ პატივი.

სიტყვის თქმის უმალ ერთი საათით წინ იფიქრე, დ~ დაპირების წინადაც ერთი დღით წინ იფიქრე. სიჩქარით მიცემულ დაპირებასებს შემდგომ საზოგადოდ სინანული მოაქვსო.

ერთხელ ძველი რომაელები თავიანთის დიდ სულოვანობისაგან დ~ სათნოებისაგან შეგულიანდნენ, ხელი მიჰყვეს, ააშენეს ერთი დიდი დ~ მშვენიერი ტაძარი მორწმუნობისა.

შენის თავის პატივის შეუნახაობითა შეგიძლიან კი ფუ-ლი შეიძინო, მაგრამ მით მცირედი პატივიც აღარ შეგრჩება.

ვინც თავის მიცემულს პირობას უტყუნებს მორწმუ-ნობის სათნოებისაგანაც, რომელიც უმთავრესი მცველი არის აღთქმისა, მოკლებული იქმნება.

ერთხელ ფრანგების გიორგი მხედართ მთავარს, რო-ცა მან ისპანიელებზედ გაიმარჯვა, და იმათი ეკკლესიები გადასწვა, ჰკითხეს რა მიზეზისათვის ჰქმენ ეგ საქმეო? მიუგო მან: «ვისაც რწმუნება არა აქვსთ, იმისთანებს ეკკლესიაც არ სჭირიათო.»

დიდი ბოროტობა არის, მოატყვილო ის კაცი, ვისაც არც ერთის მხრით არა აქვს ვალი გერწმუნოს შენ; ხო-ლო ძლიერ მომეტებული ბოროტობა არის მოაღორო-ისინი, ვინც ერთხელვე მიინდვე შენი მშვენიერის დაპი-რებაებითა. და ამით შენ თავს მიამსგავსებ იმ კაცსა, რომელმანც ერთს ვისმეს რჩევა მისცეს, და საჭურველი ძირ დაადებინოს და მაშინ თვითან მიესიოს და მოჰკლას ისა.

ერთ დღეს კატა ტკბილის ჭურში ჩავარდა და თითქმის იხჩობოდა; რაც ხმა ჰქონდა, ჰყაოდა, შეწევნა შველას თხოულობდა. აქეთ იქით ამისი ხმა გაიგონეს თაგვებ-მან შეერთდნენ, მიირბინეს მივიდნენ, ნახეს საწყალი კატის განსაცდელი. ესენი რომ ნახა კატამან დაუწყო ვედრება, რომ შემწეობა მიეცათ: ეპუებოდა ეხვეწებო-და და მტკიცედ ჰპირდებოდა, რომ ერთი დღე მოვა მეც მოვიგონებ ამ თქვენს ნაქმნარს სიკეთეს, რასაც მე მი-ზამთო; დიდად გარდახდა შემიძლია მე თქვენთვისაო. ამ სიტყვაზედ სწორედ მინდობილნი შეერთდნენ და კატა განსაცდელისაგან გამოიყვანეს. გავიდა კარგა დრო, მოიწია თაგვების სიმარცხის დღემაც, როდესაც შეეჭ

ლო კატას თავისი აღთქმა შეესრულებინა; თაგვებმა კატას სათხოვრის ქაღალდი მისცეს, ევედრებოდნენ სამაგიერო გარდაეხადა თავისი აღთქმისაებრ. კატამ უარ ჰყო თავისი აღთქმა; თაგვები თუმცა ძლიერ ცხადი საფუძვლიანის მიზეზებით უმტკიცებდნენ მის ნათქვამსა, მაგრამ კატას სულ მიეყინა, უარს ამბობდა და ბოლოს ეს სიტყვა უთხრა იმათ: «იქმნებაც თქვენი ნათქვამი მართალი იყოს და მე ეგრეთ აღმეთქვას და სრულ არ მახსოვდეს; სჩანს ძლიერ ნასვამი ვყოფილვარ მე იმ ჟამში და ამის გამო ის ჩემი აღთქმა სიმთვრალის აღთქმას მოეწერებათ. ეს თქვა თუ არა, გახელებული მივარდა თაგვებს და კეთილის მისაგებელის მაგიერად, ყველანი დაჭირა, ამოწყვიტა იქვე.

ყოველი წამკითხველი კარგად დაჰკვირდეს გამოიძიოს ეს არაკი.

კაცის სიტყვის მიცემა და შემდგომ აღსრულება ჯეროვან რამეში, ისე ერთი მეორესთან უნდა იყოს დამოკიდული, როგორც ცეცხლთან სიცხე. და აგერ ეს საგანი არის, რომ ძველ ბრძენებს უნდოდათ ესწავლებინათ ჩვენთვის იმ ერთის ხატითა, რომელიც წარმოადგენდა ერთს ენასა სრულიად მოკიდულს გულზედა.

დღეს დღეობით ყოველთ საკმაოდ იციან, თუ რა თქმა არის მიცემული სიტყვის ასრულება. არიან კიდევაც, რომ ასრულებენ, მაგრამ იმისთანები ახლანდელი ახალი მოდის კაცთაგან არ ითვლებიან. ამბობს ერთი ფილოსოფოზი: «დიდი კაცები აღუთქვენ, და გლეხი კაცი აღასრულებს; ყოველი კაცი აღთქმების ასრულებით შეიძლება მდიდრად დაითვალოს.»

ძველად ერთხელ ჰკითხეს ევკრატიდე ჭკვიან კაცსა, რომ რისთვის ლაკედემონელი ბრძენი თავადები ყოველ დღივ ცდილობენ, რომ აღთქმასა თუ პირობაზედ მო-

ხდენილნი საქმენი ერთიან გასწმიდონ, აასრულონო? შიუგო ევგრატიდემ: «იმისთვის, რომ ჩვენც ჩვენი მტ-რებისთვის მიცემული სიტყვის აღსრულებაც გვასწავ-ლონ.

კარგად აღიბეჭდე შენს გონებაში, რომ მორწმუნობა და ყულ კეთილობა პირველი წმიდა სიკეთენი არიან კაც-ობრიობაში. არც გაჭირვებამ და არც მძლავრობამ უნდა სძლიოს ამ რამენსა და არც ძღვენმან არც ქრთამმან უნ-და დაშალოს და დაარღვიოს.

დიდი და სათნო კაცის დიდი დიდება ეს არის და იქმნე-ბა მუდამ რომ თუმც რწმუნება ერთიან ქვეყნითგან ამდ-გარ იყო, მაინც მის გულში სრული მოუკლებლად იქმ-ნებოდა.

ეცადე მუდამ ეგრედ მხნე გულისა იყო, რომ არა თუ ხელითგან არ დააგდო და არ დასტოვო, რაც სამართლეა არამედ როგორც შენს საკუთარ კეთილსა, დასთვალე-ისა.

სად არიან დღევანდელ დღეს ის ჩვენი წინაპარების მშ-ვენიერი პატიოსანი განზრახვანი და საქმენი? სად არის ის რომაული სათნო დიდსულობა, რომლის ძალით რე-გულო, ჩინებული რომაელი, დაკავლიანდა ხელახლავ მი-ბრუნებულ იყო თავის მტერებთან. ეს თავის მტერებს დაეჭირათ, ამან სიტყვა მისცა იმათ რომ თუ გაუშვებენ წავა რომაელებთან სამშვიდობოდ ილაპარაკებს და ბოლოს ისევ იმათთან მიბრუნდება. იმათ გაუშვეს ისა; მივიდა თავისიანებთან, სათქმელი ილაპარაკა, და თავის სიტყვა-ზედ დამდგომით ხელახლავ მიბრუნდა, მისცა თავი მტ-რებს ხელთ რომელთაც დიდის ტანჯვით მოჰკლეს ისა. უფრო ინება მსხვერპლად შეწირვა სათნოებისა, ვინემც თუ მიზეზი მიეცა მტრებისთვის, რათა მათ კიცხვა ლა-ნძლვით ეხსენებინათ რომაელების მორწმუნობა.

მორწმუნობა სიმართლის საფუძველია, ხოლო სიმართლე ძლიერ მაგარი და შეუვალი ციხე ერთი მთავრობისათვის.

პატივცემულმან სათნო კაცმან ფიქრში უნდა ჩაიდვას, რომ თავისი მიცემული სიტყვა თავის ქონებისაგან უფრო პატიოსანი და უფრო ღირებულია, და თავისი აღთქმა წმიდა რამ არის.

ერთ დროს ერთს მართალს და ბრძენ მეფეს ჩვეულობა ჰქონდა ამ სიტყვის თქმა, თუ გინდ ამ ქვეყნიდგან მორწმუნობა ამდგარ იყო, მაინც ჩემს მიცემულ სიტყვებში შემეძლო მისი პოვნაო.»

ვხედამთ ხელმწიფეებსაც, რომლებშიც ვინც უფრო უკეთესი და ჩინებულია, მუდამ თავისი აღთქმა სრულად აუსრულებია.

ერთხელ ავგისტო კეისარმან საჩუქარი დაჰპირდა, ვინც დაიჭერდა და მიჰგვრიდა მას მძლავრს კროტონს, ან მის თავსა, (ეს კროტონი ძლიერ სახელგასული ავაზაკი იყო). კეისრის ეს დაპირება ყურში ჩასცდა რა კროტონოს ადგა, წავიდა და ავგისტო კეისართან გამოცხადდა. მაშინ ავგისტომ თავისი პირობის ასასრულებლად ბრძანა სიკვდილით დასჯილობა აეწიათ იმ კაცისაგან.

ერთს მართალს და სარწმუნო მეფესაც სხვა არაფერზედ არ უნდოდა ლაპარაკი, თუ არ მშვიდობასა და მორწმუნობაზედა და ამბობდა ეს დიდი მეფე: «თუ რომ მე ეს ორი რამე არ შევინახო, დავჰკარგავ ყოველ ჩემს პატივსა და ჩემს ღირებულობასაო.»

და მართლადაც არა ფერი არ არის, რაითაც ისე საქებური და პატივსაცემი გახდეს კაცი, როგორც მიცემული სიტყვის შენახვა და გონიერების კანონისაებრ მოქცევა. და ყოველ კაცს, შეტადრე თავადსა და მეფესა, ვისაც კარგი სახელი გასული ქონდეს, თავისი მორწმუნობისა და

ჭონიერებისათვის, ამ ორი რამით დღიდგან დღეზედ უფრო სახელი გასვლიათ, ვირემც თუ დიდროვანი გამარჯვებაების მოხდენითა და თავისი სამთავროჲს გავრცელებითა.

თუ რომ შენ გაცს ყურში ჩაუგდებ, რომ შენ იმას სარწმუნო და სათნო გაცად იცნობ, ამით შენ ადვილად სარწმუნოდ გაიხდი იმასა. ხოლო იმ გაცს ვისაც ჭკონია ან ეჭვი აუღია, როგორც თუ ერთს ვისმეს მისი მოტყუილება უნდოდეს, იგი მით თითქოს მოტყუილებას აქმნევინებს მას, და ანუ როგორიმე სახით აღძრამს მას თავის მოტყუილებაზედ.

არა ფერი არის ისე საიმედო, როგორც სარწმუნო და პატივის შემნახი გაცისათვის რამის მიბრა.

ვინც სრულიად ტყუილს არ იტყვის, იმისთანა ადვილად სხვას ერწმუნება; და ვინც სხვას არ მოატყუილებს, ის სრულიად მინდობილი იქმნება სხვაზედ. მოტყუილება მუდამ უძლურობისაგან არ წარმოსდგება: რადგან მოხდება ზოგჯერ რომ ჩვენის კეთილობისაგანაც წარმოსდგეს. ხოლო შენ გაფრთხილდი, ნუ იქმნები ისეთი კეთილი (უგუნური), რომ ვიდრე სხვებმან იქითგან მიიღონ მიზეზი სიცვაცისა; არამედ მუდამ ეცადე რომ უფლისა ჩვენისა ქრისტეს წურთვისაებრ ტრედის გულმართლობასთან გქონდეს გველის თვალ დიობაცა.

## ბ ა ვ ვ ქ თ ი ლ ი ვბ.

## თ ვ ა ლ დ ი ა და ს ა ქ მ ი ს გ ა მ რ ი გ ე ბ ა ც ს ა ზ ე დ ა

ეცადე შენს საქმეებში იყო არა მარტო თვალ დია, არამედ დაუზარებელიც. მრავალნი თვალ დია და მარჯვე გაცნი გვინახია, რომ თავისით სიმარჯვეზედ უზრუ-

შოდ მინდორიითა და საზოგადო სამკალების მის დროს არ მოხმარებითა, მიზეზნი გამხდარან რომ იმათზე ნა-კლებ თვალ დიანი შრომითა იმათზედ უფრო წინ წა-სულან.

დაუზარებელი შრომა მშვენიერი სვე არის, და კეთი-ლი თვალდიობა კარგი სამკვიდრებელი. ზარმაცობა ნელ ნელა უგრძნობელად კაცს დააქცევს; ხოლო თვალ დი-ობით მოქცევა და შრომა კაცს ქონებას შესძინებს.

ეზებო მეზღაპარე ამბობს, რომ «ერთ დღეს ერთ-მან მესათხევლემ აიღო ხელში საკრავი და დაიწყო დაკ-ვრა, რათა მოენადირებინა თევზები, დახედა რომ იმით ვერა ფერი ვერა გაარიგა რა, დააგდო საკრავი და ხელი მოჰკიდა სათხეველსა, ესროლა ზღვაში, რომ თავისი საზრდო ეშოვნა.» ეს არაკი გვასწავლის, თუ როგორ ყოველ ხელოსანს ჭმართებს თავის სახელოსნოს გუ-ლის ყური მიჰყაროს, თუ არ უნდა რომ მშიერი დარჩეს.

ადვილი რამ არის შეხედვა ცისა და ნახვა, თუ პლანეტე-ბი როგორ ბევრით ჩინებულნი არიან, უძრავ ვარს-კვლავებზე. საქმების გამრიგზედ და თვალდია კაცებ-ზედ მარტო ყურება და გაკვირვება არ გეყოფა, შენც იმათსავით უნდა იმოქმედო.

საქმის გარიგება და მუშაობა პატიოსანი რამ არის. დღე ყოველ ვხედავთ, რომ არა მარტო ციურნი სხეულნი: მზე, მთვარე და სხვაც, მუდამ უკლებლად მოძრაობენ და საქმეს არიგებენ, არამედ იგივე თვით მაღალი ღმერთი და ყოვ-ლის მპყრობელი უფალიცა არის მუდამ: «ყოვლად სრული კეთილის მყოფელი.» რადგან მისი დაუსრულ ე-ბელი საზიერება მუდამ ხედვისა და განზრახვის გარდა, თავის სამღთო წინაგანგებულობასაცა აჩვენებს მუდამ საქმით თავის ყოველ დაბადებულთა ზედა.

ყოვლიერი ამ ტრიალს ცაში სამუდამოდ მოძრაობს,

და ამ ჩვენს ქვეყანასაც ვხედამთ, რომ ყოველს დროს ათას ნაირი რამების აღმომცენებლობითა მუდამ უწყვეტლივ მოძრაობასა და საქმეშია; მხოლოდ ზარმაცი და ზანტი კაცი ქვეყანაზედ მკვდარი ზღვა არის.

გონიერება მოითხოვს, რომ საქმის ხელის ხლების უწინ კარგის გონების მიერით იფიქრო იმაზე: რადგან შემდგომ თითქმის შეუძლებელია უკან დაწევა შეუსრულებლად შენის ღირსებისა. ეცადე რჩევა შეჰკითხო გონიერს შენს მეგობარს: ამიტომ რომ ვისაც თავისი თავის ადვოკატათ ყოფნა უნდა იმისთანაი თითქმის მუდამ შესცდება.

ვისაც უნდა, კეთილი ამბავის და კეთილი სახელის მოპოება თავისი საქმეებისაგან, ეს ოთხი სათნოება ეჭირება: პირველად სრული უცოდველობა; მეორედ ჭკუვის მიმხედურობა; მესამედ კარგი გამოცდილება, და მეოთხედ მტკიცე აზრით საქმის არჩევა.

შენს გონებაში გაზომვა, აღებ დალება და გარჩევა როგორც თუ ფორმას და სახეს მისცემს შენს ყოველს საქმებსა; ხოლო ძლიერ სიჩქარით ნაფიქრები საქმები იშვიათად წინ წავლენ.

როცა მტკიცე აზრით გარდასწყვიტე შენი საქმის ხელის მიყოფა, მას მერმედ რიგი არღარ არის სინანული, ანუ შერიდება რამე სიძნელისაგან; თვარემ სრულიად მოაუძლურებ შენის გულის სიმხნესა. და თუმც შემთხვევითაც სიძნელენი გამოჩნდნენ, შენ გონებაში ჩადე, რომ სხვა რა საქმისათვისაც ხელი მიგეყო, შეიძლება იმათაც ესრეთი სიძნელეები ჰქონოდათ, ანუ უფრო მეტი.

ეცადე შენი დაწყობილი საქმე ყოველი მხნე გულადობითა წინ წაიყვანო, მაგრამ ეცადე შენი გონიერობაც გამოაჩინო კარგად და წინადვე უშიშრად ჰყო შენი დაწყობილის საქმისაგან უკან დახევაცა, როცა გარედ მოითხოვს ადგილი და დრო. რადგან ქვეყნის საქმეებში ისე

მრავალი უბეჯითობა არსებობს, სჩანს, უკეთესი და მშვიდობიანი სასიარულო გზა ის არის, სადაც ერთ კერძოდ გასაქცეველი ნაპრალიანი ადგილები ბევრნი მოიძევიან!

შენი უმთავრესი აზრი ყოველს შენს საქმეებში თანასწორედ უნდა იყოს საზოგადოების სასიკეთოდ ისე როგორც შენის საკუთარის თავისა. ასე რომ, თუ რომ მარტო შენს საკუთარს ინთერესს ეძებ, შეიძლება რომ საზოგადოებას ზიანი მისცე; ხოლო თუ საზოგადოების სასარგებლოდ შეძლებისა მებრ შრომობ, ოფლს იწურამ, თუმც შენ პიროვნულად ზიანიც გეძლეოდეს, მაშინ მაინც შენ კიდევ სარგებლობაში ხარ, ამიტომ რომ შენც იმ საზოგადოების ერთი მწევრი ხარ.

თუ ნახამ, რომ შენი საქმე ეგრედ წინ არ მიდის, როგორც გინდოდა და ელოდი, სრულიად ნუ შესწუხდები, გული არ გაგიტყდეს; არამედ სხვა საშვალებიც მოსძებნე, რომ ხელი მიჰყო. რადგან ვინც სიმხნითა წინ დაუდგება ბედსა და შემთხვევებსა, იმისთანა მუდამ გამარჯვებული გამოვა და ბოლოს საქმესაც დიდებულად სისრულეში მოიყვანს; რა ზიხარ და კიდევ ქაღალდს თამაშობ, როგი არ არის დაჰყარო და ადგე მაშინ, როდესაც ჰხუდამ კარგი ქაღალდები არ მოგდის?

ეცადე მუდამ დაკვირვება გქონდეს შენს საქმეებზედა; გარნა ფრთხილად იყავ არ იქმნას მეტის მეტი ჩაცივებით და გაჰყვე იმათ იმედებზე, რომ შენ გევნოს, და არც რომ სულ უნადკლელად გაუშვა. თუ რომ ასე მოიქცევი, მაშინ იცოდე, რომ კადნიერად და დაუბრკოლებლად შენ საქმეს წინ წაიყვან. გარნა თუ მოხდეს, რომ შენს ნათქვამსა არ გაგემარჯვოს, იმისთვისაც ფთხილად იყავ რომ შენი თავი დარდში არ ჩააგდო.

როცა ნახამ, რომ შენის სურვილისაებრ საქმეები არ

მოგეწყობა, მაშინ ჭკვიანობა უნდა რათა მძიმედ მოიქცე, საქმე შეაყოვნო, დრო მოიგო, და დრო იგი შენ ზოგჯერ წამლებს გამოვინინებს, რომლით შეგეძლება საცდურებისაგან შენის თავის მორჩენა.

მაგრამ როცა ნახავ შენი თავის სარგებლობას, მაშინ საქმის შეყოვნება საცდურთაგანია: მაშინ უფრო უნდა ცდილობდე, რომ საქმე გაირიგო. ერთი მხრით ფარულად, და მეორედ სისწრაფით. ეს ორნი რამენი არიან როგორც ორი ქუსლი კარისა რაზედაც დამტკიცებული უნდა იყვნენ ყოველი დიდი და ჩინებული საქმეები.

გონებაში გაზომილი დიდი და ჩინებული საქმეები იცი რასა ჰგავან? ჰგავან სრულიად იმ ოქროს ანუ ვერცხლის მადნებსა, რომელთაც განცხადდება თუ არა, მაშინვე გაიტაცვენ და წაიღებენ.

უბრალოდ დროს გატარება ნაირ ნაირს საქმეებზე ფიქრობით მხოლოდ და საქმის ხელის მიუყოფლად, ემსგავსება იმ ჩონგურის დამკვრელსა, რომელიც იჯდეს და მთელ დროს ატარებდეს ძაფების შეთანხმებაზედ დაუკრავად.

ყოველს შენს საქმეებში გარემოხედულობა და დაკვირვება გქონდეს; რადგან ვისაც თავის საქმეზედ ყურადღება მიქცეული ექმნება, იმისთანა საზოგადოდ საქმეს თავს გაიტანს.

უჭკუო კაცთ რომ თავიანთი საქმის თავს გატანა ვერ შესძლებიათ, იმის ერთად ერთი მიზეზი ის არის, რომ საჭირო ყურადღება ვერ მიუქცევიან თავიანთი საქმისათვის.

ყოვლის ფერში მარტო ნახევრად ქმნა საქმისა მრთელის ქმნის მაგიერ, სრულიად უქმნელობისაგან უფრო ცუდია და შუაგზაზე გაწყვეტა არა თუ უსარგებლო საქმეა, არამედ მავნებელიც.

როგორც ქვეყანაზედ არ არის ისეთი საქმე რომელსაც

შიერთიც ადვილად და უშიშრად ჩნდეს იგი, არა ჰქონდე-
ეს თან ერთი დაბრკოლება ანუ სიძნელე, ესრედვე ცოტა
ჯერ მოხდების რომ წამალი არ დაედვას იმ საქმეებსა რო-
მლებზედაც თითქმის იმედი გარდაწყვეტილი ჰქონდა.

რა მშვენიერი დარიგება არის რომელსაც აძლევს ტიბე-
რიო: კეისარი «ნუ დასტოვებ შენს დაწყობილს საქმე-
ებსა და ბედსა თუ შემთხვევასა პირზედ სრულ ნუ შეხედა-
მო,» გონიერება უნდა გიწინამძღვრებდეს შენ მეტად-
რე იმ შენს საქმეებში რომელნიც შენ უშიშრად გიჩანან
უფროს იმ საქმეებისა, რომელთაც სრულიად მარტივის
შემთხვევითა გამარჯვება მიეცემათ.

გარნა საქმენიც არიან, რომელთაც ხელი უნდა მივჰკოთ
თუმც ძნელიც იყვნენ; არიან სხვა საქმენიცა, რომელნიც
გაცებრივის გონიერებისაგან მაღლა დგანან და ვხედამთ,
რომ ბევრჯერ ბედი იმათ წარმატებას მისცემს საზოგა-
დოების დიდი სიკეთისათვის.

ნამდვილია, ვისაც არ უნდა სრულიად ბედზედ მინდო-
ბა და საეჭოდ გამხდარ რამესაც ხელს არ ახლებს, იმის-
თანა კაცი იმ თავისი სიფრთხილითა უთვალავის განსაც-
დელისაგან თავს მოირჩენს; მაგრამ ესეც მოხდება,
რომ თავისი ზომის გარეთის მოშიშობითა ბევრჯერ
კარგს შემთხვევებსაც დაჰკარგავს.

ბრძენი კაცი თავის ყოველ საქმნელ საქმეს გამართავს
გონიერობითა, შეუდგება მას იმედითა, და გასწევს
მოთმინებითა, რა მარცხი და სიძნელეც რომ შეემთხვეს.

დიდი გონიერება არის, შეუყოყმანებლად მაშინვე ხე-
ლი მოჰკიდო მას, რა პატივცემული შემთხვევაც იყოს,
რომელიც შეუყოვნებით არღარ გარიგდებოდეს. რომელ-
ნიც თავ და პირველად ერთიან იმედს დაჰკარგავენ, იმ ნაირებს
ჰგონიათ, რაც რამ ბოლოს უნდა შეემთხვესთ, ის იმათი
უფრო სასარგებლო იყოს.

ჩვენის საქმების წინ წაყვანის დროს რიგი არ არის უზომოდ ჩვენი პატივის მიხედვის გამო უკან დავსდგეთ იმათგან, არამედ უნდა შეუდგინოთ ჩვენი დაწყობილი გზა და ვეცადოთ მივაწიოთ იმ აზრზედა, რომელიც წარმოვიდგინეთ ჩვენ სათნო და პატივისაცემი საშვალებითა.

უზომო სიჩქარე და უზომო სიცხარე მუდამ საცთუროვანნი არიან ყოველ ნაირს საქმეში; ხოლო ზომიერება და მოთმინება, მასთანვე ჭკუვით მოქცევა ბევრჯერ წარმართებენ იმ საქმეს, რასაც მრისხსნება და გულისმობა წაახდენს და გააფუჭებს.

ვისთანაც საქმე უნდა დაიჭირო, ეცადე, რომ იმისი ბუნება კარგად გაიცნა, და იმას მიჰყევი, რასაც ჭკუა და გონიერება გასწავლის შენ. არ იქმნას, იმათ წინამდლდეგად სთქვა რამე, სიტყვა გაწყვეტილი, არამედ თავი დაანებე, რომ თავიანთი აზრი თავის უფლად სთქვან; სთხოვე, ევედრე და ძალაც უყავ რომ ილაპარაკონ; ამატომ რომ შეიძლება მოხვდეს, იმათ თავიანთი სიბრიყვისათვის ანუ გამოცდილების უქონებლობის გამო დაჩუმდნენ, არა სთქვან რამე, სითგანაც შენ სარგებლობის გამოღება შეგეძლო შესახებ მისა, რაც უნდა შეგეტყო შენ. სწორე სიტყვა მიეცი და მშვენიერი ალოქმებითაც შეჰპირდი იმათ; ესენი არიან ძლიერნი საშვალები შენს აზრში დადებულთ წინ წასაყვანად.

ჩაეწყე და საქმე დაიჭირე ვეთილ და ჭკვიან კაცებთან; მაგრამ თუ გაუცნობ უცხოსთან საქმის დაჭერა გინდოდეს, მაშინ ფიქრში გაიტარე, რომ შეიძლება ის კაცი მართალი არ იყოს; (მართალია ეს ჩემი ნათქვამი მძიმეა, მაგრამ შენ შესახებ ძლიერ სასარგებლოა); თუ მოხდეს რომ მართალი იყოს ის, შენ მაშინ სხვა საქმნელი არა დაგრჩება რა, თუ არ მხოლოდ შენის აზრის გა-

მოტყუვდა. ამბობდა ერთხელ ქვეყნის მცნობი ერთი ჭკვიანი კაცი: « დამიჯერე მე ბევრჯერ ეს განსაცდელი თავს გარდამხდენია ჩემის ზიანიერი რომ არაფერი არ არის, რომელსაც ისე შეეძლოს დაქცევა ჩვენი როგორც როცა გაუცნობი და უცხო კაცის სათნოებას მომეტებულად მივენდობით. »

მოხდება ზოგჯერმე, რომ ძალს დატანებული გახდესთ სამუროდ რაიმე საქმეს შეუდგე. გაფრთხილდი მაშინ ამიტომ რომ მატყუვარობა და ვნება მუდამ აჩქარებით მოხდება. გაუბედაობა, თუ ვერ მისდობა გონიერობის მარჯვენა თვალია: « მოფრთხილებით უშიშრად იქმნებით. » ბრძენების ანდაზაა.

მუდამ მოიგონე ხოლმე ეპიკარმის ფილოსოფოზის ნათქვამი: « გახსოვდეს, ნუ მიენდობი. » რომ არ მოსტყუვდეს კაცი იმისათვის სიფრთხილეზე უკეთესი წამალი არ არის.

სადაც მეტად ადვილად რწმუნებულობა არის, იქ მოტყვილების სამზადისიც არის. თუმც ადვილად მრწმუნებლობა მუდამ ნიშანია უმანკოებისა, მაგრამ შენ ეცადე სრულ ფრთხილი იყო, და სიფრთხილესთან ერთად გქონდეს სიმხნით შენი თავის დამცველობა და უშიშრობაში თავის შენახვა. მართალია ბევრჯერ ზიანი და უსამართლოება სხვათა უსრულოებისაგან წარმოსდგება; მაგრამ კაცნი სხვათაგან ძვირად მოტყვილდებოდნენ თუ რომ ხშირად თავიანთ თავს თვითან არ მოატყვილებდნენ უზომო კადნიერებითა (მინდობილებითა)

მუდამ მაინდო სხვანი გონიერება არის; და თუ უსაფუძვლოთ მიენდო სხვათა უგუნურობა არის. მაგრამ მაინც რიგი არ არის, რომ ორგულობა და ეჭვი აჩვენო იმ კაცსა, ვისთანაც საქმის დაჭერა გინდეს: რადგან ამ რიგი მოპყრობა უზრდელობის გარდა იმ კაცსაც შეეხება,

და თუ უეცრად იმასაც შეიტყობს ეგ შენი ეჭვნეულობა მოგიბრუნდება და მტრად გაგიხდება.

დიდვრიან საქმეებში თუ რომ საჭიროდ ჰხედამ, მოგა-ვალი შემწე გაიჩინე, გარნა ცოტას მიენდევ, და როცა ვისმეს მიენდობი, მაშინ ფიქრში ჩაიდე სწორედ რომ მხოლოდ შენ ხარ ის კაცი, რომელსაც შეგიძლია მეტად შენს თავზედ მინდობა.

როცა ხელად რამე სარგებლობა გამოგიჩნდეს უკან ნუ დაიწევ, თუმცა მრავალსაც გიშლიდნენ შენ: უკეთუ უკან დადგე, ბოლოს სამწუხროდ სანანელად გაგიხდება.

ამ ქვეყნის საქმენი ოთხკუთხივ შემორტყმულად გაქვს ხოლო შენ იმათ შუა წერტილის დგახარ.

როცა ნახავ, რომ ჩვეულობისაგან უფრო მეტს მეტო-ვის ცემას, სიყვარულს და მეგობრობას გაჩვენებენ, თვა-ლი გაახილე და ფრთხილად იყავ მაშინ: ამიტომ რომ ვინც მაგ რიგად იქცევა შენთან იცოდე, რომ რამე აზრი აქვს, უნდა რამე ხელთ ჩაიგდოს შენგან!

დიდს და მესანიშნ საქმეებში შედი შენს თანასწორებ-თან და ნუ შენგან დიდკაცებთან: თვარემ ისინი მიიღებენ იმ საქმის პატივსაცა, სარგებლობასაცა, და შენის ათას-ნაირი შრომის გაწევის შემდგომ მადრიელიც უნდა გა-ხდე, თუ ცოტა რამის მოცემას ინებონ შენთვისა, თუ რომ უარესი საქმეც არა დაგმართეს რა!

უკეთუ შემთხვევით ლომი ზროხასთან, თხასთან თუ ცხვართან მინდორში გავიდეს, რა აღსასრული ექმნება იმათ ამხანაგობასა? კარგად შეგიძლია მიხვდე: მაშ შენს სამაგალითოდ იყოს ეს სიტყვა, რომ შენც გაფრთხი-ლდე.

შენი გონიერება გასწავლის შენ, რომ სხვათა უწესო-ებისაგან სარგებლობა გამოიღო შენთვის: ამიტომ რომ ერთი ჭკვის სისულელე მეორე კაცის ჭკუა არის. და

კაცის უკეთესი გამარჯვება სხვათა საქმე ყოფის გასინჯვისა და გამოძიებისაგან წარმოსდგება.

რა წარმატებაც გინდოდეს, შეგიძლია იქონიო, ოდ-ომც ეცადო, რა საშუალებაც ერთობ აღმოგიჩნდნენ, ხელითგან არ გააქციო და სარგებლობა მისცე იქითგან შენს თავსა. ბედი თუ გამარჯვება ამ ქვეყნის საქმეებში მოხდენილის ცვლილებების დაკვირვებული გამოძიება არის, და იმათგან წარმოდგენილი ნაირ ნაირ შემთხვევათა გასინჯულობა.

გქონდეს შენ კარგი დავთარი (სია) ყოველი შენის საქმეებისა; კვლავ ჩინებული შემთხვევაების დავთარიცა, რასაც გაიგონამ და რა საქმეც მოგიხდება შენ.

თუ რომ სხვათ შენის საქმეების გაწყობილობაში შეგეცდინეს შენ, ანუ თუ შენ ნაკლებულობა მოგიხდეს, ჭკვიანობა შენის მხრით ეს იქმნება, რომ გახსოვდეს, არ დაივიწყო; მასთან რაც შენ მოგივიდა, იმ საქმისაგან რაც შეიძლებოდეს, და ასე ამ გზით მომავალს შენს საქმეებში უფრო სიფრთხილით და ჭკუით მოიქცევი.

ის კაცი იქმნება უფრო ბრძენი, ვინც ბევრჯერ მოტყვილებულა. და უფრო შენ ნაქმნარ შეცდომილებათა გასწავლონ შენ მშვენიერი და ჭკვიანური კანონები, ვიდრემც თუ სხვათ ჭკვიანურ დარიგებათა და ცხოველ მაგალითათა.

წარმართების ფილოსოფოსებმა თავიანთ ბრძენი არაკებითა საქმე გაგვაგებინეს ესრედ: «ერთ დღეს დიდი ცილობა (ბაასი) დიდი ჩხუბი ასტყდა გონიერობასა და უგუნურობის შუა: უნდოდათ შეტყობა თუ რომელი იყო იმათში პირველი და უმფროსი. იქამდის გაცხარდა ამათი ჩხუბი, რომ საჭირო გახდა კერპს დიდ იუპიტერს ეს საქმე გადაეწყვიტა ჩხუბის მოსასპობლად. დაჯდა იუპიტერი სამართლის საქმნელად; დაიწყეს ორივავე თა-

ვიანთი მიზეზების წარმოთქმა. რა ორივე მხრისა კარგად გაიგო, გარდასწყვიტა, რომ უგუნურობას წინ ევლო და გონიერობა უკან მიჰყოლოდა!

ეცადე რომ ყოველ საღამოს დაწოლის წინად დასწერო მოკლედ, რაც რამ იმ დღეს ნახე და გამოიძიე, და ესრედ მცირე დროს განმავალობაში ნახავ, რომ შენ შეგიდგენია გონიერობისა და გამოცდილების ლექსიკონი.

ახლანდელი ბრძენები არ სჯერდებიან, რომ მარტო ქვეყანაზედ იცხოვრონ, არამედ უნდათ და ჩამოსდგომიან, რომ ის ნახონ გამოსცადონ და გამოიკვლიონ.

## ჰ ა ჲ ვ ე თ ი ლ ი კდ.

## რჩევასა და მრჩეველებზედა.

უფრო ადვილია რჩევის მიცემა, ვინემც რჩევის მიღება. ცრუ ბრძენებს ფიქრში ჩაუძსთ, რომ რჩევა არა სჭირიათ; ხოლო უგუნურთ არც ერთი რჩევის გაგონება არ უნდათ!

რჩევის მიღება კაცს არ დაამცირებს, ჭკვიანობა დიდობას სრულ არას დააკლებს. ჩინებულთ და დიდ კაცების დიდება და პატივი უფრო მოემატებათ, ვინემც თუ დააკლდესთ, როცა რჩევას თხოვულობენ სხვისგან.

ბრძენი კაცების რჩევა (კუშკი) წინასწარ თხრობა არის: მომავალ საქმის წინათვე დაანახავს და ჯერ მოუხდენელს საქმის რიგ-კანონს მისცემს.

ჩინებულ და სათნო კაცთ გონიერობა მოითხოვს, რომ თავიანთ საქმნელ საქმეებში სხვების რჩევას უსმინონ; მაგრამ კი თავიანთი აზრი პირველად არა უნდა განაცხადონ. ბრძენების რჩევა უნდა მიიღონ და მის დაგვარ საქმეს ხელი მოკიდონ.

სხვათადმი რჩევის მიცემის ღირსნი არ არიან ის კაცნი, რომელთაც სხვებისაგან კარგი რჩევა არ მიუღიათ თავიანთ-თვის.

აგვისტოს კეისარი სტიროდა და ჰგლოვობდა თავის თავადის ვაროს სიკვდილსა, და მიზეზად ამბობდა რომ: «არა მყავს სხვა ვინმე ჩემს სახელმწიფოში, რომ მე სიმართლე მითხრასო.»

ერთ დღეს ელიოგაბალო მეფემ, ერთს მრჩეველს ჰკითხა: «რა აზრისა ხარ ჩემზედაო?» მრჩეველმან მიუგო გაბედვით, რომ «ძალიან კმაყოფილი არა ვარ შენზედაო» უთხრა მეფემ: «აგრე თავის უფლად და მხნედ რად ლაპარაკობო?» მიუგო მრჩეველმან: «რადგან ისე მხნედაც ვსდგავარ სასიკვდილოდაო.»

ამბობდა ერთხელ ერთი ბრძენი მრჩეველი: «თუ რომ მე გულ მართლობით მთქმელი ვარ ჩემის უმფროსისა, იქმნება არა მიმეღის მე, სიკვდილის მეტი; ხოლო თუ პირფერი ვარ, ძალა ნებრი[illegible] მო[illegible]ლებამო.»

ჰკვიანმა მრჩეველმან საქმის წვრიმალი გარემოებანიც უნდა შეიტყოს, და ამ რიგად იქონიოს თავისი ის სრული მოადგილობა შეუცდომელ წინამძღვარსავით, რომლით შეუძლია გააკეთოს და გაასწოროს თავისი მისაცემი რჩევები; რა საქმეც უნდა იყოს, მისი ნაირობა მისი ძლიერ მცირე ნაწილებისაგან შეიტყობება. ბევრჯერ ძლიერ დიდ საქმეებს ძლიერ წვრილებისაგან აქვსთ დამოკიდებულობა.

ფრთხილად იყავ, საეჭვო საქმეებში არ მისცე რჩევა მფლობელსა (დიდ კაცს) თვარემ ის საქმეები თუ წინ წავიდნენ, ყოველ მის დიდებას თვითან მიითვისებს, და თუ წინ ვერ წავიდნენ, იცოდე, რომ მთელი მარცხი შენ დაგაბრალდება!

ბრძენი ავტორის ერთი მრჩევლების მიხედვითა, თავის

აზრს ესრედ აცხადებს «გონიერების კანონი იყოვო ძველად, რჩევა მოხუცებულთა, და იარაღი ყმაწვილ კაცთა.» ვითამც მოხუცებულნი საჭირო არიან რჩევისათვის და ვაჟკაცნი წარმოებისათვის. მაგრამ ჩემი აზრი ეს არისო, რომ (რადგან კაცის წლოვანება ფსალმუნისაებრ სამოცდა და ათია ან თუ მეტი ოთხმოცი; როცა კაცნი ამ წლოვანებას გაანახევრებენ მაშინ რჩევის მიცემაზედ ზოგჯერ ისინი უფრო გამოდგებიან ვიდრე მოხუცებულები; ამიტომ რომ ღრმული მოხუცებულები, იქმნება კიდეც უფრო გამოცდილი იყვნენ, მაგრამ იმისთანები მეტის მეტ ეჭვებს და ფოლხებს წარმოადგენენ, მეტის მეტად ნელნი არიან საქმის გარჩევაზედ, ძლიერ ცოტაჯერ გაჭბედვენ სიმხნით საქმის ხელის მიყოფასა, და მეტის მეტად მალე შეინანებენ, და სიმწუხრეს აღმოაჩენენო.

მრჩევლის ნამდვილი მოვალეობა ეს არის, რომ ხელმისაყოფი საქმე უფრო გარკვად გაიცნას ვიდრემც თავისი მფლობელის (პატრონის) ბუნება-ხასიათი; და მაშინ ნახამ, რომ ისეთს მრჩეველს უფრო შეეძლება თავის უფროსისათვის რჩევის მიცემა, ვიდრემც თუ პირფერობა მასთან.

ერთხელ კრეზო მეფემ მრავლის თხოვით მიიწვია ჩინებული ფილოსოფოსი სოლონი. სოლონმა ბევრი ჭკვიანური რჩევა მისცა იმას; მეფემ ყოველივე ისმინა და მიიღო, მაგრამ უკანვე გააბრუნა ის პატივის მიუცემლად. ეზოპო ამ ნაირს მეფის უმადურობაზედ ისე შესწუხდა, რომ გაუბედა ამ სიტყვის თქმა: «სოლონო! ანუ მეფეებს არა ფერი არ უნდა უთხრათ, ანუ თუ არა, იმათი სასიამოვნო სიტყვა უნდა უთხრათო» მიუგო სოლონმან: «მეტადრე ანუ სიმართლე უნდა უთხრათ, ანუ სრულიად სიტყვა არა უთხრათ რაო.»

ვხედავთ რომ საზოგადოდ უფრო გვინდა (თუმცა

ანუ არ უნდა იყოს ) მოსაწონარის სიტყვებითა გართო-
ბა მავლობელი კაცისა , ვირემც თუ კარგი რჩევის მიცე-
მა იმისთვის ; ტკბილი სასიამოვნო და პირ მოთნეობითი-
ნი სიტყვები არ უნდა ყოფილ იყვნენ მისადები , არც
სწორე და გამოსადეგი რჩევის მიცემას უნდა ემიზეზე-
ბინა შეწუხებანი ; მაგრამ ვხედამთ , რომ ბევრჯერ კეთ-
ილი და სწორე მრჩევლების სამსახური ღირსეული მი-
საგებელი არა აქვსო !

მეფეების ანუ ვინც უნდა იყოს დიდი კაცების მრჩევლებ-
მან ხელოვნურად უნდა ილაპარაკონ : იმ სახით უნდა
ილაპარაკონ იმათთან როგორც თუ უნდოდესთ გახსენე-
ბა იმ რამისა ; რაიცა იქმნება იმათ დავიწყებული ჰქონ-
დესთ ; იმ სახით არ უნდა ილაპარაკოს , როგორც თუ
იმათ უმცოდინარ რამებს თვითან ასწავლიდეს იმათ .

საბაასო რამებში რჩევის დროს ძლიერ დიდი გონიე-
რება არის ბოლოს თქმა თავისი აზრისა : ამით შენ სხვე-
ბს ძალას წაართმევ და შენ სიტყვას წინ წააყენებ .

როცა ერთ თავადს ანუ რომელსამე დიდ კაცს უნდოდ-
ეს რამე შესანიშნი საქმის ხელის მოკიდება , უმიმარი
საშვალი ეს არის , რომ თავის მრჩეველებს ყოველთ სა-
ცალკეოდ , თავისი უმთავრესი აზრი წარუდგინოს და
ბრძანოს რომ ცალკ ცალკე დასწერონ თავიანთი აზრები
მიზეზებითურთ და ერთმან ერთის სრულიად არ უჩვენონ .
ამიტომ რომ , როცა ამ სახით რჩევა ეკითხებათ , ყველა
მაშინ , რაც აზრი აქვსთ უფრო თავის უფლებით და უფ-
რო გაბედვით წარმოსთქმენ . თუ ასე არ მოხდეს , ნახამ
რომ , რომელსაც რჩევაში დიდი კაცი ერთხელვე თავის
აზრს წარმოსთქვამს , პატარა კაცები ვერ გაბედვენ მის
წინამდეგობისა ; და ესრედ უკეთესი აზრები , ანუ რო-
გორც საჭიროებს , ვერ წარმოითქმიან , ანუ თუ სრუ-
ლიად ბნელში დაშთებიან . ხოლო თუ თავადმან თავის

საქმის შესახებ სხვა და სხვა საფუძვლიანნი, მაგრამ ერთი მეორის წინამღდეგი აზრები იხილოს, მაშინ უბრძანოს, რომ თავიანთი ქაღალდით შეტანილი აზრები აშკარად დაიცვან. ეს საქმე პატიოსნურად უნდა იქმნას, ე. ი. სრულიად თავის უფლობითა მხარი (პარტიობა) არ გაჩნდეს და არცა რა ვისმეს მორიდებულობა ჰქონდესთ. ეს არის უებრო საშვალი ყოველი საქმების ერთიან კარგად გამოძიებისა და კარგად გამოკვლევისა.

არა ფერი არის ისე საცთუროვანი დიდროვანს საქმებში, როგორც გლისპურად და აჩქარებით მოხდენილი რჩევები. ამ საგანში აჩქარება და გლისპობა არიან ქარიშხალივით, რომელნიც ნავს სიარულს დაუშლის და ალებ მიცემობას დიდ ზიანს მისცემს; ხოლო სიწყნარე ჰგავს სრულიად მარჯვე ქარსა, რომელიც მშვიდობიანობით შეიყვანს ნავთ საყუდელში.

ძველად პროკლო მხედართ მთავარმან ჰკითხა ერთ დღეს როდესაც ომს აპირობდენ, დიმიტრე მეფეს, თუ რისთვის არ ჩქარობს ომის გაშლას პტოლომეო მეფესთან, რადგან თავისი ძალა და თავისი ჯარის სიმრავლე მეტია იმისაზედა? მიუგო დიმიტრემან რომ «რაც მოხდენილა ქვეყანაზე შეიძლება კიდევ მოხდეს, ამისთვის ჩინებული საქმების ხელის მიყოფის წინად, დიდ ხანს ფიქრობა საჭიროა იმათ ზედა.»

პლუტარქი, ის სახელოვანი და ბრძენი მომთხრობი (ისტორიკოსი) აქებს სერტორიო მხედართ მთავარსა რადგან ფიქრობის დროს წყნარი იყოვო; ხოლო საქმის გაკეთების დროს სწრაფი და ჩქარი იყო.

კაცმან გონებაში გამოხატული დიდროვანი საქმეების წარმოება კარგად გაქლიბვის თან და თან მოლესვის და წაპირვის შემდგომ უნდა დაიწყოს.

აგესილაოს იმ ბრძენ მხედართ მთავარს და სპარტელე-

ბის მეფეს, როცა ეჩქარებოდნენ რომ პასუხი მიეცა თებაელებისაგან გამოგზავნილის მოციქულისათვის, ასე უთხრა: «არ იცით რომ საჭირო რამეების რჩევაში აუჩქარებლობა არის ფრიად უშიშარი საქმე, ვითამც დაყოვნება არის უფრო უშიშარი საშვალი, რომლით შეგვიძლია კარგად გარჩევა ჩინებულის საქმეებისა. აჩქარებით მოხდენილი გარდაწყვეტილებანი ფუდამ თითქმის საცდუროვანი და მავნე ყოფილან.

უკეთესი რჩევა ის დაითვლება, რომელსაც ვინმე თავის სარგებლობის წინამღმდეგ მოგვცემს ჩვენ.

ძველად ათინელებმა, როცა მტრის ომში გაიმარჯვეს და თითქმის მთელი საბერძნეთი დაიმონავეს, უნდოდათ მაშინ სიცილიის კუნძულისაც დაჭერა. ამ საგანზედ დაიწყეს რჩევა რჩევაზედ; ზოგი ასე ამბობდა და ზოგი ისე. ამ რჩევაში იყო ჩინებული ათინელი მხედართ მთავარი სახელად ნიკია, ამან ურჩია, რომ იმ საქმისათვის ხელი არ მიეყოთ. ათინელებისაგან ამისი რჩევის დაჯერების უებარი მიზეზი ეს იყო, რომ ნიკიას მიცემული რჩევა თავისი საკუთარი სარგებლობის წინამღდეგი იყო: ამიტომ, რომ ათინელები, თუ მშვიდობაში დაშთენილ იყვნენ და ომი არ გაეშალათ, მაშინ სხვა მრავალნი ჩინებულნი ათინელები თავიანთი ჭკუვით, თუ თავიანთი ჭევრმეტყველობით, ნიკიაზედ უფრო დიდებულნი იქმნებოდნენ ხალხის წინაშე; ხოლო თუ ჩხუბი გაეშალათ, მაშინ მარტო ნიკია, ვითარცა ჩინებული მხედართ მთავარი თავისი სიმხნითა ყოველ ათინელებზედა წინ წავიდოდა და იდიდებოდა.

გონიერ და ბრძენმა მრჩეველმა თავისი ჭკუვით ღრმათ უნდა დასჭვრიტოს და დაინახოს არა თუ მარტო აწ მყო საქმეები, არამედ მომავალი საქმეებიც და მთელი იმ საქმის ყოველი შედეგები კარგად უნდა იფიქროს და გამოიძიოს;

აგრეთვე იქითგან წარმოებული ყოველი შეუსაფერობა და ვნებანი. ვენეციელების კრების ჭკუა და გონიერობა არა ვის შეეძლოს ღირსეულად და საკადრისათ აქოს: იმათ დღეს რომ რჩევა ექმნათ რამე საგანზედა, მაშინვე იფიქრებდნენ კიდევც, რომ ორმოცის წლის შემდგომ რა შედეგები შეიძლებოდა მოსულ იყო იმ საქმებისაგან.

რჩევაში არ უნდა მივებაძოთ ფრიგიელების ტომსა. ამბობენ, როცა ამათ ჭირი და სიმარცხე თავს გარდახდებოდათ, თურმე მაშინ გაიფხიზლდებოდნენ, წავიდოდნენ კრებაში და იწყებდენ რჩევას, თუ რა გზით შეეძლოთ სიმარცხის თავიდან აცილება.

რჩევაში ნამეტური ყინაობა სიბრმეა, ამისთვის არ უნდა იყოს იგი; ვინც არ შეუძლია იმ განსაცდელების და შეუფერებლობის დანახვა, რაც შეიძლება წარმოსდგეს რჩევის ქმნის დროს სჯობს განსაცდელების დანახვა; გარნა საქმის დაწყების დროს არ უნდა მივხედოთ იმათ, თუ რომ ძალიან დიდი განსაცდელნი არ არიან.

რამეზედ რჩევის ქმნის დროს, უკეთესი და ჭკუვითი განზრახვა ის არის, რომ საქმე აწ მყოფობითად როგორც არის, ისე გავიცნათ; და რადგან შეუძლებელია მოხდენილი საქმის შეცვლა, მაშა სადამე მაშინ აწ მყო ბოროტის ასახვნელათ ღონე უნდა იფიქროს და მომავალთ-ზიანების შეყენება. გონიერი მრჩეველი იფიქრებს, რა უფრო უკეთესი იყო გავლილი საქმისათვის და მასთან რა უფრო სასარგებლოა აწ მყო საქმისათვის.

ბერძნების ჩინებული და ბრძენი თავადი პერიკლე ჩვეულებითად იტყოდა ხოლმე რომ «ძლიერ კარგი მრჩეველი დრო არისო.»

დიდი სარგებლობა ექმნება კერძო პირსა, როცა გონიერნი კაცნი მხარში მიუდგებიან, რომელთაც შეუძლიათ კარგი რჩევის მიცემა მისთვის, და დიდი გონიერებაა.

რომ ყურად ღება მიაქციოს თვითონაც იმათ აზრებსა. მაგრამ დიდ კაცობაში საზოგადოდ ეს საქმე წინ არ მიდის, ამიტომ, რომ იმათ ის მრჩეველნი უფრო უყვართ, ვინც იმათ პირმოთნეობენ და იმათ აზრებს არ გაამტყუნებენ.

ერთხელ როცა ქსერქსი, სპარსების მეფე, უშველებელი ურიცხვის ჯარით მიდიოდა ბერძნებზედა, ჰკითხა თავის მრჩევლებსა, რომ რას ფიქრობენ, რა აზრი აქვსთ იმათ ამ საქმეზედა? ყოველთ თითო თითო სიტყვა სთქვეს: ერთმა სთქვა, რომ ბერძნები ვერას ღონით ვერ გვეომებიანო. მეორე მიუბრუნდა და უთხრა, რომ ამ ჩხუბის დროს ქსერქსი თავის წინაამღდგომს ვერა ვის ნახამს, თუ არ მხოლოდ დაცარიელებულ ქალაქ-დაბებსო; მხოლოდ იმათში დამარეტომ ეს რჩევა მისცა მეფესა: მაგდენად ბევრი მინდობილობაც ნუ გექმნება მეფეო, მაგოდენ შენს უთვალავს ჯარზედა, რომელიც შენთვის უფრო ტვირთად არის, ვირემც სარგოდ, ამიტომ რომ მარტო მთის ყელებში ჩამდგარი სამასი კაციც კმარა მაგ შენი ურიცხვი ჯარის წინ დასადგომათ და მაგათი მთელი ძალის დასალეწადო. და მართლადაც შესრულდა, როგორც შორმხედველობით წინად უთხრა მან. ვაჲ იმ მთავარსა, ვაჲ იმ წინამძღვარსა, რომელსაც იმდენ ათასეულ ქვეშევრდომებში ერთი კაცი ძლივს ეყოლება, რომელმაც სიმართლის თქმა გაუბედოს იმას.

ალფონსო მეფე ჩვეულებრივ ამ სიტყვას იტყოდა ხოლმე: «ჩემი მიცვალებული მრჩევლები (წიგნები) უფრო სასარგებლო არიან ჩემთვის, ვირემც ცოცხალი მრჩევლები; ამიტომ რომ ისინი ცხადად სწორედ სიმართლეს მეტყვიან მე პირდაუფერებლად, უშიშრად და შეურცხვენელადო.»

მაგრამ რაც უნდა იყოს, მთავრისა გინდ მეფის უშიშ-

არი მდგომარეობა ის იქმნება, რომ მისი შინაგანი მრჩევლები არ გამოსცვალოს მეტადრე ისინი, ვინც საკუთრად მისი მრჩეველნი იყვნენ ბოლონდელ რჩევის გარდაწყვეტილების დროს; თუ არა იმ ნაირნი პირნი იმ დროს დაკარგულის გასაღებლებივით არიან: შენი შენახული საუნჯის გასაღები რომ დაკარგო, სხვა ღონე, სხვა საშვალება არ არის შენთვის, გარნა მხოლოდ კლიტე (მოქლონი) უნდა გამოსცვალო.

დიდი კაცების მრჩევლებმან ისეთი რჩევები უნდა მისცენ, რომ იმათ მფლობელობის დიდობისა და პატივის შესაშვენი და სასარგებლო იყოს, და არა იმ ნაირი რჩევები, რაც თავიანთ აზრსა და თავიანთ სვებედს შეჰფეროდეს

დიდი ალექსანდრეს თავადმან, პარმენიონმან, როიცა შეიტყო, რომ სპარსის მეფეს დარიას დიდროვანი ძღვენები გაუგზავნია ალექსანდრესთვის და ალექსანდრეს არ მიუღია, უკანვე გაუბრუნებია; მიუბრუნდა, უთხრა ალექსანდრეს ესრედ: «მე რომ ალექსანდრე ვყოფილ ვიყავ, უეჭველად იმ ძღვენებს მივიღებდით.» მიუგო ალექსანდრემ: «მეც უეჭველად ეგრედ ვიქმოდი, თუ რომ პარმენიონი ვყოფილ ვიყავით.»

როდესაც რჩევაში ერთი საქმე გაირჩია და გადაწყდა, ბევრი დაგვიანება მისი სისრულეში მოყვანისათვის არ ვარგა; წინაღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დიდი მავნებლობა წარმოსდგეს იმისაგან.

როგორც რჩევის კრებაში უფროსისადმი კარგი და ჭკვიანური რჩევის მიცემისაგან, უკეთესი არ არის რა, ასევე მისი მიცემული კეთილი რჩევის წარმოებისაგანაც რადგან აქედგან წარმოსდგება დიდება და პატივი.

გონიერების პირველი მეცადინეობა უნდა იყოს ის, რომ კარგი რჩევები მისცეს; მეორე ის რომ ისინი აღ-

პრომოვის.

ამ მიზეზისათვის ძველი ბრძენ ეგვიპტელთა თავიანთ მეფეებ გამოირჩიეს დიოდისით. ქს პირი ისე მოგვრილი იყო რჩევის მიცემაზედ, ისე ხელოვანი იყო რჩევის მიღებაზედ და ისეც ოსტატი იყო ჭკუვით იმათ შეცვლაზედ, როცა საჭირო იყო, რომ ვიდრე ამ სიტყვას იმაზედ ამბობდნენ: «იმ კაცს, რა სახე, რა ფორმაც იყოს შეუძლია მიიღოს.»

იმდენს ზიანს არ მისცემს საზოგადოებას ცუდი უმფროსი, რომელსაც კარგი მრჩევლები ეყოლება, როგორც კარგი უმფროსი მაგრამ ცუდი მრჩევლების ხელთ ჩავარდნილი.

არა არის რა ისეთი შეუფერებელი ბრძენი მფლობელიისათვის, როგორც ის, რომ ყურს უგდებს და მიჰყვება იმ კაცების რჩევასა, რომელნიც თავის ნაირი ხასიათისა და ჩვეულებაებისა არიან.

ბრძენმან მრჩეველმან იმ ნაირი რჩევა უნდა წარსთქვას რომლის შესრულება შეიძლებოდეს; გონიერების წინამდღეგი განზრახვა როგორც უნდა იყოს, უგუნურობის ცვალია, და ამისთანა რჩევა სახელმწიფოების დაქცევისაც მიზეზი გამხდარა თუმც თავ და პირველად საქებურად და საგანგებოდაც სჩნდეს, გარნა არსებითად მატყუარობა არის, და რა წარმოებაში მიეცემა, მაშინ თავის საგანგებობას ჰკარგავს და ჩნდება თუ რა უსარგებლო და უქმი განზრახვა ყოფილა.

ერთხელ, როცა სპარტელების თავადები რჩევაში იყვნენ ზოგიერთთა სიტყვა წართქვეს, რომ მრთელი საბერძნეთი ხარკის მძლეველობისგან განეთავისუფლებინათ. მაშინ მათმა მეფემ, აგისმა ეს სთქვა: «ეგ წინადადება მართლად ძლიერ კარგი არის, მაგრამ ძლიერ ძნელად შესასრულებელი: რადგან უნდა მივხედოთ, მე-

ჯობრებით, რომ მაგ თქვენს წინადადებასა დიდი ჯარის ურდო და დიდ ძალი ოქროს საუნჯე მოუნდებათ.»

მეტის მეტს წმიდა და მეტის მეტ ღრმად წასულს რჩევებს ბევრ ყურს ნუ ათხოვ და ძალიან გონებას ნუ მოდალავ, რადგან ცოტა ჯერ მოხდება, რომ კარგი ბოლო ჰქონდესთ. სპარტელები ამ კერძოდ უფრო შესანიშნავი იყვნენ მინამ ათინელები.

ამ რიგი რჩევები მეტის მეტ წმიდად დართულის ძაფივით მალე გაწყდებიან. ზომის გარედ ღრმად შესვლას და ზომის გარედ მიცემული წმიდა კანონები ერის ბუნებას არ მიუდგება. ერობა მუდამ უფრო დიდად და უფრო დევ გმირულ საქმებად სთვლის ვაჟკაცურად გარიგებულს საქმესა; ხოლო დიდი გაჭკვრეტით და გვიან ნაქმნარ საქმებს, თუმც უფრო უშიშარნი არიან, მაგრამ ისე სთვლის როგორც უძლურის ჭკუვისა და მოშიშის კაცისაგან წარმომდგარს.

## ნ ა კ ვ ე თ ი ლ ი  კე

## რ ო გ ო რ ი  გ ო ნ ი ე რ ე ბ ა  და  რ ა  ჭ კ უ ვ ი ს  ხ მ ა-რ ე ბ ა  ს ა ჭ ი რ ო ა  გ ა ნ ს ა ც დ ე ლ შ ი ?

ვინც ამ გარყვნილს და წამხდარს საუკუნოებაში ცდილობს თავისი თანამდებობაების ასრულებას, მაგრამ თვინიერ ამისთვის საჭირო გონიერებისა და თვალღიობისა, და მიჰყვება მუდამ მხოლოდ სათნო და მართალი ცხოვრების გატარებას, (რომელიც ძლიერ სანატრელი რამ არის ჩვენ ყველასთვის და რომლის მუდამაც მოვალე ვართ ყოველნი), მაგრამ ამას იქმს როგორც თუ თვალდახუჭული იყოს, ოთხკუთხივ არ იხედებოდეს და ღვთისაგან მიცემულს ჭკუვას არ ხმარობდეს, იცოდე, რომ

იმისთანა კაცი დიდ განსაცდელში ჩავარდება, და დაჰკარგამს ერთიანად თავის უფლობასა და თავის სვებედსა.

იცოდე, რომ ძლიერ უცოდო და კეთილი კაცნიც, თავის დროზედ ჭკვის მოუსმარებლობით დაქცეულან. მუდამ გახსოვდეს, რომ დროება მოვა, გეგონება თითქოსო ციდგან მელები წვიმდნენ, კარგი კაცი ავი კაცის ხელისაგან მუდამ განსაცდელში არის; ამისთვის თვალი ოთხად უნდა ჰქონდეს გადებული.

გარნა მადლობა ყოვლად კეთილს ღმერთსა, იმისთანა დროზე მოვსულვართ ჩვენ ქვეყანაზე, რომ მართალს და სათნო კაცს შიში არა აქვს, მშვიდობიანად არის; თავისი მართალი ცხოვრება სიმარცხისა და შეწუხების მიზეზად არ გაუხდება, და გონიერად მოქცევითა არას ოდეს დიდებულობას არ დაჰკარგამს.

ერთხელ ათინელების შეკრებულობაში ერთმა საზოგადო კაცმან წინა დადება შეიტანა, რომ ის ჩინებული კეთილი კაცი არისტიდე ქალაქის გარედ გაეგდოთ. ჰკითხეს ამ კაცს: რა ბოროტი საქმე უქმნია შენთვის არისტიდესა? მიუგო: «ბოროტი საქმე კი არა ვიცი რა, რომ ჩემთვის ექმნას, მაგრამ კი ეკლად გამხდომია: მუდამ ყურებში მიჩხვლეტს, როდის ყოველ მხრით მესმის, რომ კეთილი და მართალი კაცია ეს კაციო.»

ცუდს და წამხდარ დროებში კეთილი და უცოდო კაცნი სასაცილო იყვნენ იმ დროს კაცებისა. თუ რომ კეთილი უცოდო იყვნენ, სულელიაო, იტყოდნენ; თუ რომ ფერთხილი იყვნენ და ქვეყანაში გარეულს კაცებს პირს არ აძლევდნენ, ჯაუნურიაო, იტყოდნენ; თუ რომ უსვინდისო კაცების წურთნას და მხილებას დაუწყებდნენ რა ბრიყვია რა უზრდელი კაციაო, იტყოდნენ?!

საიონო და წყნარი ცხოვრების გატარება ჭკვით და გარემოხედულობითურთ ნამდვილი და კარგი მოქალაქობა

(პოლიტიკა) არის; დ ამ ნაირს ზრდილობიანს ყოფა ქცევას, მუდამ თუ სიბრძნე თან ექმნება, ძლიერ კარგი სათნო ცხოვრება იქმნება.

ვთქვათ, რომ ზღვით მგზავრად წასულ ხარ, დ ხედავ რომ ქარი მოიშალა, ღელვამ შეგაჭირვა შენ, დ საცდურში იპოვები. მაშინ ჭკვიანის ნავთ მოძღვარივით, ზვირთებს უნდა აჰყვე დაჰყვე: იმათ თავის მინებებით, შეგიძლია განსაცდელისაგან გადარჩენა; ასე რომ ღელვას სხვა ვერა ფერის ქმნა შეეძლება, გარნა მხოლოდ იმისი რომ შენს ნავს ასწევს, აქეთ იქით წაიღ წამოიღებს, მაგრამ აფრებს კი ვერ დაგიხევს, დ ნავს ხმელეთზედ ვერ გაგიგდებს.

მგზავრად გასული ხარ: საცდურიანი ტყეთგან უნდა გაიარო, სადაც ნაირ ნაირი მხეცები ბუდობენ; რათა რომ უშიშრად შეგეძლოს გავლა, საჭიროდ გაგიხდება ზოგჯერ იმ მხეცების ტყავი ჩაიცვა დ ისე გაიარო კარგად გაიგე ეს სიტყვა: მინდა გითხრა, რომ სადაც საჭიროება მოითხოვს დ შეიძლებოდეს უცოდოდ ჭკუა იხმარო დ გაუმეგობრდე სხვათ; ამით ასარგებლებ შენს თავსა დ სხვათაცა. ეს ის ჭკუის ხმარება არის, პავლე მოციქული რომ ამბობს: «მეცნიერი ვიყავი, ჭკუით მოგეპყარ თქვენ.» კვალად რომ «ურიასთან ურიასავით გავხდი, უსჯულოსთან უსჯულოსავით გავხდი, მაგრამ უსჯულო კი არ ვიყავი.»

ავაზაკებში გავლისა, თუ რომ მთხოველი გლახასავით იმგზავრო, რომ შენ ავაზაკებმან არ გიცნონ, შენ იმითი მთხოველი არ გახდები.

ეცადე, რომ სხვებში შენი თავი განსხვავებულ პირივით არ გამოაჩვენო; არამედ, სადაც შეიძლებოდეს უცოდოდ დ სიმართლითა შენი დროს გაურჩეველი ჩვეულებები შეიწყნარო.

ქალაქში სცხოვრობ, ჭხულამ იქ ნაირ ნაირ მემხრეების (პარტიების); შენ სრულიად ნურც ერთ მხარს ნუ დაიჭერ. ამიტომ რომ ჭკვიანი კაცი მუდამ თავის უფალია, და ყოველს მემხრეობაშიც ცდილობს გონიერებითა ზომის დაცვასა.

ამ ყოფით ერთხელ ის ბრძენი რომაელი პომპონიო ატტიკე, ბედნიერი იქმნა ყოველს მემხრეობის დროს იმ ქალაქში რომელშიც თვითან სცხოვრობდა; ბევრნიც მას ებაძებოდნენ, რომლებშიც თვითან ბედნიერს და მოსვენებულს ცხოვრებას ატარებდა.

იცოდე რომ მთავრობაში ყოფილი პარტიობა დიდ ხანს ვერ გასძლებს: ასრე რომ, თუმც მთავრობამ ისინი თავისი მფლობელობითა არ მოშალოს, ისინი თავის თავადვე მოიშლებიან, და თავიანთშივე გამორეულის ნაირ ნაირის უთანხმოებით მოუძლურდებიან და გაფუჭდებიან.

ერში სცხოვრობ, ჭხულამ, რომ მთელ ერს ერთ პირად რამე უნდა; თუ რომ შენ იმ დროს სრულიად გაურჩევლად დაშთე, იცოდე, რომ შენს თავს იმ საცდურში ჩააგდებ, რაც მოუვიდა დამურასა: ამას მფრინველები დაედევნენ ნისკარტით სცემდნენ და თაგვებიც დასეოდენ და ჭკბენდნენ რადგან არც ერთს არ ემსგავსებოდა.

ერთხელ ერთი ჭკვიანი კაცი შესახებ სამოქალაქო საქმეებისა ასრე ამბობდა: «ისეთი გული, ისეთი სიმხნე არა მაქვს მე, რომ მე უფრო ვისურვო ლომმან დამფრიწოს ვირემც თუ მრთელ ჩემს სიცოცხლეში ბუზების ხელითგან შეწუხება ვსწიო.»

ამის გარდა, ბრძენს და სათნო კაცთა არცადა შეუძლიან იმ კაცების ჭკუვას მიჰყვნენ, რომელნი მხოლოდ თავიანთ თავის საკუთარი შესაძინისათვის ირჯებიან. ამ გვარნი ჰგავან იმ ორგან მცხოვრებს ე. ი. ზღვასა და ხმელეთ ზედა მკვიდრს მფრინველსა, რომელზედაც ჭკვია-

ნურს არაკს ამბობს ლეონ აფრიკიანი: ეს ფრინველი ისე ვერაგი, ისე მუხთალი იყო, რომ, როცა მფრინველების მეფე გადასახადს სთხოვდა, ეს მუდამ ეტყოდა: «მე ოთხფეხების გვარისაგან ვარო.» ხოლო როცა ოთხფეხების მეფე ამისგან რამე სამსახურს მოითხოვდა, ეს კიდევ ეტყოდა: «მე ფრინველების [illegible]მისა ვარო.»

როცა შენ საკუთრად შესანიშნი რამ სიმარცხე მოგივა, მაშინ შენთვის უებარი წამალი ეს არის: ეცადე, რომ მუდამ საქმეზედ იყო, საქმეში გართო. ამიტომ, რომ თუ უსაქმურად დარჩი, დარდი და სხვა და სხვა ფიქრები აღიძვრიან შენს გულში და არ მოგასვენებენ მაგრამ თუ საქმეს აიჩენ, მაშინ ადვილად შეიძლებ იქითგან განთავისუფლებას. მას მერმედ საქმე როგორც იქმნება, რა მხარესაც მიბრუნდება, ყველთვის გული დაიმშვიდე, რაც ხელითგან გამოგივა ჰქმენი, მხნე გულოვნობა აჩვენე, და გამოაჩინე, რომ საკმაო უშიშრობა გქონია საქმეზედ ხელის მიყოფისა და შენის თავისა სიმარცხისაგან მორჩენისა.

გარნა ყოვლისაგან უფრო ეცადე, რომ შენის შეძლებისაგან მაღალს საქმეს სრულიად ხელი არ მიჰყო; არამედ უკეთეს და უწინებულს რჩევად ეს გქონდეს შენ, რომ ქვეყნის მართვის ზრუნვა დაუტევო ღმერთსა რათა როგორც მას ჰნებამს ეგრედ განაგოს თავისი გამოუთქმელის სიბრძნითა.

ღონე არ არის! უთვალავი განსაცდელებითა და ათასნაირი შემთხვევებითა სავსე არის ეს ჩვენი ცხოვრება. თუ რომ სრულიად კმაყოფილი და მოსვენებული ცხოვრების გატარება გინდა, შენ შენს კერძოდ შენი ვალი აასრულე და სხვა ყოვლიფერი მიანდე საღმთო წინაგანგებულების ხელთა, და თავი დაანებე კაცთა, რომ მშვიდობით დაიმშვენონ თავიანთი საკუთარებანი.

## ნაკვეთილი ბზ.

### ვითარ უნდა შეაყვარონ კაცმა თავი სხვათა და გული მოუგოს იმათ.

გონიერება და ჭკუა გვასწავლის, რომ სანამ ამ ქვეყანაზე ვართ, უნდა ვეცადოთ კარგი კაცობით თავი შევაყვაროთ სხვებს. და მართლად სხვა ჩვენს საქმეთა შორის ესეც უნდა იყოს ჩვენთვის ძლიერ სასარგებლო საშვალება.

მოხუცებული იყო თუ ვაჟკაცო, ფრთხილად იყავ არ იქმნას, წინა აღუდგე და დაამტკიცო შენს დროს მყოფნი უმცებელნი ჩვეულებანი; თუ არა, შენს სახელს წაიხდენ და შენს სახლს განსაცდელში ჩაავდებ. უფრო უნდა ეცადო რომ შენი სახელი და შენი ოჯახობა უშიშრად ჰყო, შენი კაიკაცობით საყვარელი იყო და სხვათ გული მოუგო. ამიტომ, რომ კაცი კაცის დამჭირნეა.

პლატონ, დიდი ფილოსოფოსი, ჭკვიან კაცს ამსგავსებს ოსტატს მოთამაშესა, რომელიც ნარდს აჭყრის და როგორც მოვა, თვითანაც ისე თავის თამაშობას მოაწყობს ჭკუვითა. ასრეთვე ჭკვიანმა და გონიერმა კაცმან თავისი ცხოვრება უნდა მოაწყოს თანახმად ნაირ ნაირ შემთხვევათა და გარემოებათა, რომლებში ბევრჯერ განსაკუთრებული ჭკუა უნდა ვიხმაროთ.

შენ უნდა მიემსგავსო კატონ ფილოსოფოსსა, რომელიც თავის ხასიათს შეაწყობდა ყოველს შემთხვევაებსა, და სრულიად რამე ფერის გარდაკვრასა, ანუ მღელვარებასა არ აჩვენებდა.

გვმართებს ჩვენ, რომ ჩვენს სამოქალაქო ცხოვრებაში მივჰყვეთ ჩვენი ადგილის და დროის ჩვეულებათა.

გონიერი, ჭკვიანი მოხუცი, თუმცა მას გავლილი თავისი დროება თვითან კარგად უჩნდეს, უნდა ჭკუვით მო-

ჰყვეს აწ მყო დროს ჩვეულებათა, როცა უცოდველნი რამენი არიან.

როცა ვინმე შენგან რასმე სათხოვარს ან შემწეობას თხოულობდეს, რომელიც შენ არ გინდოდეს მისცემოდა ანუ თუ არ შეგეძლოს, მოუფრთხილდი, მაშინვე, არ მოგცემო, ნუ ეტყვი: სჯობს დაამშვიდნეულო ისა, რადგან ამითი მიუცემლობის სიმწარეს დაუტკბობ. ისეთი სახით მოიქეც, რომ შენი მასთან მოპყრობა, როგორც თუ სათხოვარივით იყოს; ეცადე, რომ შენმა ტკბილმა სიტყვებმა შენი საქმის ნაკლებულობა შეავსონ, და როცა საქმით არ შეგეძლოს კაცთ დაკმაყოფილება, მაინც შენი კეთილი გული აჩვენე იმათ.

თუ რომ კაცს იცნობ, ქვეყანას იცნობ, როგორც რომ რიგი არის, და მასთან ზრდილობაც გექმნება, მაშინ შეიძინებ კაცის გულსა. თუ რომ რაც ჭკუა მოუცია ღმერთს შენთვის, როგორც რიგი არის, მოიხმარო, მაშინ დიდ სარგებლობას და დიდ ნაყოფებს შეიძენ.

შინაური და ზრდილობრივი მოპყრობა ერთობ უფლობს და ხელმწიფობს კაცის გულზედა. ერთხელ ერთ დიდი თავადი, თავისი კაცობრიობითის ნიჭებითა მეტად დიდი ქებაების ღირსი გახდა. ადვილად შეეძლო ყოველ კაცს მუდამ დაახლოება ამ კაცთანა: ზნეობა, ხასიათი მუდამ მხიარული ჰქონდა; ყოფა ქცევა მუდამ ტკბილი და წყნარი: და როცა საკუთარი მიზეზი ექმნებოდა რომ ვისთვისმე სათხოვარი არ შეესრულებინა, მაშინ ისეთს ტკბილს სახეს და ლაპარაკს იხმარებდა, რომ მისგან მთხოვნელნი თუმცა ხელცარიელნი, მაგრამ მაინც მადლიერნი უკან დაბრუნდებოდნენ.

ჭეშმარიტებას დიდი ძალა აქვს; ჭკუას და მიზეზებს დიდი გავლენა აქვსთ; სიმართლესაც დიდი შეძლება აქვს; მაგრამ ამ სამთავეს სრულიად შნო და მადლი არ ექმნებათ,

თუ რომ კაცობრიული ყოფა ქცევა დ~ ერთი მადლიანი სახე თან არ ექმნებათ .

ხელოვანი დ~ ჭკვიანი ნავთ მძღვარი მუდამ თავის აფრების ქარი რა სახითაც იქროლებს, იმის დაგვარ მოაწყობს .

შენს კერძოდ ძლიერ დიდ გონიერობას იქ, თუ რომ შენს ყოველს უკეთეს დ~ მოსაწონარს საქმებს, შენს ყოველს მშვენიერს ხასიათებს, შენს ყოველს მოხერხებულობას პირველად მართალის სიმდაბლითა შენს გულში ღმერთს შესწირამ ; დ~ მეორედ შენის პირითაცა აღიარებ ადგილის დაგვარ, რომ ღვთის ნიჭნი არიან ესენი დ~ შენ იმათში მონაწილეობა არა გაქვს . იცოდე, რომ მრავალი მეშურნე არის ქვეყანაზედა, დ~ ამ სახით შენ კარგად გზას მოუჭრი ბოროტს შურსა, რომელსაც მუდამ შეუძლია შენი შეხება დ~ დაქცევა ; დ~ რომელიც ამის გარდა მრავალთაც შეუგიზგიზებს შენ წინამღდეგად გამოიყვ ნს, დ~ მტერებს გაგიმრავლებს .

როცა შექცევაში ანუ საქმეში უნდა შეხვიდე, ეცადე მაშინ, რომ ყოველი სიმწუხრე, ცუდი ჩვეულობა დ~ მავ ნაღვლიანი ხასიათები თავითგან განიშორო დ~ კაცობრივი ტკბილი სახე იხმარო . ეს არის უებრო გზა თავის შეყვარებისა, დ~ ამით შენის კარგის სურვილებისა დ~ შენის კეთილის აზრებისადმი მიწევნა ადვილად შეგიძლიან .

ფილოსოფოსს ქსენოკრატეს, თუმც ძლიერ ფიცხი, მწუხარე დ~ კაეშანიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკის დროს ძლიერ ზრდილობიანი დ~ ტკბილი იყო . ამ საგანზედ ერთ დღეს პლატონ ფილოსოფოზის მოწაფეებს, რომელთაც უკვირდათ, მიუგო ქსენეკრატემ : «რა გიკვირსთ თქვენ, როდესაც ხედავთ, რომ ვარდი დ~ შროშანი ეკლებში ამოდიანო !»

აგრეთვე შენც თუმც მწუხარე დ~ მავნაღვლიანი რევანი

(სასიამო) გქონდეს, ეცადო უნდა შეეწყო სხვას, სხვათა ნათქვამი არ შეურაცხყო და წინამძღვრობის მოყვარული სული არა გქონდეს. თუ რომ მოხდეს შექცევაში, რიგ გარეთი სიტყვა ანუ აზრი გაიგონო სხვათაგან; მაშინ ზრდილობითა ან შენი აზრი სთქვი, ანუ სიტყვა სიცილ ხუმრობაზედ გარდაიტანე. ვსთქვათ, რომ ანაქსაგორა ფილოსოფოზის უმსგავსო აზრი გაიგონო ვისმესაგან შექცევაში, რომ მიეყინოს და ამბობდეს თოვლი თეთრი არ არის შავიაო; მაშინ შენც უწინაღმდეგოდ შეგიძლია ხუმრობაზედ გარდააგდო და სთქვა: მაშა სადამე ფისიც შავი არ არის, თეთრია, და ღამეც ბნელი არ არის, ნათელია! ანუ თუ როგორც ერთხელ ფავორინო ფილოსოფოზ მიეყინა, რომ ოთხ დღე გაშვებითი ციება სნეულება არ არის, კარგი რამ არისო. ამ ნაირი რიგ გარეთი ლაპარაკები, შექცევაში რომ მოხდეს, თვინიერ ჩხუბის მოყვარულობისა, საპირდაპირო სწორე აზრი რიგიან უნდა ითქვას და დამტკიცდეს თუ არა და როგორც ვსთქვით, სიცილ ხუმრობაზედ გარდაგდოს; ერთის სიტყვით უნდა ვეცადოთ, რომ შექცევის სიტკბოება ჩხუბით ანუ შეუფერებელის ქცევით არ გაამწაროთ.

მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ არ იქმნას თავის შეყვარებინების გულისათვის, შენი დროის ბოროტ ჩვეულებათა მიჰყვე. ამიტომ, რომ იმისთანა გარემოებაში უნდა ცდილობდე რომ უფრო ღვთისა და კარგი კაცების საყვარელი იყო, ვინემც თუ ავი კაცებისა. ერთხელ ამბობდა ერთი ფილოსოფოზი რომ «უფრო ვისურვებ, რომ თავი მომჭრან, ვინემც თუ თავი მოუდრიკო მე ამ დროის ცუდს და მავნე ჩვეულებათაო.» ამისთვის თუ ხედავ, რომ ბოროტნი ჩვეულებანი გამრავლებულ არიან შენს სამყოფ ადგილას, სჯობს რომ მოშორებული დაჯდე შინისთვის ვინემც თუ შექცევაში გაერიო.

აგრეთვე, როცა ნახამ, რომ შენზედ ისეთს მწუხარე და მაგ ნაღვლიანს რევანს (ხასიათს) ეუფლის, რომ ამხანაგობაში არც ერთი დროების უცოდველი ჩვეულებების მიყოლა არ შეგიძლია, და ამის გამო შენზედ უნდა ალაპარაკო, უფრო უკეთესია მარტოკა ცხოვრება შეიყვარო და მარტოდ დროება გაატარო, ვინემც თუ შენი თავი განსაცდელებში ჩააგდო ამხანაგებში შესვლითა.

ხოლო რადგან მარტოობაც შეუძლებელია, რომ გქონდეს, როდის სამსახურის და საქმის ხელით გატარების გზა კვალს ადგიხარ, გმართებს სადამე უბრალო ცხოვრება შეიყვარო, რომლითი მარტოობასაც მოიპოვნი.

მაშ სადამე თუ როგორი დიდი ხელოვნება და გონიერობა არის უბრალო ცხოვრების შეყვარება და ისე ცხოვრება ამ სამწუხარო და განსაცდელით სავსე ცხოვრებაში, როგორც სასიამოვნო, როგორც ცოდვისგან მოშორებული? და როგორც დიდ დიდის სარგებლობის და ნაყოფების მომტანია კაცისთვის, წაიკითხე ყურადღების მიქცევით ამის შემდეგი განკვეთილი.

## ბ ჯ კ ვ ე თ ი ლ ი კზ

### მარტოდ განშორებულსა და უბრალო ცხოვრებაზედა.

განშორებული და მარტოდ ცხოვრების თქმით ნუ გგონია, თუ გირჩევდეთ ქვეყნიდგან განშორებას, ბერად შედგომასა; არამედ რათა ქვეყანაში დაშთენილმან დიდგვარიან სამსახურებსა და დიდგვარიან საქმებში შენი თავი არ გაბილანდო გამარტოვებული და წყნარი ცხოვრება გიყვარდეს, შენს თავსა, და შენს სახლს-მამულსა და შვილებს მშვიდობით შეუარო, ყური უგდო.

ამ ნაირი წესიერი და მარტოდ ცხოვრების გატარება ძლი-

სასიამოვნო, ძლიერ სასარგებლო რამ არის; ძლიერ მოსვენებული მშვიდობიანი და ძლიერ უცოდვო. შეგვიძლია მივამსგავსოთ ამ ნაირი ცხოვრება, როგორც თუ ვინმე განშორებული მარტოკა იჯდეს ერთ დიდს და მშვენიერს წალკოტში წყლის პირას: დაიმშვენამს თავის მარტოობის ნაყოფსა, და იქ იმ, მოსვენებასა და ბემოვნობასა, რომლისა ქვეყნის ხელმწიფობასაც არ შეეძლო მიეცა მისთვის. იქ ხედამს, უყურამს თვითან ბუნებას, იმ მშვენიერს დედას, რომელიც მუდამ ახალ ახალი სამოსებითა ჰმოსამს, ჰრთობს მიწასა ათას ნაირის ფერად ფერადი ყვავილების აღმოცენებითა. ის ადგილი იმას ისე აჩვენებს, რეცა ის მდინარე წყლები თავიანთი ტკბილის ხმითა მის წინ ჩავლისა, თავიანთ სიამოვნებას ატყობინებენ იმას, რომ იქ იმას ისე მყუდრო მოსვენებით მჯდარს ხედ; ნ; ის ტკბილი და გემრიელი ნიავებიც აგრილებენ მას. და ერთის სიტყვით იქ ის კაცი ისეთს ძლიერ სიამოვნებას იმშვენებს, რომ არა შურს ის მშვენიერი ხეივანნი და მშვენიერ საყვავილეები, რომელნიც როგორც ამბობენ, ჰქონიათო ერთხელ იმ ჩინებულ კაცთა ალკინოსა, ადონის და ლუკულლესა. აგერ ამოდენია და უფრო ნამეტურია საზოგადო ცხოვრების დამშვენება და მოსვენება შედარებითა დიდგვარიანი საქმეებში შემსვლელის და გართულის კაცისა.

დიდი აღსავლის შოვნისათვის ოფლის მოწურვითა უშან ჩამოდგომანი, ის შფოთით სავსე პარტიობა, ის სულთა მხუთავი შური სხვის მდგომარეობაზედა, სხვის ფულზედა, სხვის უფრო წინ წასვლაზე კაცების ანგაარებისა და დიდების მოყვარულობის გასაძღომათ გამოვლილი; ეს ყოველივე შორს არიან სრულიად კაცის გაცალკევებული და მარტივი მდგომარეობისაგან და მისი მოსვენებული მშვიდობიანის სადგომისაგან, სადაც იგი

იშვენებს, მოსვენებულის გულითა ღვთის მიცემულს სი-კეთესა მოსვენებულის სვინდისითურთ უშიშრად, უშურ-ველად და სხვის რაიმის უნატრელად; და იმას ნატრობს მარტო რითაც რომ მას საყვარლად და დიდად გახდომს შეუძლია წინაშე ღვთისა, და ამისათვის ცდილობს ზომი-ერის გართულობითა თავისი საზოგადო მდგომარეობის თანამდებობის კარგათ ასრულებას.

როდესაც მივა ლოგინში დასაწოლად, ღვთის მფარვ-ელობა არის მას ზედა; თავისი გლახაკი სახლი უფრო უშიშარი სადგომია, ვირემც დიდებული პალატები: იქ თავის სახატიურს სიგლახაკეში უფრო დიდ სიამოვნეს იშვენებს, ვირემც ათას ნაირს სიმდიდრეში; იქ თავისი ტკბილი ძილი არ გაუწყდება სრულიად; იქ იქმნება უშ-ფოთვარი მოსვენება; იქ ღამეს ატარებს შეუწუხებლად, ამოუოხრებლად; იქ დღეებს ატარებს უშიშრად და უფი-ქრელად.

უცოდობა მისი დამამშვიდებელი, მისი შემწე და მცვე-ლია, მით იქ არც მოსამართლის და არც სასამართლოს ში-ში არ არის; იქ ნაირ ნაირი თვალ მარგალიტულის ფარ-თო და ძვირფასი სამოსების დიდების მოყვარულობა არ არის; ერთის სიტყვით იქ არა არის რა, რომელმანც ის უძლებობაში და გარყვნილობაში ჩააგდოს.

ამ ნაირ გულ მოსვენებულს კაცს თითქოსი მშვენიე-რი მოწმენდილი ცა თავზედ დიდებულ ქუდად ხურავს; მისი სამკაული, სასიამოვნო სანახავი და საფიქრებელი რამები არიან: ქვეყნის მოძრაობა, ვარსკვლავთ და პლა-ნეტების ერთ ნაირად უწყვეტლივ საკვირველი ტრიალი და ღვთის წინაგანგებულობისაგან დადგინებული ის მშვე-ნიერი და საკვირველი ბუნების განწყობილობა.

თუმც ძლიერ მცირეც ჰქონდეს ამისთანას სადგომი, მაინც მოსვენებული და მადრიელი გულით იმაში

თვითან მხიარულად ზის: რადგანც უშიშრად არის, ბევრი და მომეტებული რამების შენახვისა და მოვრთხილების ზრუნვა არა აქვს და მათ მრავლის განსაცდელისაგან, მრავლის შიშისაგანაც თავის უფალია.

საზოგადო ცხოვრების მდგომარეობა თავის უფალია სრულიად, სხვათა მოუსვენრობის მიმცემის და ჩვენის მოსვენების შემრყევი, ამ ქვეყნის ყოველივე გართულობისაგან.

ამისთანა მდგომარეობაში კაცი ადვილად იპოვნის ზეცის გზასაცა, რომელსაც გაუდებს და უჩვენებს იმას იმნაირი აუშფოთებელი ცხოვრება და არა თუ მარტო შეაყვარებს იმ გზას, არამედ უშიშრადაც გახდის მას. შორს არის ამ პატიოსანის და ბედნიერის მდგომარეობისაგან მრავალი მოსამსახურების საჭიროება; შორს არის გამომჩვენლობა; შორს არის მრავალი ფულის საჭიროება, დიდს ალებ მიცემაში გართვა და ვაჭრული ნაირ ნაირი ზრუნვა და ნაღველი.

ადრიანე კეისრის დიდმა მხედართ მთავარმან სიმილემ, მრავალი სასჯელიანი და გართულობით სავსე, ცხოვრების გატარების შემდგომ, შვიდი წელიწადი განშორებული იდგა ერთს სოფელში. ამ რიგის მარტოვობით შვიდი წლის ცხოვრების შემდგომ, თავისი პირით აღიარებდა რომ მარტო შვიდი წელიწადი იცოცხლა მან ქვეყანაზედა; და ინება კიდევაც, რომ სიკვდილის შემდგომ მის საფლავზედ დაეწერათ ესრედ: «აქ დასაფლავდა სიმილე: მის თვალს მართლად ბევრი წელიწადები უნახია, მაგრამ თვითან მარტო შვიდი წელიწაწადი იცოცხლა.»

იქმნება თავადებისა და მეფეების პალატებში ვისმეს უფრო მრავალი მეგობრები ჰყავდეს, ვიდრე შენ, მსახურების სიმრავლე უფროს შენსა; ქონება ფულიც ჰქონდეს ბევრით მრავალი შენზედ, პატივი, დიდება და დიდსუ-

ის სახელებიც მრავალი ჰქონდეს უფროს შენსა ; მაგრამ სრულად ნუ გენაღვლება , რომ სხვები ამ უბრალო და წარმავალს რამებში უფროს შენსა მაღლა იდგნენ , ოდ-ომც შენ ეცადე , რომ შენის სათნოებითა მაღლა დადგე , და იმით მუდამ გამარჯვებული აღმოჩნდე ; ფეხ ქვეშ გა-ზჳერგნო ამ ქვეყნის მატყუვარებანი და სიზმრები .

ზენონ ფილოსოფოსმან ერთ დღეს როდესაც გაიგ-ონა თეოფრასტე ფილოსოფოსს აქებდნენ , რომ ბევრი მოწაფეები ჰყავსო , უთხრა : « მართლად რომ თეოფრა-სტეს გუნდი ჩემგან უფრო დიდია , მაგრამ ჩემს გუნდს უფრო ტკბილი ხმა აქვსო ! » აგრეთვე : თუმც სხვათა უფრო დიდებული ღირსების სახელები ჰქონდესთ , მან-ამ შენ , მომეტებული ფული , მომეტებული მიწები ; მაგ-რამ შენი ცხოვრება უფრო მშვენიერია ; რადგან მოშო-რებული , გაურთობელი , გამარტოვებული და უშფოთვე-ლი ცხოვრება არის და ზომიერის საზრდელით კმა ყო-ფილი !

ამ ნაირს მდგომარეობაში , თითქოსო არაფერი გაკლია და ისე გეჩვენება რომ ყოველიფერი შენი სურვილისა მე-ბრ სრულდება , ამ მდგომარეობაში მოძღურაობა არა გაქვს შენს სვებედზედა ; ცოტა ჯერ მოხდება , რომ შენ შემთხვევა შეგარყევს . ყოველს შენზე მოსულს ღვთის ხელითგან მოსულივით სიყვარულით და სიხარულით მი-იღებ , და თუ შეწუხებაც გქონდეს , მოთმინებით გასწევ .

ერთხელ ერთი ჭკვიანი კაცი , ამ ნაირს მდგომარეობა-ში მყოფი , ასრე ამბობდა : « დეე ! ნუ გაიკვირვონ უგუ-ნურ კაცთა , რომ მე ამ მდგომარეობაში როგორც თუ არაფრის საჭიროება არ მქონდეს . ამიტომ , რომ სრ-ულიად კმა ყოფილი ვარ მე ყოველი ჩემი ქონებულის რამებითა , რაც არა მაქვს არ მენაღვლება , უკან გამო-დგომის სურვილიც არ მომივა მე , და რადგან მეკმარის ,

რაჲც რამ მაქვს მე, ყოვლიფერიც დიდად მიჩანს მე.»

ვინც ამ ჩვენს ნათქვამს გამარტოვებულ უბრალო ცხ-ოვრებას გაატარებს, მოსვენებულ ცხოვრებას ნახავს, და არა ფრისა შეეშინდება, როდესაც რომ თუ სხვა მდ-გომარეობაში ყოფილ იყო, შეიძლებოდა შიში ჰქონო-და. ვინც სახლის ქვემო კეცში (ატაჟაში) სცხოვრობენ, უფრო უშიშრად არიან; და ზეითგან ქვეით ჩამოვარდნის ფიქრი არა აქვსთ.

ამ ქვეყნის ყოველი დიდება და დიდკაცობა, ყოველი ოქრო და ყოველი სიკეთე, თითქოს არა ფრად უჩანს იმისთანა კაცსა რომელიც კმაყოფილი და მოსვენებულის გულით იმშვენებს იმ თავის მდგომარეობასა. ამ ქვეყნ-ისა ყოვლიფერი ერთ წერტილად უჩანს იმასა; მაგრამ კი კაცნი ამ ერთს წერტილს იღებენ, ჰყოფენ და სწილ-ვენ დიდ დიდ თემებად, სამთავროებად, სამეფოებად, სახელმწიფოებად და სხ.

მეფე ფილიპე ერთ დღეს ჩხუბში წაიქცა, როცა ზეზე წამოდგა, მიიბრუნდა თავისი ტანის დატყობილი ხომა ნახა მიწაზედა, ამოიოხრა გულითგან და სთქვა: «ღმერთო! რა პატარაა ამ მიწის ზომა, რომელიც ბუნებას მოუცია ჩვენთვის, და კიდევ ჩვენ გვინდა, რომ მთელი ქვეყანა ხელში დავიჭიროთ!»

არიან მისთანებიც ქვეყანაზედ რომელნიც ისეთი უმა-დურნი არიან თავიანთი მდიდარის მდგომარეობისა და ისეთიც ხარბნი, რომ არა თუ კრეზის დიდი მდიდარი მე-ფის ოქროს, არამედ მთელი ქვეყნის ოქრო ვეცხლსაც არ შეუძლია იმათი გულის განძღომა; იმათი დაკმაყო-ფილება. გარნა ზომიერის და კმაყოფილის ცხოვრების სათნო და გონიერ კაცს, სხვა არა ფრისთვის არ შეუძლია ინატროს ჰქონდეს ბევრი ოქროები, თუ არ რათა გაჭ-ირვებულთ დაურიგოს და ანუ საზოგადოების ნაირ ნაირ

საჭირო და გამოსადეგ რამებზედ დახარჯოს. ოქროს მართალი კ, ზით გამამრავლებელი ღმერთი არის; და გამრავლების მიზანიც ეს სამი რამე არის: ერთი რომ მდიდარმან თავისი სახლი ზომიერად შეინახოს; მეორედ გლახაკებს სისაწყლე შეუმსუბუქოს; და მესამედ თავისი გვარი და სამშობლო გამოსადეგი და სარგებლიანის რამებითა შეამკოს და გაანათლოს. ეს სამი რამე რომ შეასრულდეს, ოქრო თავის ოხჭანს მიეწევა. ხოლო უამისოდ მდიდარი ნამდვილი მდიდარი არ არის; არამედ სწორედ უჭკუვო ანგაარია; და თუ სწორე გინდა გაიგონო, სრულიად აზულიო მდიდარი მეფის ვირი არის, რომელსაც მიდამ ოქროთი დატვირთულს ხედემდნენ კაცნი, გარნა ვერა ფერს სარგებლობდნენ იქიდგან. მართალია, თუ შენ ახლა მდიდარი ხარ, ამ გამდიდრებისათვის (როგორც ყოველთვის ამბობ) ბევრი გიფიქრია, ბევრი ჭკუა გიხმარია, (ოდე ც უსამართლობით არ იყოს) ბევრი ოფლიც მოგიწურია, და ბევრს გასაცდელებშიც შენი თავი ჩაგიგდია; ესენი ყოველა მართალია, მაგრამ ჩვენი ლაპარაკი ახლა ოქროს გამრავლებაზედ არ არის, არამედ გამრავლებულის ჭკუვით კარგ რამებზედ მოხმარებისათვის. სწორეს გეტყვი, ისე ჭკვიანად ვერ აჩვენებ შენს თავს ქვეყანასა ოქროების გამრავლებითა, როგორც გამრავლებული შენის ოქროების კეთილ საქმეზედ მოხმარებითა. პირველზედ შეუძლიან ილაპარაკონ კაცთა და სთქვან კიდეცა: «ეს კაცი გამდიდრდა, და ასე მალე, ვინიცის რამდენი უსამართლოებაები რამდენი მატყუარებანი მოიხმარა?» ხოლო მეორეზედ სხვა ვერა ფერის თქმა ვერ შეუძლიანთ სრულიად, მხოლოდ გაიკვირვებენ და გაქებენ.

მდაბალ და გაძარცვებულს მდგომარეობაში კაცი მუდამ უფალია თავის თავისა: ვერავინ ვერ უბრძანებს იმ-

ან; მხოლოდ ცდილობს იგი სიბრძნესა ჲ ჭკუვას მსახურად გაუხდეს, სითგანაც იმშვენებს იმ თავის უფლობასა, რომელზედაც იქადნიდა ერთ დღეს დიოგინე, მარტოდ მცხოვრები ფილოსოფოზი რომელიც ამბობდა: «ის დიდი არისტოტელი ფილოსოფოზი, ხელმწიფის პალატში მყოფი, მაშინ სჭამს პურსა, როცა ფილიპე მეფეს უნდა; ხოლო დიოგინე მაშინ სჭამს, როცა თვითან უნდაო.»

მართლად დიდი უჭკუობა არის ის, როცა კაცი გამოისახავს რომ მშვიდობიანად, უშიშრად ჲ მოსვენებით არ შეიძლება იყოს, სანამ დიდი კაცი არ გახდება! იმისთანა დიდი თავისუფლობა შეგვიძლია გვქონდეს საშვალო ჲ დაბალ მდგომარეობაში, რომელიც შეიძლებოდა საცდუროვანი ყოფილ იყო ჩვენთვის მთავრობისა ჲ დიდობის მდგომარეობაში.

შენ მაგ საზოგადო მდგომარეობაში შეგიძლია უშიშრად სიარული მარტო, სადაც გინდა, ზედ ხმლისა ჲ იარაღის უქონველად, უამხანაგოდ უმსახურებოდ. შეგიძლია წახვიდე, მოხვიდე, დაჯდე, მიირთვა როგორც გინდა, როცა გინდა ჲ არა კაცს არ შეუძლია შენზედ უფლობის გაყიდვა!

ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რიერთიც მეტად გავმდიდრდეთ, რიერთიც მეტად ავმაღლდეთ, იმდენი უფრო გარედ გამოხტებიან ჲ გამოჩნდებიან ჩვენი ნაკლებულობანი ჲ ჩვენი უძლურობანი: ვინადგან მაღალს ადგილას მჯდომს ყველა დაინახავს. ეს არის ქრისტე უფლისა ჩვენისა ნათქვამიცა: «მთაზედ დაშენებული ქალაქის დაფარვა არ შეიძლებაო.»

ჩინებულს ჲ დიდგრიან საქმებში შემსვლელთ თითქმის არა აქვსთ სრული საათი, რომელში თავიანთ თავს ეკუთვნოდენ. მაშ როგორ შეგვიძლია გვქონდეს იმედი,

მოსვენებისა ჲ მშვიდობის პოვნისა იმ გახლართულ დიდ-
კაცობის მდგომარეობაში, რომელიც თითქმის მუდამ
უთვალავს განსაცდელებში იმყოფების?

კარგად მოიგონე, რომ როდისაც შენ რამე დიდ აღს-
ავალს მისწევიხარ, ბევრჯერ ვინც შენზე ჰკვირობდა ჲ
პირში შემოგხაროდა, იმათ ფარულად გულში შენი სი-
კეთე შურდათ ხოლმე.

საზოგადოდ ვხედამთ, რომ დიდებისა ჲ მთავრობაზე
წამდგარნი იღუპებიან იმ კაცებისაგან რომლებზედაც
უფრო მინდობილნი იყვნენ ჲ რომლებისაგანაც ნაკლე-
ბათ ეშინოდათ. ასე არ უნდა ყოფილ იყო, მაგრამ ვხე-
დამთ რომ ასე ხდება ხოლმე ქვეყანაზედა. ჩვენ სრულ-
იად უშიშრად არა ვართ, არც ჩვენი ცხადი მტრების კე-
რძოდ ჲ არც ჩვენი მოჩვენებული მეგობრების კერძოდ
ჲ ზოგჯერაც თვით ჩვენი მეგობრები, ჩვენი მსახურები,
ჩვენი ნათესავები გავლენ ჲ გაგვცემენ ხოლმე ჩვენ!

პირველი საქმე რომელი ჩვენ წინ მოგვეგებების როცა
გვინდა დიდ სასახლეში შესვლა არის მსახურობა. ჲ
რაერთიც უფრო ავმაღლდეთ ჲ სხვეებზედ უმფროსო-
ბა გვქონდეს, იმდენი უფრო იმათ ქვეშ გავებებით, ჲ
იმათ ტყვედ გავხდებით.

უცოდველობას ადგილი არა აქვს იმ დიდებულს პალა-
ტებში, სადაც დიდების მოყვარულობა ჲ პატივის მო-
ყვარულობა მუდამ იბრძვის, ჲ ომობს სათნოებასთანა!

მობრუნდი, ჲ ერთიც იფიქრე ის ამღვრეულობა შფოთი
ჲ იმ კაცთ სიმრავლე, რომელნიც დიდკაცების პალატების
ოთხკუთხივ დაკტარებიან; იფიქრე იმათი ნაირ ნაირი
შეურაცხყოფა, ლაქუცალანძლვა, რომელსაც ისინი თავს-
ლებულობენ; ბედნიერებისა ჲ მოსვენების გზა
ადვილი არის, ხოლო ის გზა რომელიც სიმდიდ-
რისაკენ ჲ დიდებისაკენ მიდის, ხრამებით სავსეა ჲ ძნე-

ერ ფეხმომსხლეტი გზაა. და თუმცა მთავრობასა და დი-დობაში გვგონია, რომ უფრო მშვიდობიანი და მოსვე-ნებული ცხოვრება უნდა გვქონდეს მაგრამ ვხედამთ რომ საქმე ეგრედ არ არის, წინაღმდეგეა!

ოქროს ყავარჯნები, მოთვალ მარგალიტული გვირგ-ვინები, სხვა არა არიან რა, გარნა მხოლოდ ოქროს ბორკილნი და ჩინებული სისაწყლე. და თუ რომ კაცთ კა-რგად მიხვდენა სურვებოდათ ამ საქმისა, მაშინ ნახავდნენ რომ ქვეყანაზედ სამეფონი უფრო მეტი იქმნებოდნენ, ვირემც თუ მეფები იმათ მართველად. მაგრამ მეფებიც კი უნდა იყვნენ. რადგან იგინი ღმერთის თავის მაგიერ მართველად [illegible] გარნა შენ ნუ უყურებ მარტო გვირ-გვინის დიდებულებასა: შენ იფიქრე ის ათას ნაირი ზრ-უნვა და ნაღველი, რომელიც იმ გვირგვინთან მოუცილე-ბელია. შენს თვალს ნუ ადევნებ მარტო მშვენიერ წი-თელს ძოწეულზედა: შიგნით შედი გონებითა, ვიდრე მეფების გულში, და ნახამ, რომ ბევრჯერ გული სისხ-ლით სავსეა, ძოწისაგან უფრო წითლად. როგორც გვ-ირგვინს ოთხ კუთხივ შემოუცვია თავი (ახურია) აგრე-თვე ზრუნვას და ნაღველს მოუსვენრობას და ოხვრას მისი სული შემოუცვია და უჭირამს. და როცა ნახამ მის მორთ-ულ დიდებულ მცველების წყობასა, ერთი შენი თვალი მიაქციე იმის ათას ნაირს ჭირსა და შეწუხებასაცა, რო-მელნიც მცველებისაგან უფრო მოუშორებლად, მუდამ ჟამს თან დასდევენ, სადაც მიდის.

იფიქრე შინაგანი მდგომარეობა იმ დიდი და ჩინებუ-ლი კაცებისა, რომლებსაც ერი გაკვირვებით უცქერის: თითქოსო თვითო და თვითო დიდროვანი მნათობი ვარსკვლავები არიანო, სხვათაგან ასე ძლიერ ბედნიერ კაცად ითვლებიან! მაგრამ შენ გონიერად დაფიქრებითა შეიტყობ რომ ის იმათი ნაღველი, გულკიწროება, შიში

და ზრუნვა, მხეცსავით მუდამ იმათ გულს ღრღნის.

მოიგონე ის ყოველი ჩინებული კაცები, ვინც ამ ქვეყანაზედ მოსულ-წასულან, და თავიანთი დიდ დიდის ღვაწლებისათვის ძლიერ ამაღლებულან, და ნახამ, რომ ისვე თავიანთი ღვაწლი ბოლოს უბრალო მიზეზად გამხდარა მათის დაქცევისა! იმათგანი ზოგი გაუდევნიათ და გარდუკარგიათ კაცთა, რადგან არ სდომებიათ, როგორც რიგია კეთილის მიგება იმათთვის; ზოგიც გამოუცვლიათ, არა თუ ბოროტ მოქმედებისათვის, არამედ შიშისაგან, არ იქმნას თავიანთი მფლობელობითა რამე ცუდი საქმე მოახდინონო!

თუმცა რომაელნი სწორედ დიდად დავალიანებულნი იყვნენ თავიანთი დიდი თავადის რუდილიოსა და თავიანთი დიდი მხედართ მთავრის კამილოსაგან. მაგრამ ორნივენიც თავიანთი ჩინებული სახელისა და დიდობის მიზეზისათვის უწყალოდ გადაჰკარგეს.

ათინელებმაც ძველად თავიანთი საზღვრის გარედ გააგდეს, არა თუ მარტო სახელ გასულნი დიდნი მხედართ მთავარნი მილტიადე და თემისტოკლე, არამედ იგივე სასჯელი მისცეს იმ კარგ კაცებსაც ფოკიონსა და არისტიდსა, რომლების ცხოვრება რომ წაიკითხო პლუტარქოსში, იტყვი, რომ ესენი ჩვენ შესწავლულ კაცთაგანი არ არიანო: ისე კეთილ სამაგალითო იყვნენ, მუდამ კეთილ საქმეებში და სათნოებაში თავიანთ მოქალაქეთათვის!

უყურამთ ქვეყანაზედ და ვსწუხვართ დიდად, რომ კეთილი და საბატიური რამე არ არის მიღებული. ამ ქვეყნის რამეებს თითქოსო წლის ოთხის არეებივით თავისი ღროება აქვთ, და რიერთიც უფრო მაღალი და წარმატებული რამ იყოს ქვეყანაზედა, იმდენი უფრო სხვათ სიბოროტე ებრძვის იმათ!

მუდამ შენს ფიქრში შეინახე, რომ კარგი ცხოვრები

გასატარებელი ადგილი: შეზავებული მხარეა, ე. ი. სადაც არც ძლიერ სიცივეა და არც ძლიერ სიცხეა, არამედ საშვალო.

თუ რომ ღმერთის შენთვის იმ ნაირი მდგომარეობა მოუცია, რომ შენს სახლში კმაყოფილი და ბედნიერი ცხოვრება გაქვს, მაშინ ჭკუით რომ დაფიქრდე, იტყვი, რომ ამ ქვეყნის ყოველი ჩინებული მფლობელობანი, როგორც თითო თითო ბადე, არიან ქვეყანაზედ გადაჭიმულნი, რომლით მფრინველები ინადირონ! და შენ სადგომ მაგ პატარა სახლში შეგიძლია ისე დიდად, ისე ბედნიერად დათვალო შენი თავი, როგორც დიდ ალექსანდრეს გამოეხატა თავის აზრში: «როგორც თუ მთელი ქვეყანა ერთი ქალაქი იყოს და მისი ჯარების ურდო მის გარე შემორტყმული ციხე.»

ამბობდა ერთხელ ერთი ფილოსოფოზი: «თუმც ძლიერ მაღალს აღსავალს ზედაც ავაწიო ამ ქვეყნის პატივისა და დიდებისა, მაშინაც მე სხვა არაფერი არ ვიქმნები თუ არ ერთი მუშა ქვეყნის ტვირთთ მზიდავად. გაგაგებინებ შენ ჩემ ნათქვამს: კაცის უპატიოსნესი ნაწილი, რომელიც არის გონება, როდისაც ცის უსაზღვრო სივრცეზედ მაღლა ადის, როდისაც ჰხედავს მთელი ქვეყნის იმ მშვენიერს ერთმან ერთთან ყოვლიფრის დაკავშირებას, იმათ მიზეზებს, და ღვთიურს ყოვლის მპყრობელობის ბრძენს და საკვირველ საქმეებს, ამ ყოველს რომ კარგად მიხვდება, მას შემდგომ ძლიერ ადვილი საქმეა, რომ საბრალო და საწყალი ქვეყანა აღარა ფრად დასთვალოს სრულიად.»

გამოცდილება და მოთხრობა ცხადად გვასწავლის ჩვენ, რომ ქვეყანაზედ უბრალო და საშვალო ცხოვრება, არა თუ მარტო სანატრელია, არამედ თავადების მდგომარეობა ზედაც მაღალია.

იმ დიდ კეისარს დიოკლეტიანესა თავის საკეისროს დაგდების შემდგომ უფრო სიამოვნე, უფრო მოსვენება ჰქონდა გულში, როცა წავიდა და დადგა სოლონის ქალაქში და იქ მებოსტნესავით მიწას მუშაობდა: ბარემდა, მცენარებს ჰრგვიდა, და სხ. ვირემც თუ როცა რომაელების დიდ კეისრად იყო. ასე, რომ როცა მაქსიმლიანე ერქვილემ წიგნი მისწერა იმას, რომ მობრუნებულ იყო და ხელახლად ხელთ აეღო თავისი საკეირო რომელიც ოც და ორი წელიწადი დიდებულად მის მიერ მართულ იყო, ამ ნაირი პასუხი მოსწერა სამაგიეროდ დიოკლეტიანემ: « თუ რომ შენ სოლონის ქალაქში მოსულ იყავ და იქ გაგესინჯა და გენახა, თუ რა მშვენიერი საკვირველის სახეით ბუნებას მიწითგან ნაირ ნაირი მოსავალი მოჰყავს და თუ როგორ ჩემის ხელით გადარგული კეშერები (ლახნები) თუ კომბოსტოები იზრდებიან მგონია, მაშინ შენ სურვილი აღარ გექმნებოდა რომ თავზედ გვირგვინი გდგმოდა და ხელთ სამეფო სკიპტრა გჭეროდაო. »

აგრეთვე დიონესიო, სირაკუსის მეფე, თუ რომ ჭკუვით დაფიქრებულ იყო, უფრო მოსვენებულ, უფრო უშიშარ ცხოვრებად უნდა დაეთვალა, როცა განძიებული კორინთოს ქალაქში მივიდა, და იქ მასწავლებელისავით ყმაწვილებს ასწავლიდა, ვირემც თუ როცა პირველად მძლავრი მეფობითა სირაკუზის ქალაქს მართემდა.

აგერ ეს საქმე არის, რომელმან შეაგულიანა და შეაგონა იმ დიდს მხედართ მთავარს თავადს სციპიონსა, რომ თავის თავად წასულ იყო და გამჯდარ იყო ერთს ცალკე სახლში ტყეში ლითერნო ქალაქის ახლოს, რომ იქ მოსვენებით გაეტარებინა თავისი დიდებული ცხოვრების დანაშთენი!

რიერმაიც მაღლები არიან ხევები, იმდენი უფრო ნარ-

ჩი და უძლურნი არიან იმათი წვეროები; რა ეჭვი რომ შურსაც მუდამ მაღალ ადგილებზედ თვალი უჭირამს, და იმათი ფეხქვეშ გაზერგვნა უნდა.

თუ რომ უბრალო და საშვალო მდგომარეობაში მყოფ კაცს ფეხი დაუსხლტდეს, სიმარცხე შეემთხვას, ზარალი განსწიოს, თითქოსო მუდამ სითგანმე შემწეობას მიიღებს და ისევ ადვილად ფეხზედ დადგება. ასე არ მოსდის მაღლის ადგილითგან ჩამოვარდნილთა.

ეს კი მართალია, რომ ჩინებულს მთავრობაში არც მშვიდობიანობაა, არც ნუგეში, არც მოსვენება და არცა რა კმაყოფილება. ეს არის რომ ერთხელ ერთის დიდ კაცს ათქმევინა: მინდოდა მოსვენება და ვერ ვპოვე, გარნა მხოლოდ ერთს კუთხეში სადაც წიგნი ხელში მეპყრა და ვკითხულობდი. მოსვენებული ცხოვრება ვერსად ვერ ვიპოვე, სანამ ცალკე ადგილს არ გავმარტოვდი და წიგნი ხელში არ ავიღე ნუგეშადო.

ამბობს ერთი ბრძენი: «იცხოვრე მარტოკა, და დიდ სახელის განთქმულობას ერიდეო.» იფიქრე შენის სიბრძნითა რამდენ დიდ კაცთა ვერ შეუძლიათ მოპოება იმ სიტკბოების, იმ ნუგეშისა, რომელიც შენ გაქვს მაშინ როცა ქვეყნის გართულობისაგან და ნაირ ნაირის ფიქრებისაგან მორიდებული შორს დგახარ.

ერთი ახალი ფილოსოფოზი, კაცის საშვალო მდგომარეობის ქებისათვის ასე სწერს: «გართულობა ამ ქვეყნისა ჩემთვის სატყვეო არის; ხოლო უშფოთველი ჩემი გამარტოვება უბრალო მდგომარეობაში ჩემთვის სააქაოს როგორც სასუფეველიაო.»

ამ ქვეყნის ყოველს ელვარე დიდებას და პატივს რომელსაც კაცთ თვალი მოუტაცნია და ატყვევებს, სხვა არა არის რა, გარნა მხოლოდ ერთი დახატული მშვენიერი ღრუბელი, ანუ თუ ერთი მზის სათი, რომელსაც უხე-

ღამთ როცა ღირსების ჲ დიდების მზეს იქ თავისი სხივები მოუფენებია ჲ ბრწყინავს, მაგრამ ერთსაც ვნახამთ მისი ბრწყინვალება არის ვითარცა ერთჲ თეატრის თამაშობა, რომელიც მალე დაბოლოვდება ჲ გათავდება.

ესეც მტკიცედ ვიცოდეთ, რომ ჩინებული მდგომარეობა ჲ დიდებული ცხოვრების ქონვა ისეთნი არ არიან, რომელთაც ვრცელი სიცოცხლე ჲ მოსვენებული სიკვდილი მოგვცენ ჩვენ, თუ რომ კეთილი ცხოვრება, სათნოება ჲ სიმართლე იმ პატივცემულს მდგომარეობასთან მუდამ ერთად არ არიან. პირ მოთნეობა ჲ შური, რომელნიც ორი ძველი მტარვალნი არიან დიდი კაცებისა, მუდამ უკან დამალულნი დგანან, რომ იმათ გამარჯვებას ჲ ჩინებულს მდგომარეობას საძირკველი შეუძრან ჲ დაამხონ.

მაში სადამე აქეთ იქით არ მივიხედოთ ჲ არ ჩამოვუდგეთ არც პატივს არც დიდებას, ჲ არც ჩინებულ მდგომარეობას; შენი საშვალო ჲ უბრალო ცხოვრებითა რომელიც ღმერთს შენთვის მოუცია, მხიარული იყავ. გეყოფა, რომ შენი სვინიდისი შენს მოვალეობაებში წმიდა იყოს, განზრახვანი ჲ ფიქრნი კეთილნი იყვნენ, ჲ საქმები სათნო; მას მერმედ შენის თავის ბედნიერად შერაცხვა შეგიძლია, უფროს ამ ქვეყნის იმ დიდი მეფეებისა, რომელნიც იყვნენ ერთ დროს მაგალითად დიდი ალექსანდრე ჲ ულიო კესარი!

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი კზ.

### რ ა მ ო გ ვ რ ი ლ ო ბ ა უ ნ დ ა კ ა ც ს ა რ ო მ წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს მ ი ე წ ი ო ს.

ყოველს კაცს შეუძლია საკმაოდ წარმატებისამდი მიწევნა, მაგრამ მრავალნი არიან, რომ იმის მოშოვნის

დროს თავიანთ თავს წაახდენენ.

თუ რომ ამ ქვეყანაზედ წინ წასვლა გინდა, პირველად უნდა ეცადო, რომ რაც ჭკუა ღმერთს შენთვის მოუცია, სიმართლით მოიხმარო, როგორც რიგია; პირველი საქმე ეს არის. ხოლო მერე, როგორც მეზღაპრები ამბობენ, ეცადე, რომ «სკივრში არმაზიც გემოვებოდეს.» (არმაზი არა ღმერთი სიმდიდრისა, თქმა არის ოქრო.) მაგრამ ესეც ჭკუვით და კეთილის სახელით მოიპოვება. თუ რომ ჭკუვის მოხმარება არ იცი, იცოდე რომ ქვეყანაზედ შენი წინ წასვლა ძლიერ დაგვიანდება, შენის ნათქვამის სიმდიდრის და ბედის მიწევნა სრულ არას დროს არ შეგეძლება!

ეცადე უკან ჩამოუდგე, რომ ერთს ვისმე ჩინებულ კაცს თვალში შეუხვიდე, შეუყვარდე: ეს საქმე შენ ძალაზე უფრო ძლიერ რამედ დათვალე შენ, უამ რამისოდ იცი რას ჰგავ-ხარ იმ კაცს რომელსაც ხელში გრძელი მაგარი ჯოხის უქონველად უნდოდეს ერთს განიერ თხრილზე გარდახტომა. ჭკვიანმა კაცებმა კარგად იციან, რომ ბევრ-ჯერ პატიოსან კაცსაც, დიდობის მისაწევნელად, მოუნდება ვრცელი დროება, როცა ვინმე დიდი კაცი მხრად არა ჰყავს.

თუ გინდა დიდი კაცების მფარველობა გქონდეს, მოხერხებული უნდა იყო, რომ იმათ გული მოუგო; კაცი იმათ გულს მოიგებს რომლებიც გაუსინჯია და იცის იმათი ზნე, ჩვეულობა: დრო მოვა რომ იმათი მარჯვენა მხარე უნდა შესძრა, და დროა, რომ მარცხენა; ხოლო ვინც ერთი მხრის შეძვრა იცის მარტო, თუმცა ძლიერ-მარჯვეთაც შესძრას, იმისთანაი ცარიელ ტარელზედ გამოვა!

თუ რომ გეჭირებოდეს დიდი კაცების თვალში შესვლა და იმათი საშუალით რამე სიკეთის მიწევნა, პირველად

შენს აღმოჩენის წინად, სახელი გასული უნდა გქონდეს შენის ღირსებების და ღვაწლების. ამით შენის თავის ჩვენების წინად, საყვარელი და სასურველი იქმნები და დიდ სარგებლობას მისცემ შენს თავს; ასე რომ ბოლოს რა პიროვნულად ეჩვენები საკმაო შემწეობას და მისაღებელს ჰპოვებ იმათგან.

შენის ბედის პოვნისა და გამდიდრებისათვის, ეცადე, რომ ეს გონიერება უნდა იხმარო, რომელიც ცოტას საქმეს არ შეადგენს: პირველად შენი სალაპარაკო საგნები რიგში უნდა ჩააგდო, და გარეულადაც უნდა მორთო და მოსაწონარი გახადო; მეორედ ყოველი კაცის ხასიათი კარგად გამოიძიო და გაიცნო; მესამედ კაცთ უცოდველ ზნეს და ჩვეულობასა მიჰყვე; მეოთხედ კარგად გასინჯო და რა ნახო მარჯვე დრო ხელითგან არ გააქციო; მეხუთედ ჭკუვითა და თვალ ღიობითა შენს კერძოთაც საშვალები იხმარო. ეს რამეები მშვენიერი საშვალები არიან, რომლებით თითქმის ყოველს შენს მიზანს მიეწევი.

არიან კაცნი რომელნიც თავიანთ სვებედის შოვნის დროსა, მართლად რომ კარგად ჰკვირდებიან და ცნობულობენ კაცთ თვისებასა, მაგრამ საქმების წარმოება არ იციან! არიან კაცნიცა, რომელთაც კარგ განვითარებულობით იციან კანონები და პრინციპები (დასაწყისები) მაგრამ არ იციან დრო, თუ როდის რა უნდა იხმარონ საქმის წინ წაყვანისათვის.

არიან სხვანიცა რომელნიც პირმოთნეობითა (რომელიც აწლა თითქმის საზოგადო ჩვეულებაა) ამაღლებულნი დიდობას მისწევნიან და ყოველი თავიანთი სურვილი დაუკმაყოფილებიათ რომელსამე საცთურში ჩაუვარდნელად. გარნა ვიცით ნამდვილად რომ პირმოთნე კაცნი ამხანაგობის ჯამი და სენი არიან, და ყოველი კაცო-

ბრიობის ტომისა დიდად მავნებელნი და შეურაცხ-მყო-ფელნი.

ჩვენი წინ წასვლისა და გადიდებისათვის დიდ სარგე-ბლობას მოგვცემს ქონვა და დაცვა ჩვენს ყოფა ქცევაში სიმშვიდისა, სიმდაბლისა და სიტკბოებისა, და მასთანვე ჩვენი მდგომარეობისაც პატივის შენახვა. რომაელების დიდი მჭევრმეტყველის სიტყვა არის: «გონიერების სა-კუთრება ეს არის, რომ კაცი ცდილობდეს კაცის გულ-ის მოგებასა და მის მიზიდვასა თავისკენ, რათა თავის დროზე საჭიროებისათვის მოიხმაროს იგი.»

რადგანაც გეჭირება ოსტატობა იხმარო, რომ შენი საქმები სრულად და ნამდვილად საქებური ჰყო, ეგოდნა-თაც გეჭირება შენ ოსტატობა შენის უსრულობაების და ნაკლებულობაების გასასწორებლად და მოსამზნობელად.

კაცს თავისი ბედის გასაღები თავის ხელთავე აქვს.

ვისაც უნდა თავისი სვებედის მოძიება და პოვნა, თვა-ლი უნდა გაახილოს და ჭკუა უნდა იხმაროს, რომ კარგად და სწორედ გაიცნოს ის რამეები რომელთაც შეუძლიათ თავის განსაზღვრულ მიზანზე მიაწევნინონ. არიან ზოგნი რომელნიც საქმის გარიგების დროს, საქმის გარეგან მშვენიერებას უფრო ამჯობინებენ მინამ იმ რა-მებსა რომელნიც სწორედ კარგი და მტკიცე რამენი არიან.

ისეთ რიგსა და ზომიერობაში შეიტანე შენი საქმეები, რომ მზაკვარ და ვერაგ კაცად არ დაგითვალონ შენ. ბო-როტი და უგუნური კაცების ნათქვამია, რომ ვითამ ნამე-ტანი სიმართლე მეტადრე ჩვენს დროებში არ გავაგო. ეს სიცრუე არის, ამიტომ რომ არასოდეს ნახულა რომ სწორე კაცი შიმშილით მომკვდარ იყოს!

მეტად უკეთესია შენთვის, და უფრო ადვილად შენს ბედს იპოვნი, თუ რომ თვალე დიად და რიგიან კაცად გიცნობენ შენ, და არა ვერაგად და მატყუვარად. ასე

რომ თუ მატყუვარმან ერთხელ ან ორჯელ მოატყვილოს ვინმე და ხელში რამ გაიტაროს, მერმე ბევრს არ გასწევს და მალე გამოჩნდება მისი მატყუარობა და ერთიან თავის თავს დააქცევს; ხოლო მართალი და თვალ ღია კაცი მუდამ მტკიცედ იქმნება.

ვსთქვათ საქმეზედ ანუ თანამდებობაზედ დაგაყენეს შენ; იცოდე, რომ შენს პირველ ჯერის კარგ დაჭერილ გზას შეუძლია აჩვენოს შენი ღვაწლები, შენი ღირსეულება, და შენი რაობა გააგებინოს მთელ ქვეყანასა, მას მერმედ რა საქმეც გინდოდეს გასარიგებლად უფრო უშიშრად და უფრო რიგიანად შეიძლებ მის გარიგებასა.

ყოველს დროს. ყოველს შემთხვევებში, თუ გინდა შენი ბედის წარმატება და სისრულეში მოყვანა რამდენადაც შეიძლებოდეს კეთილს და სათნო შენს ცხოვრებასთან მუდამ მოგვრილობა და სიმამაცეც უნდა იხმარო.

როცა ნახამ, რომ მარჯვედ გიქრის შენ ქარი, დროს ნუ დაჰკარგავ, მაშინვე გაშალე აფრები; რადგან თუ რომ ბედს მოუცდი როგორც ჩვენზედ წინათ დაჰკარგეს ისა, ჩვენც იმავე განსაცდელში ჩავარდებით!

ვსთქვათ, რომ ზღვის გზას ადგიხარ; თუ რომ იმდენი ხელოვნობა არა გაქვს რომ ზღვის ღელვას გადურჩე, უშიშარს ნავთსადგომში შეასწარი, კარგად იცოდე, რომ დიდობის შოვნის გზაში უწყვეტლივ სიძნელენი წინ უნდა დაგვიხვდნენ, უკან ნუ დადგები, და ეცადე რომ შენ ყოველს ძალს თავ თავის დროზე შეეხო რომ შეგეძლოს ტკბილი მუზიკის შედგენა; და ამ გზით შენი თავის სარგებლობის წინ წაყვანა.

გმართებს შენ, რომ ფრთხილი და მღვიძარე გონება გქონდეს და ღრმა მიმხდური ჭკუვა; რადგან ღრმა მიმხდური ჭკუა შეუსწყნარებელ გარდარწყვეტილებას მის-

ცემს საეჭო საგნებში, და როგორც ერთი ოქროს ძაფი
იქმნება ლაბირინთოში. ლაბირინთო ათას ჩაირი დახლა-
თული გზებით გაკეთებული რკვალი სახლი იყო რომლი-
განაც შიდ შემსვლელი გზას ვერ გამოაგნებდა დაიბნევ-
ოდა და დაიკარგებოდა; ამისთვის ერთხელ ერთმან ძაფ-
ის ერთი თავი კარედ დააბა და მეორე თავი თვითან მო-
იბა, მოჰკლა ლაბირინთოში მხეცი, რომელიც იმყო-
ფებოდა მუნ და ძაფის შემწეობით არ დაიბნა და უკანვე
გამოვიდა.

საქმეში გამოცდილობა და სიცქვიტე კაცს წინ წასასვლე-
ლად ბევრს არგებს. თავადებს და უმთვროსებს უფრო ის
კაცი უნდათ იყოლიონ რომელნიც უფრო გამოცდილნი და
სწრაფნი არიან, ვირემც თუ ღრმად დაფიქრებულნი,
ანუ დიდად გამოცდილნი კაცნი.

ერთი კაცის უბედურობა მეორე კაცის ბედია; არა კა-
ცი ისე მალე ბედნიერი და იღბალიანი არ გახდება, რო-
გორც ის რომელიც ისარგებლებს სხვების შეცთომილე-
ბით ე. ი. გამოიკვლევს სხვის შეცდომილებას და თვი-
თან შემდეგში ასცილდება მას.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ ვხედამთ რომ ერთის ბედი
მეორის ნაოხრებზედ შენდება; და როცა ხე გადაბრუნ-
ბაზედ იქმნება, ნახამ რომ მაშინ აქეთ-იქითგან ყვე-
ლანი იქ მოცვივიან, რომ იქითგან რამე ისარგებლონ.

ჰხედამ ამ ქვეყნის ბუნებით წესსა, რომ მუდამ ერთი
ფუჭდება და მეორე იბადება. და მრავალნი კაცნი არიან,
რომელთაც თავიანთი ბედი აუშენდებათ სხვების დაქცევის
დროს. მაგრამ თუ ესენი უკან ჩამოსდგომიან სხვების
დაქცევას რათა თვითან აშენებული იყვნენ, გამოცდით
ვიცით ყოველთა რომ იმასთანებს დიდ ხანს არ გაუძლე-
იათ: ან ღვთის სამართლისგან ანუ კაცის სამართლისა-
გან, მისაგებელი მალე უპოვნიათ, და ისე საშინლად და-

ქცეულან, რომ მის შემდგომ ფეხზედ ვეღარ ამდგარან. აქ ჩვენი სიტყვა ეს არის, რომ შენ სხვათ დაქცევისაგან სწავლა მიიღო, თვალი გაალო, რომ რაც ზედი გაქვს ჭკუვით შეინახო, დ~ რაც არა გაქვს, ხელში გაიტარო კარგი ჭკუის ხმარებით სხვისთვის ზიანის მიუცემლად.

თუ ქვეყანაზედ წინ წასვლა გინდოდეს, არ გეყოფა შენ რომ წახვიდე მარტო ზედის კარს მიადგე დ~ უცადო სანამ გაიღოს. ეს ორი რამე საჭირო საშვალნი არიან სიმდიდრის მიწევნისათვის: ერთი დიდის გაზედვით საქმე ზედ მივარდნა დ~ მეორე თვალ ღიობითა დ~ მოგვრილობითურთ სათნო ცხოვრება.

არ ეყოფა კაცსა ღვაწლის ქონვა დ~ სათნო ყოფა, არამედ საჭიროა აგრეთვე იცოდეს, თუ როგორ გონიერებით უნდა მოიქცეს, რომ დროის დ~ ადგილის დაგვარ საშვალებანი იხმაროს.

ცოტა ჯერ ვხედამთ, რომ დიდება, დ~ პატივი სამსახურებში შესვლა სათნოების მისაგებელი იყოს; ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ ეგ საქმები ვნებისა დ~ სარგებლობისაგან წარმოსდგებიან.

თუმცა სათნოება როგორც ატესტატი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის პატივცემულს აღსავალსა დ~ მდგომარეობაზედ მისაწევნელად, დ~ ჭკუვით მოხმარებულს სამსახურებს დღითგან დღეზედ ჩვენი ნაყოფი სიმართლით უნდა გაემრავლებინათ დ~ გაემდიდრებინეთ, მაგრამ ქვეყანაზედ ბევრჯერ ვხედამთ, რომ მომეტებული ჭკუვის მომეტებული ღვაწლის მქონებელთა განზეთ დ~ ნებით სჩანდგრიან. დ~ ესრედ უფრო სათნო დ~ უფრო სრულ კაცთ ის საქმე მოსდისთ, რასაც არაკი მოგვითხრობს პლუტარქის მფრინველზედა. ეს მფრინველი მუდამ ნისკარტით სჯგვალემდა დ~ სცემდა თხილის თუ კაკლის მჭამელს მფრინველსა, მაშინ არ იქმნას როდისმე არწივ-

ის ტოლა არ გაიზრდეს, და არწივი არ გახდესო.

საშვალო ჭკუვის მქონებელნი და დიდ დიდთ სამსახურისთვის ცოტად გამოსადეგნი კაცნი, ჰგვანან მოკლე და წვრილ ძეგლებსა, რომელნიც დამყარებულნი არიან მაღლად რათა ცოტად მაინც შეეძლოს მოტყუებისა მნახველთ თვალისა იმათ სიმცირესა. გარნა ამას წინააღმდეგად ბრძენი კაცი როდესაც დიდ სამსახურზედ დგას, ჰგავს ერთს დიდს მშვენიერ პლანეტსა (შემცდარ ვარსკვლავსა) და თავის სათნოების და ჭკუვის სხივით სინათლეს ქვეყანას მოჰფენს!

გარნა შენ მოსვენებით იყავ, ნუ აშფოთდები: თუ რომ შენ მეცნიერი და კარგი ხარ, ნუ გეშინიან მალე თუ გვიან გაგიცნობენ, და საქმეში შეგიყვანებენ ბედი ზოგჯერ უხვად გარდაუხდის ხოლმე მოთმინებით მოყურადე კაცთა.

თუ რომ სახელი გაგივიდეს სათნოებისა და სიბრძნისა, ფრთხილად იყავ და ყოველთვის ნუ გამოჩნდები; მორიდებულ იყავ, რომ უმეცარი კაცების შურისაგან მორჩე.

თუ რომ ვინმე ყოველ დღივ თავისი მშვენიერის სისრულეების გამოჩენას ცდილობს, უთუოდ თავის ღირსეულებას დაჰკარგავს, მით ბრძენი კაცი ერთს პატივცემულს ადგილს უნდა იყოს და აზრში მტკიცედ წარმოიდგინოს, რომ იმისთანა განცალკევება იმას ისეთ დიდებას შესძენს როგორც აქვს იმ მზე მხედართ მთავარს რომელიც ჩხუბში დიდი გამარჯვებების ქონის შემდეგ ეჩვენება ხალხს.

## ზ ა ბ ვ ე თ ი ლ ი კთ.

## ადებ მიცემასა და ჭკუით საქმის წინწაყვანასა ზედა

როცა რამე საქმეს ხელი უნდა მოკიდო პირველად იფიქ-

რე შენ ღონეზე დ~ შეძლებაზე ; მერმე გამოიძიე შენი და-საწყები საქმე ; დ~ ბოლოს გაიცან ის პირი ვისთანაც საქ-მე უნდა დაიჭირო · შენი ხელ მისაყოფი საქმე ასწორე შენ შეძლებასთან დ~ შეადარე ორივ ერთმან ერთსა, სრული-ად თანასწორედ მოვლენ თუ არა ? დ~ ყველას გარდა იფი-ქრე იმაზე თუ როგორი აღსასრული ექმნება იმ საქმეს დ~ შენი მიზანის მისაწევნელად რა საშვალებანი უფრო სახმარნი დ~ შესაფერნი არიან ?

დიდი უგუნურობა არის რომ ვინმე მომზადდეს ორბ-ივით საფრენლად, როდისაც ხედამს რომ თავისი ფრთ-ები წვრილი მფრინველების ფრთებისგანაც უძლურნი არიან .

იფიქრე ეს ჭკვიანური სიტყვა : « რაჲ უგვე ძალ უძს მხართა, დ~ რაჲსაგან განშორებად ჳრიან . » ვითამც ნა-ხე შენს ზურგს რიერთის ზიდვა შეუძლია ? დ~ რიერთის აწევისაგან უკან უნდა დადგეს ?

გაფრთხილდი შენგან მაღალ საქმეებს ხელს ნუ მიჰყოფ გეშინოდეს არ იქმნას თალეს ფილოსოფოზის საქმე შენც გადგახდეს : ამ ფილოსოფოსს ერთ დღეს სიარულ-ში თვალები მაღლა ცისაკენ ეჭირა ვარსკვლავების საჭ-ვრეტლად ; ერთიც ვნახოთ უეცრად ერთს ხრამში გადა-ვარდა დ~ დაინტვრა .

როცა საქმის ხელის მიყოფის წინად ზემო აღწერილ-ნი რამენი არ დავიცვათ მომავალში სირცხვილს დ~ დამ-ცირებას უნდა მოველოდეთ .

როცა მომზადებული იყო ჩინებული საქმის შესადგო-მად, ეძადე რომ სხვა კაციც მიიამხანაგო : იმ შენს ამხ-ანაგს შეუძლია დაგიფაროს იმ ზიანებისა დ~ იმ მარცხე-ბისაგან, რაც შეიძლება რომ შენ ერთიან თავს დაგატყ-დეს ; დ~ შენ ამ რიგად მარტო ერთ ნაწილს ზიანს გას-წევ . მუდამ ხედამ რომ ხელოვან მკურნალს როცა ვერ

შეეძლება თავისი სნეულის გამრთელება, სხვა მკურნალს შემწედ მიიყვანს რომ რჩევა (კონსულიუმი) ჰქმნან, და ესრეთი მისი მოქმედება იმას მართლად გამოიყვანს სნეულის პატრონების თვალში. ვინც ჩინებულ საქმეს თვითან მარტო შეუდგება, იცოდეს რომ მთელ შურსა და მთელ ლაპარაკსა მარტო თავის თავზედ აიღებს.

თუ რომ შენი საქმის თავს გატანა გინდა, მხოლოდ შენი სიტყვიერება და ჭკუა უნდა გყავდეს ზედამხედველად ყოველს შენს საქმეებში. საქმეებში მოხდენილი შეცდომანი კაცის უჭკუობისაგან წარმოდგებიან. გიჟები რად არიან საწყალნი და საცოდავნი? ამიტომ რომ სრულ დაფიქრება არა აქვსთ. კაცები თავიანთ უჭკუობითა შემთხვევას და მარცხს უფრო განადიდებენ, და იმათ ძლიერებას უფრო გაამრავლებენ; წინ დახედულობა და მომხედველობა გონიერების მარჯვენა თვალია.

უგუნურთ წინამძღვარი ეჭვიანობა არის, ხოლო ბრძენთ წინამძღვარი სიტყვიერება; ეს სიტყვიერება ეს ჭკუვის ხმარება საქმეებში მოსახდენ მარცხებს, წინადვე დაინახამს და მოუფრთხილდება; და თავისს ფრთებითა, როგორც თუ აიღლიავებს, შეინახამს ბრძენებსა, რომელნიც მისი მიყოლითა ეძებენ იმ მარცხების შესაფერს წამლებსა და საშვალებისა! როცა ზემო ნათქვამი წინდახედულობით რამე საქმეს შეუდგე, ეცადე რომ მხნე გულადობითა იმ საქმეში გაერთო. ამიტომ რომ ეჭვიანობა და ურწმუნობა შიშს დაბადებს, და შიში საქმეს მშვიდობიანობას დაუკარგავს.

შენს ფიქრში რამე საქმის გაწყობის დროს, მეტად ნუ აჩქარდები, დიდ საქმეს დიდი დაკვირვება უნდა; დრო იზმარე, რომ კარგათ განსაზღვრო და გამოიკვლიო, და თუ ასე არ იზამ, იცოდე რომ ნაყოფს არ გამოიღებს ის შენი საქმე; ერთ დღეს მელა აყვედრიდა ძუ ლომსა,

რომ როგორ აგძელებ დროსა? აგრე გვიან შობაც იქმნებაო? მიუგო ლომმან: «ეგ შენი სიტყვა მართალია; მაგრამ ჩემი ნაშობი ლომი იქმნებაო!

ძნელს საქმებში დასთესამ თუ არა, მაშინვე არ უნდა უცდიდე ნაყოფის მიღებას. ისინი პირველად კარგ რიგად უნდა გაასწყო, მოამზადო, რათა ბოლოს იმათი ნაყოფები დაიმშვენო.

როცა გინდოდეს ჩინებული საქმის ხელის მიყოფა, გაფრთხილდი, რომ საყვირისავით არ დაასყვირო; ხმას ნუ გააგდებ, რომ სხვათაც შეიტყონ ის საქმე.

რა საქმეც გააშკარდება იცოდე, მრავალი გასამართლების და მრავალ ლაპარაკის ქვეშ შევა, და თუ ვერ გაიმარჯვა სასაცილო გახდება. ჩუმად შენახვა მშვენიერი რამ საშვალება არის საქმის თავ გასატანად, არა მარტო დიდ საქმებში, არამედ საშვალო საქმებშიცა. ეს ჩუმად შენახვა დამოკიდებულს დაიჭერს კაცსა, კარგის დაკვირვებით გაარჩევინებს საქმეს, და სხვათაც აფიქრებინებს რომ რაცალა დიდ საქმეზე ღრმათ ფიქრობსო; საქმეს დააფასებს, და დიდებას შესძინამს იმ კაცსა, ვინც შეიძლო ეგრედ ფარულად შენახვით საქმის თავს გატანა.

ეცადე, საქმეს სრულიად ხელი არ ახლო, თუ რომ სამართლიერი და სწორე საქმე არ არის, და მის შესრულებაზედაც ჭკუა არ გაგიჭრის. რადგან უსამართლო საქმე კიდევაც რომ შესრულო ბოლოს უნდა ინანო; თუ ის საქმე დაიწყე რომლის შესრულებაზე ჭკუა არ გიჭრიდა სირცხვილეული გამოხვალ.

არიან კაცნი რომელთაც სათამაშო ქაღალდის აჭრა ძლიერ კარგად იციან, მაგრამ ქაღალდის თამაშობა კი არ იციან. არიან კაცნი, რომელნიც საქმის გარიგებაში ძლიერ დახელოვნებულნი არიან, მაგრამ რჩევის მიცემაზედ სუსტნი არიან. მისთანებიც არიან რომელნიც რჩე-

ვაზედ დახელოვნებულნი არიან, მაგრამ საქმის გაკეთე-ბა არ იციან. მაშა სადამე შესაფერნი პირნი უნდა გამო-ირჩიოს კაცმან თავისი საქმის წინ წასაყვანად.

იცოდე, რომ კარგი არ არის საქმის წარმოების დროს სრულ ერთი და იგივე კაცის ანუ თუ ერთი და იგივე გზისა საშუალობად აკვიატება, რადგან ვისთანაც და რა გზითაც საქმე უნდა დაიჭირო, სხვებმა არ უნდა შეიტყონ შენი დაჭერილი საქმე; არ იქმნას საქმე დაგიბრკოლონ. რა ფრინველიც რომ მიმოხვეული გზა კვალით იფრინამს, მისი მოკვლა უფრო ძნელია, ვირემც იმ მფრინველისა, რომელიც ერთ რიგ წრეზედ დაფრინემდეს.

ბრძენი კაცი მუდამ ერთსა და იგივე გზაზედ არ ივლის მუდამ ერთი და იმავე სახით არ მოიქცევა; არამედ როგორც საქმის გარემოება მოითხოვს, თვითანაც ისე მოიქცევა და გონივრულად შესცვლის სახეს და გზას დროების დაგვარ და ადგილის დაგვარ.

იცოდე კარგად, დიდი-გონიერება არის მარჯვე დროს თვალიერება საქმის წინ წაყვანისათვის: რადგან საქმეებს მრავალ გარემოებაებზედ დამოკიდებულობა აქვსთ, და ერთი და იგივე საქმე რომელიც ამ დროს ადვილად თავს გასატანია, ვხედავთ რომ სხვა დროს უბედურად თავდება.

როგორც ჩხუბის წინ წამყვანი და ჩხუბის გამამარჯვებელი ფული არის, აგრეთვე საქმის წინ წამყვანი და საქმის ზომის მიმცემი დროება არის. როცა თავის დროზედ საქმეებს ხელს არ მიჰყოფ, ცოტაჯერ სისრულეში მოვლენ ისინი და იცოდე, რომ შენს წინ მოგებებული საშვალებაების შეგვიანება არ ვარგა.

დროება არის რომელსაც თავისთან ერთად დაჰყავს მარჯვე ჟამი და საქმეების მშვენიერი საშვალები. თუ რომ ესენი ხელიდგან გაასქციო, მას მერმედ ყოველივე შენ

დაწყობილი პლანები უქმად ჩაივლიან.

როცა კაცს დაუახლოვდები შენის საქმის გასარიგებლად პირველად ის რა ბუნების პატრონია უნდა გაიცნა, მერმე ტამარი უნდა გაუშინჯო და უნდა ნახო რა ვნება უფრო უფლობს იმაზედ; ერთი სიტყვით ჭკუვით და სიმართლით მისი სუსტი მხარე დაიჭირე, და მაშინ შეგიძლია შენს ნათქვამად საქმის გარიგება.

დიდი განსხვავება არის კაცის გაცნობასა და საქმის გაცნობის შუა. დიდი სასარგებლოა კაცმა იცოდეს გარჩევა კაცებისა იმ მხრით თუ რა ჭკუვის რა ბუნების პატრონნი არიან. ძლიერ კარგი გზა იმათი გაცნობისა ეს არის, რომ ნახო და გაშინჯო პირველად იმათი ბუნებითი რევანი (მიდრეკილობანი) და მეორედ იმათი მიზანი და აზრი, პირველით გაიცნობ იმათ უძლურებას, ხოლო მეორით შეგიძლია ჭკუით მოეპყრა იმათ, ვინც ბრძენნი არიან.

ჭკუვით ნათქვამი სიტყვა არის: «სიტყვა არის მსაჯული გონებისა.» ე. ი. ლაპარაკი გულის გამომთარგმნელია და კაცის გულის ვითარებას გამოაცხადებს. ეს არის ქრისტე უფლისა ჩვენის სიტყვაც: «ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვის.»

თუმცა პირითგან ამოსული სიტყვა ზოგჯერ თითქოსო მკურნალებისაგან მიცემული ცარიელა წყალივით უბრალო ენატკბილობითი და უბეჯითო რამე არის, მაგრამ პირითგან დაძრული სიტყვა უბრალოთ მაინც არ უნდა დავთვალოთ; არამედ დავკვირდეთ და გავსინჯოთ უნდა მეტადრე მაშინ როცა ის სიტყვები ვნებიდგან ან განგებ მომდინარეობენ.

როცა რამე საქმისათვის კაცთან მიხვალ, ეცადე რომ მაშინ ძლიერ გონიერად და ძლიერ ფრთხილად იყო. ეს ამ ნაირი გასაღები არის, რომლით გააღებ კაცის გულ-

ნა შეხვალ შიგნით და შეიძლებ მისი საიდუმლოების შეტყობასა. თუ რომ ასე არ მოიქცე ალებ მიმცემობა არა კაცთან არ შეეძლება როგორც რიგია.

როცა კაცისაგან რამე სათხოვარი გქონდეს, თხოვნის დროს პირი უმინჯე და ნახე კარგად თუ რა სახით იქცევა? ამ სახით შენ იმის გულის საიდუმლოის მიხვდენა შეგიძლიან, და ეს შენ წინამძღვრად და მმართველად გეყოლება შენს საქმებში.

დიდი ჭკვიანობის ნიშანია, ზოგჯერ ბრიყვად გამოჩნდეს კაცი; ზოგჯერ ისეთი დროება და შემთხვევა მოვა რომელშიც დიდი და სრული მეცნიერება ის იქმნება, როცა კაცი თავის თავს ისრე აჩვენებს, როგორც თუ სრულ არა იცოდეს რა!

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ლ.

## გ ა ი ძ ვ ე რ ა და ვ ე რ ა გ კ ა ც ზ ე დ.

ქვეყანა თითქოსო ყოველ დღივ ნაირ ნაირს სამოსს იცვამს, და ისე სხვა და სხვა ნაირ მასკებს იხურავს პირზე, რომ მისი გაცნობისა და შეტყობისათვის კაცს დიდი ჭკუა და გონიერება უნდა ჰქონდეს და ძლიერაც მეცნიერი უნდა იყოს!

დღევანდელ დღეს ქვეყანაზედ რათა ერთი კაცი ბრძნად შეირაცხოს, საჭიროა ჰქონდეს უფრო დიდი თვალ დიობა, უფრო დიდი სიფრთხილე და უფრო დიდი ჭკუა მინამ ძველ დროში საჭირო იყო შვიდი ბრძენისათვის. მთელ საბერძნოში ძველად მარტო შვიდი ბრძენი იპოებოდა, მაგრამ ახლანდელს დროში ძლივ შვიდი უგუნური კაცების პოვნა შეიძლება მთელ ერთ გვარში.

ნამდვილი და კარგი მოქალაქე კაცი უნდა ჰგავდეს სამ-

სონსა; ამ ჩინებულ კაცს თავისი დიდი ძალა როგორც სამღთო წერილი გვიწერს ხელებში დ~ მკლავებში არ ჰქონდა, არამედ თავში.

მოვიდეთ ახლა ცრუ დ~ მატყუარა პოლიტიკის მქონს კაცზე. ამ ნაირი გაიძვერა კაცის ნამდვილ სურათს გამოგისახავ შენ, რათა შეგეძლოს გაცნობა მისი დ~ მისგან მოფრთხილება. ამ ნაირი კაცი ძლიერ ადვილად დ~ სასწრაფოთ წვრილ სიკეთებს დ~ მცირე სამსახურებს უზამს სხვასა, დ~ ყოვლითურთ მზად არის რომ მოქალაქობრივი საუბარითა დ~ პატივის ცემითა მოიქცეს სხვასთან; ამაების ქმნითა ის ცდილობს რომ მიინდოს კაცი, რათა პირველ შემთხვევაშივე შეეძლოს ადვილად მოტყვილება ანუ დაქცევა მისი.

ისე აჩვენებს თვითან, რომ ვითომ თავის ყოველს საქმეებში მისი უმთავრესი აღმძვრელი-სვინდისი იყოს; მაგრამ თვითან კი როგორც დ~ სითკენაც ქარი ამოუბერავს თავის სვინდისსაც იმის დაგვარ მოატრიალებს მუდამ თავის სარგებლობისთვის.

დიდ დ~ ჩინებულ კაცებთან ძლიერ ახლო ყოფნას თავის სასიკეთოდ არა სთვლის: ეშინია, არ იქმნას იმათი წაქცევის დროს თვითანაც ქვეშ მოექცეს. აგრეთვე იმათგან ძლიერ შორს ყოფნასაც სასარგებლოდ არა სთვლის, რომ არ იქმნას იმათი წაქცევის დროს ვერ შეიძლოს იმათგან სარგებლის წაგლეჯა.

ამ ნაირ კაცს უწყვეტლივ გონებაში რამე აზრი, რამე ეშმაკობა ექმნება: რადგან ფიქრობს რომ მუდამ შეიძლება მოხდეს იმ ნაირი საქმე, რაც თვითან არ ჰგონია დ~ რასაც არ მოელის.

თუ რომ ქისა ამოიღოს ვისმესთვის რამის მისაცემლად, იმ დროს ის სრულიად იმავე საქმეს შვრება, რასაც ჰშვრებიან მეთევზეები. ნემსკავს აილებენ ჭიანყელას

ანუ სხვა რამე საჭმელს აცმენ, გარდააგდებენ წყალში, რომ თევზები მოტყუვილდნენ და აეგვნენ ნემსკავზედ და ეგრე დაიჭირონ ისინი.

ამ ნაირი კაცი ამცირებს და აძაგებს იმ ექიმებს რომელნიც ამბობენ რომ კაცის სახსრების შედგენილებაში ერთი ძარღვი არის, რომელიც კაცის ენას გულთან აკავშირებსო. კვალად ამცირებს და არა ფრად აგდებს იმ ნაირ კაცთა, რომელნიც სრულიად გულ უმანკოებით იქცევიან, რასაც იფიქრებენ და უკეთესად შერაცხვენ, იმას იტყვიან; თითქოსო ამათი ენა ძლიერ ახლოს იყოს თავიანთ გულზედა: რაც გულში აქვსთ, ისა აქვსთ ენაზედაც. მაგრამ ეს ჩვენი ნათქვამი კაცი იმისთანებს პირზედ არც კი შეხედამს და შეურაცხ-ყოფს, ამიტომ რომ თვითან უნდა და მუდამ ცდილობს რომ ეს ორი სახსრები ენა და გული, ერთმან ერთისაგან შორს იყვნენ, ერთმან ერთთან სრულიად აღებ მიმცემობა არ ჰქონდნენ, გული სხვა რამე იყოს, ენა სხვა რამე. აგერ შენ კაცობრივი ამხანაგობის საშინელი ჟამი და სენი! სჩანს რომ თუ ამისთანა კაცთან ვისმეს საქმე მოუხდეს, იმისი ნათქვამი შავი თეთრად რომ გაიგონოს და თეთრი შავად, ცოტას შესცდება. ამ ნაირი კაცი სათნოებას და კეთილ საქმეს მარტო თავის სარგებლობისთვის შვრება.

სხვა რამეს ისე არ ნატრობს, როგორც იმას რომ კარგი შეხედულობა და კარგი აზრი ჰქონდნენ კაცთ იმაზედა; რომ ამ გზით სხვები მიინდოს და მათზე გავლენა იქონიოს, რათა კარგად მოატყუილოს ისინი და თავისი დაწყობილი საქმები წინ წაიყვანოს. ამ ნაირ კაცებს სვინდისი (გულისტანჯვა) პატივი და კარგი სახელი ერთ გვერდზე აქვთ გადადებული.

ამისთანა კაცი როცა მას დიდი პლანი შეუდგენია თავის ფიქრში, რომ შეეძლოს კარგად მოწყვნა თავისი

მიზნისა, შრომობს და ცდილობს რომ თავის თავი სრულიად კეთილ მსახურად და წმიდა კაცად წარადგინოს; ჩვეულების გარედ, ტკბილ კაცობრიობის ფორმებს ხმარობს და ამბობს, რომ ეს გზა და ეს მოძრაობა არის ის რომელსაც ფილოსოფოზები მაგნიტურ ძალას ეძახიან.

ძლიერ მოხერხებულია ეს კაცი ადგილის დაგვარ, დროს დაგვარ და პირების დაგვარ: უცოდოების თეთრი სამოსი ჩაუცვია, რომ შეეძლოს კარგად დამალვა თავის გულში ჩადებული ცუდი და ეშმაკური აზრებისა. ჰგავს სრულიად იმ ზღაპრულ კაცს, რომელსაც მოლექსენი პროთეოს ეტყვიან, რომელიც ყოველი წამის და ადგილის დაგვარ ყოველ ნაირად შეიცვლებოდა. აგრეთვე ეს კაცი თავის ნათქვამს ფორმას და სახეს თან ატარებს თავისი აზრების შესასრულებლად.

ორგულობა არის საფუძველი და სიმტკიცე ყოველი მისი სახეებისა და მისი ყოველი ყოფა ქცევისა. ძლიერ მზაკვარ და ბევრს ეშმაკობაებს მოიხმარებს ახალ მოდა რამების გამოსაგონებლად და მოსაფენლად, მეტადრე იმ რამების რასაც თვითან საფერად ხედამს თავისი აზრების წინ წასაყვანათ. თუ დიდი ბოროტის და მავნე რამებისაც წინ წაყვანა უნდა, მაშინ ის სწორედ ეშმაკის მოწაფეა; ამისთანა კაცი პირველად ძლიერ წვრილი და ძლიერ განურჩეველის რამებისაგან დაიწყებს, ნელ ნელა აბიჯებს, სანამ კაცი მიაჩვიოს ცოტა რამის შეცვლაზედ, ახალი რამის მოყვარულობაზედ და ბოლოს თან და თან იმ ბოროტ საქმეს განადიდებს!

ვჰგონებთ ამ გაიძვერობის ნამდვილი სურათი საკმაოდ შემოკლებით გაჩვენეთ; და ცოტა თუ ბევრი შეგატყობინეთ მისი უმთავრესი დასაწყისები და დაჭერილი გზები, რომლებითაც მოძრაობს თავის ყოველს მოქმედებაში,

რომ ყოველი ჩვენი მკითხველები თვალ ღიობით მო-უფრთხილდნენ იმათ ეშმაკობასა და რიერიიც შესაძლე-ბის მოერიდნენ მას.

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ლა.

### დიდი კაცების მოსაწონარ და საყვარელ კაცსა ზედა.

რა ბედი გაგიღება და ნახამ რომ დიდს და ჩინებულს კაცს თვალში შეუხველ და მისი მოსაწონარი გახდი, ეცადე მაშინ უქმად არ დადგე უნაღვლელობითა: მუდამ დაუვიწყებლად შეინახე შენს ფიქრში, და საქმითაც აჩვენე ის ჭკვიანური სიტყვა რომელიც ამბობს: «კაცის წინ წამყვანი გზა თავისივე ღვაწლი და ღირსება არის!»

კარგად იცოდე რომ ბევრ ნაირი კარები ქვეყანაზედა, რომელნიც შეგიყვანებენ, გზას გაგიღებენ შენ წინ წასასვლელად და დიდობაზედ მისაწევნელად; მაგრამ ესეც იცოდე, რომ გასაღებლები მთავრების და უმფროსების ხელთ არის.

უმფროსები საზოგადოდ ბრძენი კაცის ადგილსა სთვლიან იმათ ვინც მათ ხასიათსა და ჩვეულებას კარგად აიღებენ. მაშა სადამე ესეც უნდა იცოდე რომ როგორც უმფროსებს და მთავრებს თავთავისი რიგი აქვსთ ქვეყნის მმართველობისა, აგრეთვე იმათ თვალში შემსვლელსაც და იმათგან შეყვარებულსაც უნდა თავის კერძოდ მოხერხებულობა ჰქონდეს უმფროსების შევლისა.

ვინც შეუდგება მფლობელის საკუთარი სარგებლის წინ წაყვანას, ვხედამთ რომ იმისთანაი ზოგჯერ დიდობას მიეწევა და დროებითად დიდი იქმნება. ხოლო ვინც საზოგადოების სარგებლობის და სიკეთის წინ წასვლას ცდილობს, იმ ნაირი მუდამ დიდია.

ეცადე მუდამ სრული მზა იყო შენს კერძოდ ანგარიში მისცე ყოველი შენი საქმეებისა, როცა მოგთხოვენ შენ; მით მდაბალი და ყალბი ოქროს მსგავსია ის კაცი, ვისაც საცადის ქვისაგან (მაანგისაგან) ეშინიან!

რიერთიც საყვარელი იყო და დიდი კაცების თვალში იჯადე, იმდენი უფრო ეცადე რომ ტკბილი ქცევა გქონდეს ყველასთანა, და იმ ნაირი ქცევა გქონდეს რომ ადვილად დაგიახლოვდნენ შენ მსურველნი. დიდი კაცის საყვარელი კაცი როგორც ერთი ფული არის, რომელზედაც სათნოება უნდა იყოს დაბეჭდილი. მაგრამ იცოდე, რომ იმ ფულის დამფასებელი მარტო სიმდაბლე არის. დიდობაზე და სიმაღლეზე მიმყვანი სათნოება იცი რას ჰგავს? ჰგავს ერთს დიდს და მაღალს შენობასა, რომელს ძლიერ მტკიცე და ღრმა საძირკველი უნდა ჰქონდეს.

თავმხედობასა და ამპარტავნობასა ვხედამთ რომ მუდამ სავნო და სასირცხო შედეგები ჰქონიათ თავიანთვის. კაცისგან თავის მეცნიერებაზედ, გაამპარტავნება, ნათელში ყოფნით დაბრმავებაა, აგრეთვე თავის სათნოებაზედაც გაამპარტავნება იმავე თავისი ნაქონი ხუთოთი (საწამლავის დამაყენებელი) მოწამლვა არის.

კაცისთვის უფროსების მორჩილობა ვალი არის; თავისი თანასწორებისადმი მომდაბლება კაცობრიობაა; ხოლო თავისგან მდარეების მიჩნევა კეთილშობილებაა. ბედს შეუძლია დააწყებინოს კაცს გამდიდრება, მაგრამ იმაში წინ წამყვანი და მტკიცედ შემნახი მისივე სამარადისო სათნოება და კარგი კაცობა არის. გაფრთხილდი შენი სიმარჯვის დროს სრულიად არა ჰქმნა რა იმ ნაირი საქმე რომელიც შეიძლებოდეს რომ ბოლოს შენის სიმარცხის დროს სინანულის მიზეზად გაგიხდეს.

მუდამ ეს შენს ფიქრში მტკიცედ გამოისახე და მერწმუნე რომ შენის წარმატებისა და შენის გამდიდრებისა ძლიერ

მშვენიერი კერძი კეთილობა და კეთილი გულის ქონვა არის. რა მშვენიერი რა კარგი სანახავია ის რომელიც ერთსა და იმავე დროს პატივს დიდებაშია და სათნოებითაც შემკულია!

პირ მოთნე კაცი იცოდე რაოდნათ გარედგან ტკბილად ჩანს იმდენათ ამხანაგობისა თუ მთავრობისათვის მეტად საცთუროვანი და მავნებელი მხეცი არის. მაგრამ ვხედამთ რომ ამისთანებს ქვეყანაზედ პირი აულიათ.

საცდუროვანს საქმებში ეცადე რომ მუდამ ერთი ჭკვიანი კაცი გყავდეს წინამძღვრად რომელმაც შენს გასაჭირში დაგიფაროს შენ.

ხოლო საეჭვო საქმებში მუდამ თვალ-ღიობა და დახელოვნებულობა არ უნდა გაკლდეს, რომ შენი მტრების ეშმაკობაებმა უქმად გაიარონ, და შენ მახეში არ ჩაგაგდონ; მით შენ არა თუ მარტო შენი თავი უშიშრად უნდა გახადო, არამედ შენი მიმდგომი კაცნიცა.

როცა ნახავ რომ შენი გონიერება და სიბრძნე არ კმარა კაცის დასაყოლიებლად რომლის შემწეობით შენს აზრში ჩადებული კეთილი საქმე წინ წავიდეს, ეცადე მაშინ გონიერებითა და სიმართლითა მისი უძლური მხარე დაიჭირო და მაშინ გულ დამშვიდებული იყავ, შენი კეთილი საქმე წინ წავა.

ერთი ფილოსოფოზი ამბობს რომ, «როგორც კაცთ ხელში სპონდიო (საცდელი ქვა) აქვსთ ოქროს საცდელად, აგრეთვე ოქრო, საცდელი ქვაა კაცისაო.» სწორედ გაიგე ეს სიტყვა: თქმა არის, რომ ოქროს მიმცემიცა უსამართლოების წინ წასაყვანად, და ოქროს მიმღებიც უსამართლო სამართლის მოსახდენლად, ორივენიც თავიანთ მდარე და მუურაც საყოფი სულის პატრონობას აჩვენებენ, და ორივენიც ერთად ამ საქმით მთელი ქვეყნის წინაშე სახელ გატეხილები არიან!

კაცის ჭკუვა ერთი სასაჭურველო ( საიარაღე ) არის , სადაც მეტად უხვად მოიძევნიან ნაირ ნაირნი ხელ საწყონი და საჭურველნი , რომელნიც არიან დამცველობითნი ; მაგალითად ფარი , ჩაჩქანი და სხ . ქვეყანასა , უწყვეტლივ არიან მტერნი უთვალავნი შემთხვევანი , ამ ნაირი განსაცდელი შეიძლება მოხდეს ; ჭკუვა და გონიერება შენგან მოითხოვენ რომ რიერთიც შეიძლებოდეს ხელი არ მოჰკიდო იმ საჭურველებს , რომელთაც ჰქვიან მავნებელნი , როგორიც არიან ხმალი , შუბი და სხ . სხვის ზიანის მიუცემლად შენი თავი უნდა დაიცვა დამცველობითის საჭურველებითა ყოველი ცხოველებისა , ყოველი მხეცებისათვის რომლებისათვის ჭკუა არ მიუცია ღმერთს , მავნებითი იარაღი მიუცია . მხოლოდ კაცს არა აქვს მავნე საჭურველი : მისი საჭურველი მისი ჭკუვა არის ; მით თავისი ჭკუვისა და გონიერებისათვის რადგან ღვთის ხატი გამხდარა , სანამ ცოცხალი არს კეთილ-მყოფელ ღმერთს უნდა მიემსგავსოს , თავისი ჭკუვისა და გონების კეთილზედ მოხმარებითა .

## ბ ო ლ ო   გ ა კ ვ ე თ ი ლ ი .

## ს ა ზ ო გ ა დ ო   კ ა ნ ო ნ ე ბ ი .

გვგონებთ საკმაოდ ვილაპარაკეთ ამ წიგნში, რაც ეჭირება კაცსა ჭკუვის კარგად მოსახმარებლად და სრულ გაცად გახდენად . ახლა ამ ბოლო გაკვეთილში მოგახსენებ რამდენიმე საზოგადო სახმარს კანონებსაცა .

ა . თუ პატივსაცემს აღსავალზედ ახვიდე და გამდიდრდე ქვეყანაზედ , კარგად იცოდე , რომ ძლიერ მცირედ ფეხის წაბორძილებასაც შეუძლიან შენი ერთიან ჩამოგდება და დაცემა .

ბ. შემთხვევამ მოიტანა რომ დიდობითგან ჩამოვარდი; წადი მიუბრუნდი შენს მარტოკობას ჲ შენს პირველსავე უბრალო მდგომარეობას: იქ შეგიძლია შენის წამლის პოვნა.

გ. ისე შეიძარ, ისე მოიქეცი, რომ არც ერთს მდგომარეობას არ შეეძლოს უვიცად გაანჩხლება ჲ გაბოროტება, შენი ჲ მაშინ მოსვენებით იქმნები ყოველს მდგომარეობაში.

დ. სიმარცხები ძლიერ განსტანჯვენ კი კაცსა; მაგრამ როცა ნახამ, რომ მოთმინების გარდა სხვა ღონე არ არის შეეჩვევი, ჲ შეჩვევა შეგიმსუბუქებს იმათ, ჲ დაჭირება გაგამხნევებს.

ე. როცა ვინმე შენს საკუთრებას (ქონებას) გამოგაცლის ჲ წაგართვამს, იფიქრე მაშინ, რომ ღმერთს მოუშვია შენზე ეს საქმე, რათა შენ მოთმინებით სასყიდელი მიიღო.

ვ. თუ შეგემთხვიოს შენი წინადვე ნააზრევი ზიანი რა გაეწყობა! ხელს არ მოგცემს მოთმინებითგან გამოსვლა ჲ სიანჩხლე.

ზ. ამ ქვეყანაზედ ყოვლითვერი ცვლილების ქვემდებარეა: მაშა სადამე არც უნდა გავიკვირვოთ ჲ არც უნდა ვიმწუხროთ მოხდენილს საქმეზედა.

ჱ. კაცისთვის დიდი დიდება არის, რომ მოერიოს სიმარცხებსა: როცა კაცი გულის სიმხნით ითმენს, სჩანს რომ ის სათნოებით შემკულია.

თ. ღვენულობა ჲ სიმარცხე გულადი კაცისათვის მუდამ გავარჯიშების ჲ გამოცდილების საშვალობანი არიან.

ი. როცა ბერძნებმა არისტიდე, მართალი ჲ სათნო თავადი, დასაჯეს გარდასაკარგავად, სხვა სიტყვა არ დასძრა იმან პირითგან, გარნა მხოლოდ ეს: «სხვა სიავეს არ ვნატრობ ჩემი სამშობლო მამულისათვის, გარნა მარ-

ტო ამას, რომ ჩემს თანა მოქალაქეთ სრულიად არღარ დასჭირდნენ არისტიდეო.»

ია. არც წასული მარცხები და არც მომავალნი არ უნდა გტანჯვემდნენ შენ: დღეს დღეობით რაც არის მარტოის არის აწმყო ზიანი, მაშა სადამე არ შეიძლება რომ ერთი წამი მოითმინო?

იბ. თუ კარგად დაფიქრდები რომ კაცი ხარ და ქვეყანაზედ იმოები, მოხდენილ მარცხებს ახალს საქმედ არ დასთვლი; და თუ რომ სხვის მარცხებს მიხედამ, შენები სრულ წვრილად გამოგიჩნდებიან.

იგ. თუ ისე ბედნიერი არა ხარ, როგორც რომ შენ გინდა, უნდა დასჯერდე ამას, რომ ისე უბედური და ბედკრული არა ხარ, რისაც იქმნება ღირსი იყო!

იდ. არა ფერი არის ისე ამ ჩვენის ცხოვრების გასატანად და მოსათმენად მყოფელი, როგორც ფიქრობა საიქაოს ცხოვრებაზედა. ამბობს ერთი ახალი ფილოსოფოზი: «მე ჩემს კერძოდ ერთის წამის სიცოცხლესაც არ ვინატრემდი, თუ რომ ნამდვილად არ მცოდნოდა დროებითი ასეთი უბედურის ცხოვრების შემდგომ საუკუნო ცხოვრების მომავლობა.»

იე. თუმცა მრთელი ჩვენი ცხოვრება ნაირ ნაირი უბედურობით და სატკივარებით სავსე იყოს, არ არის სანაღვლელი: რადგან დროებითი და წარმავალია ეს ცხოვრება. ნეტარელია ის უბედურება, რომლის ბოლო სიხარულია: ნეტარელია ის სიხარული, რომელსაც აღსასრული არა აქვს; და მეტად უფრო ნეტარელია ის აღსასრული, რომელსაც დაუბოლოვებელი საუკუნოება დააგვირგვინებს უკვდავი დიდებითა.

არა მთქმელი სიტყვითა, არამედ აღმსრულებელი საქმითა არის ნეტარელი; უდიდესია ჭკუით შესრულება საქმისა, ვირემც განზრახვა იმაზედ სიბრძნითა.

## შესხმა წმიდისა ღვთის მშობლისა.

წმიდა მამანი, დ~ მოძღვარნი ყოველნივე ვითა ერთითა პირითა იტყვიან, ვითარმედ შუამდგომლობითა ყოვლადა წმიდისა ღვთის მშობლისა დაიჭდვარნენ დ~ დაიჭდვრებიან ხოლმე ჩვენს ზედა მადლნი ღვთისანი დაწყობილი დასაბამითგან სახარებისა, ვიდრე აქომომდე. ესე ცხადი არს თჳ წმიდა იოვანე ნათლის მცემელსა დ~ თჳ დედასა მისსა წმიდასა ელისაბედსა ზედა; რომელნი ახალს სჯულსა შინა შეიქმნენ პირველნი მიმღებელნი მადლთა ღვთისათა: რამეთუ იტყვიან, როდის მიიღეს მათ მადლნი იგინი? დ~ მიუგებენ: მას ჟამს როდესაც წარვიდა მისახედავათ მათი ყოვლად წმიდა ქალწული. რამეთუ რაჟამს ესმათ მათ ხმა მოკითხვისა მისისა, იმავე წამსა ნათლის მცემელი იოვანე განიწმიდა ადამის ცოდვისაგან, აღივსო მადლებითა ღვთისათა, დ~ წინასწარმეტყველებრივი ნათლითა საშოსა შინა ქალწულისა, თაყვანი ჰსცა მას. დ~ დედაცა მისი აღივსო მეუსეულად სულითა წმიდითა: ვითარცა ჰსწერს მახარებელი. ამისთვის იტყვის თეოფილაქტე: ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან მადლის შჯულსა შინა მისცა პირველი მადლი თვისი შუამდგომლობითა ხმისა ქალწულისა თქმულისა ელისაბედის მიმართ, რათა გვეცნა ვითარმედ იმიერით ყოველნი მადლნი უნდა დაჭდვრილ იყვნენ ქრისტეს მიერ მორწმუნეთა ზედა შუამდგომლობითა დედისა თვისისა წმიდისა ქალწულისათა, გვალად იტყვის: განვბედამ თქმას, ვითარმედ იმავე წმიდა მოციქულთაცა მიიღეს სული წმიდა წმიდასა ქორსა შინა შუამდგომლობითა ღვთის დედისა წმიდისა ქალწულისა. რომელი იყო მუნ მათთან (ვითარცა მოგვითხრობს მახარებელი) დ~ ჰყოფდა მათ-

თვის ლოცვასა, და აგულისნებდა მათაც იმაზე, რათა ღირს ქმნილ იყვნენ იგინი მადლთა ღვთისათა.

კვალად მარიამი არს მესაუნჯე ღვთისა, და დედა მოწყალებისა, რომლისათვის სიტყვასა ზედა, რომელიცა ჰრქვა არტაქსარ მეფემან ესთერსა. უკეთუ ითხოვო ვიდრე ნახევარსა სამეუფოდმდე ჩემისა, მოგცე შენ. იტყვის ანგელოზებრივი მოძღვარი წმიდა თომა წინათქმულობასშიდ კანონებრივი წიგნისა რომელ მეუფება ღვთისა განიყოფების ორად, ვითარმცა მეუფებად სამართლისა, და მეუფებად მოწყალებისა აწ მეუფება სამართლისა, იტყვის, მისცა მამამან ზეციერმან ქრისტესა, დადგინებითი მისი საზოგადო მსაჯულად ყოველთა კაცთა. ვითარცა თვითვე იტყვის: მომცა ხელმწიფება სასჯელისა ქმნად. ხოლო მეუფება მოწყალებისა მისცა ყოვლად წმიდა ქალწულსა დედასა მისსა, დადგენით მისი მესახისრად, და შემწედ ყოველთა საწყალობელთა. ამისთვის სიტყვასა ზედა ქებათ ქებათა « ვინ არს ესე! რომელი აღმოჩენილ არს ვითარცა განთიადი, მშვენიერი ვითარცა მთვარე, რჩეული ვითარცა მზე », იტყვის ერთი უმწვერვალესთა მამათ მთავართაგანი, რომელ ესე არს დედა უფლისა წმიდა ქალწული, რომელი იშვა ქვეყანასა ზედა განსანეტარებლად ყოველთა კაცთა, ვითარმცა ცოდვილთა, მონანულთა, და მართალთა. და გამობრწყინებად მათ ზედა მადლეობის ნათლისა. რამეთუ იგი არს მთვარე ცოდვილთათვის, რომელნიც ჰგიებენ სიბნელესა შინა ცოდვის ღამისასა; იგი არს განთიადი გინა ცისკარი მნანებელთათვის, რომელნიც განშორებით ცოდვათაგან, ახლოს არიან მიღებად თავიანთ მიმართ გამობრწყინებისა სიმართლის მზისა, და იგი არს მზე მართალთათვის, რომელნიც ვლენან ბრწყინვალე დღესა შინა მადლთა ღვთისათა. წმიდა ბონავენტურა იტყვ-

ის: ვითარცა მთვარე არს საშუალი შორის ზეციერთა და ქვეყნიერთა ნივთთა, და რაჲსაცა მიიღებს ზეციერთა მათგან, დაჰფლვრის მას ქვემორე ნივთთა ზედა, ესრეთვე ყოვლად წმიდა ქალწულიცა არს საშუალი შორის ჩვენსა, და შორის ღვთისა; და მიღებულთა მადლთა ღვთისაგან დაჰფლვრის ჩვენ ზედა.

კვალად წმიდა ქალწული არს ბჭე რომლით შთამოხდა ღმერთი ქვეყნად, და მოვიდა ჩვენდა და რომლით კაცნიცა შეიძლებენ აღსლვად ღვთისა მიმართ; ვითარცა იტყვის წმიდა ავგუსტინე: მისით შთამოხდა ღმერთი ზეცით ქვეყნად, და მისით ღირს იქმნებიან კაცნი აღსვლად ცათა შინა. ვინაით იტყვის წმიდა ბონავენტურა: ამისთვის იწოდების ყოვლად წმიდა ქალწული ბჭედ ზეცისა, რამეთუ ვერ ვინ შეიძლებს შესვლას ცათა შინა, უკეთუ არ განვლის ამ კარითა: და დაუმატებს: რადგან ღმერთი დამკვიდრდა საშოსა შორის ქალწული მარიამისა, არ შევიშინებ თქმას, რომ მიიღო მან სიმართლე მადლთა ზედა ღვთისათა; რამეთუ ყოვლად წმიდა საშოსა მისისაგან რა გამოვიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, გამოვიდნენ ერთბამად მისგან ვითარ ზეციერი ოკეანესაგან ყოველნი მდინარენი ღვთიურთა ნიჭთა. ვინაით სიტყვასა მას ზედა წინასწარმეტყველისა: (და გამოვიდეს კვერთხი ძირისაგან იესესა. და ყვავილი ძირისაგან აღმოხდეს. და განისვენოს მის ზედა სულმან ღვთისამან. ისაია თა. 1. 2.) იტყვის იგივე წმიდა: კვერთხი ესე არს წმიდა ქალწული, და ყვავილი არს ძე მისი იესო, რომელი აღმოცენდა ძირისა და კვერთხისა მისგან. მაშ რომელიცა ნატრობს ქონვას მადლთა სულისა წმიდისათა, ეძიოს ყვავილი იგი კვერთხსა მას ზედა, ვითამც, იესო წმიდისა დედისა თანა მისისა, რამეთუ კვერთხითა მით ყვავილისადმი, და ყვავილითა მით სული-

წმიდისადმი მიახლოებასა ძალს-ვიდებთ. შემდგომ იტყვის : უკეთუ გულს ითქვამ ქონვას ამა ყვავილისასა, ითხოვე დიდის ვედრებით, რათა მომადლდეს შენდამი კვერთხი და მიიღო ყვავილი იგი ; რამეთუ სიტყვასა მას ზედა, რომელ « ჰპოვეს ყრმა მარიამი თურთ დედით-თვისით ». იტყვის იგივე წმიდა. ვერაოდეს ჰპოვო იესო, უკეთუ არ მარიამით, და შუამდგომლობითა მარიამისა დედისა თვისისა, და ბოლოს იტყვის : უქმად ეძიებს იგი იესოს, რომელიცა არ ეძიებს მას დედისა თანა.

ვინაით უკეთუ გულს-ვითქვამთ მოპოვნას მადლთა ღვთისათა, და მიღებას საუკუნო ცხოვრებისა, საჭირო არს რათა მარადის დღე თუ ღამე მივმართოთ მხურვალე ლოცვით შემწეობასა ქალწული მარიამისასა ; რამეთუ ვითარცა იტყვის ბერნარდე : არა ვინ წარწყმდების, რომელიც ჰკიებს მხურვალეობასა შინა დედისა მის ღვთისა. ვითარცა ეშმაკთაცა აღვიარეს ესე წინაშე წმიდისა დომინიკესი ქარქასონისა შინა, თქმით : ძალდატანებულნი ვართ განცხადებად თქვენდა, რომ არ დაისჯების იგი, რომელიცა განმძლე იქმნების მხურვალეობასა შინა წმიდა ქალწულისასა ; და მრავალთა ცოდვილთაცა სიკვდილის ჟამსა რა მოუწოდეს იგი შემწედ თვისად, მიიღეს მადლნი ღვთისაგან, და დახსნილ იქმნენ, რომელსაც ამტკიცებს გრიგოლ ნარეკელი თქმითა მისდამი : შენის ძლიერის მეოხებისა მიერ იქმნას ჩვენდა დაუსჯელი კადნიერება სამსჯავროსა შინა დიდსა საშინელისა მსაჯულისასა.

კვალადცა იგი არს დადგენილი ღვთისაგან შემწედ ყოველთა დაჭირებულთა ; ვითარცა სიტყვასა მას ზედა, რომელიცა სთქვა ღმერთმან განჩენის დროს ჰევისასა : უქმნეთ მას შემწე მის ებრი. დაბად. ბ. 18. იტყვის წმიდა ბერნარდე, და მასთან სხვა ყოველნი მოძღვარნი.

რომ რაჟამს ინება ყოვლად მოწყალე ღმერთმან ძისა მიერ თჳსისა მხოლოდ შობილისა წამლის დადება სულიერთა სენთა ადამისათა, მისცა მას, ესე იგი ძესა თჳისსა შემწე დედა მისი ყოვლად წმიდა ქალწული, რათა აღდგინება სოფლისა იქმნას მსგავსად დაქცევისა მისისა: და ნათესავი კაცთა დაკარგული ერთის კაცისა, და ერთის ქალისა მიერ, ვითამც ადამისა, და ევისა მიერ. დახსნილ იქმნას კვალად კაცისა ერთისა მიერ, ვითამც იესო ქრისტესი, და ქალისა ერთისა მიერ, ვითამც ყოვლად წმიდა ქალწული მარიამისა: იგი, ვითამც ქრისტე იქმნას მხსნელი. და ესე ყოვლად წმიდა ქალწული, იქმნას შემწე მისდა.

ამისთვის იტყვის რომელიმე დიდ მოძღვართაგანი: ესე არს შემწე ქრისტესი ღვთისა ჩვენისა მაღლისა, რათა შეეწიოს მას დახსნასა კაცთ ნათესავისასა; რამეთუ იქმნა შემწე მისდა, იტყვის, პირველ მით, რომ ღირს იქმნა იგი შეფერებული ღირსეულობითა მისი განხორციელებისათვის: მეორედ დაუცხრომელის ვედრებითა უფლისა მიმართ ჩვენთვის, ვიდრე ამას სოფელსა შინა იმყოფებოდა იგი, და მესამედ შეწირვითა ღვთისადმი მსხვერპლად ცხოვრებისა მხოლოდ შობილი ძისა თჳსისა გულმოდგინებითა ჩვენი ცხოვრებისათვის: და ამისთვის ამსგავსებს მას მოძღვარი რიკარდო ნოეს კიდობანსა მეტყველი: ზღვასა შინა ამის სოფლისასა დაიკარგვიან ყოველნი, რომელნიც არიან გარეთ კიდობნისა ამის; ვითამც, რომელნიცა არ არიან მფარველობის ქვეშე წმიდის ღვთის-მშობლის შემწეობისა.

ამის გამო რაოდენ გზისაც ვიხილავთ თავთა ჩვენთა აღელვებულსა ზღვასა შინა ამის სოფლისა, ღაღად ვყოთ ყოვლად წმიდა ქალწულის მიმართ, თქმითა: დედოფალო გვიხსენ ჩვენ, რამეთუ აჰა ესე რა წარვწყმდებით

ვითარცა დედად ჰყვეს მოციქულთა ქრისტეს მიმართ; და ამისთვის იტყვის წმიდა იერონიმე, უფლის დედისა წმიდისა ქალწულისა მიმართ: უკეთუ არ განგვაძევ ჩვენ, ჰოი ყოვლად წმიდაო ქალწულო ვის მივმართოთ? რაჲ იქმნებიან სულნი ჩვენნი, და ცხოვრებანი ქრისტიანეთა?

ამისთვის რამეთუ შემდგომ, ღვთისა იგი არს პატრონი, და დედუფალი ჩვენი, და შემბრალე დედა ყოველთა; რამეთუ თვით მაღალმან ყოვლის მპყრობელმან, და ყოვლად ძლიერმან ღმერთმან აღამაღლა იგი უმაღლეს უფროს ყოველთა გუნდთა ზეციერთა, და დაჯდინა იგი მარჯვენით ძისა თვისისა, და დაადგვირგვინა იგი დედუფლად და მფლობელად ცისა და ქვეყნისა; რომლისათვის უღაღადებს მას ნეტარელი გრიგოლ ნარეკელი ოქმითა: გევედრები შენ წმიდაო ღვთის-მშობელო, რომელი ხარ ანგელოზი კაცთაგან, ხორციელი ქერაბიმი, და ზეციერი მეფა; ამას უწოდს მას სამართლიერად; რადგან არს იგი დედა იესოსი ქრისტესი მეფეთ მეფისა, ღირსად იწოდების, და არს კვალადცა დედუფალი ყოველთა განჩენილთა, ამისთვის იტყვის წმიდა ათანაზი: უკეთუ თვით, რომელი იშვა ქალწულისაგან მეუფე არს, ჭეშმარიტად დედაცა იგი, რომელმანც შვა იგი, დედუფალი არს, და მეფა. ამის გამო შემდგომად ღვთისა, მას მსახურობენ და ადიდებენ დასნი ძალთა ნათლოვანთანი; ამისთვის, რამეთუ იგი არს დედა ღვთისა შემოქმედისა ცისა და ქვეყნისა, და აქვს ყოვლად სრული ხელმწიფება მიღებისა ღვთისაგან, რომელი რაჲცა ჰნებავდეს; რადგან რაოდენიცა ძალი უძს ქმნად ღმერთსა ყოვლად ძლიერი ყოვლის მპყრობელობითა თვისითა, იტყვის ვინმე მოძღვართაგანი, ეგოდენი ძალი უძს მასაცა ქმნა შეამდგომლობითა და მეოხებითა თვისითა: რამეთუ ვითარცა დიდი იყო დედობრივი ხე-

ლმწიფება მისი ქვეყანასა ზედა ღვთიური ძისა მიმართ თვისისა, ეგოდნათ ვიდრე რომ ემორჩილებოდა მას იგი ყოველშიდ, ვითარცა იტყვის მახარებელი « იყო მათდა მორჩილ », ესრეთვე დიდ არს აწცა შეძლება მისი ცათა შინა მიღებად მისგან, ყოველი რაჲცა ითხოვოს ჩვენ-თვის. კვალად რომ დედუფალი ესე ჩვენი, არა არს დედ-უფალი სამართლისა, არამედ დედუფალი მოწყალებისა, ჲ არს ყოველსა შინა ტკბილი ჲ სახიერი, ვითარცა უღაღადებს მას წმიდა გრიგოლ ნარეკელი, იქმითა : კე-თილობით აღვსილო, სიმშვიდითა აღმაღლებულო, სი-ტკბოებით გასუწვებულო, ჰოი წმიდაო ღვთის დედაო, ჲ მარადის გულმოდგინე არს იგი ქმნად კეთილისა და-ჭირებულთა, ჲ საწყალობელთათვის. რამეთუ სახელიცე ესე, დედუფალი, ვითარცა იტყვის დიდი ალბერტი, აჩ-ვენებს რომ აქვს სახიერება, ჲ შებრალება მას გლახაკ-თა ჲ საწყალობელთა თვის.

ვინაით იტყვის დიდი გრიგოლი რაოდენათაც აღმაღ-ლებული ჲ უწმიდესი არს მარიამი, ეგოდნათ ტკბილი ჲ სახიერი არს იგი მონანულთა ცოდვილთა მიმართ; უკეთუ კერპმსახური ტიტე კეისარი იტყოდა თავისა თვისისათვის, რომ არ ძალმიძს უარის თქმა წყა-ლობისა რომელსაც ითხოვს ვინმე ჩემგან, რად-გან ჯერ არს მეფეთა არა განტევებად ცარიელ მათი, რომელნიცა მიმართვენ მათ: აბა რაოდნად უფრო დედ-უფალი ჩვენი წმიდა ქალწული, რომელი არს ყოვლ-ითურთ სახიერი, ჲ მოწყალე, არა განუტევებს ცარიელს მათ, რომელნიცა ითხოვენ რამეს მისგან! მაშ აბა მივმა-რთოთ ამფერს სახიერს ჲ შემძლე დედუფალსა ჩვენსა ყოველს ჩვენს სულიერს ჲ ხორციელს დაჭირებასა შინა ჲ ვიქონიოთ სასოება მუდამ მისდა მიმართ.

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

გაკვეთილი .


ა · სწავლისა ზედა . . . . . . . . . . . . . . . 13

ბ . ღვთის მსახურებასა ზედა . . . . . . . . 22

გ . ხელმწიფის ერთგულობასა , უმფროსებისადმი მორჩილობასა და უტყუარობასა ზედა . . . 35

დ · ყოფა ქცევასა ზედა , თუ ნეტავი კაცთა თანა რო-გორ უნდა გაეწყოს , როგორ ადგეს დაჯდეს . 39

ე · უბნობასა გინა ლაპარაკსა ზედა . . . . . . 51

ვ · სიჩუმესა და სიტყვის შენახვასა ზედა . . . 57

ზ . კაცთ წინაშე მიჩნეულობასა და კარგის სახელის ქონვასა ზედა . . . . . . . . . . . . . . 63

ჱ . ტრაბახობასა და გამომჩვენებლობასა ზედა . . 69

თ . სჯასა გინა კრიტიკასა და ძრახვა კილვასა ზედა . 76

ი . განრისხებასა გინა გაჯავრებასა ზედა . . . 89

ია . უსამართლობასა და შურის ძიებასა ზედა . . 101

იბ . ღვაწლსა და სათნოებასა ზედა . . . . . . 111

იგ . მეგობრობასა და მეგობართა ზედა . . . 121

იდ . ზომიერს სარჩოსა და ზომიერს დახარჯვასა ზედა . . . . . . . . . . . . . . 132

იე · სიმდიდრესა და ვეცხლის მოყვარულობასა ზე-და , და თუ სიმდიდრის მიზანი (აზრი) რა უნ-და იყოს ? . . . . . . . . . . . . . . 138

ივ · დიდების მოყვარულობასა და დიდ დიდთა სამ-სახურთა ზედა . . . . . . . . . . . 156

იზ, · რა გზით შეგვიძლია გაბედნიერება ამ ქვეყანა-ზედ . . . . . . . . . . . . . . 168

ზომიერობასა გინა ზომიერს სმასა და ჭამასა . . . . . . . . 182

და დავიდარაბასა ზედა . . . . 194

გაკვეთილი


კ. ფულით (ქაღალდის) თამაშობასა ზედა . . . 199
კა. დაძერწინებასა ზედა . . . . . . . . . . 200
კბ. თავისი პატივის შემნახსნ და თვისგან მიცემული სიტყვის (პირობის) შემსრულებელ სარწმუნო-კაცსა ზედა . . . . . . . . . . . . . . 207
კგ. თვალი ღია და საქმის გამჭრიახ კაცსა ზედა . 214
კდ. რჩევასა და მრჩევლებისა ზედა . . . . . 224
კე. როგორი გონიერება და რა ჭკუის ხმარება სა-ჭიროა განსაცდელში . . . . . . . . . . . 234
კვ. ვითარ უნდა შეაყვაროს კაცმა თავი სხვათა და გული მოუგოს იმათ . . . . . . . . . . 239
კზ. მართლად განშორებულს და უბრალო ცხოვრე-ბასა ზედა . . . . . . . . . . . . . . 243
კჱ. რა მოგვრილობა უნდა კაცს რათა წარმატებას მიეწიოს . . . . . . . . . . . . . . 257
კთ. ადრე მიცემისა და საქმების ჭკუით წინ წაყვანა-სა ზედა . . . . . . . . . . . . . . 264
ლ. გაიძვერა და [illegible] . . . . . 270
ლა. დიდი კა[illegible] კა-ცისა ზედა
ლბ. საზოგადო [illegible]
ლგ. შესხმა წმიდის ღვ[illegible]

2(1)

62

17
b 474